

შალვა ჩიკვაშვილი

**პასუხისმგებლობა
მორალური ზიანისათვის**

ბამონცემლობა „მერიდიანი“

· თბილისი 2003

ნაშრომი – „პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის“ წარმოადგენს ფუნდამენტურ კვლევასა და ანალიზს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხზე – მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების შესახებ. წიგნში გაშუქებულია ყველა საკითხი, რაც დაკავშირებულია მორალური ზიანის ცნებასთან, პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და ანაზღაურების ფორმებთან და ამ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა სამართლებრივ სტატუსთან.

წინამდებარე ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სამართალდამცავი ორგანოების, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მუშაკებს. ვფიქრობთ, მას დიდი ინტერესით გაეცნობიან მეცნიერ-მუშაკები, იურიდიული სასწავლებლების სტუდენტები და მორალური ზიანის ანაზღაურებით დაინტერესებული მკითხველები.

რედაქტორი დოც. ლ. ნადიბაიძე
რეცენზენტები: საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს უფროსი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, დოც. თ. მონიავა
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. ზ. ძლიერიშვილი

© გამომცემლობა „მერიდიანი“ 2003,
© შ. ჩიკვაშვილი 2003

*ეუძღვნი მშობლების
ლუბა დანიელის ასულ და
დანიელ იაკობის ძე ჩიკვაშვილების
ნათელ ხსოვნას*

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ახალი კონსტიტუციის მიღებით ჩვენი ქვეყანა გაემიჯნა ტოტალიტარულ რეჟიმს და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის რეალური მექანიზმების შექმნით, მტკიცე ნაბიჯი გადადგა დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობის გზაზე.

საქართველოს კონსტიტუციით პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია ადამიანის, როგორც სოციალური მოვლენის, უფლებებისა და თავისუფლებების წინა პლანზე წამოწევა. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ კონსტიტუციის მეორე თავი მთლიანად მიეძღვნა ზემოაღნიშნულ უფლებებსა და თავისუფლებებს. საკონსტიტუციო წესით მათი აღიარება, ცხადია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამართლებრივი, დემოკრატიული და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შექმნილიყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ობიექტურად განაპირობებდა ამ უფლებათა სრულფასოვან რეალიზაციას და შექმნიდა მექანიზმს მათი დაცვისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად შეიძლება მივიჩნიოთ ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება, რომელმაც ქართული სამართლის ისტორიაში პირველად მიუთითა ადამიანის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის აუცილებლობაზე და გაითვალისწინა მისი განხორციელების საშუალებები, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლების, კერძოდ, მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პრობლემა.

საქართველოსა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის შედარებითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვეკვლინა სამოქალაქო სამართლის ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის – მორალური ზიანის კომპენსაციის არსი და მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ მომზადდა ორი გამოცემა სახელწოდებით „მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში“, რომლებიც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის პრობლემატიკას მიეძღვნა.

სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდგომ განვლილმა პერიოდმა საშუალება მოგვცა გაგვეანალიზებინა სასამართლო პრაქტიკის დღევანდელი მდგომარეობა. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების სფეროში რეალური ნაბიჯები გადაიდგა სასამართლო ხელისუფლების მიერაც. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ შეინიშნება მოქმედი კანონმდებლობის არაერთგვაროვნად გამოყენების შემთხვევები. აღნიშნულმა გარემოებამ და ჩვენს ხელთ არსებულმა სასამართლო პრაქტიკამ გადაგვაწყვეტინა კვლავაც დავბრუნებოდით მორალური ზიანის კომპენსაციის საკითხს.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს რა მესამე გამოცემას, მასში გათვალისწინებული საქმიანი წინადადებები, ვფიქრობთ დააინტერესებს პრაქტიკოს იურისტთა და მკითხველთა ფართო წრეს.

პროფესორი *შალვა ჩიკვაშვილი*

*„სხვა რა უფლებაა ადამიანისა
იმაზედ უცილობელი, იმაზედ სანატრე-
ლი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი,
რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა,
ღირსეულად და მართებულად მოქცე-
ვა ითხოვოს!“*

ოლია

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ უმაღლეს ფასეულობებს, რომელთა აღიარება, განხორციელება და დაცვა სახელმწიფოს ეკისრება.

საკუთარი თავის პატივისცემასა და ღირსებას პიროვნების მორალურ ღირებულებათა სკალაზე ოდითგან ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა. შეურაცხყოფა ყველა ეროვნების ღირსეული შვილისთვის გაუსაძლისი ტანჯვის მომტანია და სწორედ ამიტომ ყველა დროსა და ყველა ერში არსებობდა და ზოგან დღესაც არსებობს საუკუნეთა სიღრმეში ფესვგადგმული შურისგებისა და სისხლის ალების არქაული ინსტიტუტი. სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო, ცივილიზებული საზოგადოება ვერ და არც უნდა ეგუებოდეს პირადი ანდა ოჯახური ვენდეტის დრო-მოჭმულ ტრადიციას. ამიტომაც მოწინავე დემოკრატიული სახელმწიფოების კანონშემოქმედებითი მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სამართლებრივი ნორმების შემუშავება, რომლებიც ადამიანთა ურთიერთობას საზოგადოებისათვის მისაღებ კანონიერ საფუძველს უქმნის. პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვის საკითხს მაღალგანვითარებული ქვეყნების კონსტიტუციებსა და საკანონმდებლო სივრცეში, ცხადია, დიდი ყურადღება ეთმობა, ვინაიდან პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვით შეურაცხყოფილია არა მარტო პიროვნება, არამედ

ირგვლივ მყოფნი, ანუ საზოგადოება და თვით ისიც, ვინც სხვის პატივსა და ღირსებას ლახავს. ამდენად, „მოგებული“ მხარე შეურაცხმყოფელ-შეურაცხყოფილს შორის ფაქტობრივად არ არსებობს.¹

საქართველო აღიარებს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტს და სხვა ფუძემდებლურ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს რა ადამიანის უფლებას სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, პატივსა და ღირსებაზე, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებაზე, პირად და ბინის ხელშეუხებლობაზე, აგრეთვე სხვა პირად არაქონებრივ უფლებებზე, ამავე დროს, განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან მათი ეფექტურად დაცვის მექანიზმს. აღნიშნული უფლებები ადამიანს ხდის ნამდვილად თავისუფალს, ამღევს საშუალებას ჰარმონიულად განავითაროს სულიერი, ზნეობრივი და ფიზიკური ძალები.

სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში, არცთუ იშვიათია პიროვნების უფლებების დარღვევის შემთხვევები, რის გამოც სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს დარღვეული უფლების სამართლიანად, სწრაფად, ეფექტურად აღდგენა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სამოქალაქო სამართალი წარმოადგენს იმ ნორმების ერთობლიობას, რომლებიც ეფუძნებიან ქონებრივი თანასწორობის პრინციპს და აწესრიგებენ ქონებრივ და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი ისეთ პირად

¹ იხ. ინტერვიუ თ. მონიავასთან, „მთავარი გაზეთი“, 2003 წლის 13 სექტემბერი, გვ. 13.

ურთიერთობებსაც, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან ქონებრივთან.

ამდენად, სამოქალაქო სამართლის ნორმებით რეგულირებული არაქონებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია გარკვეული განმასხვავებელი ნიშნები, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ იურისტების ნაწილი ისეთ ტერმინებს, როგორცაა: „პირადი უფლება“, „არაქონებრივი უფლება“ და „პირადი არაქონებრივი უფლება“ არაიდენტურად მიიჩნევს. მაგალითად, ვ. კაბატოვის აზრით, ნაწარმოების ავტორს გააჩნია ისეთი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებიან მის პიროვნებას, ე.ი. განუყოფელნი არიან მისგან და არაქონებრივი უფლებები, რომლებიც არ არიან ასეთ მჭიდრო კავშირში ავტორის პიროვნებასთან და მათი განხორციელების უფლება შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.¹

ვ. კაბატოვისაგან განსხვავებით, იურისტების დიდი ნაწილის მიერ აღნიშნული ტერმინები განიხილებიან როგორც ერთი და იგივე მნიშვნელობის მქონენი. ამასთან, მათ ყურადღების მიღმა რჩებათ ის გარემოება, რომ აღნიშნულ ტერმინთა განსაზღვრებები გამოდგება მხოლოდ სამოქალაქო სამართალში და არა სამართლის სხვა დარგებში.

მნ.მალენინა მიუთითებს ოთხ ნიშანზე, რომელიც არაქონებრივი უფლებებისათვის არის დამახასიათებელი: 1) პირადი უფლებების არამატერიალური ხასიათი; 2) მათი მიმართება ინდივიდუალურობის გამოვლენისა და განვითარებისაკენ; 3) პირადი უფლებების განსაკუთრებული ობიექტი; 4) მათი წარმოშობისა და შეწყვეტის სპეციფიკური საფუძვლები².

¹ Кабатов В.И. Советское авторское право на произведения изобразительного искусства. Авторсф. дис.канд.наук, М., 1954, ст.7.

² Маленна М.Н. Личные немущественные права граждан. М., 2001, ст.11.

მ.მალინას მტკიცებით, პირადი უფლებების არამატერიალური ხასიათი ვლინდება იმაში, რომ მათ არ გააჩნიათ ეკონომიკური შინაარსი, შეუძლებელია მათი ზუსტი შეფასება და მათ რეალიზაციას არ მოჰყვება სხვა პირების მიერ ქონებრივი ეკვივალენტის გადახდა.

რაც შეეხება მეორე ნიშანს, თითოეული ადამიანი თავისთავად წარმოადგენს განსაკუთრებულ ფენომენს, რომელსაც აქვს უფლება ინდივიდუალურობაზე. არაქონებრივი უფლებები კი ხაზს უსვამენ პიროვნების განსაკუთრებულობას, იცავენ მის თვითმყოფადობასა და განუმეორებლობას. მართალია, თითოეულ პიროვნებას გააჩნია თავისი ქონებრივი უფლებებიც, მაგრამ არაქონებრივი უფლებები მთავარ როლს ასრულებენ ადამიანის ინდივიდუალურობის გაღრმავებაში.

რაც შეეხება არაქონებრივი უფლებების ობიექტებს, მ. მალინას აზრით, მათში იგულისხმება არამატერიალური (სულიერი) სიკეთე და ინტელექტუალური შემოქმედების შედეგები.

შემდეგი ნიშანი პირადი არაქონებრივი უფლებებისა, არის მათი წარმოშობისა და შეწყვეტის საფუძვლების სპეციფიკურობა.

არაქონებრივი უფლებები, როგორც წესი, წარმოიშობიან გარკვეული მოვლენის დადგომისას, იურიდიული მოქმედების შედეგად, კომპეტენტური ორგანოების აქტების საფუძველზე.

მოვლენად მიჩნეულია ისეთი გარემოება, რომლის წარმოშობა არ არის ადამიანის ნებაზე დამოკიდებული (მაგ., დაბადება, გარკვეული ასაკის დადგომა და ა.შ.). ადამიანს დაბადებიდან წარმოეშობა უფლება სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე.

იურიდიული მოქმედება ხასიათდება იმით, რომ ეს არის სამოქალაქო სამართლის სუბიექტის მართლზომიერი ქმედება, რომელიც ხორციელდება იმისდა მიუხედავად, მოჰყვება თუ არა გარკვეული სამართლებრივი შედეგი. მაგალითად, ნაწარმოების შექმნა იწვევს ავტორობის უფლების წარმოშობას.

იურიდიული აქტი არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მართლზომიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ. მაგალითად, გამოგონებაზე ავტორობის უფლება წარმოიშობა იურიდიული აქტის – საპატენტო უწყებაში რეგისტრაციის მომენტიდან.

გარკვეული არაქონებრივი უფლებები წარმოიშობიან გარიგების დადებასთან დაკავშირებით. მაგალითად, საადვოკატო საიდუმლოება.

იურიდიულ პირებს არაქონებრივი უფლებები წარმოეშობათ როგორც დაფუძნებით (მათი შექმნის გზით), ისე კანონის ძალით. დაფუძნებით მათ წარმოეშობათ, მაგალითად, საქმიანი რეპუტაციის უფლება, ხოლო კანონის ძალით უფლება ფირმაზე, სასაქონლო ნიშანზე და ა.შ.

პირადი არაქონებრივი უფლებების უმეტესობა წყდება ადამიანის გარდაცვალებით, ზოგიერთი კი – გარკვეული ვადის გასვლის შედეგად (მაგ., საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში).

აღნიშნულთან დაკავშირებით მ. მალეინას შეხედულებები ძირითადად მისაღებია. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ვინაიდან არ შეიცავს არაქონებრივი უფლებების ამომწურავ ჩამონათვალს და მათი უმრავლესობა გაბნეულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში, აღნიშნული განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ხშირად არამატერიალური სიკეთისა და უფლების ცნებები გაიგივებულია, რაც იურიდიული თვალსაზრისით სწორი არ არის. ისეთი არამატერიალური სიკეთეები, როგორებიცაა: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია და ა.შ. წარმოადგენენ არაქონებრივ უფლებათა ობიექტებს, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის მიუხედავად არ არიან იდენტურნი.

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, სამოქალაქო კოდექსი უნდა მოიცავდეს არაქონებრივი სიკეთეების ზუსტ

ჩამონათვალს, რითაც მოხდება მათი გამიჯვნა არაქონებრივი უფლებებისაგან.

იურიდიულ ლიტერატურაში არაქონებრივი სიკეთების განუსხვისებლობა მის სპეციფიკურ ნიშნად არის მიჩნეული, მაგრამ ეს ნიშანი კარგავს თავის დანიშნულებას ადამიანის გარდაცვალების შემდეგ. რადგან კანონი მესამე პირს აძლევს უფლებას დაიცვას გარდაცვლილის არამატერიალური უფლებები, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არსებობენ ისეთი არამატერიალური უფლებებიც, რომლებიც განაგრძობენ არსებობას პირის გარდაცვალების შემდეგაც. ესენია: პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის უფლება. მათგან განსხვავებით პირის გარდაცვალების შემდეგ წყვეტს არსებობას მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება.

ადამიანს, რაც უფრო მეტად აქვს განვითარებული სხვების მიმართ პატივისცემის გრძნობა, კეთილგანწყობა, თანაგრძნობა და ხასიათის სხვა დადებითი თვისებები, მით უფრო დიდ ფასეულობას წარმოადგენს იგი საზოგადოებისათვის. აღნიშნული განაპირობებს მის მაღალ შეფასებას ისეთი კატეგორიების მიხედვით, როგორცაა: პატივი, ღირსება და აგრეთვე საქმიანი რეპუტაცია. პატივი და ღირსება „ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელ კუთვნილებას შეადგენს და დაცულია იგი ყველასა და თითოეულის ხელყოფისაგან“¹. ადამიანის ღირსებისათვის განმსაზღვრელია თვითშეფასების ფაქტორი, ანუ მისი დამოკიდებულება გარემომცველ სინამდვილესთან, ურთიერთდამოკიდებულება იმ კოლექტივთან, სადაც ის იმყოფება. პატივი უნდა გავიგოთ, როგორც ადამიანის შეფასება სხვა ადამიანისა და, საერთოდ, საზოგადოების მიერ.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად (1951-1961), ტ.9, გვ. 270.

ადამიანის პატივისა და ღირსების გვერდით დგას საქმიანი რეპუტაცია, რაც დამახასიათებელია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის. საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციის პირობებში საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას მისი მონაწილე სუბიექტებისათვის და ყალიბდება პროფესიული, საწარმოო, საშუამავლო, სავაჭრო და სხვა სახის საქმიანობის პროცესში.

მატერიალური სიკეთის დაცვის საკითხს აწესრიგებს სამართლის სხვადასხვა დარგი: სისხლის სამართალი, შრომის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი. ამავე დროს, თითოეულ მათგანს გააჩნია მკაცრად განსაზღვრული გამოყენების სფერო და დაცვის შესაბამისი საშუალებები.

მოქალაქის პირადი არაქონებრივი უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის მიზნით, საჭიროა მისთვის ფიზიკური და ინტელექტუალური ხელშეუხებლობის მინიჭება, ასევე პიროვნების შინაგანი სამყაროს ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, რათა მას ჰქონდეს განსაზღვრული დამოუკიდებლობა, როგორც საზოგადოებისა და სოციალური გარემოსაგან, აგრეთვე სახელმწიფოსაგან. ყოველივე ეს შესაძლებელია მოქალაქისათვის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის მინიჭებით, აგრეთვე პირადი და ოჯახური საიდუმლოს უზრუნველყოფით.

სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები, სამართლის სხვა დარგების ნორმების მსგავსად, ემსახურებიან ადამიანის არაქონებრივი უფლებების დაცვას, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხერხების მეშვეობით.

მოქალაქის ინდივიდუალური თავისუფლების უზრუნველყოფას განაპირობებს პირადი არაქონებრივი უფლებების მინიჭება, რომლებიც მოწოდებულნი არიან დაიცვან პიროვნება გარეშე პირთა ხელყოფისაგან.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პირადი და ოჯახური

საიდუმლო არის პიროვნების უფლება თავის შეხედულებით განსაზღვროს საკუთარი ქცევა ინდივიდუალურ ცხოვრება-მოღვაწეობაში. მისი სამართლებრივი დაცვა კი მიმართულია პირად ცხოვრებაში უცხო პირთა ჩარევის წინააღმდეგ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებები ეფექტურია მაშინაც, როცა მოქალაქე დაზარალდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროს სინამდვილესთან შეუსაბამო სხვადასხვაგვარი ინფორმაციის გავრცელებით. დასახელებული ღირსებების დაცვა უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობას და, მეორე მხრივ, ამ ცხოვრების საიდუმლოს შენახვას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა გულისხმობს პირადი ურთიერთობების, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოს შენახვას, საცხოვრებელი ადგილის, პირადი დოკუმენტაციისა და თვით ინდივიდის ხელშეუხებლობას. პირადი და ოჯახური საიდუმლო ეხება აგრეთვე ისეთ ცნობებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, შვილად აყვანასთან, ქონების განკარგავასთან, ფულად დანაზოგებთან, ხელოვნურ განაყოფიერებასთან, არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციასთან და ა.შ.¹

მოქალაქეს უფლება აქვს მოიქცეს თავისი შეხედულებისამებრ, რაც შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც მისი ძირითადი უფლებების დაცვის საშუალება.

მოქალაქის თავისუფალი გადაადგილებისა და ადგილსამყოფლის ამორჩევის უფლება უზრუნველყოფილია იმით, რომ მას თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს, სად და რამდენი ხნით იცხოვროს, რა ადგილები მოინახულოს, სად იქნება მისი დროებითი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. მას შეუძლია თავისუფლად

¹ ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, გვ. 202.

გადაადგილდეს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გავიდეს საზღვრებს გარეთაც. გადაადგილების თავისუფლება გულისხმობს არა მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას, არამედ კანონით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით დამკვიდრებას სახელმწიფოს საზღვრებში, თუ ამ ადგილას მუდმივი ყოფნა თვით მოქალაქის ნება-სურვილია. აღნიშნული აგრეთვე განამტკიცებს უფლებას, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ არ მოხდეს კანონიერად მყოფი პირის სხვა ადგილას გადასახლება.

მოქალაქის უფლებებიდან არსებითია სახელის უფლება, რაც საზოგადოებასა და სამოქალაქო ბრუნვაში პიროვნების ინდივიდუალიზაციის უმთავრესი საშუალებაა. სახელის უფლება წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 1966 წლის პაქტით განსაზღვრულ მოქალაქის განუყოფელ უფლებას. მოქალაქე (პირი) უფლებებსა და მოვალეობებს იძენს მხოლოდ საკუთარი სახელით, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოიცავს სახელსა და გვარს. ნიშანდობლივია, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფიზიკურ პირს აქვს უფლება ურთიერთობებში გამოიყენოს „გამოგონებული სახელი“, ე.წ. ფსევდონიმი.

კანონმდებლობით დადგენილი წესების გათვალისწინებით, დასაშვებია სახელის შეცვლა, რაც არ წარმოადგენს იმ უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტის ან შეცვლის საფუძველს, რომლებიც შექმნილი იყო ადრინდელი სახელით. პირი მოვალეა მიიღოს აუცილებელი ზომები სახელის შეცვლის შესახებ კრედიტორებისა და მოვალეობების გასაფრთხილებლად. აღნიშნულის შეუსრულებლობაზე რისკი ეკისრება პირს, რომელმაც შეიცვალა სახელი. მოქალაქის მიერ სხვისი სახელის განზრახ დამახინჯების ან გამოყენების შემთხვევაში, რომელმაც შელახა იმ პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, გამოიყენება ის ნორმები, რომლებიც იცავენ ზემოაღნიშნულ ფასეულობებს

(პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია). სახელი დასტურდება ოფიციალურად გაცემული დოკუმენტებით (პირადობის მოწმობით, პასპორტით, აგრეთვე დაბადების მოწმობითა და სხვა), რითაც დასტურდება მოქალაქის პიროვნება. სახელის უფლების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებები ფართოდ გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადგილი აქვს სხვისი სახელის მითვისებასა და მის გამოყენებას, რითაც სახელის მატარებელს მიეყენება როგორც ქონებრივი, ასევე მორალური ზიანი.

ფიზიკური და იურიდიული პირების არაქონებრივი უფლებების დაცვის აუცილებლობამ მიგვიყვანა ზიანის სამოქალაქო-სამართლებრივი ანაზღაურების დამკვიდრებამდე, რასაც მორალური ზიანის კომპენსაცია ეწოდება.

ცნობილია, რომ იმ დროს, როცა ქონებრივი ინტერესები ასე თუ ისე დაცული იყო ხელყოფისაგან, პირადი უფლებები თითქმის დაუცველი რჩებოდა მაშინ, თუ იგი არ შეიცავდა სისხლის სამართლით გათვალისწინებული დასჯადი ქმედების ნიშნებს.

პრაქტიკული ინტერესი მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის შესახებ წარმოიშვა მაშინ, როდესაც სსრკ კანონმა „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ ნორმის სახით პირველად გაითვალისწინა მისი მატერი-ალური ანაზღაურების შესაძლებლობა. აღნიშნულს შედეგად მოჰყვა რიგი ნორმატიული აქტები, რომლებიც პირებს უფლებას აძლევდა, მოეთხოვათ საკუთარი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის კომპენსაცია სასამართლოს საშუალებით.

მორალური ზიანის კომპენსაციის შესაძლებლობა გათვალისწინებული იყო საქართველოში ჯერ კიდევ ახალი სამო-

¹ 1996 წლის 12 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომელიც აღარ ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას.

ქალაქო კოდექსის მიღებამდე მოქმედ ზოგიერთ კანონში. კერძოდ, „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“, „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ (მუხლი მე-11) და ა.შ. კანონის ეს ნორმები იმთავითვე მკვდრადშობილი იყო და მორალური ზიანის ანაზღაურების რეალურ მექანიზმს არ შეიცავდა. მორალური ზიანის იგნორირებამ, მათდამი კანონმდებლის გულგრილმა დამოკიდებულებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ გაჩნდა ხარვეზი არა მარტო კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში, არამედ მოცემული პრობლემის მეცნიერულ დამუშავებაშიც. ამასთან აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში იშვიათად, მაგრამ მაინც იყო კვლევა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით¹.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მორალურ ზიანთან დაკავშირებული ურთიერთობების თეორიული კვლევა, მათ შორის, მორალური ზიანის კომპენსაციის პრობლემების გარკვევა და მასთან მიმართებაში კონცეფციის შემუშავება, მისი ოდენობის განსაზღვრის თაობაზე, სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფა და პრაქტიკული წინადადებების შემუშავება, რაც შესაძლებელს გახდის ამ საკითხისადმი ერთიან მეთოდურ მიდგომას.

ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების აღიარებამ და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობამ განაპირობა ახლებური მიდგომა ზოგადად, სამართლისადმი და მათ შორის, ისეთი ნორმებისადმი, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში გათვალისწინებულ ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

¹ თ. ნინიძე, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟ. „საბჭოთა სამართალი“, №2, 1978, გვ. 45-55; გ. რცხილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟ. „საბჭოთა სამართალი“, 1928, №4, გვ. 81; პ.(თ.) მონიავა, „პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაციის სამართლებრივი დაცვა“, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბ., 1999.

ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის კანონით მინიჭებული არაქონებრივი უფლებების დასაცავად საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა მორალური ზიანის კომპენსაციის შესაძლებლობა, რასაც დაეთმო მე-18 მუხლი.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მე-18 მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, მაგრამ არ განმარტავს მას და არ გვთავაზობს მოცემული ურთიერთობის მოწესრიგების მექანიზმს, ეს კი ლოგიკურად წარმოშობს სიძნელეებს აღნიშნული ნორმის გამოყენების პრაქტიკაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების ინსტიტუტი საკანონმდებლო თვალსაზრისით მხოლოდ ახლა ყალიბდება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს არაერთგვაროვან დამოკიდებულებას სასამართლო პრაქტიკისადმი, რომლის სრულყოფისათვის საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი რეკომენდაციების შემუშავება ახალი სოციალური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

თავი პირველი

მორალური ზიანის ცნება

§ 1. მორალური ზიანის ცნება

მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან ერთად გაითვალისწინა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურების შესაძლებლობა საბჭოთა პერიოდში განიხილებოდა როგორც საბჭოთა ადამიანის ღირსების დამცირება, რასაც მოქმედი კანონმდებლობით არ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი.

აღნიშნული საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება არსებობდა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებისა და მათ შორის საქართველოს კანონმდებლობაშიც.

მორალური ზიანის პრობლემამ ცივილისტების ყურადღება საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე წლებში მიიქცია. 20-იან წლებში, მორალური ზიანის გამოყენების დასაბუთების თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევენ ცივილისტების ბ. ლაპიციკის, ი. ბრაუდეს, ბ. უტევსკისა და გ. რცხილაძის თეორიული არგუმენტები.

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობით ანაზღაურებას ექვემდებარებოდა ქონებრივი ზიანი, მორალური ზიანი კი არ ანაზღაურდებოდა. ეს დებულება გაზიარებული იყო არა მხოლოდ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში, არამედ სახელმძღვანელოებსა და სპეციალურ მონოგრაფიებში. თუმცა, პარალელურად არსებობდა განსხვავებული შეხედულებებიც, რომლებშიც იყო მცდელობა, იურიდიული საზოგადოების შეგნებაში დაენერგათ მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურების

აუცილებლობა და რომლებიც უდავოდ იმსახურებდნენ ობიექტურ მეცნიერულ ანალიზს¹.

მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს, ჩვეულებრივ, ბურჟუაზიული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკისათვის დამახასიათებელ ინსტიტუტად მიიჩნევდნენ.

ასე გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველო დაადგა დამოუკიდებლობის გზას და მიზნად დაისახა რეფორმების ჩატარება როგორც სოციალურ-პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროში და გზა გაეხსნა კერძო სამეწარმეო ურთიერთობებს, განსაკუთრებით გაიზარდა ისეთ ღირებულებათა მნიშვნელობა, როგორიც არის მოქალაქისა და იურიდიული პირების არაქონებრივი უფლებები და სიკეთეები და ყურადღება მიექცა მათ სამართლებრივ დაცვას.

აქედან გამომდინარე, ჩვენს კანონმდებლობაში დამკვიდრდა პრინციპულად ახალი სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტი „მორალური ზიანის ანაზღაურების“ სახით².

საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი მოიცავს ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი არაქონებრივი უფლებების ჩამონათვალს, რომელთა შორისაა: პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა და საქმიანი რეპუტაცია, რომლებიც მათ წარმოეშობათ როგორც დაბადებით, ასევე კანონის ძალით.

წარმოშობის განსხვავებული საფუძვლების მიუხედავად, მათი ხელყოფა ერთნაირად არის დაცული კანონის მიერ და პირს

¹ გ. რცხილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, უ. „საბჭოთა სამართალი“, 1928. №4, გვ. 81.

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999, გვ. 60-64.

უფლებას აძლევს სასამართლოს საშუალებით მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება¹.

ზოგიერთი პირადი არაქონებრივი უფლების წარმოშობასთან დაკავშირებით დღესაც არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი. ა. ბელიავსკის შეხედულებით, პირადი არაქონებრივი უფლებები, როგორც წესი, დაკავშირებულია ადამიანის ასაკთან, რადგან პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციისა და ა.შ. უფლებათა შეგნებული გაცნობიერება ადამიანს შეუძლია აზროვნების გარკვეულ დონეზე არსებობისას². ამგვარი მიდგომიდან გამომდინარე, ფიზიკური პირის არაქონებრივი უფლებები ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს პირის მიერ მიღებულ განათლებაზე, იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც იგი აღიზარდა და ცხოვრობს, მისი ხასიათის თავისებურებებთან და ა.შ. ვფიქრობთ, ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების აღქმა კონკრეტული პირის მიერ, მეტად სპეციფიკურია. ის რაც შეიძლება ერთი პირისათვის ღირსების შელახვაა, შესაძლებელია მეორე პირისათვის სულაც არ იყოს ასეთი, რასაც განაპირობებს მათი სხვადასხვა ასაკი, მიღებული განათლება, სოციალური გარემო, ხასიათების თავისებურებანი და ა.შ.

პირადი არაქონებრივი ხასიათის უფლებები წარმოადგენენ სუბიექტურ უფლებებს, რომლებიც წარმოიშობიან არამატერიალურ სიკეთებთან დაკავშირებით. ისინი მოკლებულნი არიან მატერიალურ (ქონებრივ) შინაარსს, მჭიდროდ უკავშირდებიან უფლებამოსილ პიროვნებას და მიმართულნი არიან მისი ინდივიდუალურობის გამოვლენისა და განვითარებისაკენ. ამასთან, შეუძლებელია არამატერიალური უფლების ზუსტი ფულადი შეფასება.

¹ Маленна М., Нематериальные блага и перспективы их развития, ж. „Законодательство, Документы и комментарий“, 1996, №7, с. 102.

² Белявский А.В. Защита чести и достоинства граждан и организаций в Советском гражданском праве, М., МГУ, 1965, с. 48.

არსებობს პირადი არაქონებრივი უფლებების კლასიფიკაციის რამდენიმე კრიტერიუმი.

ერთერთი კრიტერიუმი არის ის ინტერესები, რომლებსაც მოიცავენ არაქონებრივი უფლებები. ამ კრიტერიუმის მიხედვით პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან: არაქონებრივი უფლებები, რომლებიც განუყოფელ კავშირში არიან ადამიანის ცხოვრებასთან (სიცოცხლე, პიროვნების ხელშეუხებლობა), მეორე ჯგუფს — უფლებები, რომლებიც მიუთითებენ ადამიანის ინდივიდუალურობაზე საზოგადოებაში (სახელი, პატივი, ღირსება), მესამე — არაქონებრივი ინტერესები საოჯახო ურთიერთობების სფეროში, მეოთხე — არაქონებრივი ინტერესები, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანის მოღვაწეობიდან საზოგადოებრივ შრომაში, ამავე ჯგუფს განეკუთვნება განათლების, დასვენების უფლება, მეხუთე — არაქონებრივი ინტერესები ინტელექტუალური ურთიერთობების სფეროში (ვალდებულებით ურთიერთობებში გამოხატული არაქონებრივი ინტერესები).¹

იურისტების ნაწილი კლასიფიკაციის ამოსავალ ნიშნად მიიჩნევს სულიერ სიკეთებს, რომლებიც განუყოფლად უკავშირდებიან პიროვნებას.² ამ კრიტერიუმის მიხედვით განასხვავებენ: 1) უფლებებს, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის ინდივიდუალურობას საზოგადოებაში (პატივის, ღირსების, სახელის, ხმის უფლება); 2) პირადი ხელშეუხებლობის უფლება (სიცოცხლის დაცვის, ჯანმრთელობის უფლება); 3) პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლება (საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის, შვილად აყვანის, ინტიმური ცხოვრების საიდუმლოების უფლება); 4) უფლება, რომელიც განაპირობებს ადამიანის

¹ Рясенцев В.А. Неимущественный интерес в советском гражданском праве. М., 1939, с. 26-27.

² Жакенов В.А. Личные неимущественные права в советском гражданском законодательстве и их социальное значение, Дис.кан.юрид.наук. М., 1984, ст.60-61.

პიროვნების ყოველმხრივ განვითარებასა და მისი შემოქმედების თავისუფლებას (კულტურის მიღწევების გამოყენების უფლება, შემოქმედებითი საქმიანობის თავისუფლება და ა.შ.).

ზოგჯერ კლასიფიკაცია ხდება საფუძვლის მითითების გარეშეც. მაგალითად, სამოქალაქო სამართლით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებები იყოფიან სამ ჯგუფად: პირადი თავისუფლების დაცვისა და ხელშეუხებლობის უფლებები, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები და სულიერი ღირებულებების დაცვის უფლებები.

ზოგიერთი ავტორი კი ისე განიხილავს არაქონებრივ უფლებებს, რომ საერთოდ არ აჯგუფებს მათ რაიმე ნიშნის მიხედვით.¹

რასაკვირველია, პირადი არაქონებრივი უფლებების სისტემატიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი შესწავლისათვის, მათთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენისათვის, აგრეთვე იმ უზუსტობების აღმოფხვრისათვის, რაც მრავლად გვხვდება კანონმდებლობაში.

მ.ნ. მალენა მიიჩნევს,² რომ უპირველესად აუცილებელია სამოქალაქო სამართლით დაცული არაქონებრივი უფლებების დარგობრივი კლასიფიკაცია. მათში არ უნდა შევიდეს არაქონებრივი უფლებები შრომითი, სახელმწიფო და სხვა ურთიერთობების სფეროში (რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს ერთიანი არაქონებრივი უფლებების სისტემის აგების შესაძლებლობას, რომლებიც წარმოიშობიან ცხოვრების ყველა სფეროში და განმტკიცებულნი არიან სამართლის სხვადასხვა დარგებით). შემდგომ აუცილებელია, რომ ამ უფლებათა კლასიფიკაცია ეფუძნებოდეს ერთიან ნიშანს. კლასიფიკაციის კრიტერიუმად შეიძლება შემო-

¹ Советское гражданское право. т.1 (под ред. О.А. Красавчикова), М., 1985, стр. 192-209; Советское гражданское право. т.1 (под ред. Ю.Х. Калмыкова, В.А. Тархова).

² М.Н. Маленна. Личные немущественные права граждан. М., 2001, ст. 21-22.

თავაზებულ იქნეს თითოეული ჯგუფის უფლებათა განხორციელების მიზნები.

შესაბამისად, პირველ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პიროვნების ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას (მთლიანობას), ესაა — სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის, კეთილსაიმედო გარემო პირობების უფლებები.

მეორე ჯგუფს კი მიეკუთვნებიან უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პიროვნების ინდივიდუალიზაციას საზოგადოებაში: სახელის უფლება, საკუთარი გამოსახულების უფლება, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის უფლება. მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პიროვნების დამოუკიდებლობას; პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

მეოთხე ჯგუფი მოიცავს უფლებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების დაცვას - ავტორთა არაქონებრივი უფლებები.

მ.ნ. მალეინას მტკიცებით, აღნიშნული უფლებები ან პირდაპირ არიან განმტკიცებულნი სამართლებრივი აქტებით ან გამომდინარეობენ ამ აქტების რამდენიმე მუხლის შინაარსიდან.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი კლასიფიკაცია ყოველთვის პირობითია, რაც ნათელი ხდება, მაგალითად, როცა ერთი არამართლზომიერი ქმედება ერთდროულად არღვევს სხვადასხვა უფლებას.

აღსანიშნავია, რომ მ.ნ. მალეინას მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია არ შეიძლება მივიჩნიოთ სრულად და იგი დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს და დაიხვეწოს გარკვეული არაქონებრივი უფლებების შემდგომი დაზუსტების, აგრეთვე საკანონმდებლო დახვეწის პროცესში.

პირადი არაქონებრივი ხასიათის უფლებათა ხელყოფა იწვევს

არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ მორალურ ზიანსაც. ამდენად, განასხვავებენ ზიანის ორ სახეს, მატერიალურს ანუ ქონებრივს და მორალურს ანუ არაქონებრივს.

მატერიალური და მორალური ზიანი, წარმოშობის მიხედვით, არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. შესაძლებელია, რომ მორალური სიკეთის ხელყოფამ გამოიწვიოს ქონებრივი ზიანი ან მატერიალური სიკეთის ხელყოფას მოჰყვეს მორალური ზიანის დადგომა ან თვითონ მორალური ზიანი დადგეს მატერიალური ზიანისაგან დამოუკიდებლად.

მორალური ზიანის ანალიზამდე, განვიხილოთ, რას წარმოადგენს თვით „ზიანი“ და „ზარალი“.

იურისპრუდენციაში არ არსებობს ზარალის მკვეთრად განსაზღვრული გაგება, თუმცა ცივილისტიკაში მიღებულია მისი ორი სახეობა – „ზიანი“ და „დანაკლისი“.

ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიყენებული ზიანის ცნებაში იგულისხმება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი.

ზიანს სოციალური და სამართლებრივი ასპექტი გააჩნია. სოციალური კუთხით ყოველგვარ სამართალდარღვევას მოჰყვება ზიანი, რადგან იგი უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. იურიდიული მნიშვნელობით კი სამართალდარღვევამ შეიძლება არ გამოიწვიოს ზიანი.

„ზიანი“ სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის ხელყოფა, განადგურება.

„დანაკლისი“ კი წარმოადგენს ზიანის ან ზარალის ფულად გამონატოლებას.

მიყენებულ დანაკლისში, რა თქმა უნდა, იგულისხმება სამართალდამრღვევის მიერ მიყენებული ზარალის ფულადი შეფასება.

ზიანი სამოქალაქო სამართალში შეიძლება წარმოიშვას, ერთი

მხრივ, ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, მეორე მხრივ კი, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში.

ზიანის წარმოქმნისას სუბიექტების სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობისა და მისი ანაზღაურების ვალდებულებების წარმოქმნის სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს „სახელშეკრულებო“ და „არასახელშეკრულებო“ ზიანს.

„სახელშეკრულებო“ ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით. იმის გათვალისწინებით, რომ ზიანის მიყენებამდე მხარეები უკვე იმყოფებოდნენ განსაზღვრულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში, პასუხისმგებლობა ამ ურთიერთობის დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის განისაზღვრება შესაბამისად, ხელშეკრულების პირობებით ან იმ კანონით, რომელიც არეგულირებს მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

„არასახელშეკრულებოდ“ ითვლება ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებოდნენ ერთმანეთთან ვალდებულებით ურთიერთობაში.

„არასახელშეკრულებო“ ზიანი წარმოიქმნება უშუალოდ სამართალდარღვევებიდან (დელიქტი). თვით ზიანის მიყენების ფაქტი (კანონში მითითებული პირობების ერთობლიობით), სამართლის სპეციალური ნორმების საფუძველზე, წარმოშობს მხარეებს შორის (დაზარალებული და ზიანის მიმყენებელი) სამართლებრივ ურთიერთობას¹.

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, გვ. 471.

ამრიგად, „სახელშეკრულებო“ ზიანი წარმოადგენს ადრე არსებული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგს, ხოლო „არასახელშეკრულებო“ კი – ვალდებულებას, წარმოქმნილს ზიანის მიყენების პროცესში და უსაფუძვლო გამდიდრებისას¹.

სამართალდარღვევის მატერიალური (ეკონომიკური) შედეგი (ქონების შემცირება), რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა, სამოქალაქო სამართალში ქონებრივ ზიანად იწოდება.

სამოქალაქო სამართალში ქონებრივი ზიანი შეიძლება განისაზღვროს დაზარალებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით სამართალდარღვევამდე და მის შემდეგ.

არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია ეკონომიკურ შინაარსს, და ამდენად, მას არ გააჩნია ღირებულება.

ქონებრივი ურთიერთობების ეკონომიკური შინაარსის მიუხედავად, საზღვარი არაქონებრივ და ქონებრივ ურთიერთობებს შორის პირობითია. საკითხებმა, რომლებიც დაკავშირებულია მორალური და ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან, ნ.ს. მალენის მისცეს საშუალება გამოეცხადებინა, რომ მორალური ზიანის პრობლემა მას წარმოუდგება, უპირველეს ყოვლისა, როგორც ზღვარის დადგენა მორალურ ზიანსა და ქონებრივ ზიანს შორის“.

მორალური ზიანის შინაარსია ადამიანის ფიზიკური ან სულიერი ტრავმა, რომელსაც ფულადი ეკვივალენტი არ მოეძებნება. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მორალური ზიანის ცნების განმარტება. სამწუხაროდ, სამოქალაქო კოდექსი საშუალებას არ გვაძლევს, რომ მასზე დაყრდნობით მოვახდინოთ მორალური ზიანის ცნების განმარტება. ამიტომ, „მორალური ზიანის“ ცნების განსაზღვრისათვის სასურველია გავაანალიზოთ როგორც სამამულო (რომელიც ამჟამად ჩამოყალიბების პრო-

¹ Маленн Н.С. О моральном вреде, ж. „Государство и право“, 1993 г., №3, с. 33.

ცესშია), ისე ევროპის წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობა, სადაც მორალური ზიანი განისაზღვრება როგორც „ფიზიკური და სულიერი ტანჯვა“. ტერმინი „ტანჯვა“ განსაზღვრავს, რომ მორალური ზიანის მიყენებლის მოქმედებამ აუცილებლად უნდა ჰპოვოს ასახვა დაზარალებულის შეგნებაში, კერძოდ კი მისი უარყოფითი ფსიქიკური რეაქციის გამოწვევაში.

„სულიერი ტანჯვის“ გამომსახველად მეტ-ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ცნება „განცდები“. განცდების მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა უსიამოვნება. ინგლისისა და აშშ-ის სამართლის თანახმად. „მორალური ზიანის“ ანალოგიურია „ფსიქიკური ზიანი“, რომელიც განისაზღვრება როგორც „ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა“. ამასთანავე, ინგლისურ-ამერიკული სასამართლო პრაქტიკა ფსიქიკურ ტანჯვაში გულისხმობს ნეგატიურ ემოციურ რეაქციებს. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თუ რას წარმოადგენს ქმედება, რომელსაც თან სდევს მორალური ზიანის მიყენება. ეს საკითხი განვიხილოთ მისი ორივე შემადგენლისათვის ცალ-ცალკე. ცხადია, რომ ნებისმიერმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამ ან უმოქმედობამ შეიძლება გამოიწვიოს ამა თუ იმ ხარისხის სულიერი ტანჯვა. სისხლის სამართლისა და სისხლის საპროცესო სამართლის კოდექსები გამოყოფენ ქონებრივ, ფიზიკურ და მორალურ ზიანს. ცხადია, სასამართლო პრაქტიკა წარიმართა ზუსტად იმ გზით, რომ მორალური ზიანის ცნებაში იგულისხმება უარყოფითი ფსიქიკური განცდები.

„მორალური ზიანის“ ცნებას კანონმდებლობაში, როგორც ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის მომცველ ღეფინიციას, მეტად ფართო ასპექტი აქვს.

ტერმინი „მორალური ზიანი“ გულისხმობს როგორც თვით „მორალურ ზიანს“, მიყენებულს სულიერი გრძნობებისა და ურთ-

¹ Н. С. Малкин, О моральном вреде, ж. „Государство и право“, 1993, №3, с. 34-35.

იერთობების სფეროში, ასევე სხვა ზიანს (ფსიქიკური ტრავმები, დასახიჩრება და მისთანები), რაც თუმცა მორალურის ფარგლებს გარეთ გამოდის, მაგრამ ასევე არ არის ქონებრივი. „მორალური ზიანი“, „ქონებრივი ზიანის“ ანალოგიით, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ უფლების შელახვას.

არაქონებრივი ზიანი, როგორც აღნიშნავს მ. მალენა, გამოიხატება მიყენებულ სულიერ და ფიზიკურ ტანჯვაში, შიშში, დამცირებაში, უმწეობაში, სირცხვილსა და ახლობლების დაკარგვით გამოწვეულ სხვა დისკომფორტულ განცდებში, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების გაგრძელების შეუძლებლობაში, სამსახურის დაკარგვაში, საოჯახო, საექიმო საიდუმლოს გამჟღავნებაში, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელებაში, რაიმე უფლების დროებით შეზღუდვაში ან ჩამორთმევაში და სხვა. ფიზიკური ზიანი გამოიხატება ფიზიკური ტკივილის მიყენებაში, რომელიც ხშირად თან სდევს სამართალდარღვევას¹. ამიტომ, ამ პრობლემაზე საუბრისას უფრო ზუსტი იქნებოდა ტერმინი „არაქონებრივის“ ხმარება.

აღსანიშნავია, რომ ცნება „ფიზიკური ზიანი“ და „ფიზიკური ტანჯვა“ თავისი შინაარსით არ ემთხვევა ერთმანეთს. ფიზიკური ტანჯვა მთლიანად მოიცავს ცნებას „მორალური ზიანი“, თუმცა გარდა ფიზიკური ტანჯვისა, მორალური ზიანი ასევე მოიცავს ფსიქიკურ ტანჯვასაც. ტერმინოლოგიის დახვეწის მიზნით, აუცილებელია შემოღებულ იქნეს ცნება „სხეულის დაზიანება“, სწორედ ამას გვთავაზობს ა. ერდელევსკი, როდესაც ამბობს, რომ: „გამოირიცხოს იურიდიული ტერმინოლოგიიდან ცნება „ფიზიკური ზიანი“ და ვიგულისხმობ სხეულის დაზიანებისას ყველა ნეგატიური ცვლილება ადამიანის სხეულში“².

¹ Маленна М. Компенсация за немущественный вред. „Вестник Верховного Суда СССР“, №5, 1991, с. 27-29.

² А. Эрделевский. Компенсация морального вреда, М., 1996, с. 10.

ადამიანში ამ ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) და პიროვნების ქონებრივ სფეროში ნეგატიური ცვლილებები. ქონებრივი გულისხმობს ზარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სხეულის ნაკლის კორექციასთან ან ფუნქციონალურ კომპენსაციასთან და შემოსავლის დანაკარგთან (ქონებრივი ზარალი).

ამგვარად, სხეულის ყოველი დაზიანება, მისი ანაზღაურების მიზნით (სწორედ ზარალის ანაზღაურება არის სამოქალაქო სამართლის რეგულირების მიზანი), იყოფა „მორალურ ზიანად“ და „ქონებრივ (მატერიალურ) ზიანად“.

მორალური ზიანი, როგორც წესი, წარმოიშობა არამატერიალური უფლებების ხელყოფის ყველა შემთხვევაში. მატერიალური ზიანი კი – მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელყოფა უშუალოდ უკავშირდება განსაზღვრულ ფულად ზარჯებს.

ამავდროულად, მორალური ზიანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ არაქონებრივი, არამედ ქონებრივი სიკეთეების ხელყოფის შედეგიც; ეს მაშინ ხდება, როდესაც ქონების განადგურებას ან დაზიანებას განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულისთვის. არაქონებრივი (მორალური) ზიანის მიყენებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სრულიად უმნიშვნელო ქონებრივი ზიანი იწვევს სულიერების თვალსაზრისით ფასეული ნივთების დაკარგვასთან დაკავშირებულ განუზომლად დიდ განცდებს (მაგალითად, წერილების, ახლობელი ადამიანების ფოტოსურათების ან სხვა სამახსოვრო ნივთების განადგურება).

ორივე შემთხვევაში როგორც მორალური, ისე მატერიალური ზიანის არსებობისას, ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს კანონით ან დაბადებით მინიჭებული არამატერიალური უფლებების დაცვის ერთ-ერთ საშუალებას.

მორალური ზიანის სრულფასოვანი ანაზღაურებისათვის

შესაფერისი კომპენსაცია არ არსებობს. ფულადი ანაზღაურება მხოლოდ სუროგატია და არა პირდაპირი სარეპარაციო საშუალება. უკეთესი სანქციის უქონლობის გამო, სამართალი ფულადი თანხის გადახდევინებით, უნდა იცავდეს იმ უფლებებს, რომელთა შელახვასაც მოსდევს მორალური ზიანი.

ა. ერდელევსკი კონკრეტულად არ გამოყოფს შემთხვევებს, რომლის შედეგიც უნდა იყოს მორალური ზიანის ანაზღაურება, მაგრამ იძლევა წინადადებას არაქონებრივი ინტერესის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში რეპარაციის გამოყენების შესახებ¹.

საბჭოთა ლიტერატურაში მორალური ზიანის არსებობისა და მისი ანაზღაურების შესახებ აზრი ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა ბ. უტევსკიმ, რომელიც დასაშვებად თვლიდა როგორც ქონებრივი, ისე მორალური ზიანის ანაზღაურებას.

ბ. უტევსკი ემყარებოდა იმას, რომ მორალური ზიანი, მიყენებული დანაშაულით, ხშირად უფრო ძნელად ასატანია დაზარალებულისთვის, ვიდრე ქონებრივი ზიანი. ზოგჯერ დანაშაული, რომელიც დაზარალებულს არ აყენებს არავითარ ქონებრივ ზიანს „ამახინჯებს მთელ მის ცხოვრებას“ და მოაქვს მძიმე მორალური ტანჯვა, რასაც ვერავინ და ვერაფერი ვერ აანაზღაურებს².

განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ეს ფაქტი სინამდვილესთან შეუსაბამო, ყალბი ცნობების გავრცელებისას, რაც ხელყოფს დაზარალებულის ღირსებას, პატივსა და საქმიან რეპუტაციას, რასაც, ამავე დროს, თან სდევს ძლიერ ნერვული მოშლილობა და იწვევს სერიოზულ დაავადებებს, ზოგჯერ სიკვდილსაც კი.

ადამიანის ღირსების ხელყოფაზე ფ. უგლოვი წერდა: „... ისინი (სიბამდვილესთან შეუსაბამო, ყალბი ცნობები) არა მხ-

¹ А. Эрделевский. Концепция морального вреда, М., 1996. გვ. 46-47.

² Утесский Б. Возмещение пеннумущественного вреда как мера социальной защиты. „Еженедельник Советской юстиции“, 1927. №2, с. 14.

ოლოდ ამცირებენ ადამიანის ღირსებას, არამედ მძიმედაც მოქმედებენ მის ჯანმრთელობაზე, ნერვულ სისტემაზე. პირველ რიგში კი ზიანდება გული. შეურაცყოფას ორგანიზმი, როგორც წესი, პასუხობს გულისა და ტვინის სისხლძარღვების სპაზმით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ორგანოები არ იღებენ საკმარის საკვებს, რის შედეგადაც შეიძლება განვითარდეს სტენოკარდია, მიოკარდის ინფარქტი და ინსულტი, რაც ყველაზე ხშირად ინვალიდობისა და სიკვდილიანობის მიზეზია“¹.

მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანდასახულობა გამომდინარეობს იქიდან, რომ თვით სამართლის, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების, ძირითადი დანიშნულებაა პიროვნების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა. სადავო და საკამათოა არა მორალური ზიანის ანაზღაურების აუცილებლობის საკითხი, არამედ მისი (ანაზღაურების) მიღწევის ხერხები სამართლისათვის დამახასიათებელი საშუალებებით.

ყოველივე ზემოთქმულის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებული იქნება მორალური ზიანის ცნება, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის მიერ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად სულიერ განცდასა და ფიზიკურ ტანჯვას, რომელსაც განიცდის ფიზიკური პირი მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისას, ხოლო იურიდიული პირები, მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვით.

¹ Углов Ф. Грубое слово. „Известия“, 1964, с.4.

• §2. მორალური ზიანის ანაზღაურების
უფლების მქონე სუბიექტები

მორალური ზიანის ცნება და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობა არ იქნება სრულყოფილი, თუ მათ განვიხილავთ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტებისა და ამ სუბიექტთა უფლებამოსილების გარეშე, ე.ი. არ განვსაზღვრავთ სუბიექტთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ არაქონებრივი (მორალური) უფლებების დაცვა მიყენებული ზიანის შესაბამისი კომპენსაციის გზით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლები აღიარებენ პირის უფლებას მორალური ზიანის კომპენსაციაზე.

აღნიშნული მუხლები ეხება პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას, რომელთა შელახვაც პირს უფლებას აძლევს მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის მითითებული, თუ ვისზეა საუბარი – ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევაში, სასამართლოები მიიჩნევენ, რომ მორალური ზიანის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ფიზიკურ პირს, რასაც ხსნიან იმით, თითქოსდა, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის დეფინიციაში გამოყენებული „პირის“ ცნება მოიცავს მხოლოდ ფიზიკურ პირს. რატომღაც ამ მოსაზრების ავტორთა ყურადღების მიღმა დარჩენილი სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ „იურიდიული პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში, გამოიყენება მე-18 მუხლის წესები“. რაც, ამავე კოდექსის მე-18 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, თავისთავად გულისხმობს ცალკეული მოქმედების არსებობის შემთხვევაში არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას¹.

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 1999, გვ. 61.

მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა დაყოფას ფიზიკურ და იურიდიულ პირებად, თავისი შემდგომი კონკრეტიზაცია, ანუ უფრო ზუსტად, სტრუქტურული დანაწევრება მოჰყვება.

მაგალითად, როცა ვსაუბრობთ ფიზიკურ პირზე, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტზე, აუცილებელია, ნათელი მოვფინოთ ზოგიერთ არსებით მომენტებს.

ჯერ ერთი, როგორია იმ პირთა წრე, რომელთაც გააჩნიათ უფლება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

მეორეც, ვის ენიჭება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირის გარდაცვალების შემთხვევაში, რომლის გარდაცვალებითაც მისმა ახლობლებმა (მესამე პირებმა) განიცადეს მორალური ზიანი.

მორალური ზიანის ანაზღაურების მიღების უფლების მქონე პირთა განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს პიროვნებისათვის „ფიზიკური ან სულიერი ტანჯვის“ მიყენება. აღნიშნული ხსნის ყოველგვარ შეზღუდვას მორალური ზიანის ანაზღაურების მიღების უფლების მქონე პირთა წრის განსაზღვრაში, თუკი სპეციალური ნორმატიული აქტით საწინააღმდეგო არ არის დადგენილი.

როდესაც ვსაუბრობთ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა წრის განსაზღვრის შესახებ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, უპირველეს ყოვლისა, ის ნორმები, რომლებიც პირს უფლებას აძლევს სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების, აგრეთვე პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. კოდექსის ნორმაში ერთმნიშვნელოვნად არის მოცემული, რომ „დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც“.

ზემოთქმული სრულიად შეესაბამება მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანშეწონილობის საკითხს და მიგვაჩნია, რომ

მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნა შეიძლება დააყენოს მხოლოდ იმ პირმა, ვინც უშუალოდ განიცადა მორალური ზიანი.

არცთუ იშვიათად დაზარალებულის ახლობელი ნათესავისათვის „ფიზიკური“ ან „სულიერი ტანჯვის“ სიძლიერე აღემატება თვით დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის სიძლიერეს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ისმის კითხვა – ასეთი ახლობლის მიერ მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის მიზანშეწონილობის თაობაზე.

არ არის გამორიცხული, რომ დამტკიცებულ იქნეს ახლობლის მიერ ფიზიკური ან სულიერი ტანჯვის სიძლიერე დაზარალებულზე მეტად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას „უფლება მიეცეს დააყენოს განცდილი მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი. თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა წრე იმდენად გაფართოვდება, რომ პრინციპული მნიშვნელობა მორალური ზიანის კომპენსაციის დანიშნულებისა, აზრს დაკარგავდა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მორალური ზიანი უნდა აუნაზღაურდეს მხოლოდ იმ პირს, ვისაც მიაღვა ზიანი და უშუალოდ განიცადა ფიზიკური და სულიერი ტანჯვა (არა აქვს მნიშვნელობა ტანჯვის სიძლიერის ხარისხს ნათესავებთან და ახლობლებთან მიმართებაში), მთავარია, რომ მან ეს განიცადა“¹. თუ ნაკლებად განიცადა, კომპენსაცია იქნება შედარებით დაბალი და, პირიქით. სულ სხვაა თუ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, რამაც ლოგიკურად გამოიწვია მის ახლობელთა ფიზიკური და სულიერი ტანჯვა. აღნიშნულის მიმართ ისმის კითხვა – აქვთ თუ არა ასეთ ახლობელ პირებს განცდილი სულიერი და ფიზიკური ტანჯვისათვის მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება?

¹ А. Эрделевский. О моральном вреде при посягательствах на жизнь и здоровье, „Новые документы, дополнения, справки“, 1996, с.122.

ამ საკითხმა იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მაგალითად, ა. ერდელევსკი მიუთითებს, რომ ასეთ პირებს მიეკუთვნებიან გარდაცვლილის პირველი და მეორე ხარისხის ნათესავები და გარდაცვლილის ოჯახის წევრები² (რა თქმა უნდა, თუ მათ უმეტესად განიცადეს მორალური ზიანი). აღნიშნულიდან გაუგებარია, თუ ვინ იგულისხმება გარდაცვლილის ოჯახის წევრებში. ვფიქრობთ, ამ პირთა ჩამონათვალი ზედმეტად აფართოებს იმ პირთა წრეს, რომელთაც უფლება უნდა ჰქონდეთ სარჩელით მიმართონ სასამართლოს მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. ამიტომ, უფრო მართებული იქნებოდა, ასეთის უფლება ჰქონოდა გარდაცვლილის მეუღლეს, მშობლებს, შვილებსა და დედამამიშვილებს, რომლებიც დამოუკიდებელი სარჩელის საფუძველზე მოითხოვენ მორალური ზიანის ანაზღაურებას. სარჩელი დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მათ ამ ფაქტის გამო ნამდვილად განიცადეს სულიერი და ფიზიკური ტანჯვა და, ამასთან, იმასაც, თუ რა ხარისხისაა იგი. ეს უკანასკნელი ადეკვატურ ასახვას პოვებს კომპენსაციის ოდენობაში. რადგან წინა თავი ეხება მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებათა სუბიექტებს, უპრიანი იქნება აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა აქ დაგვესრულებინა. უფრო ვრცლად ეს პრობლემა განხილული იქნება სპეციალურ თავში, რომელიც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას ეხება. მასში წარმოჩენილ იქნება ქართული სასამართლო პრაქტიკა, რომელშიც აღინიშნება არაერთგვაროვანი დამოკიდებულება დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ახლო ნათესავებისათვის მორალური ზიანის კომპენსაციის საკითხისადმი, აღნიშნულ თავში წარმოჩენილი

² А. М. Эрделевский, Компенсация морального вреда, Юрист, 1996, с. 57.

იქნება ჩვენი მოსაზრებები ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

გ. რცხილაძე თვლის, რომ: „მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება შემოღებულ უნდა იქნეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი უსიამოვნებისათვის ფულადი ანაზღაურების დაწესება მიგვაჩნდეს მიზანშეწონილად, პირიქით, მორალური ზიანის თითოეული ტიპური შემთხვევა შეფასებულ უნდა იქნეს სამართლის სისტემის საერთო თვალსაზრისით და ანაზღაურდეს მხოლოდ ისეთი ზიანი, რაც დაცვის ღირსი მორალური სიკეთის შელახვისაგან წარმოდგება“¹.

როგორც აღვნიშნეთ, მორალური ზიანის ანაზღაურების ღირსი უფლება აქვთ აგრეთვე იურიდიულ პირებს, რომელთა შესახებ დაწერილებითი მსჯელობა იქნება სპეციალურ მეხუთე თავში.

¹ გ. რცხილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, „საბჭოთა სამართალი“, 1928 წ. №4, გვ. 81.

მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ
მოქალაქების ისტორიული განვითარება

მორალური ზიანის ანაზღაურების მოძღვრებას ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს.

აღნიშნულ თავში მორალური ზიანის შესახებ მოძღვრების განვითარება ჩვენ მიერ განხილული არ იქნება ქრონოლოგიურ ასპექტში. ჩვენი მიზანი არის კონკრეტული ქვეყნების კანონმდებლობის მაგალითზე წარმოვაჩინოთ ის გზა, რომელიც გაიარა იურიდიულმა მეცნიერებამ, სასამართლო პრაქტიკამ და კანონმდებლობამ მორალური ზიანის ანაზღაურების საბოლოო აღიარებაში.

XIX საუკუნის შუა წლებში გერმანელმა იურისტმა ლემანმა, იკვლევდა რა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, გულისტკივილით აღნიშნა: „გადააბიჯებს თუ არა სტრუდენტი უნივერსიტეტის ზღურბლს, მაშინვე მასში ჭეშმარიტების სახით მტკიცდება მოსაზრება, რომ მხოლოდ ქონებრივი ზიანია ანაზღაურებადი, ყოველი მორალური, არაეკონომიკური ზიანი კი ანაზღაურებას არ ექვემდებარება“¹.

მორალური ზიანის ანაზღაურების იდეისათვის ცნობილი მეცნიერის ამ სიტყვებს შეიძლება დაეუმატოთ, რომ იმ დროს არათუ უნივერსიტეტებში, სასამართლო პრაქტიკაშიც გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ქონებრივი ზარალი. რაგინდ მძიმე ზნეობრივი ტანჯვაც არ უნდა განეცადა დაზარალებულს, იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას წაეყენებინა შესაბამისი მოთხოვნები, რამეთუ მისი მატერიალური კეთილდღეობა არ იყო ხელყოფილი და მას უფლება

¹ Бсляцкий С.А. Возмещение морального (немущественного) вреда. С.Петербург, „Право“, 1913., с.3.

არ ჰქონოდა მოეთხოვა ის ფულადი თანხა, რომელიც დადგენილი იყო სპეციალურად, როგორც ანაზღაურება ფიზიკური ტკივილისათვის. დაზარალებულისთვის სამართალდამრღვევს (დელინკვენტს) შეეძლო ეთქვა: „ჩემი ქმედებით მე დავარღვიე შენი სიმშვიდე, შესაძლოა სამუდამოდ, მე გაიბუღე გაგეტარებინა უძილო ღამეები, მთლიანად დავამახინჯე შენი პიროვნება, მაგრამ რადგანაც შენს ქონებას ამისგან არა აქვს სამოქალაქო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული მატერიალური ზარალი, ჩვენ უვალ ვართ ერთმანეთის მიმართ, შენი ზნეობრივი ტანჯვა არაფრად არ ღირს – ასეთია კანონისა და სამართლის ნება“¹.

გავიდა დრო და საქმის ვითარება მკვეთრად შეიცვალა. იურისპრუდენციაში გაბატონდა საპირისპირო მოსაზრება. კერძოდ, მორალური ზიანი, სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით, არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე ქონებრივი ზიანი. მოსამართლეები ამ კატეგორიის საქმეების განხილვისას უკვე ადგენენ მორალური ზიანის ანაზღაურებას ფულადი სახით.

შეხედულების ასეთი ტრანსფორმაცია მეტყველებს სამართლებრივი შეგნების მნიშვნელოვან პროგრესზე.

ქვეყანა, რომელმაც კანონში პირდაპირი მითითებებისა და ზუსტი რეგლამენტაციის არსებობისაგან დამოუკიდებლად, არამატერიალური უფლებების სამოქალაქო დაცვის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად გაითავისა მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპი – ინგლისია. ინგლისური სამართალი ზიანის ანაზღაურებისას არ ასხვავებს მატერიალურ და არამატერიალურ ზიანს. ყოველგვარი ზიანი უნდა ანაზღაურდეს განურჩევლად იმისა, ეს ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით, თუ ხე-

¹ Бемяцкий С.А. Возмещение морального (немущественного) вреда. С. Петербург, „Право“, 1913., с.3-4.

² Eduard Jenks, „A. digets of english civil Law“ Book II, part III, 1908. p.315,316,326,369.

ლშეკრულების დარღვევით². მორალური ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს დაახლოებით კომპენსაციას (exemplary damages)¹, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ენიჭებათ დაზარალებულებს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის ან ჯანმრთელობის დარღვევისათვის და ა.შ. ზიანის მიყენების შემთხვევებში, სასამართლო ანგარიშს უწევს კონკრეტულ მონაცემებს, სამართლიანობას, მხარეთა მატერიალურ შესაძლებლობებს და მრავალ სხვა გარემოებას.

„ამ საკითხის თაობაზე რომ არსებობდეს სასამართლოსათვის აუცილებელი, წინასწარ წარდგენილი კრიტერიუმები, ინგლისელი იურისტი მეიანის აზრით, სიმდიდრის მფლობელ პირს უფლება ექნებოდა მიებადა იმ წარჩინებული რომაელისათვის, რომელსაც ჩვევად ჰქონდა ესეირნა ფორუმის ირგვლივ და სილა გაეწნა ყოველი შემხვედრისათვის, მონა კი რომელიც ქისით უკან მიჰყვებოდა პატრონს, გადაიხდიდა თითოეული დარტყმის საფასურს, კანონით დადგენილი ოდენობით“². კომპენსაცია (Exemplary damages) დაახლოებით წარმოადგენს, ერთის მხრივ, ერთგვარ სასჯელს დამნაშავეისთვის, მეორეს მხრივ კი, კომპენსაციას დაზარალებულისათვის და არ არის მორალური ზიანის ანაზღაურების ერთადერთი ფორმა. სწორედ ინგლიზურმა გენიამ შეიმუშავა ანაზღაურების თავისებური სახეობა, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს სამოქალაქო ბრუნვაში. ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული ნომინალური კომპენსაცია³ (nominal damages), რომელსაც ზოგჯერ მეტად საპატიო, ზოგჯერ კი უადრესად დამამცირებელი ხასიათი გააჩნია. მასში ასევე გათვალისწინებულია მორალური ზიანის ანაზღაურების მომენტი. დაზარალებულს შეეძლო ებრძოლა მისი უფლების

¹ А.С. Мамулян, С.Ю. Кошкин – англо-русский полный юридический словарь. Москва, 1993, с. 114.

² Maunc „A Treatise in the damages“ 1909, p.53.

³ А.С. Мамулян, С.Ю. Кошкин, англо-русский полный юридический словарь, Москва, 1993, с.114.

ალიარებისათვის და, ამავე დროს, მოეთხოვა ფულადი ანაზღაურება. სასამართლო ალიარებდა რა მის უფლებებს, მოპასუხე იხდოდა რამდენიმე შილინგს, რაც იყო დასტური იმისა, რომ დაკმაყოფილდა არა მხოლოდ მოსარჩელის მოთხოვნა, არამედ მოპასუხეც ცნობილ იქნა კანონის დამრღვევად (vrogdoer)¹.

მართალია, ნომინალური კომპენსაცია მოსარჩელეს ზნეობრივ კმაყოფილებას ანიჭებს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში გამოხატავს უპატივცემულობას მისი უფლების მიმართ, რასაც ადგილი აქვს ამ უკანასკნელისათვის მართლაც მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის დროს. პრაქტიკაში ესოდენ ფართოდ გამოყენებული მორალური ზიანისათვის მატერიალური ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შემთხვევაში მოსამართლის თვალსაზრისი არც ერთი კანონის (expresis verbis) მიერ არ იყო გათვალისწინებული, რამეთუ თავად პრაქტიკამ და ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ მოახდინა ამ თვალსაზრისის სანქცირება².

მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ინგლისური სისტემა ხასიათდება თავისი ცხოვრებისეული მოქნილობითა და ღრმა პრაქტიკული აზრით.

ინგლისში მომხდარმა ერთ-ერთმა შემთხვევამ, რომელიც იმავედროულად უმაღლესი სასამართლოს განხილვის საგნად იქცა, ხანგრძლივი დავა გამოიწვია. მოპასუხე მძღოლმა უმეთვალყურეოდ მიატოვა ციცაბო და ვიწრო ქუჩის თავში ძრავაჩართული

¹ A. C. Мамулян, С. Ю. Кашкин. Указ. соч., с. 388.

² თუკი მოსამართლე ჩათვლის, რომ ყოვლიან ზიანის შეფასებისას ვერ გაითვალისწინა რაიმე არსებითი და ზიანის ოდენობა არ იქნა მართებულად განსაზღვრული, მაშინ არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მას შეუძლია გააუქმოს მსაჯულთა ვერდიქტი და დანიშნოს საქმის ახალი მოსმენა. მაგალითად, თავდასხმის შესახებ ერთ-ერთი საქმის მოსმენისას, ყოვლიან განსაზღვრა მორალური ზიანის ანაზღაურება 40 შილინგის ოდენობით. მიუხედავად ამისა, იმ მიზეზით, რომ დაზარალებულმა თავის ქვეყნით თავად გამოიწვია თავდასხმა, ეს მცირედი თანხაც კი მოსამართლის მიერ გადაჭარბებულად იქნა ცნობილი და მან გააუქმა ვერდიქტი. მანამდე, მოსამართლეებს წესად ჰქონდათ მსაჯულთა ვერდიქტი არ გაუუქმებინათ, თუკი ანაზღაურების თანხა არ აღემატებოდა 20 ფუნტ სტერლინგს.

ავტომობილი. მანქანა მძღოლის არყოფნის დროს ადგილიდან დაიძრა და ქუჩაზე დაგორდა. მოსარჩელის ცოლმა, რომელიც ბავშვებთან ერთად სეირნობდა იმავე ქუჩაზე, დაინახა დიდი სიჩქარით დაძრული ავტომობილი, შეშინდა შორიასხლოს მყოფი ბავშვების გამო და იქით გაიქცა, მაგრამ, ამ დროს გამვლელებმა შეატყობინეს, რომ ავტომობილმა გაიტანა ბიჭუნა, რომელიც აღწერით მის შვილს წააგავდა. ამ ცნობამ ქალში გამოიწვია ნერვიული შერყევა, რაც შემდგომში ქალის სიკვდილის მიზეზად იქცა. დაზარალებულის ქმრის სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა, თუმცა ამგვარი გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი შეიტანა მრავალმა მოსამართლემ და მეცნიერმა, რომლებიც თვლიდნენ, რომ სარჩელი დაკმაყოფილებული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებული ქალბატონი თავად დაინახავდა მომხდარს და არ შეიტყობდა მას გამვლელისაგან.¹

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულმა პრინციპებმა შემდგომი განვითარება პოვა King v. Phillips-ის საქმეში (1963 წ.), რომელსაც შემდეგი შინაარსი აქვს: ტაქსის მძღოლს უკუსვლით მიჰყავდა მანქანა. ამ დროს მას არ მიუხედავს უკან, რომ დარწმუნებულიყო, თავისუფალი იყო თუ არა გზა. მისმა ავტომობილმა დააზიანა ველოსიპედით მოსეირნე ბავშვი. ბავშვის დედამ ყვირილის გაგონებისას, ფანჯრიდან გადაიხედა და დაინახა, რომ ავტომობილმა მის ბავშვს გადაუარა. ის ნერვიული განცდის გამო მძიმედ დაავადდა. საქმე სერიოზული დავის საგნად იქცა. მაგრამ ყველა გამოთქმული აზრი ერთ ძირითად საკითხამდე დავიდა: შეეძლო თუ არა მძღოლს და იმავე დროს, ვალდებული იყო თუ არა, გაეთვალისწინებინა იმის შესაძლებლობა, რომ დაზარალებულის დედა მომხდარის უნებლიე მოწმე გახდებოდა. აზრთა სხვადასხვაობის გამო ლორდთა პალატის

¹ Матвеев Ю.Г. Англо-американское деликатное право. „Юридическая литература“, М., 1973., с.50.

გადაწყვეტილებამ, რომელმაც დააკმაყოფილა სარჩელი King Phillips-ის თაობაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რამეთუ მან პასუხი გასცა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომელთა შესახებ მოსამართლეებს შორის არ იყო ერთიანი შეხედულება¹.

პირველ ყოვლისა, დადგინდა, რომ სულიერი ტანჯვის ანაზღაურების საქმეებში არ არის აუცილებელი კანონსაწინააღმდეგო ქმედება საფრთხეს უქმნიდეს უშუალოდ დაზარალებულს. ამავე დროს, აუცილებლობას არ წარმოადგენს მოსარჩელე იმყოფებოდეს ისეთ მდგომარეობაში, რაც მას საშუალებას მისცემს თვალყური ადევნოს მომხდარს².

საკითხმა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ინგლისთან შედარებით ევროპის კონტინენტის სხვა ქვეყნებში რამდენადმე განსხვავებული მიმართულება მიიღო. გერმანიაში ამ ინსტიტუტის შედარებით ნელი ტემპით განვითარება აიხსნება რომაული სამართლის გაელენით, რომელმაც ვერ მოასწრო მორალური ზიანის ანაზღაურების დასრულებული სისტემის შემუშავება. დიდი ხნის მანძილზე გერმანიაში დომინირებდა აზრი, რომ რომაული სამართალი სრულებით არ უწყვედა ანგარიშს მორალურ ინტერესებს და, აქედან გამომდინარე, მორალურ ზიანს, იგი მხედველობაში იღებდა მხოლოდ იმგვარ ზიანსა და ინტერესებს რომელთა შეფასებაც ფულით იყო შესაძლებელი.

რომის სამართლის დეტალური გაცნობისას აღმოჩნდა, რომ მსგავსი შეხედულება არ იყო სავსებით მართებული, ვინაიდან აყენებდა რა პირველ პლანზე წმინდა მატერიალურ კეთილდღეობას, რომაული სამართალი იმავდროულად ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, რომ რომის მოქალაქისთვის ფიზიკური თუ

¹ Матвеев Ю.Г. Англо-американское деликатное право. „Юридическая литература“, М., 1973., с.50.

² მისივე... ვკ 55.

სულიერი ტრავმის მიყენების შემთხვევაში დამნაშავე არ დარჩენილიყო დაუსჯელი, დაზარალებული კი — დაუკმაყოფილებელი. შესაძლოა მოვიყანოთ მაგალითები, როცა ფულადი ანაზღაურება განესაზღვრებოდათ ბავშვების ზნეობრივი გახრწნისათვის, თავისუფალი ადამიანის უმართებულო ქცევისათვის, ახლობელთა საფლავების შეურაცხყოფისათვის. აღნიშნული მითითებანი ძირს უთხრის შეხედულებას, რომ რომაული სამართალი ცნობს პასუხისმგებლობას მხოლოდ მატერიალური ზარალისათვის, მორალური ზიანისათვის კი არა. რომაულ სამართალში ხორციელდებოდა სიმძიმის ცენტრის თანდათანობითი გადატანა საგნიდან პიროვნებაზე. თავდაპირველად წყენის ან ასოთღაშავეებისათვის — სასამართლოს შეეძლო დაენიშნა მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული საფასური, დადგენილი ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონებით — მონის გატეხილი ძვლისთვის 150 ასსი, თავისუფალი ადამიანის გატეხილი ძვლისთვის 300 ასსი, პატივის შეურაცხყოფისათვის 25 ასსი და ა.შ. შემდგომში დაცულ იქნა ის არამატერიალური ფასეულობები, რომელთა ხელყოფამაც განსაკუთრებით ხშირი ხასიათი მიიღო. შეურაცხყოფილს შეეძლო მოეთხოვა ფულადი თანხები წყენისთვის, რომელშიც იგულისხმებოდა პიროვნების პირადი უფლების ნებისმიერი წინასწარგანზრახული ხელყოფა, თვით სხვის საცხოვრებელში შეჭრაც კი¹. სხვათა შორის, მოსამართლე სრულიად თავისუფალი იყო იმის შეფასებაში, თუ რამდენად სამართლიანი იყო მომდურავის მიერ მოთხოვნილი თანხა. ჩვეულებრივ შემთხვევებში მაქსიმუმს ადგენდა მოსარჩელე, მძიმე წყენის დროს კი — პრეტორი.

უდავოა, რომ რომაულ სამართალში ჩადებული იყო მორალური ზიანის ანაზღაურების იდეა, თუმცა მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული სახე. მართალია, ამ იდეას არ დასცალდა ხორცშესხმა და მწყობრი ფორმების მიღება, მაგრამ იგი

¹ Puchta, Pandecten, 1872, s. 569.

ისტორიის მანძილზე ღრმავდებოდა, და დროის დინებასა და ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ზიანისა და ზარალის შესახებ სწავლების ქვაკუთხედი ხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ადრეული პერიოდის ქართული სამართლის ძეგლებიც მიუთითებენ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებასა და მის ფორმებზე. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის სამართლის მიხედვით, თუ ვინმე დიდებულთაგანი ეპისკოპოსს სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებდა, დამნაშავე დიდებული დაისჯებოდა ორმოცი ათასი თეთრის გადახდით „და დიდად შეხუეწით“, „თუ ეპისკოპოსსა დიდებულმან აგინოს, დიდად შეხუეწით ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს“, „თუ ეპისკოპოსსა აზნაურმან აგინოს, დიდითა შეხუეწითა ოცი ათასი თეთრი დაუურვოს“. „თუ აზნაურმან ან დიდებულმან მღვდელსა აგინოს, ანუ უქუედაესმან, მესამედი სისხლისაჲ დააურვოს და დიდად შეხუეწოს“.

სასულიერო პირთა პატივისა და ღირსებას კანონმდებელი, როგორც ჩანს, მთელი მონდომებით იცავდა და მათი პატივისა და ღირსების სიტყვიერი შეურაცხყოფით ხელმყოფს აიძულებდა არა მარტო სისხლისსამართლებრივი ხასიათის ჯარიმის გადახდას, არამედ ბოდიშის მოხდასაც, რომლის განსაკუთრებული სახე იყო სწორედ შეხუეწვა. „დიდად შეხუეწვა“ უნდა ყოფილიყო ბოდიშის მოხდის განსაკუთრებით მძიმე ფორმა¹.

როგორც აღვნიშნეთ, გერმანიაში, რომაული სამართლისაგან შემკვიდრეობით მიღებულმა მორალური ზიანის ანაზღაურების

¹ გ. ნადარეიშვილი, ავტორისეული ხელნაწერი.

P.S. მისი მოწოდებისა და სარგებლობისათვის მადლობას მოვახსენებ ავტორს – გ. ნადარეიშვილს.

ამავე საკითხების ირგვლივ თავისი მოსაზრება გამოთქმული აქვს ბ. ზოიძეს ნაშრომში – ზნეობის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული ვახტანგ მეექვსის სამართალში. „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, ტ. IV, 1986, გვ. 124-196.

ინსტიტუტმა ვერ პოვა სათანადო განვითარება. XX საუკუნის დასაწყისში რომაული სამართლის კომენტატორები ყურად არ იღებდნენ სამართლის წყაროებში გაბატონებულ აზრს და უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნევდნენ იმას, რომ ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ქონებრივი ზარალი. გერმანელი მეცნიერები ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების დაუშვებლობა და მარტოოდენ ქონებრივი ზარალის ანაზღაურება წარსულის გამოძახილი იყო¹.

გერმანული სჯულდების ავტორთა გარკვეული უყურადღებობის გამოჩენას არამატერიალური ზიანის ანაზღაურების იდეისადმი, ხელი შეუწყო რომაული სამართლის ძველმა ტრადიციამ, თუმცა BGB-ს² შემდგენლებმა სჯულდებაში შეიტანეს არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისადმი მიძღვნილი რამდენიმე მუხლი.

კოდექსიდან „მორალური ზიანის“ სრულ გამოდევნას ხელს უშლიდა ერთობ სერიოზული გარემოებები. უპირველეს ყოვლისა, ანგარიში უნდა გაწეოდა იმას, რომ დასახიჩრების ან ფიზიკური ტკივილისათვის ანაზღაურების ნორმები იქცა ისეთ სეპარატულ კანონმდებელთა კუთვნილებად, როგორც არის: საქსონური სამოქალაქო სჯულდება³, ვირტემბერგის 1839 წლის 5 სექტემბრის

¹ Schmerzengeld (ფულადი ანაზღაურება ადამიანის ტკივილისა და ტანჯვისათვის) ნახსენებია ჯერ კიდევ კაროლინაში. Schmerzengeld-ის ოდენობა მოსამართლის მიერ განისაზღვრებოდა მიყენებული ტანჯვის სიმძიმის გათვალისწინებით. იგი წარმოადგენდა სარჩელს მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის და მოკლებული იყო ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ყოველგვარ ელფერს, თუმცა დასაშვებად მიიჩნეოდა მორალური ზიანისა და მატერიალური ზარალის ერთდროულ ზღვევას.

² BGB-Bürgerliches Gesetzbuch – გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

³ იგულისხმება §1490 – რომლითაც სხეულის დაზიანებას შედეგად მოსდევს დამახინჯება ან დასახიჩრება, ამას უნდა მოჰყვეს ზიანის ანაზღაურება სასამართლოს შეხედულებით, კრძოდ, ათს მარკამდე დაზარალებულის სასარგებლოდ. ამასთან, გაუგებარი გახლავთ ის, რომ თუკი მსგავსი უფლებამოსილებანი ენიჭებოდა სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეს (უსსეს-ს უკიდურესი ოდენობის დადგენა ნ ათს მარკამდე საქმარის გასაქანს აძლევდა მოსამართლის ნებას), რატომ უნდა ყოფილიყო მოკლებული ამ უფლებას სამოქალაქო საქმეთა განმხილველი მოსამართლე?

კანონი და ბადენის 1845 წლის 6 მარტის კანონი. აღნიშნულმა ნორმატიულმა აქტებმა ღრმა ფესვები გაიდგა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საერთო იმპერიულ კანონმდებლობაში, კერძოდ, გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის სჯულდებაში არსებობდა წესი, რომ სხეულის დაზიანების ყველა შემთხვევაში, დამნაშავეს, მისთვის გამოტანილ სასჯელთა გარდა, შეიძლება დაკისრებოდა განსაკუთრებული ფულადი ანაზღაურება მატერიალური ზიანისათვის. ფულადი ანაზღაურების დაკისრება არაქონებრივი ზიანისათვის. თავისთავად არაფერ ანტიმორალურს, დასაძრახს რომ არ შეიცავს, დასტურდება სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მაგალითებით შვეიცარიაში მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეტანილი იყო ვალდებულებათა შესახებ 1891 წლის 14 ივნისის კანონში (მუხ. 54-ე), რომლის თანახმადაც, „სხეულის დაზიანების ან სიკვდილის შემთხვევაში სასამართლოს აქვს უფლება, განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, კერძოდ, პირდაპირი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, აუნაზღაუროს დაზარალებულს ან მის ოჯახს შესაბამისი ფულადი თანხა, დამტკიცებული დანაკლისის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად“. ამავე კანონის 55-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებას, მიაკუთვნოს შესაბამისი ფულადი ანაზღაურება იმ შემთხვევაშიც, თუ დაზარალებული ვერ დამტკიცებს ვერავითარ ქონებრივ ზარალს, მაგრამ ზიანი „სხვა დაუშვებელი ქმედებებით“ მიყენებული აქვს დაზარალებულის პირად ცხოვრებას. იყო ერთი საინტერესო გარემოებაც, რომელსაც არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაწეოდა, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მორალური ზიანის ანაზღაურებას, გერმანული სასამართლოები, ჯერ კიდევ სამოქალაქო სჯულდების შემოღებამდე, ფაქტობრივად

¹ Strafgesetabuch, § 231.

დაუკმაყოფილებელს არ ტოვებდნენ სარჩელებს მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ზოგჯერ მას ჰქონდა ფულადი ანაზღაურების სახე დასახიჩრების ან ფიზიკური ტკივილისთვის, როცა საქმე ეხებოდა ზიანს, რომელიც არ ექვემდებარებოდა ზუსტ ფულად განსაზღვრას (ფაქტების დამახინჯება, სახელით ბოროტად სარგებლობა), მოსამართლეს მინიჭებული ჰქონდა თავისი მრწამსის შესაბამისად საქმის გადაწყვეტის უფლება.

აღნიშნულმა, თავის მხრივ, განაპირობა ის, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპი თანდათანობით აღწევდა სამოქალაქო სამართლის მოქმედ ნორმებში და კანონმდებლებს უხდებოდათ ანგარიშის გაწევა მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების აუცილებლობისათვის. მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის შემოღების მხარდასაჭერად გერმანიაში ყველაზე ავტორიტეტული ხმები გაისმოდა.

მიმართავდნენ რა პროექტის შემდგენლებს, მორალური ზიანის ანაზღაურების მომხრენი ამბობდნენ, რომ „დღესდღეობით საჭიროა ფულადი ეკვივალენტის მინიჭება არაქონებრივი, მორალური ზიანისთვისაც. აზრი იმის შესახებ, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება იქცეს აუცილებელი მოთხოვნის საგნად, ერთხელ გონებაში ჩამჯდარი, იმუშავეს და არ მოისვენებს, ვიდრე არ პოვებს შესაბამის ასახვას კანონში. პატივცემულ იურისტებს, რომლებიც დაკავებულინი არიან გერმანიისათვის ახალი სჯულდების შემუშავებით, უნდა ახსოვდეთ, რომ ვერ შეიქმნება ჯეროვანი მართლწესრიგი, თუკი კანონი მოახდენს რეაგირებას და თავისი სარჩელის გზით დახმარებას გასწევს მაშინ, როცა გაუფრთხილებლობით გატყდება ძველი ქოთანი, ხოლო არამატერიალურ ფასეულობათა უმძიმესი დარღვევების შემთხვევაში გულქვა და გულგრილი (შეუვალი) დარჩება!.“

¹ Lehmann. *ibid*, s.44.

პირველი პროექტის შემუშავებისას შეტანილ იქნა წინადადება, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება გაცემულიყო დასახიჩრების, ჯანმრთელობის დაზიანების, თავისუფლების აღკვეთის და ასევე პატივის შეურაცხყოფის შემთხვევებში, მაგრამ წინადადების უკანასკნელი ნაწილი უარყვეს იმ საფუძველზე, რომ შეურაცხყოფილი პატივის აღდგენა გაცილებით ადვილია არა ფულადი ანაზღაურების, არამედ ბოდიშის მოხდითა და შეურაცხყოფილის პატივის სასამართლო „აღიარების“ გზით. სჯულდების 847-ე პარაგრაფი გვაუწყებს: „სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის მოშლის, ასევე თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს სამართლიანი ანაზღაურება მორალური ზიანისთვის“ (ამავე მუხლის მეორე აბზაცი თანასწორ უფლებებს ანიჭებს ქალს, რომლის მიმართაც არის ჩადენილი დანაშაული და ზნეობის საწინააღმდეგო ქმედება ან, რომელიც აიძულებს ქორწინების გარეშე კავშირისთვის მისი ნების წინააღმდეგ). 847-ე პარაგრაფის თანახმად, პასუხისმგებლობა მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის სცილდება ადრე გათვალისწინებული პრინციპების ფარგლებს: ეს უკანასკნელი შეადგენდა საზღაურს „ტკივილისათვის“, მაშინ, როდესაც BGB ზოგადად განსაზღვრავს ანაზღაურებას არამატერიალური ზიანისათვის. გარდა ამისა, ადამიანის ჯანმრთელობის დაშავებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებასთან ერთად გათვალისწინებულია ასევე პასუხისმგებლობა თავისუფლების აღკვეთისა და ქალის ღირსების ხელყოფისათვის. მაგრამ BGB სრულიად უყურადღებოდ ტოვებს მორალური ზიანის ანაზღაურების სხვა შემთხვევებს. ასე მაგალითად, დაზარალებულს, გერმანული სამოქალაქო სჯულდების თანახმად, სახის დასახიჩრებისათვის შეუძლია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება, მაგრამ არ აქვს იმავე მოთხოვნის წაყენების უფლება მისი რეპუტაციის ხელყოფის შემთხვევაში. გარდა ამისა, BGB-ს ნორმების თანახმად, მატერი-

აღური საზღაური „ზნობრივი ტანჯვისთვის“ შეიძლება მიეცეს უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილს. იგი ვერავითარ კომპენსაციას ვერ მიიღებს, შესაძლო ქონებრივი დანაკარგების ანაზღაურების გარდა, ასეთი ქმედების შედეგად ახლობლის დაკარგვით გამოწვეული ტანჯვისა და განცდებისათვის. არავის დააეჭვებდა ის, რომ 847-ე მუხლი იძლევა ამომწურავ ჩამონათვალს შემთხვევებისა, როცა დასაშვებია მორალური ზიანის ანაზღაურება, კანონში პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა (მუხლი 253-ე).

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, დიდ რევოლუციამდე საფრანგეთში გვხვდება სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც დაზარალებულს მიაკუთვნებენ ფულად საზღაურს მორალური ზიანისათვის (prejudice moral). რევოლუციას შეეძლო მხოლოდ ხელი შეეწყო დაზარალებულის პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მოთხოვნის აუცილებლობის შესახებ აზრის განმტკიცებისათვის. თუმცა, სამოქალაქო კოდექსმა (Code civile), რომელიც რევოლუციის ნაყოფს წარმოადგენდა, მაინც არ გაითვალისწინა ნორმა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.¹ სასამართლო პრაქტიკა ურთიერთისთვის ზიანის მომტანი სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, წარიმართა როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ზიანის ანაზღაურების გზით. საფრანგეთის სასამართლოებში იმდენად ფართოდ იყო გაგებული პირად ფასეულობათა დაცვა, რომ ცოლის ღალატით შეურაცხყოფილ ქმარსაც კი შეეძლო განეცხადებინა პრეტენზია მაცდუნებლისგან ანაზღაურების მიღებაზე. ქმარს უფლება ჰქონდა წარედგინა სარჩელი პირის წინააღმდეგ, რომელიც აღიარებული იყო დამნაშავედ მის ცოლთან სახელის გამტეხი ურთიერთობის გამო. მით უმეტეს, თუ დადასტურდებოდა, რომ მსგავსმა ქცევამ მორალური

¹ Французский гражданский кодекс 1804 года с изменениями 1939, Перевод И.С. Перетерского, М. „Юр. изд-во“, 1941.

ზიანი მოუტანა არა მხოლოდ ქმარს, არამედ მთელ ოჯახს. მორალური ზიანის მიყენების შემთხვევებია, ძირითადად, შეურაცხყოფა და ცილისწამება სიტყვიერი ფორმით, ქალის პატივისა და ღირსების დამცირება, სხვისი სახელით უმართებულოდ სარგებლობა, სხვისი გვარის ბოროტად გამოყენება არჩევნების დროს, თავისუფლებისა და თვით საარჩევნო ხმის მიცემის უფლების უკანონოდ აღკვეთა, სხვის საცხოვრებელში შეჭრა, თავდასხმა, ზიანის მიყენება ჯანმრთელობისათვის და ა.შ.

ახლობლების სიკვდილის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება შეეძლოთ მოეთხოვათ მშობლებს, შვილებს, ძმებსა და დებს. მიუხედავად მათ შორის ქონების მიმართ მემკვიდრეობის ხარისხის არსებობისა, საკმარისი იყო რეალურად არსებული ზიანის დამტკიცება. მორალური ზიანი ხშირად წარმოადგენდა საფუძველს დაზარალებულთა გამოსვლისათვის სამოქალაქო მოსარჩელეთა სახით სისხლის სამართლის საქმეებში. იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ სამოქალაქო მოსარჩელეებად დაიშვებოდნენ მხოლოდ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული დაზარალებული პირები და რომლებმაც ამის გამო განიცადეს მორალური ზიანი¹.

მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპი უფრო მეტად, ვიდრე საფრანგეთში, განმტკიცებულ იქნა იტალიის კანონმდებლობაში. იტალიელებს შორის პირადი შეტაკებებისას მიყენებული მორალური ზიანისათვის შეურაცხყოფელზე პასუხისმგებლობის დაკისრება პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავიდან აცილების საშუალებას იძლეოდა. ამ ქვეყანაში გვხვდებიან მორალური ზიანის ანაზღაურების თავგამოდებული მომხრეები, თუმცა აქვე გამოდიან ამ ინსტიტუტის უფრო მძევარე მოწინააღმდეგეებიც (პროფესორი გაბბა და

¹ Беляцкий С.А. Возмещение морального (немущественного) вреда С. Псретбург, „Право“, 1913., с.21-22.

სხვები). მოვიყვანთ იტალიის სასამართლო პრაქტიკიდან რამდენიმე მაგალითს მორალური ზიანის ანაზღაურებაზე: ქ. გენუის სასამართლომ 1898 წლის 10 მაისს 1400 ლირა აუნაზღაურა მგზავრს, რომელმაც ელექტროტრაუმის აწყვეტილ ვაგონში განიცადა „სახიფათო მოგზაურობა“; მასწავლებელს, რომელსაც ცილი დასწამეს და ამის გამო უსამართლოდ უარი უთხრეს სამუშაო ადგილზე, მიეცა 15000 ლირა (danni morali); 1909 წლის 8 მაისს ფლორენციის სააპელაციო სასამართლომ ფულადი ანაზღაურება დააკისრა ქმრის სასარგებლოდ იმ პირს, რომელიც იმყოფებოდა მის აწ გარდაცვლილ მეუღლესთან უკანონო კავშირში, რაც ქმრისათვის ცნობილი გახდა გარდაცვლილი მეუღლის ბარათების გაცნობის შემდეგ. იტალიაში, ნათქვამია ამ გადაწყვეტილებაში, იურისპრუდენცია მუდმივად მხარს უჭერს მორალური ზიანის ანაზღაურებას. „ქმედება, რომელიც ეხება სხვის ღირსებას, არა მარტო აუარესებს განაწყენებულის მდგომარეობას და განაპირობებს მისი ეკონომიკური კეთილდღეობის პირდაპირ კლებას ამ გზით, არამედ შეურაცხყოფს გრძნობებს, რომლებიც ცხოვრებას ხდის სასიამოვნოსა და ბედნიერს, არღვევს სიმშვიდეს, სულის უმფოთველობას, შინაურ და ოჯახურ სამყაროს“¹. მორალური ზიანის ანაზღაურებისას, იტალიის სასამართლოები წინა პლანზე არ აყენებენ იმ შინაგანი მოტივების კვლევას, რომლებიც მოსარჩელეს იბულებულს ხდის მოითხოვოს მისი ღირსების ფულადი შეფასება. „მოსამართლეს არ შეუძლია და არც უნდა გადააკეთოს მოდავე მხარეების ფსიქოლოგია, — აღნიშნავს ფლორენციის სააპელაციო სასამართლო მითითებულ გადაწყვეტილებაში. იგი ანგარიშს უწევდა მხოლოდ განსაკუთრებულ ინტერესს და სადაც ასეთი არის, აღიარებდა შესაბამისი უფლებას“².

¹ Беляцкий С. А. Возмещение (имущественного) вреда С. Петербург, „Право“, 1913., с. 22-23.

² მისივე, გვ. 23.

პალერმოში საკასაციო სასამართლო აღიარებს მამაკაცის მიერ დაქორწინების შეპირების გზით ან შეპირების გარეშე შეკცდენილი, თუნდაც ზრდასრული ქალის უფლებას, წარადგინოს სარჩელი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, ჩადენილი ქმედების სისხლის სამართლის კანონით დასჯადობის მიუხედავად. მიიჩნეოდა, რომ ქალი ამ დროს განიცდიდა არა მარტო მატერიალურ ზიანს, არამედ კარგავდა ღირსებასა და მომავალს.

მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იტალიის სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებამ, მიუხედავად მის მიმართ იურიდიული ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული წინააღმდეგობისა, მყარად მოიკიდა ფეხი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვეთრად გაძლიერდა მორალური ზიანის ანაზღაურების ტენდენცია. ამერიკის სასამართლოებმა დაიწყეს მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრება სულიერი ტანჯვის მიყენებისათვის. ეს პრაქტიკა გავრცელდა ე.წ. ტეხასის საქმის შემდეგ, როდესაც საფინანსო კომპანიებმა ვალების აკრეფის მკაცრი მეთოდებით გამოიწვიეს ცალკეულ პირთა ძლიერი სულიერი აღელვება. ანალოგიური სიტუაციები წარმოიშვა აგრეთვე ჯორჯიისა და ოჰაიოს შტატებში.

ჯორჯიის შტატში საგადასახადო ინსპექტორმა გადასახადის ამოღების მიზნით, სცადა შესულიყო შენობაში, რომელშიც იმყოფებოდა დაზარალებული 11 წლის გოგონა. იმის გამო, რომ გოგონამ უარი განაცხადა მის შემვებაზე, ინსპექტორმა დაიწყო კარებზე ბრაზუნა, ბავშვს ციხითაც დაემუქრა. რამაც შეაშინა დაზარალებული, მას გაუჩნდა სახლში მარტო დარჩენის შიში, დასჩემდა უძილობა, განუვითარდა ნერვული სპაზმები. შტატის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ფიზიკური ზიანი, როგორც შიშის შემდეგ, ექვემდებარება ანაზღაურებას, თუკი

(როგორც მოცემულ შემთხვევაში) შიში გამოწვეულია წინასწარ-განზრახული ან უხეში გაუფრთხილებელი მოქმედებით.

ოკაიოს შტატში ნისიად ნაყიდი საქონლის გადასახადის ამკრეფნი იყენებდნენ რიგ აკრძალულ ხერხებს, მოვალეების დამსაქმებლებთან ყოველდღიური სატელეფონო ზარების ჩათვლით, რათა ამ უკანასკნელთ მიეღოთ ზომები დაუდევარი გადამხდელების მიმართ. ყოველივე ეს მოვალეების მოუსვენრობასა და ავადმყოფობასაც კი იწვევდა. შტატის უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოვალეების სარჩელი¹.

ეს და სხვა მაგალითები ადასტურებენ, რომ ამერიკის სასამართლო პრაქტიკამ შესაძლებლად ცნო სულიერი განცდებით გამოწვეული იმგვარი მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოიხატებოდა უძილობით, თავის ტკივილებით ან ჯანმრთელობის შერყევის სხვა სახით. ადრე კი ასეთი შედეგები სასამართლოების მიერ მხედველობაში არ მიიღებოდა. ამგვარი სულიერი განცდები პრაქტიკამ გაათანაბრა ფიზიკურ ტანჯვასთან, რომლებიც ექვემდებარებიან ანაზღაურებას დელიქტური სარჩელების შესაბამისად.

რაც შეეხება რეკოლუციამდელ რუსეთს, მის კანონმდებლობაში პირდაპირი პასუხი შეკითხვაზე მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ არსებობდა. ასევე, არ იყო წესი, რომელიც სასამართლოს მიანიჭებდა მორალური ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების უფლებას. ამავდროულად, პირდაპირ არ იყო აკრძალული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი ისე, როგორც ამას ბალტიისპირეთის რესპუბლიკების კანონმდებლობა ითვალისწინებდა. „თანამედროვე რუსულმა ცხოვრებამ ძლიერ წაიწია წინ, სამოქალაქო სამართალი გასცდა მატერიალურის ფარგლებს, შეიცვალა და გაფართოვდა სამართლებრივი წარმოდგენა ინტე-

¹ Матвеев Ю.Г. Англо-американское деликтное право. „Юридическая литература“, М., 1973, с. 51.

რესისა და ზიანის შესახებ, მან მიადწია არა მხოლოდ სამეურნეო, არამედ არასაგნობრივ ფასეულობათა ცნებების დონეს¹.

ამავდროულად, რუსეთის წარსული არ იძლეოდა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ კერძო პირებს შეეძლოთ მოეთხოვათ სასმართლოებში მხოლოდ და მხოლოდ ქონებრივი ზარალის ანაზღაურება. მკვლელობა, დასახიჩრება, წყენა ადრიდანვე ანიჭებდა დაზარალებულს უფლებას, მიეღო ფულადი ანაზღაურება კანონდამრღვევისაგან წმინდა მორალური ზიანისათვის. ადრეულ პერიოდში სახელმწიფო მხარს უჭერდა და აქეზებდა კიდევ მსგავსი ანაზღაურების მიღებას კანონდამრღვევისაგან, რადგან ეს თანდათან განდევნიდა როგორც დაზარალებულის, ასევე მისი ახლობლების მხრიდან პირადი ანგარიშსწორების ადათს. ისეთი ქონებრივი დარღვევებისას, როგორიცაა ქურდობა, სხვისი საბუთებით უკანონო სარგებლობა, გარდა ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისა, დადგენილი იყო განსაკუთრებული ფულადი ანაზღაურება პირადი „წყენისათვის“. უძველეს დროში წყენას მეტად ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. წყენის ცნება, როგორც ასეთი, მოიცავდა არა მხოლოდ პირადი უფლებების დარღვევას, არამედ უხეშ შეჭრას სხვის სულიერ და მატერიალურ სფეროში, ანუ ეს ცნება აღიქმებოდა ისე, როგორც ძველ რომში და ნაწილობრივ ინგლისურ სამართალში. დროთა განმავლობაში, როცა იწყო მომძლავრება ცენტრალურმა სახელმწიფო ხელისუფლებამ, თავად სახელმწიფო მისწრაფებდა დაეცვა მოქალაქეთა პატივი და ღირსება. ანიჭებდა რა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლებას დაზარალებულს, იმ დროის კანონმდებლობა მხედველობიდან არ უშვებდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობასაც. მორალური ზიანის ანაზღაურების იდეა ასახულია მე-

¹ С. И. Раевич. Гражданское право буржуазно-капиталистического мира в его развитии 1789-1926, (Российская империя) М., Ленинград, 1929., с. 147.

ფეების ივანე III-ისა და ივანე IV-ის სამართლის წიგნებში, რომლებშიც აღნუსხული იყო ზოგიერთი ნორმა „შეურაცხყოფის“ ანაზღაურებაზე. საუბარია გაწბილებულის სასარგებლოდ ფულადი თანხის ამოღებაზე, შეურაცხყოფის ზომა დამოკიდებული იყო დაზარალებულის საზოგადოებრივ მდგომარეობასა და სქესზე. მხედველობაში მიიღებოდა თანამდებობრივი რანგი და შემოსავალი, აგრეთვე სახელმწიფო აღნიშნული ზიანის ანაზღაურებისას ხელმძღვანელობდა გაწბილებულთა (დაზარალებულთა) იერარქიული მდგომარეობით სახელმწიფოებრივ კიბეზე. იგივე შეხედულებაა გატარებული მეფე ალექსი მიხეილის ძის 1649 წლის სჯულდებაში, რომელშიც დადგენილი იყო „შეურაცხყოფის ფულადი ანაზღაურების წესები განსხვავებული წოდების პირთათვის, ქალაქისა და სოფლის მკვიდრთათვის, სამხედრო და სასულიერო პირებისათვის¹. სჯულდება, წინამორბედი საკანონმდებლო აქტების მსგავსად, ადგენს დაზარალებულისათვის დამნაშავეს ხარჯზე ანაზღაურების კრიტერიუმებს, ხოლო როცა მსგავსი კრიტერიუმები არ არის შემუშავებული, სჯულდება პირდაპირ მიუთითებს შეურაცხყოფის ფულადი საზღაურის ოდენობას. არ შეიძლება ყველა შემთხვევაში მივანიჭოთ მოსამართლეს უფლება თავად განსაზღვროს შეურაცხყოფის ზომა საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, იუწყება სჯულდება. მას წინასწარ უნდა ჰქონდეს ხელთ კანონმდებლის მიერ შემუშავებული ტაბულები და უნდა ჰქონდეს განსაზღვრული თანხის შესაბამისი ოდენობა. „თუმცა, ეს ტაბულები და თანხის განსაზღვრული ოდენობა თვითნებურია, ნათქვამია სჯულდებაში, მაგრამ ისინი აძლიერებენ გარეგნულ წესრიგს. ანაზღაურების განსაზღვრის სხვა საშუალებები კანონმდებელს არ გააჩნდა, ხოლო მოსამართლის

¹ Уложение, თავი X, მუხლი 28-ე, 281-ე. იხილეთ აგრეთვე თავი XXII, მუხლი მე-10, მე-11 და სხვა.

რაიმე ნება-სურვილის გათვალისწინების შესაძლებლობა არ იყო, რამეთუ მოსამართლე წარმოადგენდა მხოლოდ კანონმდებლის ნების მექანიკურ შემსრულებელს“. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ქონებრივი ზარალის ანაზღაურების შემთხვევაშიც, იმ დროის კანონმდებელი გასცემდა ბრძანებას ეხელმძღვანელათ წინასწარ განსაზღვრული თანხის ოდენობებით და არ მიეცათ მოსამართლისთვის უფლება თვითნებურად დაედგინა ზარალის ოდენობა.

„მზრების ამოგდებისათვის გვერდების დაშავების გარეშე — რუბლ ნახევარი, სკის მოპარვისათვის სახლიდან, ანუ საფუტკრიდან — სამ-სამი რუბლი, როჭოების ხარგისა — სამი რუბლი, კაკაბის ბადისთვის — ერთი რუბლი¹. სჯულდებას, ისევე, როგორც სხვა უფრო ადრეულ ძეგლებს, წითელ ხაზად გასდევს კანონმდებლის ზრუნვა დაზარალებულის პირადი უფლებებისა და ფასეულობების დაცვის, ასევე კომპენსაციის ოდენობის გამო. იშვიათად, უძძიმეს დანაშაულთა დროს, ხედავდა რა მათში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საფუძვლების დარღვევას, სახელმწიფო დამნაშავეებს აკისრებდა შესაბამის სისხლისსამართლებრივ სასჯელს. პირადი უფლებების ხელყოფის, „შეურაცხყოფის“ ყველა სხვა შემთხვევაში (რომლებიც აღიქმებოდნენ როგორც ადამიანის ფიზიკური ან სულიერი მდგომარეობის დამრღვევნი), ადგილი ჰქონდა ზიანის ანაზღაურებას ფულადი ფორმით².

ზოგადად, კანონები „შეურაცხყოფის“ ანაზღაურებაზე, რომლებიც გადმოცემული იყო საზღვაო წესდებაში და ეკატერინე II-ის მანიფესტში ორთაბრძოლების შესახებ, XIX საუკუნეშიც მო-

¹ Уложение. თავი X, მუხლი 217-219. აგრეთვე, С.И. Расвич, გვ.11.

² С.И. Расвич „Гражданское право буржуазно-капиталистического мира в его развитии 1789-1926. (Российская империя) М. Ленинград, 1929, გვ. 147.

ქმედებდა. ისინი გადავიდნენ კანონთა კრებულში და განთავსდნენ სამოქალაქო კანონების კრებულის სხვადასხვა განყოფილებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს მათ პარაგრაფში სათაურით: „პირად წყენათა ქონებრივი ანაზღაურება“, რომელიც ახდენდა ანაზღაურების ოდენობის დეტალურ რეგლამენტირებას დაზარალებულის სოციალური სტატუსისა და ხელფასის გათვალისწინებით. „აზნაურის, ან სახელმწიფო სამსახურში მყოფი სხვა პირის შეურაცხყოფისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ გაიცემოდა მისივე კუთვნილი ხელფასის წლიური სარგო (Свод гражданских законов., изд. I, მუხლი 381-ე), სასულიერო ხელისუფლების გაწილებისთვის საზღაური ორჯერ მეტი იყო, ვიდრე საერო პირების გაწილებისთვის (მუხლი 382-ე), ქალაქის მკვიდრის სიტყვიერი ან წერილობითი შეურაცხყოფისათვის გაიცემოდა იმ ოდენობის თანხა, რომელსაც ეს უკანასკნელი წლის განმავლობაში იხდიდა ქალაქის ხაზინისა და საქალაქო შემოსავალში. ხელის დარტყმა, თუნდაც უიარალოდ, ანაზღაურდებოდა ორმაგი ოდენობით!.

შემდგომში, როცა წაიშალა მკვეთრი საზღვარი წოდებებსა და კლასებს შორის, შეურაცხყოფის ანაზღაურების გრადაციამ აზრი და მნიშვნელობა დაკარგა. შეიცვალა პასუხისმგებლობა შეურაცხყოფისათვის, თუმცა, ეს არ ცვლიდა დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ. დღის წესრიგში დადგა მორალური ზიანის მიყენებისათვის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხი. უფრო მეტიც, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის უნდა გადასინჯულიყო ცხოვრების ახალი პირობების შესაბამისად.

ზიანის ანაზღაურება რეგულირდებოდა 1851 წლის 21 მარტის კანონის თანახმად. ამ კანონმა ასახა, ერთი მხრივ, რუსული

¹ Беляцкий С. А. Возмещение морального (немущественного) вреда. С. Петербург, „Право“, 1913., გვ. 26-27.

ისტორიული საწყისების ზეგავლენა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, მეორე მხრივ კი, დასავლეთევროპული სამართლის პრინციპები (ფრანგული და ავსტრიული სამართლის ნორმები). კანონი ითვალისწინებდა რა ზიანს დანაშაულებრივი (მუხლი 644-ე) და არადანაშაულებრივი (მუხლი 684-ე) ქმედებების გამო, ყველგან მოიხსენიებდა „ზიანსა და დანაკარგს“, რითაც თითქოსდა იძლეოდა შესაძლებლობას, რომ ამ უკანასკნელ ტერმინში ნაგულისხმევი ყოფილიყო მატერიალური ზარალი არა მხოლოდ ისე, როგორც იგი ესმოდათ დასავლეთის კანონმდებლებს და, კერძოდ, 1851 წლის 21 მარტს კანონის შემდგენლებს.

გაუთხოვარ ქალს, რომელიც გააუპატიურეს ან სახე დაუსახინჩრეს, შეეძლო მოეთხოვა შეურაცხყოფელისაგან მატერიალური ზიანის ანაზღაურება საარსებო სახსრების სახით, მაგრამ იბადება კითხვა – გააჩნდა თუ არა იმავე გაუთხოვარ ქალს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება?

პირადი წყენის ან შეურაცხყოფის მიყენებაში დადანაშაულებულს, შეიძლება დაკისრებოდა ფულადი ანაზღაურება გაწვილებულის სასარგებლოდ (მუხლი 667-ე). ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ერთ-ერთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან.

დედას სურდა მიეღო ანაზღაურება რკინიგზის მუშაკთაგან იმისათვის, რომ მისი მცირეწლოვანი შვილი დაიღუპა დიდი სიჩქარით მიმავალი მატარებლის გამო. არაერთგზის შეტანილ საჩივარზე მას ყველგან პასუხობდნენ: „შვილს ჩვენ ვერ დაგიბრუნებთ“, მაგრამ ნუთუ დაზარალებული დედის მოთხოვნა შეიძლება გავაიგივოთ ვაჟის მკვდრეთით აღდგომის სურვილთან? განა მას არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა ანაზღაურება მიყენებული ტანჯვისათვის? შვილის დაბრუნება შეუძლებელია, აღუვსებელია დანაკლისი, მაგრამ მიღებული თანხა გარკვეულად შეუმსუბუქებდა იმ დარდს, რომელიც დაკავშირებულია მორალურ ზიანთან. კერძოდ, ეს ფული შეიძლება დახარჯულიყო მეორე მცირეწლოვანი ვაჟის აღზრდისათვის,

რითაც შვილის დამკარგავ დედას შეუშუსუბუქდებოდა ამ ფაქტით გამოწვეული განცდები.

მორალური ზიანისთვის კომპენსაციის დაკისრებას პრევენციული ხასიათიც აქვს, რადგან ზიანის მიმყენებელმა უნდა ივარაუდოს, რომ მის მიერ მიყენებული მორალური ზიანი დღის წესრიგში დააყენებს მის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, რაც მისთვის ნამდვილად არ არის სასურველი.

ახასიათებდა რა სენატის 1909 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებას საავტორო უფლების დარღვევის გამო კამათზე, ს. ბელიაკინი წერდა: „არამატერიალური ზიანის გათანაბრება მატერიალურთან და ამავდროულად დაზარალებულისათვის არამატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა, ნიშნავდა სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოს სრული უსუსურობის აღიარებას. ვინაიდან მორალური ზიანის ანაზღაურების ერთადერთი საშუალება არის დაზარალებულისათვის სულიერი სიმშვიდის მინიჭება, სასამართლომ კანონის შესაბამისად უნდა გამოიტანოს სათანადო გადაწყვეტილება. ამგვარად, ჩვენს სასამართლო პრაქტიკას ეძლევა შესაძლებლობა მოახდინოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების პრინციპის ლეგალიზაცია და ამით მოცემულ საკითხში ეზიაროს იმ სამართლებრივ სისტემებს, რომლებმაც დიდი ხანია ეფექტურად დანერგეს იგი პრაქტიკაში. ეს ეხება საფრანგეთს, იტალიას და ა.შ. ამ პრინციპის ათვისება ზიანის ანაზღაურების ჩვენეულ პროცესში აგვარიდებდა მრავალ სავალალო შედეგს და დააჩქარებდა ჩვენივე სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართლის პროგრესულ განვითარებას“¹.

არამატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე პირდაპირი აკრძალვების არარსებობის მიუხედავად, კანონმდებლო-

¹ Его же; с.40.

ბას, სასამართლო პრაქტიკასა და მეცნიერულ კონცეფციებს გააჩნდათ აშკარა პრიორიტეტები, რაც გამოიხატებოდა მატერიალურ ფასეულობათა სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ორიენტაციაში.

ასე, მაგალითად, პ. გუსაკოვსკი აღნიშნავს, რომ „მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება პირისთვის, რომელმაც განიცადა ზნეობრივი ზიანი, უცილობლად იწვევს იმ აშკარად შეუსაბამო მდგომარეობას, რომლის ძალითაც აღნიშნული ანაზღაურება არ უნდა იყოს არც ზიანისა და არც მისი გამომწვევი ქმედების ჩადენაში ბოროტი განზრახვის წილის თანაზომიერი, არამედ მეტ-ნაკლებად უნდა შეესაბამებოდეს დაზარალებულის მიერ განცდილ სულიერ ტანჯვას“¹.

აღსანიშნავია, რომ არამატერიალურ ფასეულობათა სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის პრინციპები განიხილებოდა რევოლუციამდელ მეცნიერთა პუბლიკაციებში, რომლებსაც განეკუთვნებიან: მ. აგარკოვი, გ. გერბილოვსკი, ა. კამინზა, ე. პასეკი, ლ. პეტრაჟიციკი, ი. პოკროვსკი, გ. შერშენევიჩი, ვ. შრეტერი².

საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობა, რომელიც 74 წელს მოიცავს, არ ცნობდა ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის ფულადი ანაზღაურების შესაძლებლობას. 20-იანი წლების სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ გვხვდებოდა სარჩელი, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა მსგავსი სარჩელი არასდროს დაკმაყოფილებულა³.

ითვლებოდა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება უცხოა

¹ Гуссаковский Т.Н. Вознаграждение за вред. жур. „Министерство юстиции“, 1912., №8, с. 35.

² Шелютто И.А. Гражданско-правовая защита чести, достоинства и деловой репутации, Автореферат, канд. дисс. М., 1997.

³ „Вестник советский юстиций“ 1923, №6, ст.132, „Судебная практика РСФСР“ 1927, №6, ст.10.

სოციალისტური მართლშეგნებისა და სამართლისათვის, რამეთუ ამცირებს ადამიანის ღირსებას, და, გარდა ამისა, პრაქტიკულად შეუძლებელია მორალური ზიანის ფულადი განსაზღვრა¹.

ასე მაგალითად, 1923 წელს ხარკოვის გუბერნიის სასამართლომ გააუქმა ერთ-ერთი სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება შეურაცხყოფისათვის შეტანილი სარჩელის გამო. სასამართლომ უარი იმით ახსნა, რომ „საბჭოთა სახელმწიფოში ადამიანის ღირსება შეიძლება დაცული იყოს სისხლის სამართლის, მაგრამ არა სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებით და კაპიტალისტური წყობისაგან განსხვავებით, პიროვნება დგას იმაზე მაღლა, რომ მისი ღირსება ფულადი სახით ანაზღაურდეს“².

მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა საბჭოთა სინამდვილის 50-60-იანი წლებში. ამ თაობის მეცნიერები, მართალია, არ დაობდნენ ქონებრივი ზიანის ფულად ანაზღაურებაზე, მაგრამ არაქონებრივი ზიანის კომპენსაციის შესაძლებლობის საკითხი დიდი ხნის განმავლობაში დისკუსიის საგნად რჩებოდა.

ძირითადად, ჩამოყალიბდა სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული პოზიცია. ამ მიმართებით, მაგალითად: ი. გურევიჩი, ა. ლიბერმანი, და ე. ფლეიშიცი ამტკიცებდნენ, რომ არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია წარმოადგენს ისეთი სიკეთის ფულად ეკვივალენტზე გადაყვანას, როგორცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი და ადამიანის შემოქმედებითი მიღწევები, რაც შეუთავსებელია საბჭოთა საზოგადოების შეხედულებებთან და, ამდენად, არაქონებრივი ზიანის ფულად გამოსახულებაში გადაყვანა არ შეიძლება¹. ანალოგიურ პოზიციას იზიარებდა

¹ Зейц А. Возмещение морального вреда по советскому праву – „Еженедельник советской юстиции“, 1927, N47, ст. 1465.

² Зейц А. Возмещение морального вреда по советскому праву, „Еженедельник советской юстиции“ 1927, N47, ст. 1455.

ს. ბრატუსიც, რომელსაც მიაჩნდა, რომ არაქონებრივი ზიანი, ვერ შეფასდება და არც ანაზღაურდება ფულით².

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადიკალური მოთხოვნით გამოდიოდა გ. მატვეევიც. მისი აზრით, სოციალისტური საზოგადოება უზრუნველყოფს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას და სრულად აკმაყოფილებს მოქალაქეთა ყველა სოციალურ და პოლიტიკურ მოთხოვნას, რის გამოც საბჭოთა სამოქალაქო საზოგადოებისათვის მიუღებელია ფულადი კომპენსაცია პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში³. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პასუხი შეკითხვაზე დარღვეული არაქონებრივი ფასეულობების ქონებრივი ანაზღაურების შესახებ იყო ერთმნიშვნელოვანი – „არ არის და არც შეიძლება იყოს“. ამავე პოზიციას აღიარებდნენ ქართველი მეცნიერები, პროფესორი რ. შენგელია და დოცენტი თ. ცაგურია, რომლებიც ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომებში იხილავდნენ რა ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, აღნიშნავდნენ, რომ ზიანის მიმყენებელმა უნდა აანაზღაუროს დაზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი. რაც შეეხება არამატერიალური უფლებების დარღვევის შემთხვევებს, ისინი შეუძლებლად მიიჩნევდნენ მის ფულად ანაზღაურებას და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდნენ, რომ „არაქონებრივი ზიანის განსაზღვრა ფულადი

¹ Гуревич И. Честь и другие немущественные права граждан и их охрана в советском гражданском праве, „Советская юстиция“, 1939, №81 с 29; Либрман А, Охрана немущественных прав „Советская Юстиция“, 1940, с. 19-24; Флейшниц А. Обязательство из причинения вреда и неоснавательного обогащения М. „Госюриздат“ 1954, с.24.

² Братусь С.Н. указ. соч. с. 75. შეზღოვში ავტორმა შეცვალა თავისი შეხედულება და მხარი დაუჭირა მიყენებული მორალური ზიანისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაწესების საკითხს. (Братусь С.Н. Юридическая ответственность и законность, М, 1976, с. 20.

³ Матвеев Г.К. Ви́на в советском гражданском праве. Киев. 1955, ст. 40. და მისივე Основания гражданско-правовой ответственности, М., 1979, ст.39-40).

შეფასებით არ ხდება და არ შეიძლება მისი ანაზღაურება დაზარალებულისათვის განსაზღვრული თანხის მიკუთვნებით¹.

გასული საუკუნის 50-60 წლების ზემოთ აღნიშნულ მეცნიერთა ნაშრომები საზრდოობდა ადრეული პერიოდის მეცნიერების გ. შერშენევიჩისა და სხვათა იდეებით, რომლებიც მორალური ზიანის ანაზღაურების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, კერძოდ, გ. შერშენევიჩი ჯერ კიდევ 1915 წელს მოითხოვდა რუსული სამართლიდან იმ ნორმების ამოღებას, რომლებითაც პირადი წყენის ან შეურაცხყოფის მიყენებისას ზიანის მიმყენებელს, გაწვილებულის მოთხოვნით შეიძლებოდა დაკისრებოდა ფულადი ანაზღაურება. აღნიშნულით მეცნიერი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ პირადი შეურაცხყოფა არ ექვემდებარება არავითარ მატერიალურ შეფასებას, რამეთუ იგი პიროვნებას აყენებს ზნეობრივ და არაქონებრივ ზიანს. ე.ი. შერშენევიჩი ყურადღებას ამახვილებდა ე.წ. ზნეობრივი ზიანის მატერიალური საშუალებებით ანაზღაურების პრინციპის მიზანშეუწონლობაზე².

მორალური ზიანის ანაზღაურების მოწინააღმდეგეთა პოზიცია სრულყოფილი და შეჯერებული სახით წარმოადგინა რ. სავატიემ 1972 წელს გამოცემულ ნაშრომში „ვალდებულებათა თეორია“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ პიროვნებისათვის მიყენებული ზიანის ფულადი ანაზღაურების კანონიერება სადავოა, მაშინაც კი, როცა ფულს ნამდვილად შეუძლია დაზარალებულისათვის ტანჯვის შემსუბუქება³.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულ მეცნიერთა მსგავსად

¹ რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება. თბ., 1991. გვ. 18; თ. ცაგურია, „სამოქალაქო პასუხისმგებლობა მუშაკის დაშავების ან სიკვდილიანობისათვის“, თბ., 1965, გვ. 17; ბ. ზოიძე, არაქონებრივი ინტერესი ქონებრივ ურთიერთობაში, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1983, 2, გვ.17-24.

² Шершеневич Г.Ф. Учебник русского гражданского права, т.2, изд. одиннадцатое, М., 1915, с.251.

³ Саватье Р. Теория обязательств, М., 1972, с.394.

სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურაშიც არსებობდა მოსაზრებები მორალური ზიანის ანაზღაურების წინააღმდეგ. „მიყენებული უბედურების ფულადი შეფასება ეწინააღმდეგება ჩვენს მორალურ შეხედულებებს“, – წერდა გერმანელი მეცნიერი ჰ. ჰერნერი¹. ამასთან, ჰ. ჰერნერი და სოციალისტური ქვეყნების სამოქალაქო სამართლის სხვა წარმომადგენლები არ დაობდნენ იმ მატერიალური ზარალის ანაზღაურების მართებულებაზე, რომელიც არ იყო დაკავშირებული მორალურ ზიანთან.

ერთერთი მძლავრი არგუმენტი, რომელსაც მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის მოწინააღმდეგეთა შეხედულება ეყრდნობა იმაში მდგომარეობს, რომ მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება თავისი სოციალური ბუნებით ეწინააღმდეგება სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს და იგი მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის ჩვეულ მოვლენად იყო მიჩნეული. მეორე არგუმენტი კი მორალური ზიანის ფულადი ეკვივალენტით გამოთვლის შეუძლებლობა გახლდათ.

მორალური ზიანის ანაზღაურების მოწინააღმდეგეთა მიერ მითითებული ორივე არგუმენტი მოკლებული იყო დამაჯერებლობას. აღნიშნულს ცხადყოფს ის, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა საბჭოთა კავშირში სრულებითაც არ უშლიდა ხელს უცხოეთში მყოფ საბჭოთა მოქალაქეს არაქონებრივი ზიანის არსებობის შემთხვევაში სარჩელით მიემართა შესაბამისი სასამართლოსათვის და მოეთხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება. საქმე ასეთ შემთხვევაში განიხილებოდა კანონდარღვევის ადგილის კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის პრინციპი, როგორც ამის შესახებ მართებულად შენიშნა ნ. მალეინმა, მსხვერპლად ეწირებოდა ვალუტის მიღების მიზანს¹. ესე იგი, მითი იმის შესახებ, რომ საბჭოთა

¹ Гражданское право Германской Демократической Республики, Обязательственное право., М., 1959, с. 772.

ადამიანი სხვებისაგან გამორჩეული, ყველაფრით უზრუნველყოფილია და, ამდენად, მორალური ზიანის ფულად ეკვივალენტში ანაზღაურება შეურაცხყოფდა მის პირად ღირსებას, უსაფუძვლოა.

ნაკლებად დამაჯერებელია ასევე მორალური ზიანის ანაზღაურების მოწინააღმდეგეთა მტკიცება მორალური ზიანის ფულად გამოსახულებაში გადაყვანისა და მისი შეფასების შეუძლებლობის შესახებ. ცხადია, ადამიანის სიცოცხლე, ან თუნდაც ჯანმრთელობა ფულით ვერ შეფასდება. მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს არც აქვს ამის პრეტენზია, ვინაიდან, როგორც მართებულად მიუთითებდა ჯერ კიდევ 1927 წელს ბ. უტევსკი, კომპენსაცია ამ შემთხვევაში გამიზნულია დაზარალებულისათვის მძიმე შედეგის ნაწილობრივ აღმოსაფხვრელად ზოგადი და კერძო პრევენციის მიზნით². სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავს დამტყდარი ტანჯვის სრული ანაზღაურება პრაქტიკულად მართლაც წარმოუდგენელია, მაგრამ მორალური ზიანის კომპენსაციის თვით ფაქტის არსებობაც კი მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს დაზარალებულის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. სამართლიანობის რწმენას მატებს მას და, პირიქით, თუ სახელმწიფო სამართლებრივი დაცვის გარეშე დატოვებს დაზარალებულის (ან მისი ახლობლის) მორალურ და ფიზიკურ განცდებს, მაშინ დამატებითი ტრავმა ადგება დაზარალებულს და აყენებს გამოუვალ მდგომარეობაში.

მორალური ზიანის ანაზღაურების წინააღმდეგ რადიკალურად განწყობილი მეცნიერებისაგან განსხვავებით, მეცნიერთა ერთი ჯგუფი უშვებდა მორალური ზიანის კომპენსაციის შესაძლებლობას კანონით დადგენილ შემთხვევებში, მაგალითად, მ. აგარკოვი უარს ამბობდა რა ფულადი კომპენსაციის საყოველთაოდ დანერგვაზე

¹ Малсин Н.С. О моральном вреде. „Государство и право“ (1993 №10. с. 3.

² Утевский Б. Возмещение неимущественного вреда как мера социальной защиты. „Еженедельник сов. юстиции“ 1927. № 35, с. 1083.

არაქონებრივი ზიანის მიყენების ყველა შემთხვევისათვის, ამტკიცებდა, რომ მაშინ, როდესაც დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანებას ამ უკანასკნელისათვის მოაქვს ხანგრძლივი ტანჯვა და განცდები, სასამართლოს შეუძლია აიძულოს ზიანის მიმყენებელი პირი, აუნაზღაუროს დაზარალებულს, ქონებრივი ზარალის გარდა, დამატებით სასამართლოს მიერ განსაზღვრული თანხა განცდილი ძლიერი სულიერი ტანჯვის საკომპენსაციოდ¹.

ე.ი. მ. აგარკოვი დასაშვებად თვლიდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას მხოლოდ ქონებრივ ზიანთან ერთად ამ უკანასკნელზე დამატების სახით. ამავე პოზიციებზე მყოფი ს. ბრატუსი კი იმ ობიექტთა გაფართოების მიზანშეწონილობის წინადადებით გამოდიოდა, რომლებიც დელიქტურ ვალდებულებათა სფეროდან მომდინარეობდნენ და იმსახურებდნენ სამართლებრივ დაცვას, კერძოდ, ს. ბრატუსი საუბრობდა ქონებრივი პასუხისმგებლობის დადგენის აუცილებლობაზე შემდეგ შემთხვევებში:

მორალური ზიანის მიყენებისათვის, რომლებსაც განიცდის ადამიანი დროის უშედეგო ფლანგვის, იმ გამაყრუებელი საწარმოო ხმაურისა და ვიბრაციულობის გამო, რომელიც გაისმის პირველ სართულზე განლაგებულ მაღაზიებსა და საცხოვრებელი სახლების სარდაფებში, სანიტარული კონტროლის მოთხოვნის უგულებელყოფით მოწყობილი სახელოსნოებიდან გამონაბოლქვის გამო, რომელიც ბინაში აღწევს საიზოლაციო მოწყობილობათა გაუმართაობის მიზეზით და ა.შ.².

მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მომხრეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ზოგიერთი სპეციალისტ-თეორეტიკოსი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისთანავე ცდილობდა კანონ-

¹ Агарков М.М. Обязательства из причинения вреда. „Проблемы социалистического права“, 1939 N1, с. 74.

² Братусь С.Н. Юридическая ответственность и законность „Юридическая литература“, М., 1976. с. 202.

მდებლების ყურადღება მიექცია შეზღუდვის გარეშე მორალური ზიანის ანაზღაურების აუცილებლობაზე. ამ მიმართულების შემქმნელად ბ. ლაპიციკი მოიაზრება, რომელიც თვლიდა, რომ „მოცემულ შემთხვევაში ფული ასრულებს არა რეალური ტანჯვის, არამედ მისი კომპენსაციის ეკვივალენტის როლს“¹. მორალური ზიანის შეზღუდვის გარეშე ანაზღაურების იდეას ჯერ კიდევ 1928 წელს გამოეხმაურა და მხარი დაუჭირა ქართველმა იურისტმა გ. რცხილაძემ².

60-70-იან წლებში კი ასპარეზზე გამოვიდა მეცნიერთა ახალი თაობა მ. მალეინას³, გ. შიმანოვის⁴, დ. მაიდანის, ნ. სერგეევას⁵, ი. კალმიკოვის⁶, საქართველოში – თ. ნინიძის⁷, ჯ. ხეცურიანის⁸ და სხვათა სახით, რომლებმაც დამაჯერებლად დაასაბუთეს მორალური ზიანის ანაზღაურების საკანონმდებლო მიზანშეწონილობის შესაძლებლობა, კერძოდ:

ლ. მაიდანის და ნ. სერგეევა წერდნენ, რომ იმ შემთხვევებში, როცა მორალური ზიანი შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ან შემსუბუქებული მატერიალური სახსრებით, დაზარალებულს მინიჭებული უნდა ჰქონდეს ამ სახსრების ანაზღაურების უფლება სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე⁹.

¹ Лапицкий Б., Вознограждение за немущественный вред, “Сборник Ярославского университета”, Ярославль, 1990, вып. 1.

² გ. რცხილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, „საბჭოთა სამართალი“, 1918, გვ 81.

³ Маленн Н.С. Возмещение вреда, причиненного личности М., „Юридическая литература“, 1965, с. 18.

⁴ Шиминова М.Я. Имущественная ответственность за моральный вред. ж. /Советское государство и право/, 1970. 1, с. 118.

⁵ Майданник Л.А., Сергеева Н.Ю. Материальная ответственность за повреждение здоровья, М., „Юридическая литература“, 1968, с. 17.

⁶ Калмыков Ю.Х. Возмещение вреда, причиненного имуществу, Саратов, 1965, 1928, с. 22.

⁸ Хецуриани Д.Г. Значение моральных норм в советском гражданском праве, с. 43-45.

⁹ Майданник Д.А., Сергеева Н.Ю. Материальная ответственность за повреждение здоровья, т., „Юридическая литература“, 1968, с. 19.

მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებდა ზოგიერთი ყოფილი სოციალისტური ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაც. ასე მაგალითად, ანაზღაურების ვალდებულება გათვალისწინებული იყო ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობით. ამასთანავე, შეიძლება აღინიშნოს, რომ უნგრეთში მსგავსი ნორმა არ არსებობდა, მაგრამ, როგორც ელე სილბერეკი წერს: „სასამართლო პრაქტიკა სულ უფრო და უფრო ხშირად იძლეოდა სიგნალს მიყენებული მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთების მოწესრიგების თაობაზე“¹.

ვაჯამებთ რა მორალური ზიანის ანაზღაურების პრობლემასთან დაკავშირებულ მრავალრიცხოვან შეხედულებებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ თეორიული კონცეფციების მრავალფეროვნებისა და მრავალ ცივილიზებულ ქვეყანაში მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის წარმატებული განვითარების მიუხედავად, საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა 1990 წლამდე არ ცნობდა მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმებს, მაშინ, როდესაც ისტორიული გამოცდილების გააზრებული გამოყენება რუსეთისა და საზღვარგარეთის კანონმდებლობაში ხელს შეუწყობდა მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის თანმიმდევრულ განმტკიცებასა და მოქნილ ფუნქციონირებას.

პირველი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებას, იყო 1991 წლის 19 დეკემბრის რუსეთის ფედერაციის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოში შესაბამისი კანონის მიღება, რომელმაც განამტკიცა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისას. ასევე, განამტკიცა მოქალაქეთა უფლება რუსეთის ფე-

¹ Сильберек Еле. О модификации гражданского кодекса. Обзор венгерского права, 1979, №1, с. 18.

დერაციისა და, შესაბამისად, ქართულმა კანონმა „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას, როდესაც გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს და ჩირქს სცხებს მის პატივსა და ღირსებას, ან აყენებს მას სხვა სახის არაქონებრივ ზიანს. სასამართლოს გადაწყვეტილებით ანაზღაურება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ასევე დამნაშავე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ, სასამართლოს მიერ დადგენილი თანხის ოდენობით¹.

მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის განვითარების შემდეგი ეტაპი იყო დამსაქმებელთა მიერ მუშაკებისათვის დასახიჩრებით, პროფესიული დაავადებით ან ჯანმრთელობის იმგვარი მოშლით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების წესების შემოღება, რომელიც დაკავშირებულია ამ უკანასკნელთა მიერ შრომითი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან (შემდგომში „წესები“)².

აღნიშნული წესები განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების სახეობებს და მართლზომიერად მიჯნავს მორალური ზიანის ანაზღაურებას დამატებითი ხარჯების ანაზღაურებისაგან, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი განიხილავს როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების ფორმას³.

დამსაქმებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს მორალური ზიანი (ფიზიკური და სულიერი ტანჯვა), რომელიც მან განიცადა შრომითი საქმიანობის შედეგად. მორალური ზიანი

¹ Закон РФ. О средствах массовой информации. „Ведомости съезда народных депутатов и Верховного Совета РФ“, 1991, №59.

² Закон РФ. О средствах массовой информации, „Ведомости съезда народных депутатов и Верховного Совета РФ“, 1991, №59.

³ Ярошенко К.Б. Жизнь и здоровье под охраной закона, Гражданско-правовая защита личных немущественных прав граждан, М., „Юридическая литература“, 1990, 127-128.

ანაზღაურდება ფულადი ან სხვა მსგავსი მატერიალური ფორმით, ანაზღაურებას დაქვემდებარებული ქონებრივი ზარალისაგან დამოუკიდებლად.

აღსანიშნავია დამსაქმებლის ვალდებულება, აუნაზღაუროს მარჩინალდაკარგულ ოჯახს მორალური ზიანი, რაც, მნიშვნელოვნად აფართოებს იმ პირთა წრეს, როდლებსაც აქვთ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება¹.

საწარმო ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულ მუშაკს, მისი ბრალის მიუხედავად, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული მორალური ზიანი. სხვა შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების პირობას წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის ბრალი. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც ზიანს იწვევს მომეტებული საფრთხის წყარო, თუკი დაზარალებული შრომით დამოკიდებულებებში არ იყო ზიანის მიმყენებელთან.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის II ნაწილის მიხედვით ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადას, სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით, იგი შეადგენს 3 წელს იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

აქედან გამომდინარე თუ მორალური ზიანი გამოწვეულია არაქონებრივი სიკეთის ხელყოფით, ის ყოველთვის ანაზღაურდება, ხოლო თუ მორალური ზიანი გამოწვეულია ქონებრივი სიკეთის ხელყოფით, მაშინ მისი ანაზღაურების მოთხოვნა ექვემდებარება სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის 3 წლიან ვადას.

¹ Ярошенко К.Б. Жизнь и здоровье под охраной закона, М., „Юридическая литература“, 1990, с. 127-128.

მიყენებული ზნეობრივი ან ფიზიკური ტანჯვის კომპენსაციის თაობაზე საქმეთა განხილვის დროს, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ მორალური ზიანი კანონის მიერ აღიარებულია როგორც არაქონებრივი ვნება, მიუხედავად იმისა, რომ მისი კომპენსაცია ხდება ფულადი ან სხვა მატერიალური ფორმით. მთელ რიგ ნორმატიულ აქტებში ისეთი ნორმების გათვალისწინება, რომლებიც განამტკიცებენ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებას, წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის განვითარების გზაზე. მორალური ზიანის მატერიალური ზარალის ტოლფასად ცნობა, იმ სამართლებრივი ნორმების სრულყოფა, რომლებიც აწესრიგებენ მოქალაქეებისა და იურიდიული პირების უფლებას მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რეკომენდაციებზე, რომლებსაც შეიმუშავენ სასამართლო პრაქტიკა ზიანის ანაზღაურებისა და მისი ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებში. მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის განვითარების პროცესში იზრდება ამ უფლების სუბიექტთა სამართლებრივი განსაზღვრის აუცილებლობა. თუმცა, ძნელია კანონმდებლობაში ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ვარიანტის გათვალისწინება, მაგრამ ეს აუცილებელია. პირველ რიგში საუბარია იმ საერთო სოციალური ნორმების სრულყოფაზე, რომლებიც კანონმდებლობაში განამტკიცებენ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებას მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაზე.

ვაანალიზებთ რა მორალური ზიანის ანაზღაურების ისტორიული განვითარების ასპექტს, მივდივართ დასკვნამდე, რომ საქართველოში, ისევე როგორც სსრკ-ში შემაჯავალ სხვა რესპუბლიკებში, მეცნიერები შესაბამის საკითხთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზის უქონლობის გამო, თავს არიდებდნენ (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელო-

ბასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას, კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ მატერიალური ზიანის საკითხებთან დაკავშირებული საქმეების გაშუქებითა და ანალიზით.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა სამოქალაქო კანონმდებლობის გადასინჯვისა და სრულყოფის საკითხი, მათ შორის, მორალური ზიანის ანაზღაურების პრობლემა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ახალ სამოქალაქო კოდექსში მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის გათვალისწინება არაქონებრივი უფლების დარღვევისას სასამართლოს მეშვეობით. საგულისხმოა, რომ ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე არსებობდა ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებდნენ ზემოაღნიშნულ საკითხს. ასეთებს განეკუთვნება საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 10 აგვისტოს მიღებული კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 30 ივნისს მიღებული კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ და სხვა, რომელთა ანალიზიც მოცემული იქნება შემდგომ თავებში.

მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი არ არის მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობის გადასაწყვეტი პრობლემა. იგი მთლიანად მოიცავს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებულ ურთიერთობებს, რის გამოც დაუშვებელია ადამიანის პატივისა და ღირსების, ისევე როგორც სიცოცხლის ხელყოფა, რასის, კანის, ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ხოლო ასეთ ხელყოფას თუ მაინც ექნება ადგილი, უნდა ამოქმედდეს სამართლებრივი დაცვის რეალური მექანიზმი, რომელიც მოიცავს მორალური ზიანის ანაზღაურებასაც.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისადმი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზრუნვას ცხადყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, რომლის პირველი მუხლის შესაბამისად, ყველა ადამიანი თავისუფალი და ღირსეებითა და უფლებებით თანასწორი იბადება. მოცემულ მუხლში სიტყვა „თანასწორი“ გულისხმობს, რომ არანაირი გარემოება, მათ შორის ფსიქიკური დაავადება, საგანგებო მდგომარეობა, საომარი ვითარება და სხვა არ შეიძლება გახდეს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვის საფუძველი. ხელყოფის შემთხვევაში კი ასეთ პირს აქვს დაცვის უფლება.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესმა და საქართველოს გაწვევრიანებამ ევროსაბჭოში კიდევ უფრო გააფართოვა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციების მოქმედების სფერო. აღნიშნულმა, თავის მხრივ, განაპირობა ადამიანის პატივისა და ღირსების კონსტიტუციურ ნორმად ჩამოყალიბება. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი აღიარებს რა პატივისა და ღირსებას, როგორც ადამიანის ხელშეუვალ უფლებას, განსაზღვრავს მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმს.

პატივისა და ღირსების დაცვასთან დაკავშირებით აღმოცენებულ უფლებებს საზოგადოებაში მორალური და სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ. ისინი განსაზღვრავენ სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას პირადი უფლებების რეგულირებაში და ადგენენ ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის საზღვრებს, რაც პატივისა და ღირსების დაცვის შესაძლებლობას იძლევა და გამორიცხავს ადამიანისათვის სულიერი ტანჯვის მიყენებას, მის მიმართ ქედმაღლურ დამოკიდებულებას, სინამდვილისადმი შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური ცნობების გავრცელებას.

აქედან გამომდინარე, დანაშაულის გამოძიების პროცესში

დაუშვებელია პროცესის მონაწილეთა და სხვა პირთა მიმართ ისეთი საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედებების ჩატარება, რომლითაც ილაზხება მათი პატივი და ღირსება (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი, მე-5 და მე-7 ნაწილები); ბრალდებულების დაკითხვა ღამის საათებში, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა (საქართველოს სსსკ-ის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილი); პირადი ჩხრეკის ჩატარება სხვა სქესის თანამდებობის პირის მიერ, ასევე სხვა სქესის დამსწრეთა მონაწილეობით (საქართველოს სსსკ-ის 325-ე მუხლის მე-4 ნაწილი) და სხვა. დაკავებული ეჭვმიტანილებისა და პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების, განსასჯელებისა და მსჯავრდებულების მიმართ პატივისა და ღირსების შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების შესაძლებლობას გამორიცხავს საქართველოს მთელი რიგი დარგების შესაბამისი ნორმებიც: სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა და მისი ღირსების დამცირება – აღნიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილში. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიციის საქმიანობა ემყარება პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის მოვალეობას (მე-4 მუხლის პირველი ნაწილი); მსჯავრდებულთა მიმართ გამოყენებული სასჯელი ასევე არ უნდა იყოს მისი პატივისა და ღირსების შემლახველი („პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-10 ნაწილი).

მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასჯელალსრულებით დაწესებულებებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის პატივისა და ღირსების დაცვას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს პროკურატურა („პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა იწვევს დისციპლინურ,

ცალკეულ შემთხვევებში კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სხვადასხვა ხერხებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხსაც, კერძოდ, მასში ასახვა ჰპოვა უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებამ (მუხლი 165-ე), სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლებმა (მუხლი 221-ე), ბრალეულობის საკითხმა რეაბილიტაციის დროს უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას (მუხლი 222-ე), უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებამ (მუხლი 225-ე) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნულმა კოდექსმა მიუთითა რეაბილიტაციისა და სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საპროცესო წესებსა (მუხლი 227-ე) და მექანიზმებზე (მუხლი 229-ე).

აღნიშნულ საკითხებზე მათი აქტუალობიდან გამომდინარე, უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება საუბარი.

თავი მესამე

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მორალური ზიანის მიყენებისათვის

სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება გულისხმობს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში თითოეული მოქალაქის მართლშეგნების ზრდისა და სრულყოფის რთულ და საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მოწოდებულია ხელი შეუწყოს არა მხოლოდ საზოგადოების მაღალი სოციალური ფასეულობების – დემოკრატიის, სამართლიანობისა და ა.შ. განვითარებას, არამედ უზრუნველყოს კიდევ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მინიჭებულ უფლებათა რეალიზაცია და, რაც მთავარია, შეიმუშაოს ამ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, მათი დაცვისა და აღდგენის სრულფასოვანი მექანიზმი.

მორალური ზიანისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის განხილვამდე მიზანშეწონილია გავანალიზოთ ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებების პრობლემა.

სამოქალაქო სამართალში მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი ვალდებულება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ და მნიშვნელოვან ინსტიტუტს, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: ა) იგი მოიცავს საკითხთა დიდ წრეს, რომელთა გადაწყვეტა არსებითად განსხვავდება სახელშეკრულებო ურთიერთობების სფეროში წარმოშობილი საკითხების მოწესრიგებისაგან; ბ) მასში კონცენტრირებულია არა მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი, არამედ მთლიანად სამართლის მეცნიერების პრობლემები (მაგალითად, სამართალდარღვევის ცნების, სამართალსუბიექტთა პასუხისმგებლობის, ზიანისა და ზარალის ცნების პრობლემა და ა.შ.).

ამასთან, ზიანის მიყენებისას წარმოქმნილი ვალდებულება მიეკუთვნება სამართლებრივ ინსტიტუტთა რიცხვს, რომელთა თორია გადაჯაჭვულია აქტუალურ პრაქტიკულ საკითხებთან. კერძოდ, მათთან, რომლებიც ეხება ფიზიკური და იურიდიული პირების სასიცოცხლო ინტერესებს. სწორედ ამით აიხსნება მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც კანონიერების განმტკიცებისათვის ერთ-ერთი სამართლებრივი საშუალებისა, ქონებრივი ურთიერთობის, სამართლის დაცვისა და ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესების დაცვის სფეროში.

ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ზიანის ფაქტის არსებობა. როგორც სხვა შემთხვევაში, კანონი აქაც ზოგადად განსაზღვრავს ამ დროს წარმოშობილი ვალდებულებების შინაარსს და ხასიათდება იმით, რომ ფიზიკური და იურიდიული პირებისადმი მიყენებული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას ზიანის მიმყენებლის მიერ.

ზიანი შეიძლება გამოწვეული იყოს ვალდებულების შეუსრულებლობით ან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების ან ადმინისტრაციული აქტის არაჯეროვანი შესრულებით და ა.შ.

ასეთ შემთხვევებში მისი ანაზღაურების მოვალეობა წარმოადგენს სანქციას ამ ვალდებულების დარღვევის გამო, რომელიც უნდა შესრულდეს ნატურით. მაგრამ მაშინაც კი, როცა ერთი მხარე ვალდებულების დარღვევის სახით მეორეს უარს ეუბნება შესრულებაზე, ან ეს უკანასკნელი ქმედება ხდება შეუძლებელი, წარმოიქმნება არა მარტო ახალი ვალდებულება, არამედ ერთი ვალდებულება იცვლება (ნატურით შესრულებით) მეორით (ზარალის ანაზღაურებით).

სხვაგვარადაა საქმე, როცა ერთი პირი ზიანს აყენებს მეორეს, იმის მიუხედავად, არსებობდა თუ არა მათ შორის ვალდებულებითი ურთიერთობა. ასეთ შემთხვევაში, თვით ზიანის მი-

ჰენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომლის თანახმად დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის მიმყენებლისაგან მისი ანაზღაურება.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა, რაც ეკისრება ზიანის მიმყენებელს, ან პირს, რომელსაც კანონის ძალით ევალება მისი ანაზღაურება. აღნიშნული ეხება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების მიხედვით ერთმანეთისგან ასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, ანუ დელიქტურ (ლათინურიდან delictum – სამართალდამრღვევი) პასუხისმგებლობას.

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ეს არის პასუხისმგებლობა მხარეებს შორის უკვე დადებულ ვალდებულებაზე.

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ხასიათდება იმით, რომ იგი დაკავშირებულია მევალის კონკრეტული ვალდებულების დარღვევასთან და, შესაბამისად, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ კანონის ნორმებით, რომელიც არეგულირებს თვით დარღვეულ ვალდებულებას. მაგალითად, თუ დამქირავებელი ქონებრივი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ არ უბრუნებს გამქირავებელს ქონებას ან უბრუნებს დაზიანებული სახით, მაშინ დამქირავებლის პასუხისმგებლობა, რამდენადაც იგი არღვევს (არ ასრულებს) თავის კონკრეტულ მოვალეობას გამქირავებლის წინაშე, იქნება სახელშეკრულებო და განისაზღვრება სახელშეკრულებო ვალდებულების საერთო ნორმებითა და იმ ნორმებით, რომლებიც აწესრიგებენ ქონების ქირავნობის ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში გამქირავებლის (კრედიტორის) დარღვეული უფლება დაცულ იქნება სახელშეკრულებო სარჩელით მისი კუთვნილი ქონების დაბრუნებაზე ან მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე, გამოწვეული ხელშეკ-

რულებით დადებული მოვალეობის შეუსრულებლობით ან არასათანადო (არაჯეროვანი) შესრულებით. რაც შეეხება ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას, ჩვენი აზრით, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლს, როგორც ზოგადი ნორმის მოქმედება, ვრცელდება სახელშეკრულებო ურთიერთობებზეც, თუ კანონით განსაზღვრული იქნება მისი ანაზღაურება. „ამასთან უნდა ითქვას, რომ შეიძლება მხარეები ხელშეკრულებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მაგრამ მორალური ზიანის ანაზღაურება მივიჩნიოთ დელიქტურ პასუხისმგებლობად ასე მაგალითად, პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობას სამედიცინო მომსახურებაზე, მართალია ხელშეკრულება უდევს საფუძვლად, მაგრამ აქედან წარმომდგარი ზიანი დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებით ანაზღაურდება (1007-ე მუხლი).¹ ან სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, როდესაც გამყიდველმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, რომ გაეთავისუფებინა სახლი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, რის გამოც მყიდველი და მისი ოჯახი ზამთრის რამდენიმე თვის განმავლობაში იძულებული იყო ეცხოვრა შევიწროვებულ პირობებში სხვადასხვა ნათესავეებთან, რამაც გამოიწვია სულიერი განცდები და დისკომფორტი. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების დარღვევამ დღის წესრიგში დააყენა ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურება და ამავდროულად, დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხი, რაც გამოიხატება მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებაში.

ამისგან განსხვავებით, არასახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობისას, ზიანის მიყენების შემთხვევაში, ზიანის მი-

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III, თბ., 2001, გვ. 471.

მყენებელი არღვევს არა თავის მოვალეობას დაზარალებულის წინაშე, არამედ საერთო ვალდებულებას სხვისი ქონების ხელყოფისაგან თავის შეკავებაზე. მაგალითად, ქონების დატაცების დროს პირი არღვევს მესაკუთრის აბსოლუტურ უფლებას საკუთრებაზე. ზუსტად ამგვარად, მოქალაქის დასახიჩრებით ირღვევა დაზარალებულის აბსოლუტური უფლება – სიცოცხლეზე, სხეულის ხელშეუხებლობაზე და ა.შ.

ამ შემთხვევებში, დაზარალებულის მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე გამოძინარეობს არა მოპასუხის მიერ დარღვეული სავალდებულო ურთიერთობიდან, არამედ ეყრდნობა არასახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის (დელიქტის) ფაქტს. ამიტომ დარღვეული უფლება დაცული იქნება მხოლოდ არასახელშეკრულებო სარჩელის წარდგენით. არასახელშეკრულებო, ანუ დელიქტური პასუხისმგებლობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი განიხილება ისევე, როგორც სამართალურთიერთობის დარღვა

ვევა და რეგულირდება ვალდებულებითი სამართლის ნორმების გარეშე. აღსანიშნავია სხვა განსხვავებაც სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობისას. კერძოდ, გამოყენების პირობებსა და პასუხისმგებლობის მოცულობაზე მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, თუ კანონი არ შეიცავს პირდაპირ აკრძალვას ამის შესახებ. ამისგან განსხვავებით, არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა რეგულირდება ნორმებით, რომელიც ატარებს იმპერატიულ ხასიათს და არავითარ შეთანხმებას მხარეებს შორის პირობის წარმოშობის ან პასუხისმგებლობის მოცულობის მხრივ არ უშვებს.

გარკვეული განსხვავება შეინიშნება ამ პასუხისმგებლობის სახეობათა ფორმაშიც. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს როგორც ზიანის ანაზღაურების ფორმით, ისე პირგასამტეხლოს გადახდით, ხოლო არასახელშეკრულებო

(დელიქტური) პასუხისმგებლობა გამოდის მხოლოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფორმიდან (ნატურით – დარღვეული ქონების აღდგენის გზით აღრინდელი მდგომარეობით ან მიყენებული ზიანის კომპენსაციით).

მიგვაჩნია, რომ ძნელად მოიძებნება პრობლემა, რომელიც გამოიწვევდა უფრო გაცხოველებულ დისკუსიას ცივილურ მეცნიერებაში, ვიდრე ზიანის მიყენების შემთხვევაში მისი ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო – სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

ძირითადად კამათის საგანს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ არის თუ არა სამართალდარღვევის არსებობა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი, დადებით შემთხვევაში ამ შემადგენლობის რომელი ელემენტებია აუცილებელი პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის.

ზოგიერთი ავტორის აზრით, სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობა წარმოადგენს არა ძირითად, არამედ ერთადერთ საფუძველს პასუხისმგებლობისათვის, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სამართალდარღვევის შემადგენლობა არასრულია, არ შეიძლება ლაპარაკი ზიანის მიყენებლის პასუხისმგებლობაზე. „სამართალდარღვევის შემადგენლობის დაუმთავრებლობის გამო, – წერს ს. ალექსეევი, პირს არ შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა“¹.

მორალური ზიანის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის ზოგად საფუძველს წარმოადგენს:

1. თვით მორალური ზიანი;
2. ზიანის მიყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა;

¹ Алексеев С.С. О составе гражданского правонарушения „Правоведение“, 1958, №1, с. 48.

3. არამართლზომიერ ქმედებასა და მორალურ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი;

4. ზიანის მიმყენებლის ბრალი.

ახლა დაწვრილებით განვიხილოთ მიყენებული მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის თითოეული პირობა.

პასუხისმგებლობის ერთ-ერთ პირობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს მორალური ზიანის არსებობა. იგი ნიშნავს ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში.

მორალური ზიანის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა ის, რომ თვით ნეგატიური ცვლილებები ხდება დაზარალებულის შეგნებაში და ფორმას, რომელშიც ეს ცვლილებები გამოიხატება (თუ ისინი საერთოდ პოულობენ მისაწვდომ გარეგნული აღქმის გამოხატულებას), აქვს უშუალო დამოკიდებულება სუბიექტის ფსიქიკურ თავისებურებასთან. მაგალითად, ცრემლდენა გამოხატავს რა ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ რეაქციას მიყენებულ ტკივილზე, მწუხარების დროს, შეიძლება იყოს მხოლოდ ირიბი მტკიცებულება მორალური ზიანის მიყენებაზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში პირდაპირი. ამდენად, უხვი ცრემლდენის გათვალისწინება მიყენებული მორალური ზიანის საზომად ძნელი მისაღებია.

მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის შემდეგ პირობას წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მდგომარეობს კანონის ნორმების, სხვა ნორმატიული აქტებისა და შესაბამის შემთხვევებში-ხელშეკრულების პირობების დარღვევაში. მართლსაწინააღმდეგო შეიძლება იყოს როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ პირის მოქმედებამ ნორმით დადგენილი წესი დაარღვია, ადგილი აქვს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას. მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობა გამოიხატება იმაში, რომ პირმა არ შეასრულა მოქმედე-

ბა, რომელიც უნდა შეესრულებინა. კანონმდებელი დასაბუთებულად მიიჩნევს მორალური ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის პირობებად მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ა. ერდელევსკი წერს: „უნდა მოქმედებდეს პრინციპი „მორალური ზიანის პრეზუმფციის შესახებ“, რომლის შინაარსი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ნებისმერი ფიზიკური პირი, რომლის მიმართ ჩადენილია მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), მიიჩნევა დაზარალებულად, თუ ქმედების ჩამდენი ვერ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს“. ეს არსებითად აადვილებს დაზარალებულის პოზიციას. ამავე დროს, ჩადენილმა ქმედებამ შეიძლება უარყოს ეს პრეზუმფცია. მაგალითად, ცილისწამების გამავრცელებელს შეუძლია დაეყრდნოს დაზარალებულის უუნარობას, შეიცნოს მასზე გავრცელებული სამარცხვინო ცნობა (მაგალითად, ჭკუასუსტობის გამო) და დაამტკიცებს რა ამ ვითარებას, გათავისუფლებულ იქნება მიყენებული მორალური ზიანის პასუხისმგებლობისაგან“¹.

ეს იდეა, ჩვენი შეხედულებით საყურადღებოა, რადგან იგი ეთანხმება საერთო სამართლის თეორიას და უნდა იყოს საკანონმდებლო წესით განმტკიცებული. მორალური ზიანის მოცემული ფორმულირება ნორმის სახით აიოლებს დაზარალებულის პოზიციას, რადგან ზიანის მიმყენებელი და არა დაზარალებული, ამტკიცებს თავის უდანაშაულობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანაშაულის არარსებობის მტკიცების ტვირთი აწევს სამართალდამრღვევს. მიგვაჩნია, რომ მორალური ზიანის პრეზუმფცია უნდა უკავშირდებოდეს პასუხისმგებლობის განაწილების პრინციპს (პასუხს აგებს ის, ვინც დაარღვია კანონი და არა ის, ვინც განიცადა ზიანი კანონის დარღვევით).

მორალური ზიანის ანაზღაურების დროს, მართლზომიერი „მოქმედებისა“ და „უმოქმედობის“ შემოღება შესაძლებლობას

¹ Эрделевский А.М. Компенсация морального вреда, М., 1996, с. 24.

იძლევა შეფასდეს მიყენებული მორალური ზიანი. მოქმედება არ ითვლება მართლსაწინააღმდეგოდ, თუ პირი კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე უფლებამოსილი ან ვალდებული იყო მიყენებინა ზიანი. მაგალითად, ასეთად ჩაითვლება მუხანდრეების მიერ ხანძრის ჩაქრობისას კარებისა და ფანჯრების მინების მტვრევა, ქირურგის მიერ ფეხის ამპუტაცია, აუცილებელი მოგერიების დროს მიყენებული ზიანი და ა.შ. ასეთ დროს არ შეიძლება მსჯელობა ვიქონიოთ მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, რადგან აღნიშნული მოქმედება განპირობებულია სამსახურებრივი მოვალეობით, სასიცოცხლო აუცილებლობით ან კანონის ძალით.

ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზიანი, რომელიც მიყენებულია მოქალაქის მიერ ხულიგნური და სხვა დანაშაულებრივი მოქმედებების აღკვეთით ან დამნაშავის დაკავებით.

აღსანიშნავია, რომ მორალური ზიანის პრეზუმფცია პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობიდანაც, რომელიც ითვალისწინებს ყოველი მხარის მიერ იმ გარემოებათა მტკიცების უფლებას, რომლებსაც იგი მიიჩნევს მოთხოვნისა და დავის საფუძველად. ამასთან, სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობა მიყენებული ზიანის ფაქტის დასამტკიცებლად, დანაშაულის დამტკიცებისაგან განსხვავებით, არ ადგენს არავითარ განსაკუთრებულ წესებს.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს არა მარტო ზიანის მიმყენებელს, არამედ მესამე პირსაც, რომლის ინტერესებისთვისაც მოქმედებდა ზიანის მიმყენებელი.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს მესამე პირის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუ ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა მისი ინტერესების დასაცავად.

ქმედებათა მართლწინააღმდეგობა, როგორც მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი არის ობიექტური უფლებების წინააღმდეგობა შესაბამის ნორმებთან.

მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხარეთა შორის (ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის) სახელშეკრულებო ურთიერთობების არარსებობისას, რომლის დროსაც ადგილი აქვს დელიქტურ პასუხისმგებლობას. თუმცა, სახელშეკრულებო ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასაც შეუძლია მიაყენოს პირს მორალური ზიანი ქონებრივი უფლებების დარღვევისას მიყენებული ზიანის კომპენსაცია შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ზიანის ანაზღაურების აუცილებლობა გათვალისწინებულია კანონით.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას. საკითხისადმი ამგვარ მიდგომას ვხვდებით ინგლისურ-ამერიკულ და კონტინენტური ევროპის სამართალში. მაგალითად, აშშ-ს კონტრაქტების სამართლის ნორმათა კრებულის პარაგრაფ 353-ით¹ დადგენილია, რომ „ემოციური მღელვარების კომპენსაცია არ დაიშვება, თუ კონტრაქტის დარღვევამ არ გამოიწვია სხეულის დაზიანება, ან თუ კონტრაქტი ან მისი დარღვევა არ იყო ისეთი, რომ ემოციური მღელვარება ყოფილიყო მოსალოდნელი შედეგი“. ასეთი კომპენსაცია დასაშვებია: პირველი, თუ მღელვარება გამოწვეულია სხეულის დაზიანებით, ამ შემთხვევაში სარჩელი თითქმის ყოველთვის განიხილება, როგორც დელიქტიდან გამომდინარე სარჩელი და მეორე – კონტრაქტი, ან მისი დარღვევა თავისი ბუნებით ისეთია, რომ სერიოზული ემოციური მღელვარება არის მისი მეტნაკლებად მოსალოდნელი შედეგი.

¹ Lon F. Fuller, Melvin Arom Eisenbberg, Basic, Contract Law. West Dublshing Co., 1981. P.181.

მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის გარდა, ანაზღაურებას ექვემდებარება მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანი, თუ პასუხისმგებლობა ასეთ მოქმედებაზე სპეციალურადაა გათვალისწინებული კანონში.

მართლზომიერება დამახასიათებელია აგრეთვე იმ ქმედებისათვის, რომელსაც ადგილი აქვს უფლებამოსილი პირის მიერ მიყენებული ზიანისას.

დაზარალებულის თხოვნა ან თანხმობა ზიანის მიყენებაზე როგორც წესი, ათავისუფლებს ზიანის მიმყენებელს ანაზღაურების ვალდებულებისაგან (მაგ., ექიმის მიერ ავადმყოფისთვის ფეხის ამპუტაცია, მეხანძრის მიერ სხვისი ქონების დაზიანება), იმ შემთხვევის გარდა, როცა ზიანის მიმყენებლის ქმედება არღვევს პასუხისმგებლობისთვის დადგენილ სამართლებრივ პრინციპებს, რაც დგინდება სასამართლოს მიერ, საქმის კონკრეტული მდგომარეობისა და მიმყენებლის ქმედების შეფასებიდან გამომდინარე.

მართლსაწინააღმდეგო ქმედება არის აუცილებელი პირობა მორალური ზიანის დადგომისათვის, მაგრამ ხშირად ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენა და ამიტომ სასამართლოს მიერ ამ მოვლენებსა და ზიანს შორს მიზეზობრივი კავშირის დადგენა ძნელდება. ცხოვრებაში ამ საკითხმა მიზეზობრივი კავშირის რიგ თეორიებში წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა, რაც ძირითადად გამოიხატა შემდეგში: მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლიდა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა იყოს აუცილებელი პირობა (*conditio sine qua non*) ზიანის მიყენებისას და რომ ამ ქმედების არარსებობისას ზიანი არ დადგება. მეორენი კი მიზეზობრივი კავშირის არსებობას ადასტურებდნენ, თუ მოცემული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არსებითად ზრდიდა მიყენებული ზიანის მოცულობას.

მით უფრო რთულდება მიზეზობრივი კავშირის დადგენა იმ

შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი ხშირად ათეული წლების შემდეგ ვლინდება.

ზიანი მიზეზობრივად დაკავშირებული უნდა იყოს იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან, რომელსაც წარედგინა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე.

მიზეზობრივი კავშირი ვარაუდი კი არ არის, არამედ ფაქტების ობიექტურად არსებული ნამდვილი კავშირია. სასამართლო, რომელიც განიხილავს მიყენებული ზიანის ანაზღაურების კონკრეტულ საქმეს, ვალდებულია დაადგინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის ასეთი კავშირის არსებობა.

დელიქტურ ვალდებულებებში მნიშვნელოვანია დამნაშავეის პასუხისმგებლობის პრინციპი.

ზიანის მიმყენებელი შეიძლება იყოს არა მარტო ფიზიკური, არამედ იურიდიული პირიც. იურიდიული პირის მიერ მიყენებული ზიანი პრაქტიკულად წარმოადგენს მისი მუშაკის მიერ არამართლზომიერი მოქმედების ან უმოქმედობის შედეგს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები გამოყენებული უნდა იქნეს მთელი მოცულობით და, ამგვარად, კანონის თვალსაზრისით, დაზარალებულმა უნდა დაამტკიცოს მიყენებული მორალური ზიანი, რათა სასამართლომ გადაწყვიტოს საკითხი მისი ანაზღაურების შესახებ. მაშინ, როდესაც მსოფლიოს ზოგიერთი სახელმწიფოს სასამართლოების პრაქტიკის განზოგადება გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ფაქტობრივად იყენებენ მორალური ზიანის პრეზუმფციას და ადგენენ რა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტს, მორალურ ზიანს თვლიან მიყენებულად და შემდეგ იხილავენ საკითხს ფულადი ფორმით მისი ანაზღაურების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის შესაბამისად კი მტკიცების საშუალებებს წარმოადგენს მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტება, მოწმის ჩვენება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცება, ექსპერტის

დასკვნა. მოსარჩელის განმარტება მიღებულ ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვაზე, გვევლინება პირდაპირ მტკიცებულებად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ საკითხის განხილვისას.

რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებებსა და ექსპერტის დასკვნას, ისინი ითვლებიან არაპირდაპირ მტკიცებულებად მორალური ზიანის მიყენების დასამტკიცებლად (მაგალითად, მოწმემ დაინახა, თუ როგორ ტიროდა დაზარალებული, როგორ კვნესოდა იგი და ა.შ.).

მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქმეთა განხილვისას, სასურველია, რომ სასამართლოებმა გადაწყვეტილებაში მიუთითონ, თუ რა სახის ტანჯვა აქვს მიყენებული მოსარჩელეს. ასეთის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ძნელი დასადგენი იქნება, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობს სასამართლო და რა მოტივით თელის მორალური ზიანის მიყენების ფაქტს დადგენილად. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან, რომელიც, ვფიქრობთ, წაადგება ამ საკითხთან დაკავშირებული ჩვენი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და სრულყოფას.

სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ-მ, რომელიც ითხოვდა მოპასუხესთან მომუშავე ქმრის გარდაცვალებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას. მოსარჩელის გადმოცემით, ზარალი შედგებოდა მეუღლის დასაფლავებისათვის გაღებული ხარჯებისაგან. ამასთან, ნ. ითხოვდა 10 000 ლარის გადახდას მორალური ზიანისათვის, რაც გამოწვეული იყო მეუღლის გარდაცვალებით მიყენებული სულიერი ტანჯვით. სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია დაექმყოფილებინა მოსარჩელის მოთხოვნა, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე 10 000 ლარის ოდენობით.

როგორც ირკვევა, სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას გააჩნდა

ხარვეზი, რაც გამოიხატება შემდეგში: იმისათვის, რომ გადაწყვეტილება ყოფილიყო დამაჯერებელი, სასამართლოს საქმის განხილვისას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა მოსარჩელის ნათესავების დასტურიც მისი სულიერი და მორალური განცდების თაობაზე, რისთვისაც აუცილებელი იყო ისინი საქმეში ჩამპულიყვნენ, როგორც თანამოსარჩელები. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს, მათ ჩვენებებზე დაყრდნობით, საშუალება მიეცემოდა ობიექტურად ემსჯელა მიყენებული მორალური ზიანის ხარისხზე და განესაზღვრა მისი ანაზღაურებისათვის განკუთვნილი რეალური თანხის ოდენობაც.

აღნიშნული კატეგორიის საქმეების განხილვისას, მოსამართლის დამოკიდებულება მორალური ზიანის კომპენსაციაზე, განსაკუთრებით ითხოვს მისგან ყურადღებასა და შესწავლას. კერძოდ, მოსამართლემ არსებითად უნდა შეისწავლოს მიყენებული მორალური ზიანის ხარისხი და ობიექტურად განსაზღვროს მისი შესაბამისობის საკითხი მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ თანხასთან მიმართებაში. ამისათვის იგი უნდა დაეყრდნოს იმ უტყუარ მტკიცებულებებს, რაც უდავოდ ადასტურებს მოსარჩელისათვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. გადაწყვეტილებაში დაასაბუთოს ის მოტივები, რაც საფუძველად უდევს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი კომპენსაციის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს:

მოსარჩელის ავტომანქანა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო დაზიანდა.

მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვდა მანქანის შესაკეთებლად გაწეული ხარჯების ანაზღაურებას 2 000 ლარისა და მორალური ზიანის ანაზღაურებას ათასი ლარის ოდენობით. მოპასუხემ მიყენებული მატერიალური ზიანის შესახებ სარჩელი ცნო, რაც შეეხება მორალური ზიანის შესახებ სარჩელს, იგი ცნო ნაწილობრივ, რამდენადაც თვლიდა, რომ ავარიის შედეგად მო-

სარჩელეზე მიყენებული მორალური ზიანი არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ ათას ლარს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში ექვემდებარებოდა ნაწილობრივ დაკმაყოფილებას 300 ლარის ოდენობით, რამდენადაც სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოსარჩელე საქმის განხილვისას ორსულად იყო და ავტომანქანის უქონლობით მოცემულ შემთხვევაში მას გარკვეული დისკომფორტი შეექმნა. კერძოდ, ქალი იძულებული გახდა მიემართა შესაბამისი ორგანოებისათვის სათანადო დოკუმენტაციის გასაფორმებლად.

მართალია, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, მაგრამ გადაწყვეტილებაში არ მიუთითა იმ მოტივების თაობაზე, რაც საფუძვლად დაუდო მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. ამავე დროს, არ მიუთითა იმის შესახებ, თუ რატომ ჩათვალა მიყენებული განცდები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად.

მოყვანილი სასამართლო გადაწყვეტილებები გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ფაქტობრივად იყენებენ მორალური ზიანის პრეზუმფციას, თუმცა, საჭიროა პრეზუმფციის დასაბუთება მტკიცებულებათა საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სასამართლოებმა მორალური ზიანის ანაზღაურების საქმის განხილვისას აუცილებლად უნდა გაარკვიოს: რითი დასტურდება დაზარალებულისათვის სულიერი ან ფიზიკური ტანჯვის მიყენების ფაქტი, როგორ ვითარებაში და როგორი მოქმედებით (უმოქმედობით) არის იგი მიყენებული, ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი, როგორი სულიერი და ფიზიკური ტანჯვა გადაიტანა დაზარალებულმა, რა თანხით აფასებს ის კომპენსაციის ოდენობას და სხვა ვითარებები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ კონკრეტული დავის გადაწყვეტაში.

ამასთან დაკავშირებით, სასურველი იქნებოდა აღნიშნულ კრიტერიუმებს ასახვა ეპოვა ჩვენს სამოქალაქო კოდექსში, როგორც ეს არის საფრანგეთის, შვეიცარიისა და ევროპის სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში.

მორალური ზიანის მიყენებისას პასუხისმგებლობის შემდეგ საფუძველს წარმოადგენს ბრალის არსებობა.

ბრალი ეს არის საზოგადოებრივად გასაკიცხი ქმედება, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს როგორც განზრახვის, ისე გაუფრთხილებლობის ფორმით.

ზიანი, მიყენებულ განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედებით, ექვემდებარება ანაზღაურებას. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს გაუფრთხილებლობის ფორმას თუ დადგენილია პირის ბრალეულობა ზიანის მიყენებაში, იგი იწვევს ანაზღაურების ვალდებულებას დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანისათვის.

ზიანის მიმყენებლის ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობა, პირდაპირ არის მითითებული სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში. კერძოდ, „პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული ქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელმყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად“.

როგორც აღნიშნული დეფინიციიდან ირკვევა, პირადი არაქონებრივ უფლებების დაცვა ხორციელდება ხელმყოფის ბრალის მიუხედავად, რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ასეთი მე-18 მუხლის თანახმად, დასაშვებია

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მორალური ზიანი გამოწვეულია ბრალეული ქმედებით, ამავე დროს, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში ერთმნიშვნელოვნად არის მითითებული არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად იბადება კითხვა, რამდენად არის ერთმანეთთან შესაბამისობაში ჩვენ მიერ დასახელებული „მე-18“ და „413-ე“ მუხლები.

ისმის კითხვა, თუ კანონმდებელმა 413-ე მუხლში მიუთითა პასუხისმგებლობის საფუძველზე კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, მაშინ რა საჭირო იყო მე-18 მუხლში კატეგორიული მითითება, მხოლოდ ბრალეული ქმედების შემთხვევაში მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების თაობაზე?

მიგვაჩნია, რომ არამატერიალურ სიკეთეთა (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი თავისუფლება და ხელშეუხებლობა, საიდუმლოს გაუმჟღავნებლობა, ჯანმრთელობა, სიცოცხლე და ა.შ.) ხელყოფისას მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება არ უნდა იყოს დაკავშირებული მხოლოდ ზიანის მიმყენებლის ბრალეულ ქმედებასთან.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის ბუნდოვანი შინაარსი და მისი შეუსაბამობა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლთან, ჩვენი აზრით, იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლოში დამკვიდრდეს არაერთგვაროვანი და არასწორი პრაქტიკა. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაზუსტდეს 413-ე მუხლის გამოყენების არეალი და მეტი გარკვეულობისთვის დაკონკრეტდეს ის შემთხვევები, როცა შესაძლებელია მორალური ზიანის ანაზღაურება ბრალის არსებობის მიუხედავად.

საგულისხმოა, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 1100-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს იმ შემთხვევებს, როცა მორალური ზიანის კომპენსაცია ზორციელდება ბრალის

მიუხედავად. მათ განეკუთვნება: 1. ზიანი, რომელიც მიადგა ადამიანს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ; 2. ზიანი, მიყენებული მოქალაქისადმი უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით ან პატიმრობის, ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის, ან გამასწორებელ სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელების არასწორად დაკისრების შედეგად; 3. ზიანი მიყენებული ისეთი ცნობების გავრცელებით, რომლებიც ლახავენ პირის პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციასა და სხვა კანონით გათვალისწინებული შემთხვევები.

მოქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლებაა სახელმწიფო ორგანოების ან მათი თანამდებობის პირების არაკანონიერი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ეს დებულება დაკონკრეტებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლში, სადაც მითითებულია, რომ „რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა, რომ არაქონებრივი უფლების (სიკეთის) ხელყოფისას მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისას დაშვებული შესაძლებლობანი, რომელიც მოცემულია მე-18, 413-ე, 1005-ე მუხლებსა და სპეციალურ კანონებში და, რაც მთავარია, საქართვე-

ლოს კონსტიტუციაში, შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი და ერთმნიშვნელოვნად აღიარებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ბრალის გარეშეც.

მორალური ზიანის ანაზღაურება დასაშვებია იმავე საფუძვლით, რომელზეც იგება საერთო პასუხისმგებლობა ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კანონმდებელმა წინასწარ გამორიცხა ბრალის არარასებობისას კომპენსაციის ოდენობის გარკვევის შესაძლებლობა, ე.ი. მორალური ზიანის მიყენებისთვის ბრალი წარმოაჩინა როგორც პასუხისმგებლობისთვის აუცილებელი პირობა. თუმცა, კანონი გამონაკლისის სახით ითვალისწინებს მორალური ზიანის კომპენსაციას ბრალის გარეშეც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით სახელმწიფო პასუხს აგებს მიყენებულ ზიანისთვის ბრალის მიუხედავად.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესახებ ამჯერად არ ვისაუბრებთ, რადგან უფრო დეტალური მსჯელობა ამ პრობლემის ირგვლივ გვექნება წიგნის მომდევნო თავებში.

სახელმწიფო ორგანოებისა ან თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა გათვალისწინებული იყო საქართველოს რესპუბლიკის კანონით „უცხოური ინვესტიციების შესახებ“, რომელიც შეიცავდა სპეციალურ ნორმას აღნიშნულთან დაკავშირებით. ზემოთ ხსენებული კანონის მე-11 მუხლით „უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე კომპენსაციის სახით, ხელიდან გაშვებული მოგებისა და მორალური ზიანის ჩათვლით, რომელიც გამოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების (ან თანამდებობის პირის) უკანონო ქმედებებით, აგრეთვე უცხოელ ინვესტორთა და მათ მიერ შექმნილ საწარმოთა მიმართ იმ ვალდებულებების შეუსრულებლობით, რომლებიც გათვალისწინებუ-

ლია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით¹.

საგულისხმოა, რომ ხშირად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის პრობლემებთან დაკავშირებით, უპირატესობა ენიჭება მის მასტიმულირებელ და პრევენციულ როლს.

სადავო არ უნდა იყოს ასეთი სახის სანქციის პრევენციული დანიშნულება, როგორც ზიანის მიმყენებლისათვის, ასევე ზოგადად განსაკუთრებით ჩვენს საზოგადოებაში, სადაც ადამიანის სულიერი მყუდროება მნიშვნელოვანი ყურადღების საგნად არის ქცეული.

ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურება, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, შეასრულებს მიყენებული ზიანის კომპენსაციის, დაზარალებულის შელახული უფლებების აღიარების, კერძო და ზოგადი პრევენციის ფუნქციებს².

ჩვენი აზრით, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვაკუთხედს წარმოადგენს მისი საკომპენსაციო ფუნქცია. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის გამკაცრებას (არც ადმინისტრაციული, არც სამართლებრივი) არ შეუძლია შეცვალოს მორალური ზიანის ანაზღაურების აუცილებლობა.

მორალური ზიანის მიყენების შემთხვევაში სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის სრულყოფისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ისეთი მნიშვნელოვანი და პრინციპული პრობლემის განხილვა როგორცაა მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამავე დროს, მორალური ზიანი ანაზღაურდება, თუ მისი

¹ იხ. საქართველოს რესპუბლიკის 1996 წლის 12 ნოემბრის კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“, მუხლი მე-11.

² თ. ნინიძე, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1978, გვ. 55.

მიყენების ფაქტს ადგილი ჰქონდა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის ამოქმედების შემდეგ, ე.ი. ფაქტის დადგომა კანონის ამოქმედებამდე მოსამართლეს არ აძლევს სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში.

მორალურ ზიანს ახასიათებს განგრძობადი ხასიათი. მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც სარჩელის წარდგენის დროს, ასევე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც. ის ფიზიკური თუ ფსიქიკური განცდები, რომელსაც პირი განიცდის, თავისთავად არ გაქრება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. ამას გარკვეული დრო სჭირდება. თუმცა შესაბამისი ტანჯვის მეტ-ნაკლები კომპენსირება სწორედ დაზარალებულისათვის სათანადო კომპენსაციითაა შესაძლებელი.

ზოგიერთ შემთხვევაში, მორალური ზიანი შემოიფარგლება დროის განსაზღვრული პერიოდით და სარჩელის წარდგენის შემდგომ განგრძობადი ზიანის შეწყვეტა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კომპენსაციის საფუძველი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მორალური ზიანის განგრძობადი ხასიათი არ უნდა დავუკავშიროთ მის ისეთ გარდაქმნას, როდესაც დროის გარკვეულ მონაკვეთში ზიანს აქვს მხოლოდ მორალური ხასიათი და შემდეგში იძენს ქონებრივ ხასიათს. მაგალითად, შრომისუნარო მეუღლისათვის მეუღლის დაღუპვის ფაქტი დიდი სულიერი ტრავმის მიზეზია, დროის გასვლის შემდეგ იგი ქონებრივ შედეგსაც იღებს, კერძოდ, შრომისუნარო მეუღლე ვეღარ მიიღებს მეუღლისაგან მატერიალურ დახმარებას.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძველები, რომლებიც განსაზღვრავენ მორალური ზიანის კომპენსაციას ცალკეული სახის სამართალდარღვევებისათვის.

თავი მეოთხე

მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის ზოგადი პრინციპები

არაქონებრივი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი უფრო და უფრო მეტ აქტუალობას იძენს, რაც განპირობებულია პიროვნების, როგორც სოციალური მოვლენის, უფლებებისა და თავისუფლების განვრცობითა და იურიდიული პირების სამართლებრივი სტატუსის ცვლილებით.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, უპირატესად, კომპენსაციური ხასიათი აქვს და მის ოდენობას სასამართლო ადგენს თითოეული საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ ფულადი ფორმითა და განსაზღვრული ოდენობით, ქონებრივი ზარალისაგან დამოუკიდებლად. მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხსა და სხვა საყურადღებო გარემოებებს. ამასთან ერთად, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და სულიერი ტანჯვის ხარისხი. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულისა და მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით ხელშეკრულებისა და ვალდებულების დარღვევით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისას, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს განსაზღვრული თანხა.

სასამართლოს შეუძლია არ დააკმაყოფილოს უკანონო ან დაუსაბუთებელი მოთხოვნა. ცხოვრებისეული ტაქტიკა და პრაქ-

ტიკული გამოცდილება დაეხმარება მოსამართლეს ჯეროვნად გასცეს პასუხი ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს და მოაცილოს ყოველგვარი დაუსაბუთებლობა მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის რთულ მექანიზმს.

ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, ატელიეში კოსტიუმის შეკერვა დაგვიანდა რამდენიმე დღით, რამაც გამოიწვია შემკვეთის სულიერი აღელვება. მაგრამ, ვინაიდან იგი ატარებდა დროებით ხასიათს და არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გავლენა მოეხდინა ადამიანის ფსიქიკაზე, შემკვეთის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. და, პირიქით, თუ პირმა შეუკვეთა საქორწინო კაბა ქორწილის დღისათვის, და ეს შეკვეთა არ შესრულდა დათქმული დღისათვის, რა თქმა უნდა, განცდები, რომელიც მიადგა შემკვეთს, გაცილებით მძიმეა, რადგან იგი დაკავშირებულია მისთვის ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენასთან — საქორწინო რიტუალთან.

კომპენსაცია მორალური ზიანისათვის არ ეკისრება მოპასუხეს, თუ მის მიერ მიყენებულმა ტკივილმა არ გამოიწვია ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა. ასეთ დროს დამტკიცებულ უნდა იქნეს „ხანგრძლივი ტანჯვა“, რომელმაც სერიოზული შედეგები გამოიწვია. მაგალითად, ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ ერთ-ერთი განხილული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელემ მიიღო ნერვული შოკი, გახდა რა მოწმე ავარიისა, რომლის დროსაც დაიღუპა მისი ქმარი და დაშავდა ორი შვილი. დიდი ხნის განმავლობაში მოსარჩელე ღრმა დესპრესიაში იმყოფებოდა. სასამართლომ დაუნიშნა მას კომპენსაცია 2000 ლარის ოდენობით იმის გათვალისწინებით, რომ დესპრესია წარმოადგენს ფსიქიკურ დაავადებას.

ამგვარად, სულიერი მღელვარება, რომელმაც ჯანმრთელობის შერყევა გამოიწვია, სასამართლო პრაქტიკამ მიაკუთვნა ანაზღაურებას დაქვემდებარებულ ფიზიკურ ტანჯვათა რიცხვს. მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა დიდად არის დამოკიდებული სამედიცინო დასკვნაზე, მაგრამ, როგორ გავზომოთ ფულით ტკივილის სიმწვავე და ტანჯვის სიმძიმე? ამ კითხვაზე, საკანონმდებლო თვალსაზრისით პასუხი მზა რეცეპტის სახით არ არსებობს. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა სრულიად მართებულად, მორალური ზიანისათვის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა მიანდო მოსამართლის თავისუფალ ნებას, რათა საქმის ობიექტური და კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, იმსჯელოს ანაზღაურების ოდენობაზე. ზიანის მიყენების შემთხვევაში მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს ანაზღაურების დამოუკიდებელ სახეებს. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც არსებითად ღაზავს პირად უფლებებსა და ფასეულობებს. ამასთან, წარმოდგენელია შელახული პირადი უფლებებისა და ფასეულობების ზუსტი ჩამოთვლა. ამიტომ, კანონმდებელმა მოსამართლე უნდა აღჭურვოს ისეთი უფლებებით, რაც მას საშუალებას მისცემს კანონზე დაყრდნობით, რწმენითა და თავისი შეხედულებით, გონიერულად და სამართლიანად განსაზღვროს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა და, რაც მთავარია, ოდენობა.

მორალური ზიანის ანაზღაურებისას მხარეთა მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინება, არსებითად არ არღვევს მისი ანაზღაურების პრინციპს. პრაქტიკაში ამ თვალსაზრისს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მოსამართლეები ითვალისწინებენ რა ზემოაღნიშნულს, მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას მხედველობაში იღებენ იმას, რომ ცალკეული პირები და მით უმეტეს, მთელი ოჯახები განწირული არ იქნენ ცხოვრების სავალალო პირობებისათვის.

ახლა განვიხილოთ ის საერთო თეორიული მიდგომები, რომლებიც მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხისადმი სამართლის ინგლისურ-ამერიკულ სისტემაში გვხვდება. აქ არსებობს სამგვარი მიდგომა: კონცეპტუალური, პიროვნული და ფუნქციონალური.

კონცეპტუალური მიდგომისას ხდება მორალური ზიანის ანალოგია ქონებრივ ზიანთან. ამ თვალსაზრისის მომხრეები თვლიან, რომ ადამიანის სიცოცხლე, ორგანიზმის ფუნქციები ისეთივე ფასეულობებს წარმოადგენენ, როგორც ნებისმიერი ქონება (სახლი, აქციები და ა.შ.). აქედან გამომდინარე, სხეულსა და მის ნაწილებს გააჩნია ობიექტური ფასეულობა და მათი დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, ექვემდებარება ანაზღაურებას. სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა და იყენებს თავისებურ „ტარიფების სისტემას“, რომლის შესაბამისადაც ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია ზიანის სიმძიმის ხარისხზე. მაგალითად, თვალის დაკარგვა შეფასებულია 3000-4000 ფ. სტერლინგად, საჩვენებელი თითისა – 1250, ყბის ტრავმა – 6250 ფ. სტერლინგად და ა.შ.

აღნიშნული მიდგომის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ არ შეიძლება ამ სისტემით ხელმძღვანელობა, რადგან აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაზარალებულის ყოველდღიური ცხოვრების პირობები და მისი სიცოცხლისა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თვისებები. ცხადია, რომ ხელის ტრავმა პიანისტისათვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მოჭადრაკისათვის. ამიტომაც, გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ტანჯვისა და ტკივილის ხარისხი, ცხოვრებისეული პერსპექტივა, დამახინჯება, ორგანოების ფუნქციის გაუარესება, დაზარალებულის ინდივიდუალური და პროფესიული მოღვაწეობის თავისებურებანი და ჰობიც კი.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება განვიხილოთ ორი შემთხვევა, რომელიც ნათლად მიუთითებს ზიანის მიყენებისას განსხვავებული შედეგების დადგომის შესაძლებლობაზე. მაგალითად, ერთ შემთხვევაში მიყენებული მორალური ზიანის შედეგად ქალს მოეშალა მუცელი, მაგრამ პერსპექტივაში მან შეინარჩუნა შვილის ყოლის უნარი.

მეორე შემთხვევაში კი იმდენად მძიმე იყო სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომ ორსულმა ქალმა ამის გამო საერთოდ დაკარგა შვილის ყოლის უნარი.

საკითხისადმი პიროვნული მიდგომა ეყრდნობა მოსაზრებას, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული განცდების სიღრმე პიროვნების თავისებურებებზეა დამოკიდებული. ამიტომ კომპენსაციის დანიშნულება იმაშიც გამოიხატება, რომ გარკვეულწილად „შეავსოს ბედნიერების დაკარგვა“ და ხელი შეუწყოს აწმყოსა და მომავალში სიცოცხლით ტკობის შესაძლებლობას.

რაც შეეხება ფუნქციონალურ მიდგომას. იგი ითვალისწინებს ბედნიერების „ღირებულების“ დადგენის შეუძლებლობას. აქედან გამომდინარე, ასეთი მიდგომის მომხრეთა აზრით, სასამართლო უნდა უნაზღაურებდეს ისეთ თანხას, რომელიც საკმარისი იქნება მისი „გონიერი ნუგეშისათვის“¹.

აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს მსგავსი განგარიშებისათვის ობიექტური საფუძვლის შემუშავების მცდელობათა ამოებას. სასამართლო პრაქტიკიდან ილუსტრაციის სახით განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა. ზოგიერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში ფიგურირებს დროის ფაქტორი, რაც გულისხმობს განცდების სიმწვავის შემსუბუქებას დროის მსვლელობასთან ერთად. ასე მაგალითად, Imperial Oil v. Prilk-ის საქმის თაობაზე აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა შემდეგი

¹ Ogus F.I. The Law of Damages. L. 1973. P. 195.

ოდენობით კომპენსაცია: დაშავების გამომწვევი ავარიის პირველი თვის განმავლობაში – 100 დოლარი დღეში, მეორე თვეს – 50 დოლარი – დღეში 20 დოლარი შემდეგი ოთხი თვის მანძილზე¹. მოგვიანებით ამ მეთოდზე უარი ითქვა, რამდენადაც მოყვანილი ციფრები თვითნებური მიდგომით ხასიათდებოდა.

კონცეპტუალური, პიროვნული და ფუნქციონალური მიდგომის გარდა, მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, არსებობს სხვაგვარი მიდგომაც, რომლის თანახმადაც, ტკივილისა და ტანჯვის ღირებულება უნდა განისაზღვროს რეალური კრიტერიუმების საშუალებით. ეს ნიშნავს იმ საფასურის კომპენსაციის სახით დანიშვნას, რომლის მიღების შემდეგაც პირი თავისი ნებით დათანხმდება გადაიტანოს გარკვეული ტკივილი.

ცხოვრებისეული პერსპექტივების დაკარგვის შეფასება დაკავშირებულია მიღებული ტრავმის შედეგად სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებასთან. მაგალითად, ი.-მ 70 წლის ასაკში ტრავმა მიიღო. ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 78-79 წელს შეადგენს, რადგანაც სამედიცინო დასკვნის თანახმად ნავარაუდები იყო, რომ პიროვნება იცოცხლებდა არა უმეტეს 1 წელს, კომპენსაცია მიყენებული მორალური ზიანისათვის დაინიშნა 4 000 სტ.-ის ოდენობით. ასეთი მიდგომა არ გამოიყენება ბავშვებისათვის დაშავების მიყენების შემთხვევაში, რადგან მათ ცხოვრების გრძელი გზა უნდა გაიარონ, რაც, თავის მხრივ, ზრდის ანაზღაურების ოდენობას.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, პრაქტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, სამედიცინო კრიტერიუმების საფუძველზე უნდა შემუშავდეს დასახიჩრების სრული ჩამონათვალი შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის გათვალისწინებით და, შესა-

¹ Ogus A.I. The Law of Damages. L.1973, P.195.

ბამისად, მათთვის დადგინდეს კომპენსაციის ოდენობა. სასამართლოებს ექნებათ საშუალება გადაუხვიონ ამ თანხას საქმის გარემოებათა გათვალისწინებით. გამოთქმული მოსაზრების მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ საკითხისადმი ამგვარი მიდგომით ფართო გზა ეძლევა გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეთა სუბიექტურ დამოკიდებულებას და კითხვის ქვეშ დგება დაშავების შედეგად უგონო მდგომარეობაში მყოფი ადამიანის (რომელიც თავისი მდგომარეობის სიმძიმის გამო საერთოდ არ გრძნობს არავითარ ტანჯვას) ტანჯვისათვის კომპენსაციის ოდენობის საკითხი. ასეთ დროს, რეალურად, ტანჯვას განიცდიან მისი ნათესავები.

ყველაზე რაციონალურად გვესახება ფუნქციონალური მიდგომა, რომელიც მიიჩნევს არა ტკივილისა და ტანჯვის, ბედნიერების დაკარგვის ან სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირების ფულადი ეკვივალენტის განსაზღვრას, არამედ დაზარალებულის უზრუნველყოფას სახსრებით, რომლებიც დაეხმარებიან მას გარკვეულწილად შეინარჩუნოს არსებული ცხოვრების სტილი. ანალოგიური მიდგომა, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩვენი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკაში.

როგორც ჩანს, სამოქალაქო სამართალში მწვავედ იდგა და დღესაც დგას საკითხი მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, თუმცა, არც ერთ პერიოდში არ არსებობდა მისი ანაზღაურების შეფასების კრიტერიუმი.

მორალური ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის პრობლემა დიდ სირთულეებს იწვევს. სასამართლოებისათვის კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების გამოტანის ვალდებულება არავითარ გამონაკლისს არ უშვებს. აქედან გამომდინარე, მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების საკითხში გამოტანილი გადაწყვეტილებაც ასევე კანონიერი და დასაბუთებული უნდა იყოს. ამ მოთხოვნის შესრულების უზრუნ-

ველსაყოფად, სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის გარემოებები, მტკიცებულებები, რომელთაც ეფუძნება სასამართლოს გადაწყვეტილება.

მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე შეტანილი სარჩელის საფუძველია მოპასუხის მიერ იმგვარი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელმაც გამოიწვია მოსარჩელისათვის ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა. სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის უფლება მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურებაზე, რისთვისაც მოსარჩელე სასამართლოს სთხოვს: 1) ცნოს მოსარჩელის უფლება მორალური ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურებაზე; 2) განსაზღვროს მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა; 3) სასამართლოს მიერ მოპასუხეს დაეკისროს განსაზღვრული თანხის გადახდა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, განსხვავებით ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობისაგან (რუსეთის, შვეიცარიის, უზბეკეთის, ავსტრიის და ა.შ.), მორალური ზიანი ანაზღაურდება არა მხოლოდ ფულადი, არამედ სხვა ფორმითაც, მაგალითად, ნებისმიერი ქონებით, რომელიც შეფასებას ექვემდებარება.

ქონებრივი ზარალის ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (ქონებრივი შედეგების ნაწილში) ზიანის მიყენების შემთხვევებში, ანაზღაურების ოდენობა კანონითაა განსაზღვრული, ხოლო მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის რეგულირებაზე, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო, კანონმდებლობამ არსებითად უარი განაცხადა და ეს საკითხი სასამართლოს ნებას მიანდო. ქონებრივი ზარალის მიყენების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა განისაზღვრება ქონების ღირებულების ეკვივალენტურობით. მორალური ზიანის მიყენების შემთხვევაში, ეკვივალენტურობის პრინციპი არ ამოქმედდება, რაც

წინასწარ განსაზღვრავს სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებულ ხერხს. პასუხისმგებლობას მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის, აშკარად გამოხატული საკომპენსაციო ხასიათი გააჩნია.

მოცემულ თვალსაზრისზე დგას მეცნიერ-სამართალმცოდნეთა უმეტესობა. მაგალითად, ა. ერდელევსკი წერს: „მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ შეუძლებელია ტანჯვის შეფასება ფულადი ან სხვა მატერიალური ფორმით. მორალური ზიანის მიყენებისათვის მატერიალური კომპენსაცია მოწოდებულია გამოიწვიოს დადებითი ემოციები, რომლებიც ადამიანის ფსიქიკაში მაქსიმალურად შეამსუბუქებენ გადატანილი ტანჯვით გამოწვეულ ნეგატიურ ცვლილებებს. თუმცა, ისიც გასაგებია, რომ მსგავს „შემსუბუქებას“ საკმაოდ პირობითი ხასიათი ექნება, რაც გარდაუვალია მორალური ზიანის თავისებურებათა გამო“¹.

ნ. მალეინი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მორალური ზიანის მიყენების შემთხვევებში, საუბარი უნდა იყოს არა მისთვის განკუთვნილი ფულის ოდენობასა და მის ანაზღაურებაზე (რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია სრულად შეესაბამებოდეს მიყენებული ტანჯვებისა და განცდების ხარისხს), არამედ მის შემსუბუქებაზე, ანუ დაზარალებულის ტანჯვისა და განცდების გარკვეულწილად მოხსნაზე, მის დახმარებაზე, დაკარგულ გარემომცველ სამყაროსთან კონტაქტის დამყარების შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე, თითოეული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით“².

ა. შიჩანინი მიუთითებს, რომ „არაფერია საკვირველი იმაში, რომ ადამიანს, რომელსაც სხვისი მიზეზით წაართვეს ცხოვრებისეული სიხარული და ბედნიერების განცდა, სურს მიიღოს ფულადი კომპენსაცია. სრულიად სამართლიანია, რომ კანონმდე-

¹ А.М. Эрделевский. Компенсация морального вреда. М., 1996, с. 36.

² Малейн Н.С. Охрана прав личности советским законодательством. изд. Наука, 1985, с. 7.

ბელი, ზიანის მიმყენებლის ხარჯზე უზრუნველყოფს დაზარალებულს, ყურადღებას ამახვილებს მასზე და სრულ იგნორირებას უკეთებს იმას, თუ რამდენად ხელსაყრელი და საინტერესოა ეს ზიანის მიმყენებლისათვის, სწორედ ისე, როგორც ყოველთვის, მატერიალური ანაზღაურებისას უგულვებელყოფილია დელიკტენტის გამორჩენა (სარგებელი) კანონდამრღვევისაგან¹.

მორალური ზიანი, რომელიც გამოიხატება ფიზიკურ ან სულიერ ტანჯვაში, ექვემდებარება ანაზღაურებას ფულადი სახით, იმდენად, რამდენადაც ფულის საშუალებით შესაძლებელი ხდება ფიზიკური და სულიერი ტანჯვის გარკვეული შემსუბუქება. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება განისაზღვრება არა ეკვივალენტურობის პრინციპით, არამედ საქმის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, მორალური ზიანის ხარისხისა და ხასიათის, ასევე დაზარალებულისა და ზარალის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

თუკი დაშვებას შედეგად მოჰყვა სრული სიბრმავე, დამბლა (ან ჯანმრთელობის სხვა სერიოზული დაზიანება), ვერავითარი, თუნდაც ყველაზე სრული ფულადი ანაზღაურება დაზარალებულისათვის, მისი ხელფასის, მკურნალობისა და მოვლის ხარჯების გათვალისწინებით, ვერ მისცემს ამ უკანასკნელს საშუალებას იმდენად შეცვალოს ცხოვრებისეული პირობები, რომ შეიმსუბუქოს თავისი უბედურება. მოახდინოს დაზარალებულისათვის წართმეული ფასეულობების ჩანაცვლება. ფულადი კომპენსაცია არ ექვემდებარება შედარებას იმ ფასეულობებთან, რაც მან შეიძლება უზრუნველყოს ფულადი კომპენსაციის საშუალებით და

¹ А.В. Шичанин. Проблемы становления и перспективы развития института возмещения морального вреда. Диссертация на соискание учен. степени кандидата юридических наук. М., 1996., с. 47.

რაც იმას ნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებას ეკვივალენტური ხასიათი არ გააჩნია¹.

მორალური ზიანის ანაზღაურება გამორიცხავს რესტიტუციას. შეუძლებელია ფულით ან სხვა ფორმით შეფასდეს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი. კომპენსაცია, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, განკუთვნილია დაზარალებულისათვის მძიმე შედეგების ნაწილობრივ შესამსუბუქებლად, ასევე ზოგადი და კერძო პრევენციისთვის.

ამასთან დაკავშირებით მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ „არაქონებრივი ზიანისათვის პასუხისმგებლობის პრობლემასთან დაკავშირებით, უპირატესობა ენიჭება პასუხისმგებლობის მასტიმულირებელ და პრევენტულ როლს და არა მის ანაზღაურებას“².

მაგალითად, ე. ფლეიშიცი ასე გამოყოფს მორალური ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის პრევენციულ ხასიათს: „... არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან ბრძოლის სფეროში, საკმარისი არ არის პასუხისმგებლობის დადგენა საწარმოს ღირსების ხელყოფის გამო მიყენებული უშუალო ზარალისათვის, მის მიერ გასაღებულ საქონელზე, მისი საქმიანობის წესზე, სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაციის გავრცელებით, რადგან შეუძლებელია მსგავს შემთხვევებში აღირიცხოს ის ქონებრივი ზარალი, რომელსაც მეწარმე ან ვაჭარი განიცდის მის შესახებ არახელსაყრელი ცნობების გავრცელებით გამოწვეული მისი კლიენტურის შემცირების გამო“.

რა გზით შევაფასოთ არაქონებრივი ზიანი, გამოხატული იმ

¹ А.В. Шичапин. Проблемы становления и перспективы развития института возмещения морального вреда. Диссертация... кандидата юридических наук, М., 1997, с.85, 87, 86.

² Маленин Н.С. Возмещение вреда, причиненного личности. М., 1965, Издательство „Юридическая литература“, с. 22.

„მორალურ ტანჯვაში“, რომელსაც მეწარმე ან ვაჭარი განიცდის მისი კომერციული მდგომარეობის გაუარესებისას? ზემოხსენებული მეწარმის ან ვაჭრის ინტერესების დაცვისთვის ხშირად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ, და ზოგჯერ, არა იმდენად დადგენილი ქონებრივი ზარალის ანაზღაურება, რამდენადაც საწარმოს მაკომპრომენტირებელი ცნობებისა და მონაცემების გავრცელებასთან დაკავშირებით მომავალში მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება¹.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, ჩვენი აზრით, მაინც კომპენსაციურ ფუნქციას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის გაძლიერება, მათ შორის არაქონებრივი ზიანის მიყენებისათვის, შესაძლებელია დიდი წარმატებით იქნეს მიღწეული ადმინისტრაციული და მით უფრო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საშუალებით.

პიროვნება, რომელსაც მიაყენეს მორალური ზიანი და პიროვნება, რომელმაც ქონებრივი ზარალი განიცადა ერთნაირად სარგებლობენ ფულადი ანაზღაურების უფლებით. აღნიშნული ანაზღაურება მისცემს მათ საშუალებას შეიძინონ სხვა ქონება და სულიერი სიკეთე. მორალური ზიანის ანაზღაურებისას არ არსებობს ანაზღაურების წინასწარ დადგენილი თანხა.

პირველ რიგში კანონი ავალებს დაზარალებულს თავის სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს, თუ როგორ აფასებს მის მიერ გადატანილ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა თანხით უნდა განისაზღვროს მისთვის მიყენებული მორალური ზიანი, მაგრამ შეფასება არის სუბიექტური და სასამართლოსთვის ის არ არის სავალდებულო. სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა დაადგინოს სულიერი ტკივილის ხარისხი და სიმძიმე, ხანგრძლივობა, შეურაცხმყოფელი ცნობე-

¹ Флейшшиц Е.А. Личные права в гражданском праве Союза ССР и капиталистических стран. М., 1941, с. 48.

ბის გავრცელების არეალი, დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებლის მატერიალური მდგომარეობა, და აგრეთვე საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები. ყოველივე ამან ასახვა უნდა პოვოს სასამართლო გადაწყვეტილებაში, სადაც უნდა მითითოს, თუ რატომ არ დაკმაყოფილდა (თუ არ დაკმაყოფილდა) მოსარჩელის მოთხოვნა და რატომ დაინიშნა სხვა მოცულობის კომპენსაცია.

ასე მაგალითად, გლდანი-ნაძალადევის სასამართლომ განიხილა მოქალაქე კინწურაშვილის სარჩელი, რომელშიც მოსარჩელე ითხოვდა მისთვის მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 10 000 ლარს. სასამართლო საქმის განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა 10000 ლარის, არამედ 2000 ლარის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილების სისწორე ეჭვს არ იწვევს, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ დააკმაყოფილა რა ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნა 2000 ლარის ოდენობით, სრულებით არ დაასაბუთა თუ რატომ მოხდა სასარჩელო მოთხოვნის შეცვლა. აღსანიშნავია, რომ იშვიათად ვხვდებით სასამართლო პრაქტიკაში გადაწყვეტილებებს, რომლებიც მყარ მოტივაციას ეფუძნებიან.

მაგალითი ცხადყოფს, რომ მორალური ზიანის კომპენსაციის ზომის განსაზღვრისათვის აუცილებელია მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინება სასამართლოს მიერ, რომელიც უნდა მოხდეს გონივრულად და სამართლიანად (სამოქალაქო კოდექსი, 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მორალური ზიანის ანაზღაურების გონივრულობა და სამართლიანობა კი უნდა გამოიხატოს იმ სოციალური ამოცანების განხორციელებით, რომელსაც მიზნად ისახავს დელიქტური ვალდებულების ეს სახე. პრევენციული ფუნქციის გადამეტებამ შეიძლება გამოიწვიოს ფულადი კომპენსაციის ოდენობის უზომოდ გაზრდა. გასათვალისწინებელია ის გარე-

მოებაც, რომ გამოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფა ამცირებს ფულადი კომპენსაციის ოდენობას.

იქედან გამომდინარე, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება არ გახდეს უსაფუძვლო გამდიდრების წყარო, იურიდიულ ლიტერატურაში პრაქტიკოსი იურისტების ერთი ნაწილი მოითხოვს, რომ მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას მიეცეს სიმბოლური ხასიათი, ანუ სასამართლო პრაქტიკაში დაინერგოს მინიმალური თანხის დაკისრება (ეთქვათ, ერთი ლარის ოდენობით), მიუხედავად იმისა, თუ რა ზარისხისაა მიყენებული მორალური ზიანი. ჩვენ არ ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ იგი ეწინააღმდეგება არაქონებრივი უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში განმტკიცებულ პრინციპებს და ლახავს ადამიანის თავისუფლებასა და კანონიერ ინტერესებს.

აღნიშნულის დასტურად მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითს, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს დაზარალებულის მიერ განცდილი ტკივილის სიღრმესა და მისი სიმბოლური თანხით კომპენსაციის მიზანშეუწონლობას.

ბერიძემ, რომელიც მოსამართლედ მუშაობდა და ერთერთ წამყვან იურისტად ითვლებოდა, სუნთქვის ფუნქციის დაქვეითების გამო მიმართა სამედიცინო დაწესებულებას. მკურნალმა ექიმმა დაუსვა ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი და სხვა ძლიერმოქმედ სამკურნალო პრეპარატებთან ერთად დაუნიშნა ქიმიოთერაპიის კურსი, რომელიც პერიოდულად მეორდებოდა.

ბერიძემ, რომელსაც ჩამოუყალიბდა უიმედობის სინდრომი, დაკარგა საქმიანობისადმი ყოველგვარი ინტერესი, დატოვა მაღალანაზღაურებადი სამსახური, დაცვივდა თმა და ასე გრძელდებოდა სამი წლის განმავლობაში.

მოგვიანებით მან მიმართა სხვა სამედიცინო დაწესებულებას,

სადაც დადასტურდა, რომ პირველი მკურნალი ექიმის დიაგნოზი იყო მცდარი და შესაბამისი მკურნალობის შედეგად ბერიძე სრულიად გამოჯანმრთელდა.

ამ უკანასკნელმა სარჩელით მიმართა შესაბამის სასამართლოს ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა და განცდილი ფიზიკური და სულიერი ტკივილის საკომპენსაციოდ თავდაპირველ მკურნალ ექიმს დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება სოლიდური ფულადი თანხით.¹

ფიქრობთ, რომ სწორედ მოიქცა სასამართლო, ვინაიდან მოპასუხისათვის სიმბოლური თანხის დაკისრება ამ შემთხვევაში მიახლოებითაც კი ვერ იქნებოდა იმ სულიერი და ფიზიკური ტანჯვის ეკვივალენტი, რომელიც მ. ბერიძემ მკურნალი ექიმის დანაშაულებრივი გულგრილობის გამო განიცადა.

სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები ერთეული არ არის ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში.

ასეთია მორალური ზიანის ანაზღაურების საერთო სქემა, რომელიც საფუძვლად უდევს ცივილიზებულ სამართლებრივ სისტემათა უმეტესობას.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში მორალური ზიანის ანაზღაურების ზომის კონკრეტიზაციის თაობაზე საკითხს აყენებდა მრავალი სამართალმცოდნე მეცნიერი: ა. ერდელევსკი, ი. კორშუნოვი, ბ. ზავილოვი, მ. შელიუტო, კ. იაროშენკო, ე. მაჩულსკაია და სხვები.

ზემოთ მითითებულ მეცნიერთა ნამუშევრებში შემოთავაზებული იყო არაქონებრივი ზიანის მიყენებისათვის ანაზღაურების ოდენობის დადგენა მოპასუხის მატერიალური მდგომარეობის,

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №3კ-783-02, 17 ივლისი 2002 წელი.

ზიანის ხასიათის, დაზარალებული პირის მიერ თავისი ფასეულობის სუბიექტური შეფასებიდან (კერძოდ, პატივისა და ღირსების შეფასებიდან) გამომდინარე. მათივე აზრით, ფიზიკური ზიანის კომპენსაციის ოდენობა უნდა განისაზღვროს დაზარალებულის სპეციფიკური მოთხოვნების, ინდივიდუალური თავისებურებებისა და ცხოვრების წესის შეცვლის გათვალისწინებით.

მ. მალეინა გვთავაზობს გამოიყოს არაქონებრივი ზიანის კომპენსაციის ოდენობის დადგენის ზოგადი და კერძო კრიტერიუმები და მიუთითებს, რომ „ზოგადი კრიტერიუმების გამოყენება ყველა სიტუაციაში იქნებოდა შესაძლებელი. ნებისმიერი სახის არაქონებრივი ზიანის მიყენების კრიტერიუმებად უნდა იქნეს ზიანის მიმყენებლის ბრალის ფორმა და ხარისხი, ასევე ზიანის გამომწვევი ფაქტობრივი გარემოების (ან გარემოებათა) საზოგადოებრივი შეფასება, მომხდარის შესახებ ცნობათა გავრცელების არეალი“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მ. მალეინა აკეთებს დასკვნას, რომ: „მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დისკომფორტის გამომწვევი ფაქტობრივი გარემოებების საზოგადოებრივი შეფასებით და არა დაზარალებულის სუბიექტური შეხედულებებით“¹.

ამგვარი დასკვნის დასტურად მ. მალეინას მოჰყავს სასამართლო პრაქტიკის რამდენიმე მაგალითი.

„ნიუ-იორკში მცხოვრებმა ქალბატონმა სასამართლოს მიმართა სარჩელით კომპენსაციის სახით მილიონი დოლარის ანაზღაურების შესახებ იმ განცდებისათვის, რომელიც მას მიაყენა ვირთხის კბენამ ქალაქის ერთ-ერთ რესტორანში. დიდ ბრიტანეთში, მოსარჩელემ მოითხოვა საქმროსგან კომპენსაცია 50 000 ფუნტ

¹ Малеина М. Компенсация за немущественный вред. „Вестник Верховного Суда СССР“, 1991, №5, с. 28.

სტერლინგის ოდენობით საქორწინო ხელშეკრულების მოშლისათვის და ა.შ.

გარემოებები, რომლებმაც წარმოშვეს სულიერი ტანჯვა, ხშირად სხვადასხვა ხასიათის შეიძლება იყოს. ამდენად, დაზარალებულთა მიერ ერთნაირად ვერ აღიქმებიან და სწორედ სასამართლომ უნდა მისცეს მათ ობიექტური შეფასება¹.

მორალური ზიანის კომპენსაციის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე არაერთი პრაქტიკული რეკომენდაცია მოგვცა ვ. ჟუიკოვმა².

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთი შემთხვევა:

„მეუღლეებმა სასამართლოში წარადგინეს სარჩელი საავიაციო კომპანიის მიმართ, მორალური ზიანის კომპენსაციის მიზნით 20 მლნ რუბლის (ორივესთვის) ანაზღაურების მოთხოვნით. 1993 წლის 11 სექტემბერს ცოლ-ქმარი ბრუნდებოდა რა დაკრძალვიდან, რომელსაც დაესწრნენ ქ. მოსკოვში, მოპასუხის თვითმფრინავს უნდა გადაეყვანა მარშრუტით: მოსკოვი-ჩიტა. გაფრენა არაერთხელ გადაიდო და შედგა მხოლოდ 1993 წლის 15 სექტემბერს, რითაც მეუღლეებმა მნიშვნელოვანი უხერხულობა და ტანჯვა განიცადეს.

მოპასუხებმ სარჩელი არ ცნო.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული. თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ სასამართლომ 2 მლნ რუბლი დააკისრა საავიაციო კომპანიას.

რფ-ის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1994 წლის 20 მაისის განჩინებით გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

¹ М. Маленина. Компенсация за немущественный вред. „Вестник Верховного Суда СССР“, 1991, №5, с. 28.

² Жуи́ков В. Возмещение морального вреда. „Бюллетень Верховного Суда РФ“, 1994, №11, с.7.

სასამართლო ინსტანციები ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ სადავო ურთიერთობებს არეგულირებს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“. ამასთან დაკავშირებით, მოსარჩელებს აქვთ მოპასუხის მიერ მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება იმისდა მიუხედავად, რომ საპაერო კოდექსში იგი გათვალისწინებული არ არის. სასამართლომ ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინა, რომ გამგზავრების მაგივრად მეუღლეები იძულებული იყვნენ დარჩენილიყვნენ აეროპორტში, განთავსებულიყვნენ მოსაცდელ დარბაზში (სასტუმრო ნომრის არქონის გამო), სადაც დასვენების ელემენტარული პირობები არ გააჩნდათ. გარდა ამისა, მხედველობიდან არც ის გამორჩენია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მათი სამი შვილი, რომელთაგან ერთ-ერთი ავად იყო, ბებიის კმაყოფაზე იმყოფებოდა¹.

აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკა ხელმძღვანელობს იმით, რომ თუკი სპეციალურ კანონში მითითებული არ არის მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სასამართლო უფლებამოსილია მიმართოს კანონის ანალოგიას, რომლის გამოყენება ხელს შეუწყობს დაზარალებულთა უფლებების დაცვას.

ამგვარად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სწორედ მორალური ზიანის ანაზღაურების პირობით ხასიათთან (ზემოთ აღნიშნული გაგებით) დაკავშირებით, კანონმდებელმა უარი თქვა მისი კონკრეტული მატერიალური ფორმისა და ოდენობის რეგულირებაზე და ეს საკითხი სასამართლოს თავისუფალ ნებას მიანდო გადასაწყვეტად. საგულისხმოა, რა ჰქონდა მხედველობაში კანონმდებელს, როცა მიუთითებდა: „სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმითა და ოდენობით“? ჩვენი აზრით, ამ ფორმულირებიდან, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს ის, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა ფულადი თანხით არ

¹ Жуїков В. Возмещение морального вреда. „Бюллетень Верховного Суда РФ“, 1994, №11, с.8.

არსებობს მანამ, სანამ მას არ განსაზღვრავს სასამართლო.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოდ გვესახება მომხმარებელთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციასთან არსებული იურიდიული კონსულტაციის ხელმძღვანელის ლიანა სორკის შეხედულება.

ლ. სორკის აზრით, „მორალურ ზიანს უკავშირდება ერთი მეტად საინტერესო პრობლემა. სამოქალაქო კოდექსში მითითებულია, რომ მორალური ზიანი სასამართლოს გადაწყვეტილებით ანაზღაურდება. ერთ-ერთმა ჩვენმა პოტენციურმა მოპასუხემ ჩვენი პრეტენზიის პასუხად მოგვწერა, რომ ცნობს ამა და ამ მოთხოვნებს, მაგრამ მორალური ზიანი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება, რადგან იგი არ შეიძლება განხორციელდეს საპრეტენზიო წესით.

სამოქალაქო კოდექსი თ მორალური ზიანი ანაზღაურდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. რამდენადაც მორალური ზიანი წარმოადგენს საერთო ზიანის ნაირსახეობას, იგი სრული მოცულობით ანაზღაურდება, მატერიალური სახის ზიანის მსგავსად.

ზიანის ანაზღაურებისას ჩვენ არ უნდა დაუშვათ მათ შორის განსხვავება. ზიანი ზიანია და არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა შემადგენელ ნაწილებად იყოფა იგი. თუკი ზიანი მიყენებულია, უნდა ანაზღაურდეს კიდევ ნებაყოფლობით. არ არის საჭირო დაზარალებულის იძულება, ყველა შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, რაც შესაბამისად მოამრავლებს პოტენციურ მომჩივანთა რიცხვს. ვთვლი, რომ კანონმდებელმა დაუშვა შეცდომა, როცა დაადგინა, რომ მორალური ზიანი მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ანაზღაურდეს“¹. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხარეებმა სასამართლოს შეიძლება მიმართონ დავის არსებობისას ან კომპენსაციის ოდენობაზე შეუთანხმე-

¹ Л. Сорок. Как получить возмещение материального или морального вреда. М., 1997.

ბლობისას. სხვა შემთხვევაში კი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გადაწყდეს მორალური ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის საკითხი, რაც თავის მხრივ გამოხატავს სასამართლოსათვის მიმართვას.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას, მოსარჩელეს აქვს უფლება მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება მის მიერ განსაზღვრული ოდენობით, რაც შესაძლებელია თუ ზიანის მიმყენებელი არ დაობს საკუთარ ბრალეულობასა და ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, არ უარყოფს მორალური ზიანის მიყენების ფაქტს და თანხმაც არის ფულადი ფორმით ანაზღაუროს იგი; მაგრამ შეუძლებელია ანაზღაურება, თუ იგი დაზარალებულის მიერ არ არის განსაზღვრული, ან ოდენობა არ არის დადგენილი სასამართლოს მიერ. პრინციპში, არ შეიძლება გამოვრიცხოთ, რომ დაზარალებული სასამართლოს მიმართავს განცხადებით, მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის დადგენის შესახებაც. სასამართლო ვალდებულია განიხილოს ასეთი მოთხოვნა სასარჩელო წარმოების წესით, როგორც მიმართვა კანონიერი ინტერესის დაცვის შესახებ. აღნიშნული საკითხის მიმართ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში, კანონმდებელი ინარჩუნებს სასამართლოს მიერ მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის პრინციპს და ამავდროულად, მიუთითებს მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე, რაც, ჩვენი აზრით, გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას.

ამგვარად, კანონმდებელმა მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა მიანდო სასამართლოს ისეთი პრინციპების გათვალისწინებით, რომელიც, საქმის ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეესაბამება გონივრულობისა და სა-

მართლიანობის პრინციპს. ამიტომ, ზემოხსენებული პრინციპების შემუშავება სამართლის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე განსხვავებული წინადადებები გამოითქვა. დღემდე არ არსებობს ერთიანი კონცეფცია, რომელსაც სასამართლო ორგანოები გამოიყენებდნენ პრაქტიკის უნიფიკაციის მიზნით.

აქვე გვსურს საზღვარგარეთის სასამართლო პრაქტიკიდან მოვიყვანოთ მორალური ზიანის კომპენსაციის ზომების განსაზღვრის რამდენიმე მაგალითი.

ინგლისელი ქალბატონის ს. ივასონის კიბოსგან მკურნალობის 7 წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კლინიკაში შეშლოდათ ანალიზისთვის აღებული ქსოვილის სინჯები და ავადმყოფ ქალბატონს კიბოს დიაგნოზი შეცდომით დაესვა. ამგვარი „მკურნალობის“ შედეგად მოსარჩელემ დაკარგა ოჯახი, სამუშაო და ა.შ. სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელე ქალბატონის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა 155 ათასი ფუნტი სტერლინგის ოდენობით.

ქალბატონს, რომელსაც მორალური ზიანი მიაყენეს საპარიკმახეროში (მას ვარცხნილობა გაუფუჭეს), სასამართლომ სულიერი ტანჯვისათვის 200 დასავლეთგერმანული მარკა დაუდგინა.

დ. ჰარი მრავალი წლის განმავლობაში დადიოდა პარიკით, რაც მისმა მეგობრებმაც არ იცოდნენ. ერთხელ მან გაზეთში იხილა თავისი ფოტოები პარიკით და უპარიკოდ. აღმოჩნდა, რომ პარიკების დამამზადებელი ფირმა „ტორონტო“ ამგვარად უწევდა რეკლამას თავის პროდუქციას. მორალური ზიანის მოთხოვნილი ოდენობის – 10 000 აშშ დოლარის – ანაზღაურების ნაცვლად, სასამართლომ მოსარჩელეს 5000 აშშ დოლარის ანაზღაურება დაუდგინა, რადგან გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პარიკი ამ უკანასკნელს მართლაც უზადოდ ჰქონდა მორგებული.

ავტოკატასტროფაში ინგლისელ მ. მურს ქმარი დაეღუპა და

სასამართლომ დამნაშავეს დააკისრა 5 ათასი დოლარის გადახდა დაზარალებულის სასარგებლოდ, განსაზღვრა რა ზიანის კომპენსაცია, სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოსარჩელის ახალგაზრდობა და მომხიბველობა, რაც მას აძლევდა მეორედ გათხოვების შესაძლებლობას.

კ. პეტერსონმა 10 თვე გაატარა პატიმრობაში უპაღმეს მკვლელობის ბრალდებით, მაგრამ სასამართლომ გაამართლა იგი. სულიერი ტანჯვისათვის მან 2 მლნ კრონის ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელემ მიიღო კომპენსაცია 300 ათასი კრონის ოდენობით — მისი ოჯახური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით (კ. პეტერსონს არა აქვს ოჯახი, რომელზეც უნდა იზრუნოს როგორც პენსიონერს, მას არ დაუკარგავს სამუშაო). გარდა ამისა, ანაზღაურების ოდენობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანაზე იმოქმედა მოსარჩელის არაერთგზის ნასამართლობამ.

მაინც როგორ „აფასებს“ და ითვალისწინებს“ სასამართლო გარემოებებს? ამისათვის უნდა მივმართოთ სამართლის ნორმას, რომელიც ახდენს მტკიცებულებათა შეფასების რეგლამენტაციას: სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს ერთობლიობაში, საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვაზე დაფუძნებული შინაგანი მრწამსის საფუძველზე კანონისა და მართლშეგნების გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, მორალური ზიანის ანაზღაურების შეფასების საკითხში სასამართლო ხელმძღვანელობს: „შინაგანი მრწამსით“, „კანონით“ და „მართლშეგნებით“.

სასამართლო აფასებს რა მტკიცებულებებს, გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარასებობის შესახებ.

მოსაზრებები, რომლებიც საფუძველად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი).

ეს არის მტკიცებულებათა შეფასების საერთო წესი, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს რაღაც საწყისი კრიტერიუმი მიყენებული მორალური ზიანის თანხის შეფასებისათვის? ან იქნებ იგი მართლაც არ არის საჭირო? საგულისხმოა, რომ მოქმედ კანონმდებლობაში დადებითი პასუხები ამ კითხვაზე არ მოიძებნება.

მორალურ ზიანს შეიძლება ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდეს, მან თავი იჩინოს როგორც სარჩელის წარდგენისას, ისე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ (ზიანი დაკავშირებული ბავშვის მკვლევლობასთან, მხედველობის დაკარგვასთან და სხვ.). ზოგიერთ შემთხვევაში კი, მორალური ზიანი დროის შეზღუდული მონაკვეთის განმავლობაში ვლინდება, ყოველგვარი შედეგებისა და განმეორებების გარეშე (მაგალითისათვის, კბილის ცუდი მკურნალობის გამო ტკივილი, მაინც ნელდება; შიში, შანტაჟისტის დაპატიმრების შედეგად ქრება). მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ა. ერდელევსკი გვთავაზობს მისეულ კონცეფციას. ავტორი ეყრდნობა პრინციპს, რომლითაც სასამართლოს უფლება აქვს საქმეთა გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელოს კანონმდებლობის საერთო საწყისებით, აზრით და ათვლის წერტილად მიიჩნიოს ისინი (მაშინ, როდესაც არ არსებობს სადავო სამართალურთიერთობების მარეგულირებელი მატერიალური კანონი).

ა. ერდელევსკი თავის კონცეფციაში გვთავაზობს მიემართოთ ანაზღაურებებისა და მიყენებული ზიანის ეკვივალენტურობის (თანასწორობის) პრინციპს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდ მორალურ ზიანს ანაზღაურების დიდი ოდენობა მოჰყვება და პირიქით¹.

მორალური ზიანი წარმოიქმნება ფასეულობათა და პიროვნულ უფლებათა კანონსაწინააღმდეგო დამცირებებისა და შებლაღვის შედეგად. კონსტიტუციის თანახმად, ადამიანი, მისი უფლებები

¹ А.М. Эрделевский. Компенсация морального вреда. М., 1996, с. 44-45.

და თავისუფლებები უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენენ, რის გამოც ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა აღიარება, დაცვა და შესრულება სახელმწიფოს მოვალეობაა.

ყველაზე მკაცრი ზომა, გამოყენებული სახელმწიფოს მიერ კანონდარღვევის ჩადენისათვის, არის სისხლის სამართლის სასჯელი. ამიტომ, გონივრული იქნება იმის ვარაუდი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების მაქსიმალური სანქციების თანაფარდობა ყველაზე ობიექტურად ასახავს დაცულ ფასეულობათა საზოგადოებრივ მნიშვნელობას და მიზანშეწონილი იქნება ამ თანაფარდობათა გათვალისწინება პრეზუმპირებული მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის. სასჯელი, წარმოადგენს რა პიროვნების წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულის შედეგს, ასახავს პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების მნიშვნელობას და მათი კანონსაწინააღმდეგო ხელყოფის შემთხვევაში საზოგადოებრივ შეფასებას, რა თქმა უნდა, ასეთი თანაფარდობა საკმაოდ პირობითი ხასიათის იქნება, სწორედ ისე, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების სანქციითა თანაფარდობას აქვს დანაშაულის განსხვავებული სახეობებისათვის პირობითი ხასიათი. მაგრამ სწორედ ასეთი კრიტიკიუმების გამოყენება გვესახება ყველაზე შესაფერისად პრეზუმპირებული მორალური ზიანის ოდენობით (ზომათა) სკალის შემუშავებისათვის. სავარაუდო მორალური ზიანი არის ტანჯვა, რაც უნდა განიცადოს საზოგადოების „საშუალო“ წევრმა მის მიმართ შესაბამისი კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების შედეგად. არსებითად, სავარაუდო მორალური ზიანი წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ქმედების საზოგადოებრივ შეფასებას; კონკრეტული საქმის განხილვისას სავარაუდო მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა შეიძლება მეტობის ან ნაკლებობისკენ იცვლებოდეს კონკრეტულ გარემოებათა შესაბამისად. ასეთი გზით განსაზღვრული ფულადი თანხა შეადგენს არსებული მორალური

ზიანის ანაზღაურების ოდენობას. ამასთან, მან არ უნდა გადაუხვიოს მეტობის მხარეს პრეზუმპირებული მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას იმ განსაზღვრულ სიდიდეზე მეტად, რომლის ზომა ქვემოთ იქნება წარმოდგენილი. გადახვევამ ნაკლებობის მხარეს შეიძლება შეადგინოს 100%, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ჩათვლით¹.

ავტორის აზრით, ეს მეთოდიკა მიესადაგება სრულიად განსხვავებული კანონდარღვევიდან გამომდინარე მორალური ზიანის კომპენსაციას, სადაც ზიანის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მინიმალური ხელფასი, ქმედების სახეობისა და სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით.

ავტორი წარმოადგენს ცხრილს, რომელშიც მითითებულია როგორც კანონდარღვევათა სახეობა, ისე სავარაუდო მორალური ზიანის ანაზღაურების ზომა როგორც პირობით ერთეულებში, ასევე მინიმალური ხელფასის ოდენობით.

მაგალითად, სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება შეფასებულია 482,4 მინიმალურ ხელფასად. ქმედება, რომელიც ტანჯვის ან წამების ხასიათს ატარებს, 720 მინიმალურ ხელფასად. ეს ზომა ანაზღაურების აბსოლუტურ ოდენობას წარმოადგენს, თანაც მინიმალური ხელფასის სიდიდე განისაზღვრება ზიანის მიყენების მომენტში.

საგულისხმოა, რომ ავტორი თავის მეთოდიკაში ითვალისწინებს კანონდარღვევის საშიშროების ხარისხს თვით დაზარალებულისათვის. მაგალითად, თუკი ჩვეულებრივი შეურაცხყოფა განისაზღვრება 7,2 მინიმალური ხელფასით, შეურაცხყოფა დაბეჭდილ ნაწარმოებში ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით „ღირს“ 28,8 მინიმალური ხელფასი².

ა. ერდელევსკის მიერ წარმოდგენილ მეთოდიკას მორალური

¹ А.М. Эрделевский. Компенсация морального вреда. М., 1996, с. 44-47.

² А.М. Эрделевский. Компенсация морального вреда. М., 1996, с. 47-49.

ზიანის კომპენსაციის მინიმალური ხელფასის კრიტერიუმის საშუალებით შეფასებულს, კანონდარღვევის სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე, განსაზღვრული შინაარსი აქვს. ზოგიერთი ავტორი მიზანშეწონილად მიიჩნევს, სწორედ ეს მეთოდის იქნეს აღიარებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების საფუძვლად. მაგალითად, ზავილოვი წერს: „როგორც კი გადაწყდება ეს საკითხი, ყველა დანარჩენი საკითხი (ანაზღაურების თანხის მიზანშეწონილობის, ანაზღაურების ოდენობის მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ), რომლებიც წამოიჭრება საქმეში მონაწილე მოსარჩელეთა მხრიდან, დღითი დღე იკლებს“¹.

მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება შემოდებულ უნდა იქნეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი უსიამოვნებისათვის ფულადი ანაზღაურების დაწესება მიგვაჩნდეს მიზანშეწონილად. პირიქით, მორალური ზიანის თითოეული ტიპური შემთხვევა შეფასებულ უნდა იქნეს სამართლებრივი თვალსაზრისით და ანაზღაურდეს მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მორალური სიკეთის შელახვისაგან წარმოდგება და იმსახურებს დაცვას.

სასამართლოების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავების განხილვისას შეიმჩნევა გარკვეული ბუნდოვანი დამოკიდებულება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტი (მორალური ზიანის ანაზღაურებისა) იმყოფება დამკვიდრების ეტაპზე და მხოლოდ ახლა ხდება რეალური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. სამოქალაქო კოდექსში მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის ნორმათა გათვალისწინება ქმნის ობიექტურ კეთილგანწყობილ პირობას მოსამართლეთა მენტალიტეტის შეცვლისათვის, აგრეთვე მეცნიერ-იურისტთა შემოქმედებითი აქტივობისა და პრაქტიკული რეკომენდაციების მომზადებისათვის. ჩვენი აზრით,

¹ Завидов Б.Д. Правовые проблемы возмещения морального вреда. М., 1996, с. 235-237.

ყოველივე ზემოთქმული ხელს შეუწყობს ამ ინსტიტუტის ეფექტურ ფუნქციონირებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს თითოეული მოქალაქისა და იურიდიული პირის კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, რომლებიც, თავის მხრივ, უკავშირდებიან არაქონებრივ უფლებებსა და ინტერესებს.

მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებასთან დაკავშირებული საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნისა და მათთან ერთად საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ შესაძლებელია შემუშავებულ იქნეს გარკვეული ორიენტირები, ანუ კრიტერიუმები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობენ სასამართლო ორგანოებს მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების საქმეთა განხილვისას „გონივრული და სამართლიანი“ ანაზღაურების დადგენაში. მართალია, ჩვენ კონკრეტული საკითხების განხილვისას ცალ-ცალკე უკვე გვქონდა საუბარი ასეთი კრიტერიუმების შესახებ, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ერთად თავმოყრა და ამ სახით მიწოდება სასამართლო ორგანოებისათვის, კერძოდ, მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და ზნეობრივი განცდების მოცულობა და ხასიათი; ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი; პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შეურაცხყოფელი ინფორმაციის გავრცელების არეალი; დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებლის მატერიალური მდგომარეობა და სხვა ყურადღების ღირსი პატივისაღები გარემოებები.

თავი მეხუთე

მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა ცალკეული სახის სამართალდარღვევებისათვის

§1. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევა

ქონებრივი სიკეთის ხელყოფისას, ზიანის ანაზღაურება უფრო მარტივ ხასიათს ატარებს და გამოიხატება მისი ნატურით აღდგენაში ან მისი ღირებულების ექვივალენტური თანხის გადახდევინებაში.

მდგომარეობა რთულდება მაშინ, როდესაც დაზიანებულია ისეთი სიკეთე, როგორც არის ადამიანის ჯანმრთელობა ან სიცოცხლე. სწორედ ამით აიხსნება ის ღონისძიებები, რასაც ამ საკითხისადმი იჩენს საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის ძირითად უფლებებს შორის პირველ ადგილზე აყენებს თითოეული ადამიანის დაბადებიდან კუთვნილ უფლებას სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, რაც, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ უფლება სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანია ადამიანის სხვა ძირითად უფლებათა შორის. პირიქით, ის ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ „დაბადებისა“ და „სიცოცხლის“ ცნებები განუყოფელი ხასიათისაა.

აღსანიშნავია, რომ ეს ცნებები არსებობენ ჩვენს კანონმდებლობაში, მაგრამ დღემდე არ არსებობს მათი საკანონმდებლო წესით განსაზღვრა. თუმცა, ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია არა მხოლოდ ჩვენი, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობისთვისაც, რაც, შესაბამისად, იწვევს რამდენიმე კონცეფციის არსებობას.

სიცოცხლის უფლება შეჭველად წარმოადგენს ადამიანის

ერთ-ერთ ყველაზე აშკარა და ძირითად უფლებას. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არც მე-2 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ამ უფლებას და არც ოქმი N 6, რომელიც მოუწოდებს სიკვდილით დასჯის გაუქმებისაკენ, მიზნად არ ისახავს თავად სიცოცხლის უპირობო დაცვას ან ცხოვრების გარკვეული ხარისხის უზრუნველყოფას. ამ დებულებათა მიზანს წარმოადგენს პიროვნების დაცვა სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის თვითნებურად წართმევისაგან. კონვენცია აცხადებს, რომ „ყველა ადამიანის უფლება სიცოცხლეზე დაცულია კანონით“. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა უნდა ამოქმედონ კანონმდებლობა, რომელიც დანაშაულის კვალიფიკაციას მისცემს კერძო პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებს.

კონვენცია მე-3 მუხლში ასევე ადგენს, რომ „არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას“. კონვენციის აღნიშნული მუხლით დაცული უფლებები პირდაპირ კავშირში არიან ფიზიკური პირის პიროვნულ ხელშეუხებლობასა და ადამიანურ ღირსებებთან. თუ სახეზეა პიროვნების პატივისცემის არარსებობა და მოქმედება მიზნად ისახავს პირის ღირსების დამცირებას ან დაკნინებას, სახეზეა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. აღნიშნული ცხადყოფს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებების დაცვას.

უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ადამიანის სიცოცხლის დაწყებისა და შეწყვეტის მომენტის დადგენას, რადგანაც სწორედ ამით განისაზღვრება კონკრეტული ადამიანის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მოქმედების დაწყება და მოსპობა.

ადამიანის დაბადების მომენტად მიჩნეულია დედის ორგანიზმიდან ნაყოფის ფიზიკური განცალკევების მომენტი და მისი

გადასვლა ავტონომიურ ფიზიოლოგიურ ფუნქციონირებაზე, რაც იწყება ბავშვის პირველი ჩასუნთქვით და განპირობებულია მის ორგანიზმში ჟანგბადის დამოუკიდებელი ცვლით. აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლი ადამიანის უფლებაუნარიანობის წარმოშობის მომენტად მიიჩნევს მისი დაბადების მომენტს.

უფლებაუნარიანობის წარმოშობის მომენტთან დაკავშირებით არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც. კერძოდ, ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ადამიანის უფლებაუნარიანობა (თვით არამატერიალური სიკეთე-სიცოცხლეც) წარმოიშობა არა დაბადების მომენტიდან, არამედ ემბრიონის ჩასახვიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ემბრიონს დაბადებამდე უკვე გააჩნია სიცოცხლისა და სხვა უფლებები¹.

რაც შეეხება სიკვდილის მომენტს, იგი განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის ამავე მუხლში და ასეთად მიჩნეულია თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა. თუმცა, მედიკოს-მეცნიერთა ერთი ნაწილი ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტად მიიჩნევს გულის მუშაობის გაჩერებას.

საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ არ მოიხსენიება ადამიანის უფლება ჯანმრთელობაზე. მაგრამ იგი თავისი შინაარსით წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას, რომელიც მას გააჩნია დაბადებიდან. ასეთი პოზიცია განმტკიცებულია კონსტიტუციით, რომელიც ადგენს უფლებას ჯანმრთელობის დაცვაზე ამის გარანტს წარმოადგენს ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც სიცოცხლე და ჯანმრთელობა აღიარებულია მოქალაქისათვის დაბადებიდან მინი-

¹ L. Ennescherus, Th., Ki pp, V. Wolf. M. Маленна, Нематериальные блага и перспективы их развития, журн. „Законодательство, документы и комментарии“, 1996; №7, с. 102.

ჭებულ არამატერიალურ სიკეთედ. თავისი შინაარსით ადამიანის უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე დამოუკიდებელი პირადი არაქონებრივი უფლებაა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ჯანმრთელობის უფლებასთან და უზრუნველყოფილია სამართლის სხვადასხვა დარგების შესაბამისი ნორმებით.

ადამიანის ჯანმრთელობა ეს არის სრული ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის მდგომარეობა, რის დაზიანებამაც, შესაბამისად, უნდა გამოიწვიოს ადამიანის სრული კეთილდღეობის დაკარგვა. ჯანმრთელობაზე უფლებას აქვს აბსოლუტური ხასიათი და მას შეესაბამება ამ უფლების დამრღვევ პირთა თავშეკავების მოვალეობა.

ადამიანს აქვს უფლება შესაბამისი ქმედუნარიანობის არსებობისას გამოიყენოს თავისი უფლებები ჯანმრთელობასა და მის დაცვაზე. მაგალითად, დათანხმდეს სამედიცინო ჩარევაზე ან უარი თქვას მასზე. თუ ზემოთ მითითებულ უფლებას ჯანმრთელობაზე შეესაბამება სხვა დანარჩენ პირთა მოვალეობები, თავი შეიკავონ ამ უფლების დარღვევისაგან, მაშინ ჯანმრთელობის დაცვის უფლება უშვებს ამ უფლების ვალდებულებების არსებობას სპეციალური სუბიექტებისათვის, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა იღებდნენ აუცილებელ ზომებს ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად მისი აქტიური და მრავალწლიანი სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობის დაკარგვის შემთხვევაში კი, სამედიცინო დახმარების გაწევისათვის.

ჯანმრთელობის უფლებების დარღვევათა შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარღვევად ითვლება მისთვის ისეთი ვნების მიყენება, რომელიც გამოიწვევს მხედველობის, მეტყველების, სმენის ან რომელიმე ორგანოს დაკარგვას ან ფუნქციის მოშლას, სულიერი ტკივილი ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, რაც დაკავშირებულია შრომისუნარიანობის მდგრადობის არანაკლებ ერთი

მესამედით მოშლასთან, ან გამოიწვევს ორსულობის შეწყვეტას, ან სხვა სახის გამოუსწორებელ დამახინჯებას. ჯანმრთელობისთვის მიყენებული ვნების სიმძიმის ზარისხი განისაზღვრება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით. ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ვნება იწვევს როგორც მატერიალურ, ისე მორალურ ზიანს. მორალური ზიანის კომპენსაციისათვის სრულიად არ არის აუცილებელი, რომ მიყენებული სხეულის მძიმე დაზიანება იყოს დანაშაულებრივი. საკმარისია, რომ ეს იყოს მართლსაწინააღმდეგო. ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება საშიშია სიცოცხლისათვის. ფიზიკური და სულიერი ტანჯვა შეიძლება იყოს როგორც უმნიშვნელო, ასევე მნიშვნელოვანიც (მაგალითად, მსხვილი სისხლძარღვის დაზიანებას, დროულად სამედიცინო დახმარებისას, შეუძლია არ გამოიწვიოს შიშით ტკივილის შეგრძნება, ხოლო ტანჯვა შეიძლება გამოიხატოს საკუთარი სიცოცხლის დაკარგვის ხანმოკლე განცდით, რაც შეიძლება განიცადო მანამ, სანამ აღმოფხვრილი იქნება სიცოცხლის საფრთხე). ამიტომ ეს ვითარებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ, მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას.

სხვა შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ადამიანს აქვს ტკივილის რეაქციის უფრო მაღალი ან დაბალი დონე მინიმალურთან შედარებით, იგი შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს მორალური ზიანის კომპენსაციის განსაზღვრისას. მაგალითად, თუ წყდება ორსულობა ისე, რომ შენარჩუნებულია შემდგომი ჩასახვის უნარი, მაშინ დაწესებული კომპენსაციის ზომა უნდა იყოს დაბალი, ვიდრე მაშინ, როცა ეს შესაძლებლობა დარღვეულია და შეიძლება აღდგეს მხოლოდ შესაბამისი მკურნალობის შემდეგ. მაგრამ, თუ ჩასახვის შესაძლებლობა დაკარგულია და შეუძლებელია მისი აღდგენა, მაშინ მორალური ზიანის კომპენსაციის ზომა უნდა გაიზარდოს, ხოლო დაზარალებულისათვის სხვა

შვილების არყოლის შემთხვევაში, მიაღწიოს მაქსიმალურ სიდიდეს.

ორსულობის შეწყვეტით მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლოს მიერ უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი ფაქტის დადგომამდე სხვა ორსულობებს და მთავრდებოდა თუ არა ისინი ქალების ნებასურვილის თანახმად ხელოვნური შეწყვეტით. თუ ასეთი დადგენილი იქნება, მაშინ მორალური ზიანისათვის კომპენსაციის ოდენობა შეიძლება შემცირდეს, მაგრამ თუ იქნება წარმოდგენილი მტკიცებულებანი ქალის სურვილის შესახებ, რომ შეწყვიტოს ხელოვნურად უკანასკნელი ორსულობა მაშინ სასამართლოს შეუძლია აღიაროს, რომ ორსულობის შეწყვეტით გამოწვეულ სულიერ ტრავმას ადგილი არა აქვს. ამით მტკიცდება, რომ მორალური ზიანი მდგომარეობს მხოლოდ ფიზიკური ტკივილის გადატანაში, რომელიც დაკავშირებულია ორსულობის ნების საწინააღმდეგო შეწყვეტასთან. ასეთ დროს პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა ორსულობის შეწყვეტასა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

ჯანმრთელობისათვის მძიმე ზიანის მიყენებამ, რომელიც განხორციელებულია დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით, წამებით ან შეურაცხყოფით, არსებითად უნდა იმოქმედოს მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობაზე. ამასთან, განსაკუთრებულ სისასტიკეში უნდა ვიგულისხმოთ დაზარალებულის მიმართ წამების ან სხვა მოქმედების გამოყენება, რომელიც განსაკუთრებული ტანჯვის მიზეზი ხდება (სხეულისთვის მძიმე დაზიანების მიყენება, შხამის გამოყენება, რაც იწვევს ადამიანის ტანჯვას, ცოცხლად დაწვა, საჭმლის, წყლის ხანგრძლივი აკრძალვა და ა. შ.), აგრეთვე ჯანმრთელობაზე მძიმე ზიანის მიყენება დაზარალებულის ახლობელი პირების თანდასწრებით. როგორც

ზემოთ აღვნიშნეთ, ტანჯვა ეს არის ადამიანის ისეთი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც იწვევს განსაკუთრებულად ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, მაშინ, როცა დამცირება იწვევს ძლიერ ნეგატიურ გაცდებს (შიში, უსუსურობა, მწუხარება და ა. შ.).

ანალოგიური მიდგომა შეძლება გამოყენებულ იქნეს ჯანმრთელობისათვის სხვა უფრო მსუბუქი ზიანის მიყენებისას.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებისას, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის.

ყოფილი საბჭოთა კავშირის უშიშროების სამინისტროს თადარიგის ოფიცერი, მე-2 ჯგუფის ინვალიდმა, გიორგი ზაალიშვილმა, 1999 წლის 8 მარტს შპს „თბილტრანსის“ კუთვნილი სამარშრუტო ავტობუსით იმგზავრა მეტროს სადგურ „ავლაბრიდან“ შ. რუსთაველის სახელობის მოედნამდე. ავტომანქანიდან ჩასვლის წინ მან მძღოლს აჩვენა ინვალიდის მოწმობა, რომელიც მას ათავისუფლებდა მგზავრობის საფასურის გადახდისაგან. ავტობუსის მძღოლმა, ვ. ვარდიაშვილმა, თავის მხრივ, მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მოწმობა არ იძლეოდა უფასოდ მგზავრობის უფლებას და გამოიჩინა რა უტაქტობა, ზედმეტად გაატარა ერთი გაჩერება და ამ გზით აიძულა გ. ზაალიშვილი გადაეხადა მგზავრობის ღირებულება.

გ. ზაალიშვილმა სარჩელით მიმართა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს, რომელშიც მიუთითა, რომ ინციდენტის შემდეგ მკვეთრად გაუარესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, დასჩემდა უძილობა და განუვითარდა ასთენოდეპრესიული სინდრომი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კი, მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება 20 000 ლარის ოდენობით.

რაიონულმა სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული ინციდენტი ატარებდა ყოფით ხასიათს, ამასთან, მიყენებული ფიზიკური და მორალური ტკივილები არ იყო იმ ხარისხის, რომ მისი ანაზღაურება მომხდარიყო 20 000 ლარის დაკისრებით, რის გამოც მოთხოვნილი თანხა შეამცირა და მოპასუხეს დაავალა მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 500 ლარის გადახდა¹.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად პრაქტიკაში ისმის კითხვა იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევებში, როდესაც ჯანმრთელობა უზიანდებათ პირებს, რომლებმაც სულიერი ტკივილი განიცადეს ახლობელი ადამიანის სიკვდილით.

ქალაქ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლომ ჩათვალა, რომ მსჯავრდებულმა როლანდ ცინცაძემ ჩაიდინა რა პაპუნა გოგრიჭიანის განზრახ მკვლელობა, ამ უკანასკნელის დედას, ნანული ჩუბინიძეს, მიაყენა როგორც ქონებრივი (დაკრძალვის, სასაფლაოს მოწყობისა და სხვა ხარჯები), ისე მორალური ზიანი (შვილის გარდაცვალებით მიიღო მძიმე ტრავმა – დაავადდა იშემიური დაავადებით – ჰიპერტონიის 1-ლი სტადია) და სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დააკისრა ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლომ მოცემული სასარჩელო მოთხოვნა მართებულად მიიჩნია ისეთ შემთხვევად, როდესაც მოსარჩელეს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად ჰქონდა უფლება მოეთხოვა მორალური ზიანის ანაზღაურებაც².

¹ იხ. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/888-99

² ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 02 მაისის გადაწყვეტილება საქმე №2/133-01.

ანალოგიურად, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელე ლამარა მორბელაძეს სასარგებლოდ, რომლის შვილი მოკლული იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის პერიოდში ჯარისკაცების მიერ, თავდაცვის სამინისტროს დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 8 ათასი ლარის ოდენობით.

სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ „სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსის“ შესახებ კანონის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მოვალეობა ეკისრებოდა სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას, რომელმაც არათუ ვერ უზრუნველყო გიორგი მორბელაძის სიცოცხლის დაცვა, არამედ მთელი 3 დღის განმავლობაში გვამიც კი ვერ იქნა ნაპოვნი. აღნიშნულის გამო კი ლ. მორბელაძისათვის მიყენებულ მორალურ ზიანს განგრძობადი ხასიათი მიეცა და, შესაბამისად, გაიზარდა შეილმკედარი დედის ფსიქიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხარისხი.

მართალია, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც თავდაცვის სამინისტროს დააკისრა მორალური ზიანის გადახდა, მაგრამ სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, როდესაც მორალური ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთ საფუძვლად, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, კანონთან ერთად ზემოთ აღნიშნულ მუხლებზეც მიუთითა, რადგანაც მორალური ზიანის დაკისრება ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით და სწორედ ამ მუხლზე უნდა ყოფილიყო მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილებაში¹.

¹ იხ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს (მოს. შ. წიკლაური) 1999 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/904.

სამწუხაროდ, საქართველოს სინამდვილეში არსებობს საპირისპირო სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც მიზანშეუწონილად მიიჩნევს დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში მესამე პირებისათვის (შვილი, მშობელი, მეუღლე, და-ძმა) მიყენებული მორალური ზიანისთვის კომპენსაციის ანაზღაურების შესაძლებლობას.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს.

მოსარჩლე ითხოვდა მოპასუხისაგან – შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის თანამშრომლისაგან, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მან განიცადა მოპასუხის მიერ მისი მეუღლის მკვლელობის შედეგად.

რაიონულმა სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, მაგრამ მოპასუხეს დააკისრა ფულადი კომპენსაცია მოსარჩელის მიერ მითითებული თანხების შემცირებული ოდენობით.

სააპელაციო ინსტანციამ აღნიშნული გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში ძალაში დატოვა.

რაც შეეხება, საკასაციო სასამართლოს, მან მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ მორალური ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს და არა სხვა პირს, კერძოდ, მესამე პირი ამ სახის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას მოკლებულია.

ამავე გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია. ეს კონცეფცია ეფუძნება სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლით დადგენილ წესს. აღნიშნული ნორმა აწესებს გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დაცვის შესაძლებლობას, მაგრამ ამავე მუხლით აკრძალულია

გარდაცვალების შემდეგ მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა¹.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას ვერ დავეთანხმებით შემდეგი მოსაზრების გამო: მიგვაჩნია, რომ მე-19 მუხლი ითვალისწინებს გარდაცვალებულის სახელით მორალური ზიანისთვის ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის დაუშვებლობას. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გარდაცვლილის ახლო ნათესავს, რომელმაც უშუალოდ განიცადა მორალური ზიანი მისი ახლობლის გარდაცვალების შედეგად, არ მიეცეს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ეს პირი თვითონ ხდება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დამოუკიდებელი სუბიექტი.

სუბიექტთა ამ წრეს მიეკუთვნებიან გარდაცვლილის პირველი და მეორე რიგის ნათესავები, რომლებიც დამოუკიდებელი სარჩელის საფუძველზე მოითხოვენ პირადად მათთვის მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაციას. სამწუხაროდ, უზენაესი სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. არ არის სასურველი, რომ იგი მაგალითი გახდეს სხვა სასამართლოებისთვის და ამით ხელი შეუწყოს მსგავსი პრაქტიკის ჩამოყალიბების დამკვიდრებას.

მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია დაზარალებულის კონკრეტული პირის ან ოჯახის წევრის ნათესაობის ხარისხის დადგენა. ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, მაგალითად, დაღუპული იყო თუ არა ერთადერთი შვილი მშობლებისა და შეუძლიათ თუ არა მათ მომავალში

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №3 კ-1218-01, 24 აპრილი, 2002. კრებული №7. 2002 წელი, გვ 1083.

იყოლიონ შეიღი და ა. შ. ცხადია, ამის გათვალისწინებით, კომპენსაციის ოდენობა უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც შეიღის სიკვდილის შემდეგ მშობლებს ჰყავთ შეიღები ან შეუძლიათ იყოლიონ ისინი. მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა ეკვივალენტობის პრინციპით კი არ უნდა განისაზღვროს, არამედ კონკრეტული შემთხვევის თავისებურების შესაბამისად, რომლის ჩარჩოებში შეიძლება მხედველობაში მივიღოთ დაზიანების ხარისხი, დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობა და ზიანის მიმყენებელი სხვა ფაქტორები. მორალური ზიანის ანაზღაურების ეკვივალენტური პრინციპის მიუღებლობა დაუშვებელს ხდის განცდების, ტანჯვის, ფიზიკური ტკივილის ანაზღაურების სრულად შესაბამისობას ფულად კომპენსაციასთან. მაგალითად, ბავშვის გარდაცვალებისას შეუძლებელია დადგინდეს ეკვივალენტი ბავშვის სიკვდილით გამოწვეულ განცდებსა და ფულადი კომპენსაციის ოდენობას შორის. რა თქმა უნდა, ფულადი კომპენსაცია არ ანაზღაურებს ბავშვის დაკარგვას, მაგრამ თუ ეს კომპენსაცია დროებით მაინც დაუშვებს გარემოების შეცვლას უკეთესობისაკენ, მაშინ გარდუვალი მწუხარება უმნიშვნელოდ მსუბუქდება.

მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია მიზანშეწონილია ადამიანის დასახიჩრების, სახის წარუშლელი დამახინჯების, საერთო და პროფესიული შრომისუნარიანობის სრული დაკარგვის შემთხვევებში, რადგანაც ასეთ ვითარებაში პიროვნებას მინიმუმამდე ეზღუდება თავისი სოციალური მდგომარეობის აღდგენისა და განვითარების შესაძლებლობა.

მოქალაქის დასახიჩრების, საერთო და პროფესიული შრომის უნარის სრული დაკარგვის შემთხვევებში დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურება კომპენსაციური ბუნებისაა. დაზარალებულის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ფაქტობრივი მოთხოვნაა. მისი შესრულების შემდეგ და-

ზარალებულს ექმნება შესაძლებლობა დაიკმაყოფილოს სულიერი თუ ქონებრივი ინტერესები.

რესტიტუცია, რომელიც ვნების მიყენებამდე არსებული მდგომარეობის სრულ აღდგენას გულისხმობს, ზემოთ გათვალისწინებულ შემთხვევებში მიუღწეველია.

მორალური ზიანი „შეიძლება გამომჟღავნდეს, რომ პიროვნებამ ფიზიკური შესაძლებლობის ფარგლებში ვერ შეძლოს თავისუფლად გადაადგილება ფეხების ამპუტაციის გამო, ვერ დაინახოს და გაიგონოს მხედველობის ან სმენის დაკარგვისას... აღნიშნულის შეზღუდვა — ეს არის სხეულის დაზიანების ფაქტობრივი მდგომარეობის გამოვლინება. მორალური ზიანის გამოვლინება კი იქნება ის განცდა, რაც გამოწვეულია აღნიშნული შეზღუდვებით. ამავე დროს, მოყვანილი მაგალითები ზიანის ანაზღაურებაზე — ტელევიზორის, რადიოს, მაგნიტოფონის, კომპიუტერის ყიდვა იძლევა განცდების შემსუბუქების საშუალებას. თუ აპარატურის შეძენა მათ არ შევლით შეძლონ უკეთესად სიარული, დანახვა ან მოსმენა, ეს იძლევა საშუალებას მათ ჰქონდეთ დაკარგული კეთილდღეობის დაახლოებით ეკვივალენტური მდგომარეობა და, ამასთანავე, შეიმსუბუქონ საფრთხით მიყენებული განცდები, რომელიც გამომდინარეობს სიარულის, დანახვისა და სმენის შეუძლებლობისაგან. თუ ფეხების ამპუტაციისას პიროვნებას გაუკეთდა მაღალხარისხოვანი პროთეზი, რომლითაც შესაძლებელია დამოუკიდებელი გადაადგილება და მას უყიდიან მანქანას (ე. ი. მოხდება სხეულის დაზიანების ანაზღაურება ქონებრივი ზარალის ანაზღაურებით), მაშინ ტელევიზორის შეძენა მორალური ზიანის კომპენსაციისათვის აუცილებელი არ იქნება. რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც კომპენსაციას დაქვემდებარებულ მორალურ ზიანს ექნებოდა ადგილი განცდების სახით, რომელიც დაკავშირებულია პროთეზების ხმარებასთან და იმასთან, რომ ის დაზარალებულია და ისეთი

არაა, როგორც იყო ან როგორებიც სხვები არიან და ა. შ.

მსგავს შეხედულებას ამ საკითხზე გამოთქვამს მ. მალეინა. იგი არაქონებრივი ზიანის კომპენსაციის გამოყოფას საფუძვლად უდებს დამატებითი ხარჯების ანაზღაურებას¹.

რამდენადაც სხეულის დასახიჩრებით მიყენებული ზიანი უმეტეს შემთხვევაში გამოიხატება ქონებრივი ზიანით, დღის წესრიგში დგება მისი მორალური ზიანისაგან გამიჯვნის საკითხი.

გამიჯვნის სიძნელე ისაა, რომ მორალური და ქონებრივი ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს ფულადი ფორმით, რადგანაც იგი წარმოადგენს უნივერსალურ ქონებრივ ეკვივალენტს, რაც პიროვნებას აძლევს აუცილებელი ქონების შეძენის საშუალებას.

მორალური და ქონებრივი ზიანის გამიჯვნის პრინციპი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ქონებრივი ზიანისა და სხეულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მიმართულია თვით სხეულის დისფუნქციის ან შინაგანი გამოვლინების აცილებისაკენ, მაშინ, როცა მორალური ზიანის კომპენსაცია მიმართულია სხეულის დაზიანებით მიყენებული განცდების, მწუხარების აცილების ან შემსუბუქებისაკენ.

· §2. ფიზიკური პირის კატივის, ღირსებისა
და საქმიანი რეპუტაციის უფლების
დარღვევა

პოლიტიკური და იდეოლოგიური მრავალფეროვნების თანამედროვე პირობებში, სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის რეალური თავისუფლების, მწვავე წინასაარჩევნო დისკუსიების, სამეწარმეო-ეკონომიკური მოღვაწეობის სფეროში კონკურენციის არსებობის, კავშირის საშუალებების მძლავრი განვითარებისა და გლობალური ინფორმაციული სივრცის შექმნის პირობებ-

¹ Маленна М. Н. Компенсация за немущественный вред. „Вестник Врх. Суда СССР“, 1991., с. 27.

ში, იზრდება ისეთ არაქონებრივ სიკეთეთა მნიშვნელობა და უფრო მძაფრად და მტკივნეულად განცდა, როგორცაა: პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რომლებიც თავიანთი არსით ზნობრივ კატეგორიებს წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, რომ ამ ზნობრივ კატეგორიათა საკანონმდებლო თვალსაზრისით დაცვა, არ არის აქტუალურად მიმდინარე დემოკრატიული პროცესების მონაპოვარი. ჯერ კიდევ კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელი საბჭოური კანონმდებლობა ცნობდა პატივისა და ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობას, რაც გამოხატული იყო 1964 წლის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლში, რომლის თანახმადაც „მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს საშუალებით მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობების გამავრცელებელი მათ სინამდვილეს ვერ დაამტკიცებს“. აქვე მითითებული იყო იმ მექანიზმებზე, რაც აღნიშნულ პირებს საშუალებას აძლევდა განეხორციელებინათ კანონით მათთვის მინიჭებული უფლება. კერძოდ, თუ მოქალაქის ან ორგანიზაციის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები გავრცელებული იყო პრესაში და სინამდვილეს არ შეეფერებოდა, მათი უარყოფა პრესის საშუალებითვე უნდა მომხდარიყო. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს, რომლებიც სინამდვილეს არ შეეფერებოდა, შეიცავდა ორგანიზაციის მიერ გაცემული დოკუმენტი, ასეთი დოკუმენტი უნდა შეცვლილიყო. სხვა შემთხვევებში, უარყოფის წესს ადგენდა სასამართლო. რაც შეეხება პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის ფულად ანაზღაურებას, მას კანონი არ ითვალისწინებდა.

პიროვნების პატივისცემა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განხორციელებულმა დემოკრა-

ტიულმა გარდაქმნებმა, საშუალება მისცა ადამიანს შეეგნო თავისი სოციალური ღირებულება, აემღლებინა მოქალაქეობრივი ღირსების გრძნობა. ამიტომ, იმ ადამიანთა ქმედებას, რომელთაც არაფრად უღირთ პიროვნების დამცირება და შეურაცხყოფა, მისთვის სულიერი სიმშვიდის დარღვევა, სისხლის სამართლის კანონი დანაშაულად მიიჩნევს და ითვალისწინებს როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ასევე აღნიშნული დანაშაულით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას.

დასახელებულ არაქონებრივ ფასეულობებს მართლსაწინააღმდეგოდ ხელყოფს არა მხოლოდ დანაშაულის ისეთი სპეციალური სახე, როგორცაა ცილისწამება (სსკ-ის 48-ე მუხლი), არამედ ისეთი დანაშაულებრივი ქმედებებიც, რომლებსაც თან ახლავს პატივისა და ღირსების შელახვა: ცემა (საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლი), წამება (სსკ-ის 126-ე მუხლი), გაუპატიურება (სსკ-ის 137-ე მუხლი), სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება (სსკ-ის 138-ე მუხლი), სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება (სსკ-ის 139-ე მუხლი), ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულება – ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (სსკ-ის 142-ე მუხლი), თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143-ე მუხლი), მძევლად ხელში ჩაგდება (144-ე მუხლი), უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (146-ე მუხლი), განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (სსკ-ის 147-ე მუხლი), უკანონოდ მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (149-ე მუხლი); სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულება – განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა (სსკ-ის 109-ე მუხლის „ვ“ პუნქტი), თვითმკვლელობამდე მიყვანა პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით (სსკ-ის 115-ე მუხლი),

განზრახ მკვლელობა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის 111-ე მუხლი), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის 121-ე მუხლი); სამოხელეო დანაშაულება – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი), მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი); სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული – სასამართლოს უპატივცემულობა, სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფით (სსკ-ის 336-ე მუხლი), სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული – სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფა (სსკ-ის 387-ე მუხლი), ურთიერთდაუქვემდებარებელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესის დარღვევა, რასაც თან ახლდა დაზარალებულის პატივისა და ღირსების დამცირება (სსკ-ის 388-ე მუხლი) და სხვა.

პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძირითადი დანაშაულების შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები. მაგალითად, ძლიერი სულიერი აღელვების პირობებში ჩადენილი მკვლელობის ან ჯანმრთელობის დაზიანებისას, სხვა ჩამოთვლილი დანაშაულებისაგან განსხვავებით, პატივისა და ღირსების შელახვა დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებაა.

არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობას, აღნიშნულს სამოქალაქო კოდექსში სპეციალურად აქვთ დათმობილი მე-18 მუხლი. იგი მოიცავს ჩამონათვალს, რომელთა შელახვისთვისაც სამოქალაქო კანონმდებლობა აწესებს

სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. მათ განეკუთვნება: პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

პატივი პიროვნების მორალური თვისებების შეფასებაა, ხოლო ღირსება ამ თვისებების საზომი. ისინი პიროვნების ხელშეუვალი უფლებაა და ერთმანეთთან ახლო მდგომი ცნებები. მათ შორის განსხვავება მდგომარეობს მოცემულ თვისებათა შეფასებისადმი მხოლოდ სუბიექტურ ან ობიექტურ მიდგომაში, თუ მხედველობაში გვაქვს გარშემო მდგომთა შეფასება — საქმე ეხება პატივს, ხოლო თვითშეფასების შემთხვევაში — საუბარია ღირსებაზე¹.

რაც შეეხება საქმიან რეპუტაციას, იგი წარმოადგენს იმ თვისებებისა და შეფასებების კრებულს, რომლის მატარებელი პიროვნება ასოცირდება თავის კონტრაპენტების, კლიენტების, მომხმარებლების, თაყვანისმცემლების (შოუ-ბიზნესში), ამომრჩევლის თვალში და პერსონიფიცირდება ამ სფეროში მოღვაწე სხვა პროფესიონალთა შორის.

ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის, რომ მოვახდინოთ ამ ზნობრივ კატეგორიათა (პატივისა და ღირსების, აგრეთვე საქმიანი რეპუტაციის) ხელყოფის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სამართლებრივი ასპექტის შესწავლა და ანალიზი.

მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა კანონიერი ინტერესების დაცვა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 26-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, ერთნაირად უნდა ხდებოდეს, მაგრამ დღეს მოქმედი სასამართლო პრაქტიკა რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევა ამ მიმართებით, კერძოდ, პრაქტიკოს იურისტთა შორის არანაირ დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოქალაქესა და იურიდიულ პირს თანაბრად აქვთ პატივის,

¹ დაწვრილებით პატივისა და ღირსების ცნებაზე იხილეთ პოლიკარაჟე (თემურ) მონიავას მონოგრაფია — „პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის სამართლებრივი დაცვა“, თბ., 1999, გვ. 10-22.

ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახვე ცნობათა სასამართლო გზით უარყოფის მოთხოვნის უფლება, თუ ამგვარ ცნობათა გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს სინამდვილესთან მათ შესაბამისობას. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობათა უარყოფასთან ერთად, ფიზიკურ პირს აქვს ასევე ამგვარი ცნობების გავრცელებით მიყენებული ზარალისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც. ანალოგიური უფლებები გააჩნია იურიდიულ პირსაც, რაც ცალსახად გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შინაარსიდან, რომელშიც აღნიშნულია, რომ „კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე“. მიუხედავად ამისა, მაგრამ ამგვარ ცნობების გავრცელებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხში სასამართლო პრაქტიკა იურიდიული პირებისათვის არაერთგვაროვანი და ურთირთსაწინააღმდეგოა, რის შესახებაც ცალკე გვექნება საუბარი.

პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიეკუთვნება მოქალაქეთა არაქონებრივ უფლებებს, რომლის არამატერიალური ხასიათი გამოიხატება იმაში, რომ მას არ გააჩნია ეკონომიკური შინაარსი, ე. ი. არ შეიძლება ზუსტად შეფასდეს (მაგალითად, ფულით). მისთვის არ არის დამახასიათებელი არც სასყიდლიანობა. მიგვაჩნია, რომ საქმიანი რეპუტაციის მიახლოებითი შეფასება მაინც შესაძლებელია. ამიტომ, არაქონებრივი უფლების არამატერიალური ხასიათის მითითება არ შეიძლება გავიგოთ იმდაგვარად, რომ თითქოს მათ საერთოდ არ გააჩნიათ ღირებულება. შეუძლებელია მხოლოდ მათი ზუსტი ფულადი გამოხატულების განსაზღვრა.

პირს აქვს უფლება სასამართლო წესით მოითხოვოს მისი პატივისა და ღირსების საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს.

სამოქალაქო სოდექსის მე-18 მუხლის პირველი პარაგრაფიდან გამომდინარეობს, რომ გავრცელებული ცნობების უარყოფის უფლება შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელების მიმართ. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ასეთი უფლება წარმოიშობა მსგავსი ცნობების გავრცელების საშუალებისაგან დამოუკიდებლად და არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდა, როგორც ეს ადრე იყო დადგენილი. დაინტერესებულ პირთა მოთხოვნისამებრ და სიკვდილის შემდეგაც. მართლაც, პატივისა და ღირსების შემლახავმა ცნობებმა უნდა დაამცირონ მოქალაქის ოჯახისა და სამართალურთიერთობათა სხვა სუბიექტების რეპუტაცია, პატიოსანი სახელი. ამასთანავე, კანონმდებელი მოქმედების საშუალებას აძლევს შესაძლო მოსარჩელეთა განუსაზღვრელად ფართო წრეს, რადგან მის მიერ გამოყენებულია ფრაზა „დაინტერესებულ პირთა მოთხოვნისამებრ“.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითვე უნდა იქნან უარყოფილნი, ხოლო თუ მითითებული ცნობები გამოქვეყნდა ორგანიზაციიდან გამომდინარე ამა თუ იმ დოკუმენტში, დოკუმენტი შეცვლას ან უკან გამოხმობას ექვემდებარება. რაც შეეხება სხვა სახის სიტუაციების უარყოფის წესებს, ისინი სასამართლოების მიერ დგინდება.

განხილული მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ მოქალაქეს, რომლის შესახებაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდა მისი უფლებების ან კანონიერი ინტერესების შემლახავი ცნობები, აქვს მასობრივი ინფორმაციის იგივე საშუალებებში საკუთარი პასუხის გამოქვეყნების უფლება.

მოქალაქეს ან იურიდიულ პირს უფლება აქვს სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე მოსთხოვოს უშუალოდ რედაქციას სინამდვილესთან შეუსაბამო, პატივის, ღირსების ან საქმიანი

რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფა. ასეთივე უფლებით სარგებლობს მოქალაქის ან იურიდიული პირის კანონიერი წარმომადგენელი. იმ შემთხვევებში, როდესაც რედაქციას არა აქვს მის მიერ გავრცელებულ ცნობათა ნამდვილობის დამადასტურებელი საბუთები, ის ვალდებულია უარყოს ისინი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოქალაქის ან იურიდიული პირის შესახებ გამოქვეყნებული ცნობები (იმისგან დამოუკიდებლად, შეესაბამებიან ისინი სინამდვილეს თუ არა) არ ლახავენ პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას, მაგრამ მაინც ავიწროვებენ მოქალაქის უფლებებს ან კანონით დაცულ ინტერესებს და იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას, მოქმედებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პასუხის გამოქვეყნების უფლება.

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია მოქალაქის პატივის, ღირსებისა ან საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გამავრცელებლის ვინაობის დადგენა, დაზარალებულს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს განცხადებით გავრცელებულ ცნობათა სინამდვილესთან შეუსაბამოდ ცნობის შესახებ. იურიდიული პირების უფლებების შემლახავი ცნობების გავრცელებისას, სასამართლო გზით დაცული უნდა იქნას სწორედ საქმიანი რეპუტაცია, თუმცა ორგანიზაციებში (დაწესებულებებსა და საწარმოებში) ფიზიკური პირები მუშაობენ და გავრცელებული ცნობები შესაძლოა მათ პატივსა და ღირსებას შეეხებოდეს.

ამგვარად, თანამედროვე სამოქალაქო სამართალში პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის საშუალებას წარმოადგენს უარყოფა ან დაზარალებულისთვის მორალური ზიანის კომპენსაცია (ანაზღაურება). აღვნიშნავთ, რომ უარყოფა ასეთ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს სასამართლოს მიერ სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას პირთა იმ წრისათვის, რომელთა შორისაც გავრცელდა უფლე-

ბაშემლახავი ცნობები, ხოლო მორალური ზიანი – დაზარალებულის ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვის ფაქტის აღიარებას.

სამოქალაქო კოდექსი მე-18 მუხლი ითვალისწინებს, რომ მოქალაქეს ან ორგანიზაციას (იურიდიულ პირს) უფლება აქვს სასამართლო გზით მოითხოვოს მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გამავრცელებლები-საგან გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა; ამით სამოქალაქო კოდექსი მე-18 მუხლი განსაზღვრავს სამართალურთიერთობის მონაწილეებს.

სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებიდან გამომდინარე, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის უფლების სუბიექტები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ მათი ქცევა და საქმიანობა სათანადოდ, მართებულად შეფასდება, მათი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია კი არ შეილახება სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაციის გავრცელებით. სამოქალაქო სოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი გარანტიების საფუძველზე, სუბიექტები უზრუნველყოფილნი არიან იმის რეალური შესაძლებლობით, რომ თავისუფლად იგრძნონ თავი საზოგადოებაში და იქონიონ საზოგადოების წინაშე მათი დამსახურებების საჯარო აღიარების პრეტენზია.

სამოქალაქო სოდექსის მე-18 მუხლში დადგენილია მოქალაქეთა ან ორგანიზაციების (იურიდიული პირების) უფლება მიმართონ სასამართლოს პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფის მიზნით, თუ უფლებაშემლახავ ცნობათა გამავრცელებელი არ დაამტკიცებს მათს შესაბამისობას სინამდვილესთან. მტკიცების სიმძიმე მთლიანად უფლებაშემლახავ ცნობათა გამავრცელებელ სუბიექტს ეკისრება და არა დაზარალებულს. აქედან გამომდინარე, მსგავსი უფლების დაკმაყოფილები-სათვის აუცილებელია რამოდენიმე პირობის არსებობა, კერძოდ, ა) გავრცელებული ცნობები რეალურად უნდა წარმოადგენდნენ საფრთხეს პატივისა და ღირსებისათვის; ბ) ისინი არ უნდა

შეესაბამებოდნენ სინამდვილეს, გ) უნდა იყვნენ გავრცელებულნი. მანამ, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება, გავრცელებული უფლებაშემლახავი ცნობები სინამდვილესთან შეუსაბამოდ ითვლება.

საჭიროდ მიგვაჩნია სამოქალაქო სოდექსის მე-18 მუხლის გამოყენების ცალკეული პირობების დახასიათება ან განმარტება, თუმცა ჯერ ისეთ ცნებაზე შევჩერდებით, როგორცაა „ცნობები“. „ცნობებში“ მოიაზრება ზეპირად თუ წერილობით დაფიქსირებული და გავრცელებული იმგვარი ინფორმაცია ადამიანის ცხოვრების ფაქტების, ქცევის შესახებ, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ, რომელიც ლახავს პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას. ინფორმაცია შეეხება როგორც თვით ფაქტებს, ასევე მათ შეფასებას, რომელიც გავრცელებული ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობა-შეუსაბამობის თვალსაზრისით, სასამართლო დაცვის საგნად შეიძლება იქცეს.¹

სამოქალაქო სოდექსის მე-18 მუხლის გამოყენებისა და ვალდებულ პირთათვის პასუხისმგებლობის შესაძლო დაკისრების პირველ პირობას წარმოადგენს ის, რომ ცნობები გავრცელებული უნდა იყოს. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელება გულისხმობს მათს შეტყობინებას პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, რამდენიმე ან ერთი პირისათვის. თუნდაც ერთი ადამიანისათვის მიწოდებულმა უფლებაშემლახავმა ცნობებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი მორალური ზიანი მიაყენონ დაზარალებულს. მსგავსი ცნობების მიმწოდებელი პრაქტიკულად კარგავს მათი შემდგომი გავრცელების შეჩერების შესაძლებლობას. მაშინაც კი, როდესაც პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობები არ არის საყოველთაოდ განმარტებული და გარკვეულ ეტაპზე მხოლოდ ერთი პირისათვის არის ცნობილი, არსებობს მათი უარყოფის საკითხის წამოჭრის საფუძ-

¹ იხ. ასევე: Чечеткина З.Б. Судебная защита чести и достоинства — конституционное право советских граждан. М., 1980, с. 13-17.

ველი (სინამდვილესთან მათი შეუსაბამობის შემთხვევაში). მსგავს სიტუაციაში ძალზე მნიშველოვანია არამართლზომიერი ქმედებების დროული აღკვეთა, რათა ბოროტმა განზრახვამ არ ჰპოვოს შემდგომი განვითარება. აქვე აღენიშნავთ, რომ უფლებაშემლახვე ცნობათა გავრცელებას არ წარმოადგენს მათი შეტყობინება უშუალოდ იმ პირისათვის, რომელსაც ეხება ეს ცნობები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია წამოჭრას საკითხი დამნაშავისათვის შეურაცხყოფისა და ცილისწამების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, თუკი არსებობს ამის საფუძველი.

მოქალაქეთა პატივის, ღირსების, ასევე მოქალაქეთა და იურიდიული პირების საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელება, რომელზეც სამოქალაქო სოდექსის მე-18 მუხლშია საუბარი, გულისხმობს ამგვარი ცნობების გამოქვეყნებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, სამსახურებრივ დახასიათებებში, საჯარო გამოსვლებში, თანამდებობრივ პირობათვის განკუთვნილ განცხადებებში, ან „სხვა, მათ შორის ზეპირი ფორმებით, მათს მიწოდებას რამდენიმე ან თუნდაც ერთი პირისათვის...“ კანონსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება ცნობების გავრცელება, თუკი იგი გამავრცელებლის მოვალეობების რიცხვში შედის ან მის უფლებას წარმოადგენს (მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ მიღებული მასალის გადაგზავნა სხვა ორგანოებისათვის შესამოწმებლად და ა.შ. მსგავს გარემოებებში პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობის შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნები წარედგინება ცნობათა ჭეშმარიტ გამავრცელებელს, თუკი შესაძლებელია მისი დადგენა.

სინამდვილესთან შეუსაბამო უფლებაშემლახავი ცნობების უარყოფის საკითხის გადაწყვეტისას, ღიდი მნიშვნელობა ენიჭება ცნობების გავრცელების ფორმასაც, რადგან განსაზღვრულ

შემთხვევებში სწორედ მასზეა დამოკიდებული მითითებულ ცნობათა უარყოფის ფორმა.

სამოქალაქო სოდექსის მე-18 მუხლის გამოყენებისა და ვალდებულ პირთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მეორე პირობა იმაში მდგომარეობს, რომ გავრცელებული ცნობები უნდა ლახავდნენ მოქალაქის პატივსა და ღირსებას, ასევე მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა საქმიან რეპუტაციას.

უფლებაშემლახავია ისეთი ცნობებიც, რომელთაც კანონების ან თანაცხოვრების თვალსაზრისით შეუძლიათ ჩრდილი მიაყენონ იურიდიულ ან ფიზიკური პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას საზოგადოების ან ცალკეულ მოქალაქეთა თვალში, ანუ უფლებაშემლახავია ცნობები, რომელნიც უარყოფითად მოქმედებენ ამა თუ იმ პირის მორალური თვისებების შეფასებაზე გარშემომყოფთა მხრიდან. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ უარყოფით შედეგებს იწვევს იმგვარი ცნობების გავრცელება, რომლებშიც არის მინიშნება სუბიექტის განსაზღვრულ უარყოფით თვისებებზე ან მომენტებზე. უფლებაშემლახავ ცნობათა რიცხვს არ უნდა მივაკუთვნოთ ზოგადი შეფასებითი ინფორმაცია (მაგ. „უნიჭო იურისტი (ადვოკატი)“, „საშუალო დონის პედაგოგი“, „სუსტი სპეციალისტი“). დაუშვებელია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ამა თუ იმ შეფასების უარყოფის მოთხოვნის საკითხის წამოყენება, თუ ხსენებული შეფასება მართებულად ასახავს ფაქტიურ გარემოებებს. მსგავსი სახის სარჩელთა წარდგენის შემთხვევაში სასამართლოებმა არ უნდა დააკმაყოფილონ ისინი.

უფლებაშემლახავია სინამდვილესთან შეუსაბამო ისეთი ცნობები მოქალაქეთა ან იურიდიულ პირთა მიერ მოქმედი კანონმდებლობის ან მორალური პრინციპების დარღვევის შესახებ, რომელნიც ეჭვქვეშ აყენებენ მათ პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას. ეს შემდგენაირად უნდა იქნას გაგებული: უფლებაშემლახავია ცნობები, რომელთაც ამტკიცებს ავტორი. გავრცელებული ინ-

ფორმაციის მტკიცებითი ხასიათი ერთ-ერთი იმ რამდენიმე მნიშვნელოვან პირობათაგან, რომელთა არსებობისას შესაძლებელია მოქალაქეთა ან იურიდიული პირების პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილება. ამას დავამატებდით, რომ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვისათვის აუცილებელია, რომ გავრცელებული ცნობები უფლებამშემლახავი იყოს კანონის, მორალისა და ზნეობის პრინციპების თვალსაზრისით და არა დაზარალებულის გადასახედიდან, რომელსაც მათი ინდივიდუალური შეფასება სარჩელის წარდგენისაკენ უბიძგებს. მართალია, კანონმდებელს არ დაუდგენია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახვ ცნობათა კონკრეტული ჩამონათვალი, მაგრამ სასამართლოების პრაქტიკულ საქმიანობაში ყველაზე ხშირად ჩნდება სარჩელები იმ ინფორმაციის უარყოფის შესახებ, რომელიც პროფესიულ საქმიანობას, თანაცხოვრების წესების დარღვევასა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში დადანაშაულებას შეეხება.

ზაზს ვუსვამთ იმას, რომ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების განზრახ გავრცელება უარყოფას ექვემდებარება იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ფორმით გავრცელდა ისინი: შეურაცხყოფლად და უხეშად თუ საკმაოდ ზრდილობიანად.

ინდივიდის უფლებამშემლახავი ცნობები ძირითადად ქცევის ფაქტებს შეეხება. ამას გარდა სასამართლო წესით შესაძლებელია განსაზღვრულ ქმედებათა ჩადენა-არჩადენის შეფასების უარყოფის მოთხოვნაც, თუკი შეფასება მოქალაქის ან ორგანიზაციისათვის შეურაცხყოფელი ფორმით გაკეთდება.

რიგ შემთხვევებში სასამართლოები, გამოაქვთ რა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ლახავენ თუ არა გავრცელებული ცნობები პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას, სიძნელეებს აწყდებიან და ექსპერტიზას მიმართავენ. ექსპერტიზას შეიძლება დაექვემ-

დებაროს გავრცელებულ ინფორმაციაში გამოყენებული გამონათქვამები და შეფასებები.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ცნებები – „უფლებამომლახავი“ და „შემარცხვენელი“. ცხადია, შეცდომა იქნებოდა უფლებამომლახავი და შემარცხვენელი ცნობების გაიგივება, თუმცა ზოგჯერ ძალზე რთულია მათი გამიჯვნა. უფლებამომლახავი ცნობები, ისევე როგორც შემარცხვენელი ცნობები, უარყოფით გავლენას ახდენენ ინდივიდის, ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის რეპუტაციაზე, მაგრამ საკმაოდ განსხვავებულია ამ გავლენის ხარისხი. ყოველ შემთხვევაში ისიც უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი უფლებამომლახავი ცნობა შემარცხვენელი იქნება და პირიქით.

პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის და ვალდებულ პირთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მესამე აუცილებელ პირობას წარმოადგენს დაზარალებულის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის სინამდვილესთან შეუსაბამობა. თუ გავრცელებული ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს და დაზარალებულის რეპუტაცია უსაფუძვლოდ შეილახა, იგი იძენს სასამართლო დაცვის უფლებას, „სინამდვილესთან შესაბამისობის“ ცნება გულისხმობს საქციელის, ქმედების, მოვლენის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისობას იმასთან, რაც სინამდვილეში ხდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სინამდვილესთან შეუსაბამოდ უნდა ჩაითვალოს ცნობები, რომლებიც პიროვნების ქმედებებსა და საქციელს არ წარმოაჩენენ ისეთად, როგორც იყო სინამდვილეში ეს ქმედებები და საქციელი, ანუ ცრუ ცნობები.

ყურადღება უნდა მიექცეს უარყოფითი, მაგრამ სინამდვილესთან შესაბამისი ინფორმაციის გავრცელების შედეგებსაც. ზოგ შემთხვევაში ადამიანის შესახებ ვრცელდება ცნობები, რომელნიც შეესაბამებიან სინამდვილეს მაგრამ მის ნეგატიურ დაზარალებას

(ადრინდელ ნასამართლობას, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობას, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას, მადისკრეტირებელ გარემოებათა გამო სამსაურიდან დათხოვნას და ა.შ.) შეიცავენ. ბუნებრივია, მსგავსი ფაქტების გახმაურება რეალურ დისკომფორტს უქმნის ადამიანს და შესაძლებელია გარკვეული სულიერი მღელვარება და განცდები მიანიჭოს მას. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სანქციებს მსგავსი ხასიათის ინფორმაციის გავრცელების გამო. რიგი სპეციალისტების აზრით, დიფამაციის¹ ინსტიტუტი შეუთავსებელია ჩვენს კანონმდებლობასთან. რიგი სპეციალისტებისა კი პირიქით, არასწორად მიიჩნევენ ასეთ მდგომარეობას, რამეთუ შესაძლებელია გავრცელდეს ცნობები, რომელთაც თუმცა არავითარი ზემოქმედების მოხდენა არ შეუძლიათ პიროვნების საზოგადოებრივ შეფასებაზე, მაგრამ შეუძლიათ სულიერი ტანჯვა, ზოგჯერ კი ფსიქიური დარტყმა მიაყენონ ადამიანს (ეს შეიძლება იყოს დაბადების საიდუმლოს გახმაურება, ინფორმაციის გავრცელება ადამიანის ავადმყოფობის, კომპრომეტირებული ნათესავების ან თვით პიროვნების სამარცხვინო კავშირების შესახებ და ა.შ.).

ჩვენი აზრით, მოცემულ შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს დიფერენცირებული მიდგომა, რადგან ადამიანის ღირსების შემლახავი გარემოებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება შეიძლება განსხვავებული მიზეზებით იყოს გამოწვეული. კერძოდ, ცნობების გავრცელება სუბიექტის უღირსი ქმედებების შესახებ, ხშირად საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით, აღმზრდელობითი ხასიათის მოსაზრებებითაა ნაკარნახევი.

პასუხისმგებლობის დაკისრება სინამდვილესთან შეუსაბამო,

¹ აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო-სამართლებრივ მეცნიერებაში დიფამაცია ნიშნავდა და ნიშნავს, „სინამდვილის შესაბამისი უფლებამწიკვანი ცნობების გავრცელებას, იმ დროს, როდესაც ცივილისტური დოქტრინა და დასავლეთის ქვეყნების სასაერთაო ამ ცნებაში მოთხოვნებს უფლებამწიკვანი, შეურაცხყოფილი ცნობების გავრცელებას საეროდ, სინამდვილესთან მათი შესაბამისობა-შეუსაბამისიგან დამოუკიდებლად (მაგ. Мухно Е.А. Возмещение морального вреда при диффамации // Правоведение, 1992, N 6, с. 63-69).

პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის გავრცელების გამო, იმისგან დამოუკიდებლად ხდება, თუ რა ფორმით მოხდა გავრცელება — ზეპირად, წერილობით თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. პასუხისმგებლობა სინამდვილესთან შეუსაბამო, პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გავრცელების გამო მათს გამავრცელებელს იმ შემთხვევაშიც ეკისრება, თუკი გავრცელება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოხდა ან მაკომპრომენტირებელი ინფორმაციის დაფიქსირება პირთა ფართო წრისათვის განკუთვნილ ოფიციალურ აქტში განხორციელდა.

არ დაიშვება ისეთი ცნობების უარყოფის მოთხოვნა, რომლებიც აისახება სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებში, განაჩენებში, აგრეთვე წინასწარი გამოძიების ორგანოთა დადგენილებებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, რომელთა გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილია სხვა წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილება არ შეიძლება ჩაითვალოს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვად, რის გამოც არ არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი. ასე მაგალითად:

ქარელის რაიონში მცხოვრები ჟენია ლომიძესა და თ. მალრადის ოჯახებს სხვადასხვა დროს ყაჩაღურად თავს დაესხა დამნაშავეთა ჯგუფი. ხაშურის რაიონის სასამართლოს მოსამართლის მიერ დამნაშავეთა მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ერთ-ერთი მსჯავრდებულის, სულაბერიძის, ოჯახიდან ამოღებული ავტომანქანა კი მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად მიეკუთვნა დაზარალებულ მალრადეს. ვინაიდან მასზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში ასევე მონაწილეობდა სულაბერიძე. ე. ლომიძემ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს, სადაც მიუთითა, რომ შეელახა პატივი და ღირსება მოსამართლე ფარეიშვილის მოქმედებით, რომელმაც სულაბერიძეების სახლიდან ამოღებული ავტომანქანა მას კი არა,

სხვა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას საფუძველად დაედო ის, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ე. ლომიძისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება დაეკისრათ მსჯავრდებულებს: დ. ჩხეიძეს, მ. საძაგლიშვილსა და ა. სულაბერიძეს, რომლებმაც მთლიანად აანაზღაურეს იგი. ამასთან, სასამართლომ გამოიყენა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლები, მიუთითა, რომ მოსარჩელეს მიერ ვერ იქნა დადასტურებული, თუ რა ზიანი მიადგა მას.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა თ. მალრაძის სარჩელი. სადავო გადაწყვეტილებით – მოსარჩელის პიროვნული ღირსებები: პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია არც შელახულა და არც შეფასებულა, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი არ არსებობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 1995 წელს, ანუ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მიღებული სამოქალაქო კოდექსი, ძველი სამოქალაქო კოდექსი კი მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა.

მეტიც, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იძლევა კანონით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებების ზუსტ ჩამონათვალს, რის გამოც სხვა პიროვნული სიკეთეების ხელყოფით გამოწვეული ქონებრივი ზიანი ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სამართლის პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსთვის, თუ კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დამატებითი და

დასაბუთებული საკანსაციო პრეტენზია. ასეთს კი მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია¹.

როგორც აღნიშნეთ, შემლახველად ითვლება ცნობები, რომლებიც საზოგადოების ან ცალკეული მოქალაქის თვალში ამცირებენ პირის პატივსა და ღირსებას კანონმდებლობის ან მორალური პრინციპების თვალსაზრისით. მაგალითად, საწარმოო გაერთიანებამ „რიონი“ სახელის გამტეხად ჩათვალა ტელეგადაცემაში გაშვებული განცხადება, თავისი საქმიანობის საეჭვო ხასიათზე, რომელმაც, გაერთიანებას მიაყენა როგორც მორალური, ისე მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი – რიგ მომზადებულ ხელშეკრულების პროექტზე ხელმოწერის ჩაშლით.

ამასთან, ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა კონკრეტული პირის მიმართ გავრცელებული სამართალდარღვევის ჩადენის ცნობების უარყოფა? სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს ამ მიმართებით. მაგალითად, ფინანსური გაერთიანების ხელმძღვანელმა მიმართა სასამართლოს სარჩელით პატივისა და ღირსების დაცვის თაობაზე, რომელიც დაკავშირებული იყო პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებთან იმის შესახებ, რომ აღნიშნული გაერთიანება შექმნილი იყო თავმჯდომარის პირადი გამდიდრებისათვის და რომ უკანასკნელმა გადასახადებიდან მიითვისა 14 ათასი ლარი. ასეთი სარჩელების განხილვისას სასამართლო ვალდებულია, მხარეების შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, მოითხოვოს კომპეტენტური ორგანოებისაგან (პოლიციისაგან, პროკურატურისაგან და ა. შ.) განსახილველ საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები და სხვა მონაცემებთან ერთად მისცეს ობიექტური შეფასება, რაც საფუძვლად დაედება სასამართლო გადაწყვეტილებას.

როგორც უკვე აღინიშნა, პატივის, ღირსებისა და საქმიანი

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება №3 კ-178-01 საქმეზე.

რეპუტაციის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელი პირობაა მათ მიმართ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობის ფაქტის დადგენა. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების მტკიცების ტვირთი კი აწევს მოსარჩელეს და არა მოპასუხეს. მოქალაქე გ. ნატროშვილმა სარჩელით მიმართა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს და მოპასუხეების: გ. მირიანაშვილისა და ნ. სახოკიასაგან მოითხოვა მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით.

ნ. ნატროშვილის სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა შემდეგს:

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, სადაც მოსარჩელე მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობს, ობოლ და მარტოხელა, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ყოფაცხოვრების ოპტიმალურ ფორმად აღიარა რა ოჯახური აღზრდა, შექმნა სათანადო კონცეფცია. აღნიშნულის საფუძველზე ნ. ნატროშვილმა 1992 წელს ჩამოაყალიბა თ. ესიტაშვილისა და მ. რობაქიძის სამეურვეო ოჯახი, რომლებიც საკუთარ ორ შვილთან ერთად ზრდიდნენ ექვს შვილობილს. ამ მოდელის დასაკანონებლად მუშაობა დაიწყო პარლამენტის წევრმა მ. მირიანაშვილმა, რომელმაც „ობოლ ბავშვთა შვილობის“ შესახებ კანონპროექტის განმარტებით ბარათში, ამ წამოწყებას მორღუობის, გაძიძავეების, გაბარების მსგავსი „მინდობით აღზრდის ინსტიტუტი“ უწოდა და არა პროფესიული ოჯახის ქართული მოდელი, როგორც ამას ამტკიცებდა ნატროშვილი. აღნიშნული ინფორმაცია (მოსარჩელის აზრით, მცდარი ინფორმაცია), პარლამენტის კომიტეტებსა და ფრაქციებში გაავრცელა მ. მირიანაშვილმა, ხოლო ნ. სახოკიამ, რომელიც მუშაობდა სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრში, მთლიანად აუარა გვერდი რობაქიძის პროფესიულ ოჯახს, რითაც შექმნა შთაბეჭდილება, რომ თითქოსდა საქართველოში ობოლი და მშობელთა ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა ოჯახური აღზრდის იდეა საერ-

თოდ არ არსებოდა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ უხეშად შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რამაც მიაყენა მნიშვნელოვანი მორალური და მატერიალური ზიანი, შეერყა ჯანმრთელობა და დაუქვეითდა შრომის უნარი, რის გამოც მოპასუხისაგან მოითხოვა: პრესისა და ტელევიზიის საშუალებებით სამეცნიერო კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის ობიექტურად შეფასება, საჯაროდ ბოდიშის მოხდა და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის სახით 10 000 ლარის გადახდა.

რაიონულმა სასამართლომ საარჩელი არ დააკმაყოფილა, რადგანაც ჩათვალა, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელების ფაქტი.

საოლქო სასამართლომ თავის მხრივ ჩათვალა, რომ კანონპროექტის განმარტებით ბრათსა და თანდართული კონცეფციის შესახებ დოკუმენტებში მოპასუხეების მიერ იმის არასახვა, რომ მოსარჩელე იყო მრავალწლიანი ინტელექტუალური შრომის ავტორი, არ წარმოადგენს საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

უზენაესმა სასამართლომ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორად მიიჩნია და აღნიშნა, რომ სასამართლომ ამ შემთხვევაში სწორად გამოიყენა და განმარტა კანონი, რადგან პირმა, რომელმაც სარჩელით მიმართა სასამართლოს, პირადი არაქონებრივი უფლებების დასაცავად უნდა დაამტკიცოს, რომ გავრცელდა ცნობები, რომლებიც ლახავენ მის უფლებებს, ხოლო მოპასუხე-გამავრცელებელი ვალდებულია, დაამტკიცოს გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა. ამასთან, გავრცელებულ უნდა იქნეს ისეთი ცნობები, რომ პრესაში, რადიოში ან ტელევიზიაში საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვებში არასწორად, დამახინჯებულად და პირის ღირსებისათვის შეურაცხმყოფელი სახით შუქდება მისი პიროვნება. მოცემულ შემთხვევაში

მოპასუხემ ვერ დაამტკიცა სინამდვილესთან შეუფერებელი ცნობების გავრცელების ფაქტი. ამასთან, ნ. ნატროშვილმა ვერც იმ გარემოებაზე მიუთითა, თუ რაში გამოიხატა მისი პატივისა და ღირსების, ან საქმიანი რეპუტაციის შელახვა, ან მისი პიროვნული ღირსების შეურაცხყოფა¹.

მოსარჩელე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. როგორც უკვე აღინიშნა, ზოგჯერ შემლახველი ცნობების გავრცელების დროს სახელგატეხილის ვინაობა მითითებული არ არის, მაგრამ იგი ცნობს თავის თავს ინფორმაციაში და მიმართავს სასამართლოს სარჩელით, რათა დაიცვას თავისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მსგავს შემთხვევაში სასამართლო სხვადასხვაგვარად იქცევა. მაგალითად, ერთ-ერთ გაზეთში ლაპარაკი იყო საავიაციო ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უმოქმედობასა და იქ არსებული მეურნეობის მოუწესრიგებლობაზე. სტატიის ავტორისა და რედაქციის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა, რომლის გვარი პუბლიკაციაში არ იხსენიებოდა, თუმცა ივარაუდებოდა. საგულისხმოა, რომ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სასარჩელო განცხადების მიღების დროს რამდენად შეიცნობა გავრცელებულ ინფორმაციაში მოსარჩელე, წყვეტს სასამართლო.

პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შესახებ სარჩელი მოპასუხეებს წარმოადგენენ პირები, რომლებიც ავრცელებენ სინამდვილისთვის შეუფერებელ ცნობებს, ან ის პირები, რომლებიც ხელს აწერენ ცნობებს და ან საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელთა სახელით გაცემულია ინფორმაცია.

თუ სარჩელი შეიცავს მოთხოვნას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ცნობების უარყოფის შესახებ, მოპასუხეებად ითვლებიან, შესაბამისად, ინფორმაციის ავტორი და რედაქცია.

¹ უზენაესი სასამართლოს განჩინება, 27-09-2001 წელი, საქმე №33/624-01.

პუბლიკაციის ან სხვა საშუალებებით გავრცელებული ასეთი ცნობები თუ უსახელო ან ფსევდონიმიტა, მაშინ მოპასუხეს ამ საქმეში წარმოადგენს რედაქცია, რომელსაც არა აქვს უფლება გაამხილოს ავტორის გვარი. იმ შემთხვევაში, თუ რედაქცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, საქმეში მოპასუხის სახით მონაწილეობს მოცემული მასობრივი ინფორმაციის საშუალების ხელმძღვანელი.

შესაძლებელია, რომ არასწორი ცნობები ავტორს ან რედაქციას გადასცა მესამე პირმა (წერილები რედაქციაში, ზეპირი შეტყობინება, ოფიციალური დოკუმენტი). საფუძვლებს, რითაც პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება რედაქცია, მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტი, მიეკუთვნება შემდეგი: თუ ცნობები არის სავალდებულო შეტყობინებაში; თუ ისინი მიღებულია საინფორმაციო სააგენტოდან; თუ მოიცავს საავტორო ნაწარმოებებს, რომელიც გადის ეთერში წინასწარი ჩაწერის გარეშე და სხვა. თუმცა ამ გარემოებების არსებობა არ გამორიცხავს შესაძლებლობას, სასამართლომ განიხილოს სარჩელი ინფორმაციის გასაბათილებლად, რომელიც შეურაცხყოფს პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. ამასთანავე, ასეთ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა (ორგანიზაციებმა), რომელთაგანაც შემოვიდა ეს ცნობები და რომლებმაც უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი შეესაბამებიან სინამდვილეს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რედაქციას შეძილება დაეკისროს ვალდებულება, გამოაქვეყნოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

1999 წელს „გაზეთ ახალ თაობაში“ პერიოდულად ქვეყნდებოდა ინტერვიუები ქალბატონ მ. ა-სთან, რომელშიც მან სხვა საკითხებთან ერთად ისაუბრა ქონების გაძარცვასა და დ-ს მიერ კ-ა-ს ხელნაწერების გაყიდვის თაობაზე.

თბილისის მთაწმინდის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში დ-ს მიმართ ინტერვიუში დასახელებულ ფაქტებთან დაკავშირებით ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის

არარსებობის გამო გამოტანილ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

დ-მ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოპასუხეებს გაზეთ „ახალ თაობის“ რედაქტორისა და ჟურნალისტისგან მოითხოვა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. დ-ს უარი ეთქვა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, ამასთან, მოპასუხეებს დაევალოთ გავრცელებული ცნობების უარყოფა იმავე გაზეთის მეშვეობით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ. აღნიშნულს საფუძვლად დაედო ის, რომ გაზეთ „ახალ თაობაში“ ინტერვიუ გამოქვეყნებული იყო ქალბატონ მ. ა-სთან და ცნობები დ-ს შესახებ გავრცელდა მისი მითითებით. ამრიგად, გაზეთისა და ჟურნალისტის ბრალეული ქმედება სრულიად გამოირიცხა, რის გამოც გაზეთს დაეკისრა მხოლოდ სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების უარყოფის გამოქვეყნება იმავე გაზეთის მეშვეობით¹.

სარჩელის დაკმაყოფილებისას სასამართლო ვალდებულია სარეზოლუციო ნაწილში მიუთითოს სახელის გამტეხი ცნობების გასაბათილებელი საშუალება. თუ ასეთი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ისინი აგრეთვე უნდა იქნენ უარყოფილი შესაბამისი საშუალებებით.

რადიოსა და ტელევიზიაში უარყოფა მიზანშეწონილია გადაიცეს დღის იმავე დროს და, როგორც წესი, იმავე გადაცემაში, რომლითაც გადაიცა გასაბათილებელი მასალა (არასწორი ინფორმაცია).

უარყოფის წესებს სხვა შემთხვევებში ადგენს სასამართლო,

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 1 დეკემბრის განჩინება, საქმე №3 კ/644.

რომელიც დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებაზე. ეს შეიძლება იყოს გავრცელებული ცნობების უარყოფა კრებაზე, ორგანიზაციაში წერილობითი გაბათილების გაგზავნა, რომელშიც იყო მოსარჩელეზე შემლახველი ცნობების შეტყობინება და ა. შ. სასამართლოს შეუძლია აირჩიოს მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის რამდენიმე ფორმა ერთად.

თუ გავრცელებული ცნობები აღმოჩნდება არასწორი ნაწილობრივ და არა მთლიანად, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესახებ, დააკისრებს რა მოპასუხეს გააბათილოს დაუმტკიცებელი მონაცემები, ხოლო სარჩელის დანარჩენ ნაწილს უარყოფს. აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილებაში გადმოსცეს უარყოფის ტექსტი.

ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის გარემოება, რომ სამოქალაქო კოდექსი, მართალია, ითვალისწინებს შეურაცხყოფელ, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების უარყოფას ინფორმაციის იმავე საშუალებებით, მაგრამ იგი არ უთითებს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს ასეთი უარყოფა.

აღნიშნული გარემოება იწვევს იმას, რომ ხშირად სასამართლოები არ ითვალისწინებენ უარყოფელი ცნობების გამოქვეყნების ვადას, რასაც მივყავართ იქამდე, რომ უფლების შემლახველი ცნობების უარყოფა უფლების დარღვევიდან 1 ან მეტი წლის შემდეგ სრულიად არაეფექტურია. ჩვენი აზრით, ეს ვადა უნდა იყოს გონივრული და მისი დაწესება უნდა ემსახურებოდეს ფიზიკური და იურიდიული პირების დარღვეული უფლების მაქსიმალურ აღდგენას. იგი, ამავდროულად, უნდა იყოს რეალური და შესრულებადი. ამასთან დაკავშირებით, მართებული იქნება, თუ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში გათვალისწინებული იქნება კონკრეტული მექანიზმი არაქონებრივი უფლებების დაცვის შესახებ.

მისასაღმებელია, როდესაც სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ვადის მითითების მაგალითები. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლო უარყოფელი ცნობების გამოქვეყნებისთვის აწესებს 40-დღიან ვადას სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან¹.

თუ უარყოფის მოთხოვნა წაყენებული იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი, რომლითაც გავრცელდა შემლახველი ცნობები, მაშინ სასამართლოს მიერ ასეთი სარჩელი განიხილება იმ პირობით, თუ რედაქცია სადავო პუბლიკაციის უარყოფაზე უარს იტყვის (კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“).

მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უარყოფის მოთხოვნასთან ერთად ან დაუმოუკიდებლად.

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოს მიერ კომპენსაციის განსაზღვრის ამოსავალ კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ შემლახავი ცნობების გავრცელების სფერო (არეალი). ამგვარად, ისინი შეიძლება იქნეს გავრცელებული ცენტრალური ან ადგილობრივი ტელევიზიით, ან ახალი ფირმის პრეზენტაციისას, ან პირადი საუბრის დროს. კომპენსაციის ოდენობა უნდა იზრდებოდეს ცნობების მიმწოდებელი პირების რაოდენობის გათვალისწინებით. ყურადღება უნდა მიექცეს პირთა შემადგენლობას, რომლებსაც შეეხო შემლახველი ცნობები. ცხადია, კომპენსაციის ოდენობა უნდა იყოს მაღალი, თუ ინფორმაციის მიმღებთა შორის იყვნენ კონტრაგენტები ხელშეკრულებით, პოტენციური პარტნიორები ბიზნესში, თანამშრომლები, კლუბის ამხანაგები, ნათესავები და სხვა ადამიანები ან უშუალოდ დაზარალებულთა დაკავშირებული საწარმო ან ორგანიზაცია.

¹ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №3 კ-766-02, 19 ივლისი, 2002.

კომპენსაციის ოდენობის გაზრდის საფუძვლებს შეიძლება მივაკუთვნოთ მორალური ზიანის დადგომა რამდენიმე არაქონებრივი უფლების ერთდროულად დარღვევასთან დაკავშირებით. მაგალითად, არაკანონიერი გაკიცხვისას ირღვევა ან იზღუდება არაქონებრივი უფლება პატივზე, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციაზე, გადაადგილების თავისუფლებაზე (თავისუფლების აღკვეთით დასჯისას), პირადი ცხოვრების საიდუმლოებაზე (საფოსტო გზავნილების ცენზურა და სხვა), ინდივიდუალურ გარეგნობაზე (ჩაცმულობაზე, ვარცხნილობაზე) და ა. შ.

სამოქალაქო კოდექსის ნოველას წარმოადგენს მე-19 მუხლი, რომლის მიხედვით დასაშვებია დაინტერესებული პირის მოთხოვნით მოქალაქის პატივისა და ღირსების დაცვა მისი გარდაცვალების შემდეგაც.

კანონში არაა მითითებული, თუ ვინ შედის დაინტერესებულ პირთა წრეში. ჩვენი თვალსაზრისით, მათ უნდა მივაკუთვნოთ ახლო ნათესავეები და ოჯახის წევრები (მეუღლე, შვილები, მშობლები, ძმები, დები, ბებიები, ბაბუები, შვილიშვილები), რამდენადაც ოჯახისა და საგვარეულოს ღირსება უკავშირდება დასახელებულ პირთა შორის ურთიერთკავშირსა და ღირსების ურთიერთშერწყმას.

დაინტერესებულ პირად შეიძლება ჩავთვალოთ გარდაცვლილის მემკვიდრეები, რადგან მემკვიდრეობის მიღებით მათ ხელში გადადის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომელთა განხორციელება ნაწილობრივ განსაზღვრულია გარდაცვალების რეპუტაციით; ნათესავეების, ოჯახის წევრებისა და მემკვიდრეების არყოლისას, შესაძლებელია, გარდაცვლილის ღირსების დაცვა დაეკისროთ მის მეგობრებსაც.

აღნიშნული პირების სახით შემოთავაზებული გარდაცვლილის ახლობლები სასამართლოსათვის წარმოადგენენ რეალურ საშუალებას სიმართლის დასადგენად.

სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლში ლაპარაკია როგორც პატივისა და ღირსების დაცვაზე, ისე გარდაცვლილის საქმიან

რეპუტაციაზე, რაც, ჩვენი შეხედულებით, სრულად ახშიანებს პიროვნების ინტერესების დაცვის კონცეფციას. რადგანაც, გარდაცვლილის სახელის გამტეხი ცნობები, მაგალითად, სამსახურში თაღლითობა, გულგრილობა, ლახავს მის პატივს და ამას გარდა, სახელს უტეხს სამუშაო ადგილსაც. მიზანშეწონილი იქნებოდა კანონით გათვალისწინებული ყოფილიყო მოქალაქის საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესაძლებლობა მისი გარდაცვალების შემდეგაც, ხოლო დაინტერესებულ პირებად აღიარებულიყვნენ თანამშრომლებიც, სამუშაო ადგილის მიხედვით.

§3. მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისათვის

სინამდვილესთან შესაბამისი ცნობები შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირსაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა გააჩნიათ თუ არა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია იურიდიულ პირებს. პასუხი უდავოდ დადებითია. კერძოდ, პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შეიძლება გააჩნდეთ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს, მიაჩნია ა. მალეინას, მისი აზრით, საუბარი საწარმოების ღირსებაზე, პატივზე, საქმიან რეპუტაციაზე შეიძლება დაიწყოს მაშინ, როცა ფასდება საწარმოს არა მხოლოდ ცალკეული თანამშრომლის მოღვაწეობა, არამედ მთელი კოლექტივის ქცევა¹.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეცნიერთა ნაწილი, მათ შორის ვ. ვ. ვიტრიანსკი მიიჩნევს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების

¹ Маленна М. Н. Личные немущественные права граждан. М., 2001. с. 18.

მოთხოვნის უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური პირი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო იურისდიქციის სასამართლოების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 20 დეკემბრის დადგენილებას „მორალური ზიანის კომპენსაციის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე“, ვ. ვ. ვიტრიანსკის მიაჩნია გაუგებრობად, რომელიც გამოწვეულია სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლის მე-7 ნაწილის (ანალოგიურად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლისა) ფორმალური გაგებით. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს მოქალაქის საქმიანი რეპუტაციის დაცვის წესების გამოყენებას იურიდიული პირის რეპუტაციის შელახვის შემთხვევაშიც¹.

ანალოგიური პოზიცია უჭირავს რუსეთის საარბიტრაჟო სასამართლოსაც.

ცალკეულ შემთხვევებში იურიდიული პირის პატივი და ღირსება შესაძლებელია მართლაც არ გამოვლინდეს იმ სახით, როგორც ეს ფიზიკური პირებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნია პატივი და ღირსება. რაც შეეხება საქმიანი რეპუტაციის შელახვას იურიდიული პირისათვის, იგი არის კეთილი სახელის დაკარგვა. ფიზიკური პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის წესი, როგორც უკვე აღინიშნა, გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლიდან და გამოიყენება იურიდიული პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის დროსაც. აღნიშნული გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლიდან. მასში მითითებულია: „იურიდიული პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტა-

¹ Брагинский М. И., Витрянский В. В. Договорное право. М., 1997. с. 505.

აციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლის წესები“, ანუ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისას სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობები.

ასე მაგალითად, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა იურიდიული პირის – „საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის“ სარჩელი და მის სასარგებლოდ მოპასუხეს, ასევე იურიდიულ პირს გაზეთ „ალიას“ რედაქციას საქმიანი რეპუტაციის შემლახველი სტატიის „ღმერთო, დაგვიცავი მომხმარებელთა უფლებების დაცვისაგან“ – გამოქვეყნებისათვის დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება, ნაცვლად მოთხოვნილი 20 000 ლარისა, 2 000 ლარის ოდენობით.

ამავე გადაწყვეტილებით რაიონულმა სასამართლომ დასახელებული იურიდიული პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანის რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია გაზეთ „ალიაში“ 1998 წლის 26-27 სექტემბერს გამოქვეყნებული კიდევ ერთი სტატია სათაურით: „მეწარმეები კონტრიერიშს იწყებენ“, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიულ პირს აქვს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური ზიანის) სანქციების გამოყენების მოთხოვნის უფლება¹.

ამრიგად, იურიდიული პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს უმაღლეს ფასეულობებს, რომელთა აღიარება, განხორციელება და დაცვა ეკისრება სახელმწიფოს. ამასთან, ამ უფლებების დაცვა ეხმიანება საზოგადოების მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას. ბუნებრივია, რომ არაქონებრივი სიკეთის

¹ იხ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ხელყოფა იწვევს ამ სიკეთის მფლობელთა წინააღმდეგობას. ამასთან, სამართლის სხვა დარგების ნორმების შესავსად, არსებობს სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ემსახურება პირის არაქონებრივი უფლებების დაცვას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხერხების მეშვეობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეხება პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას, რომელთა შელახვა პირს უფლებას აძლევს მოითხოვოს არა მხოლოდ მატერიალური, არამედ მორალური ზიანის ანაზღაურებაც.

კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-ნაწილში მითითებულია, რომ „ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის (მათ შორის იგულისხმება: პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია) დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

იურიდიული პირი, მართალია, არსებობს დამოუკიდებლად, მაგრამ იგი წარმოადგენს აბსტრაქტულ ცნებას, ნორმატიულ, სამართლებრივ კონსტრუქციას, ადამიანთა იმ ორგანიზაციის გამოსახატავად, რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე¹.

კანონის ეს მოთხოვნა თანაბრად ვრცელდება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რადგანაც „პირის“ ცნების ქვეშ იგულისხმებიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

¹ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბ., 2002. გვ. 34.

მცირედენი გამონაკლისის გარდა, ქვეყნის სასამართლოები, ძირითადად, სწორად იყენებენ კანონს და იურიდიული პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეულად შელახვისას, გავრცელებულ ცნობათა უარყოფასთან ერთად მოპასუხეს აკისრებენ იურიდიული პირის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურებას.

ზემოთ უკვე მოყვანილს მაგალითებთან ერთად ცხადყოფს შემდეგი: თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა იურიდიული პირის „საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული შემოქმედებითი კავშირის“ სარჩელი და ასევე იურიდიულ პირს, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ს“ „საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული შემოქმედების კავშირის“ სასარგებლოდ, შელახული პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის კომპენსაციის მიზნით დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 2500 ლარის ოდენობით.

ანალოგიურად, თბილისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა იურიდიული პირის – ს/ს „თბილკრედიტბანკის“ სარჩელი და მოპასუხეს, ასევე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 15 000 ლარის ოდენობით.

უზენაეს სასამართლოს საეჭვოდ არ გაუხდია საოლქო სასამართლოს მსჯელობა ზემოთ აღნიშნული იურიდიული პირის სასარგებლოდ მორალური ზიანის დაკისრების თაობაზე. გადაწყვეტილება კი გაუქმდა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ მოპასუხებმ თვითონვე უარყო სადავო ინფორმაცია. ამასთან, პასუხის გარეშე დატოვა და არ აუხსნია თუ რატომ არ დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება მაშინ, როდესაც სახეზე იყო მოპასუხის ბრალეული მოქმედება.

მოცემულ შემთხვევაში შეფასების საგანი გახდა საქართვე-

ლოს ფინანსთა ყოფილი მინისტრის მიერ პარლამენტის სხდომაზე საჯაროდ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი „გასარისავს თბილკრედიტბანკს და ყველაფერს გააკეთებს მის გასანადგურებლად“. მინისტრის აღნიშნული განცხადება გააშუქა საქართველოში მოქმედმა ყველა საინფორმაციო საშუალებამ.

მოსარჩელემ ანუ იურიდიულმა პირმა „თბილკრედიტბანკმა“ მიიჩნია, რომ ყოფილი მინისტრის განცხადებით დაირღვა მისი არაქონებრივი უფლება, შეილახა ბანკის საქმიანი რეპუტაცია და იმიჯი საზოგადოებაში, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) და 1005-ე (სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის) მუხლების საფუძველზე მოითხოვა ბოდიშის მოხდა მოპასუხისათვის მორალური ზიანის 500 000 ლარის, სახელმწიფო ბაჟისა და ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების დაკისრება.

თავის მხრივ, საოლქო სასამართლომ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ მოპასუხის მიერ საჯაროდ გამოთქმული ინფორმაცია შეიცავდა მოსარჩელისათვის არასასურველ სამომავლო პერსპექტივას, ვინაიდან იგი იყო საბანკო სფეროში მოღვაწე იურიდიული პირი და არასახარბიელო რეპუტაცია ექმნებოდა კლიენტურის თვალში. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსთა ყოფილი მინისტრი მოქმედებდა ბრალეულად, რაც მისსავე სიტყვებში – „შეიძლება ამ სიტყვის თქმის უფლება არა მაქვს, აი, ამას ვამბობ პირდაპირ“ – აისახა, სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ. კერძოდ, ნაცვლად მოთხოვნილი 500 000 ლარისა, მოპასუხეს დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 15 000 ლარის ოდენობით!

საოლქო სასამართლომ მოთხოვნილი თანხის შემცირება იმით

ახსნა, რომ მოსარჩელემ მოთხოვნის ოდენობა ვერ დაასაბუთა, ამასთან, გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია გაავრცელა სულიერად აღელვებულ ვითარებაში. მეორე დღეს მოწყობილ პრესკონფერენციაზე კი თვითონვე აღიარა, რომ აღნიშნული ფორმით არ იყო საჭირო ინფორმაციის გავრცელება. რაც შეეხება მოპასუხისაგან ბოდიშის მოხდას, კოდექსის ნორმა ვინაიდან ასეთს არ ითვალისწინებს, მოსარჩელეს უარი ეთქვა მის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ მართალია სწორად მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე და პრესკონფერენციაზე ფართოდ შუქდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რის გამოც ფინანსთა ყოფილი მინისტრის მიერ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განმარტება ჩათვალა ინფორმაციის გავრცელების იმავე საშუალებად, მაგრამ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში მიიღო აშკარად უკანონო გადაწყვეტილება¹, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია საოლქო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ისეთი გარემოება, როგორცაა – ფინანსთა ყოფილი მინისტრის მიერ პირდაპირი განზრახვით სს „თბილკრედიტბანკის“ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელება, რაც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-ნ ნაწილის შესაბამისად სს „თბილკრედიტბანკს“ აძლევდა არა მხოლოდ გავრცელებული ცნობების უარყოფის, არამედ არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

¹ იხ. საქმე №2 /ა-43 2001.

² იხ. 2001 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება №3 ა/საქმეზე.

მიუხედავად ამისა საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა რა სს „თბილკრედიტბანკის“ სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, თავისი პოზიციის გასამართლებლად არასწორად განმარტა და გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იმასთან დაკავშირებით, თითქოს იგი არ იძლეოდა იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. აღნიშნული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა და უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვათა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ ქვემდგომი ინსტანციის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი იქნებოდა, თუ მას კანონით დადგენილ ვადაში რომელიმე მხარე გაასაჩივრებდა. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვინაიდან საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, კანონის არსებითი დარღვევით მიღებული ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება დღემდე კანონიერ ძალაშია და მისი გაუქმების არანაირი მექანიზმი არ არსებობს. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (ან განჩინებით), დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებში კი ისეთ არსებით დარღვევაზე, როგორცაა სამოქალაქო სამართლის ან სხვა მატერიალური სამართლის კანონის არასწორად გამოყენება, მითითებული არ არის, რაც კანონის ხარვეზია და აუცილებლად უნდა გასწორდეს, მით უფრო, რომ დღეს არსებულ სასამართლო სისტემაში გათვალისწინებული არ არის ისეთი

დანაყოფი, რომელიც გაასწორებდა უზენაესი სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ შეცდომას და მოიყვანდა მას კანონთან სრულ შესაბამისობაში.

სასამართლო რეფორმის გატარებამდე ამ ფუნქციას ასრულებდა უზენაესი სასამართლოს პლენუმი. რაც იძლეოდა იმის საშუალებას, რომ კანონმდებლობასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებები არ დარჩენილიყო ძალაში. ამჟამად ეს მექანიზმი არ მოქმედებს, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია საქმეთა განხილვის გაჭიანურების და მოსამართლეთა სამართლებრივი შეგნების შეზღუდვის თავიდან აცილების შიშით. სამწუხაროა, რომ დღემდე არ შექმნილა პლენუმის შემცვლელი სხვა რაიმე მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა ერთიან სასამართლო პრაქტიკას და აღმოფხვრიდა შეცდომებს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ უზენაეს სასამართლოს შემადგენლობაში, მართალია, მოქმედებს დიდი პალატა, რომელიც იხილავს მნიშვნელოვან საკითხებს და იღებს გადაწყვეტილებებს კონკრეტულ საქმეებზე, მაგრამ არ ღებულობს სავალდებულო ხასიათის მითითებებს და, ამდენად, ვერ აღმოფხვრის კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღებას. ცნობისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს გააჩნია ე.წ. ფედერალური საკონტროლო ორგანო, რომელიც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია და მის მოვალეობას წარმოადგენს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფა ქვეყნის მასშტაბით.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოს ამოქმედება ქართულ სამართლებრივ სივრცეში გადაჭრიდა ამ პრობლემას და რეალურად დაიცავდა ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ხელს შეუწყობდა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დანერგვას.

როგორც მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, სასამართ-

ლო პრაქტიკა, ძირითადად, სრულიად მართებულად მიიჩნეეს იურიდიული პირისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. თუმცა გვხვდება განსხვავებული და, ამდენად, კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებებიც, რომელთა გაუქმების მექანიზმი, ზემოთ უკვე მითითებული მიზეზების გამო, არ არსებობს.

ასე მაგალითად, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა განმხილველმა კოლეგიამ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შემდეგ 2001 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დააკმაყოფილა შპს ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ სარჩელი შპს ა/კ „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ წინააღმდეგ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-ნაწილისა და 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. მორალური ზიანის დარღვევის საკომპენსაციოდ მოთხოვნილი 1 000 000 ლარის ნაცვლად, შპს ა/კ „აირზენა საქართველოს ავიახაზებს“ დააკისრა 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის გადახდა შპს ა/კ „საქართველოს ავიახაზების“ სასარგებლოდ. ის გარემოება, რომ შ.პ.ს. „აირზენა საქართველოს ავიახაზებმა“ ნამდვილად გაავრცელა „საქართველოს ავიახაზების“ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები, საქმის მასალებით მთლიანად დადასტურდა. კერძოდ, მოსარჩელე შპს „საქართველოს ავიახაზებმა“ დაადასტურა, რომ მოპასუხე „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ მიერ ინტერნეტის მეშვეობით, ერთი წლის განმავლობაში ვრცელდებოდა ცრუ რეკლამა იმის შესახებ, რომ 1999 წლის 31 ოქტომბერს მოხდა საქართველოში მოქმედი სამივე ავიაკომპანიის „ეარ ჯორჯიას“, „საქართველოს ავიახაზებისა“ და „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ გაერთიანება ერთ მძლავრ ავიაკომპანიად, რომელსაც ეწოდა „აირზენა

საქართველოს ავიახაზები“. მოპასუხის მიერ ცრუ ინფორმაციის შეგნებულად გავრცელების ფაქტი დადასტურდა ანტიმონოპოლიური სამსახურის განცხადების საფუძველზე, ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ 2001 წლის 20 აპრილს გამოტანილი დადგენილებით, რომლითაც ადმინისტრაციული სახდელით დაჯარიმდა მოპასუხე „აირზენა საქართველოს ავიახაზები“. ინტერნეტიდან ამოღებული ვებ-გვერდით, მოსარჩელე „საქართველოს ავიახაზებისა“ და „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ გენერალური დირექტორების წერილებით, შეპასუხებითა და მთავარ სხდომაზე მოპასუხის განმარტებით... მთლიანად დადასტურდა ასევე „აირზენა საქართველოს ავიახაზების“ მიერ „საქართველოს ავიახაზების“ საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელების ფაქტი „კავკას-პრესის“ საშუალებით 2001 წლის 16 თებერვალს... ასევე, „რეზონანს-ში“ გამოქვეყნებულ წერილში, სადაც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო ავიაკომპანიის მუშაობა მოძველებული ტექნიკით ფანტაზიაა, და, რომ ისინი არიან ავიაციაში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი“.

ამდენად, აღნიშნული დავის საგანი იყო პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ზიანის ანაზღაურება. იმისდა მიუხედავად, რომ მთლიანად დადასტურდა მოპასუხის მიერ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელების სხვა ფაქტიც, კერძოდ ის, რომ 2001 წლის 14 მაისს მოპასუხე ავიაკომპანიის პრეზიდენტმა „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გამოშვებაში „კურიერი 9 საათზე“, „საქართველოს ავიახაზების“ კოლექტივი კრიმინალურად მოიხსენია“. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება იმაზე მითითებით, რომ „არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება არ წარმოადგენს მორ-

ალური ზიანის ანაზღაურების კანონით გათვალისწინებულ საფუძველს“¹.

აღნიშნულს ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან იგი არ გამოძღინარეობს სამოქალაქო კოდექსის 413-ე, 26-ე და მე-18 მუხლების შინაარსიდან.

მხედველობაში გვაქვს შემდეგი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამწუხაროდ, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის ამ ნაწილის დეფინიცია ისე იქნა გაგებული, თითქოსდა, „კანონით განსაზღვრული შემთხვევების“ ცნების ქვეშ იგულისხმება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსი თ დადგენილი ისეთი შემთხვევები, რომლებიც ჩამოთვლილია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში. ეს მაშინ, როცა მასში იგულისხმება ყველა სხვა შემთხვევა, რომელიც გათვალისწინებულია კერძო თუ საჯარო სამართლებრივი ხასიათის ნორმატიული აქტებით (კანონებით).

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა „რეკლამის შესახებ“ კანონით, რომლის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი სწორედ იმ საკითხს ეხება თუ რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს არასათანადო რეკლამის გავრცელებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტება, რომელიც გააკეთა უზენაესმა სასამართლომ, არ წარმოადგენდა იურიდიული პირისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 დეკემბრის №3 კ/924-01 გადაწყვეტილება. კერძოდ, მასში მითითებულია, რომ პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, ისეთი სიკეთების საზიანოდ, როგორცაა: ჯანმრთელობა, ქონება, სახელი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ როგორც მიყენებული ზიანის კომპენსაცია, ისე არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა.

ჩვენ ღრმად გეწამს წარმოდგენილი მოსაზრების მართებულობა, რადგან იგი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას ეფუძნება. აღსანიშნავია, ისიც, რომ დღესდღეობით, სასამართლო პრაქტიკაში (როგორც რაიონული (ქალაქის), ისე საოლქო და უზენაესი სასამართლოს) იურიდიული პირისათვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის კომპენსაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მრავლად გვხვდება და მიუღებლად მიგვაჩნია როდესაც ზოგიერთი იურიდიული პირის არაქონებრივი უფლების დარღვევა, რამაც შედეგად მორალური ზიანი გამოიწვია, კომპენსირდება, ხოლო სხვებისა კი არა. იურიდიული პირების არაქონებრივი უფლებების დაცვის ისეთი საშუალების გამოყენება, როგორცაა არაქონებრივი უფლების ხელყოფისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება, არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი სასამართლო იხილავს საქმეს და რომელ მოსამართლეს არ აძლევს „შინაგანი რწმენა“ იმის უფლებას, კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ზოგჯერ რეალიზება გაუკეთოს, ზოგჯერ კი არა.

სასურველი იქნება, თუ ჩვენს მოსაზრებას გაითვალისწინებენ პრაქტიკოსები, მით უფრო, რომ იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის დარღვევაა. რაც შესაძლებელს გახდის უფრო ეფექტურად იქნეს დაცული იურიდიული პირების არაქონებრივი უფლებები. ამასთან, აღნიშნული ხელს შეუწყობს ერთგვარი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებასაც.

როგორც აღვნიშნეთ, ფიზიკური პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის წესი, შესაბამისად, გამოიყენება იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვისთვისაც. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქმიანი რეპუტაციის დარღვევისას, იურიდიული პირები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობენ გააფართოონ საქმიანი რეპუტაციის ცნება, რომელშიც ითვალ-

ისწინებენ მის სახელწოდებას, სასაქონლო ნიშანს, კომერციულ საიდუმლოებასა და სხვა. როგორც ჩანს, გამოსავალი უნდა იყოს კანონის მიერ ისეთი დაცვის საშუალებების მექანიზმების მონახვა, როგორიცაა მორალური ზიანის კომპენსაცია იურიდიული პირის ნებისმიერი არაქონებრივი უფლების დარღვევისას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ არაკანონიერ ქმედებას, რომელიც მდგომარეობს ყალბი ცნობების გავრცელებაში და ხელყოფს იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას, გააჩნია განსაკუთრებული სპეციფიკა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამ ცნობებს, მისი ხასიათისაგან დამოუკიდებლად. შეუძლიათ ერთდროულად აღმოაჩნდეთ პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი საფუძველი. იურიდიული პირი საქმიან რეპუტაციას მოიპოვებს განსაზღვრული ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად. ყალბი ცნობების გავრცელება საწარმოს მიერ წუნიანი პროდუქციის გამოშვებაზე არა მარტო სახელს გაუტეხს საწარმოს საქმიან რეპუტაციას, არამედ, იმავდროულად, შეიძლება შეილახოს იმ კონკრეტული მუშაკის ღირსებაც, რომელიც დაკავებულია ამ პროდუქციის დამზადებით ან აკონტროლებს მის ხარისხს. საწარმოს მიერ წუნიანი პროდუქციის გამოშვებაზე ყალბი ცნობების გავრცელებად უნდა მივიჩნიოთ გაზეთ „დროს“ 1998 წლის 9-15 აპრილის №14-ში გამოქვეყნებული სტატია სათაურით: „ამალთეა“ ანუ ხაჭო ქვებით, მხოლოდ პარლამენტარებისათვის!“, რომლითაც სტატიის ავტორი ჩირქს სცხებს სს „ამალთეას“ ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომის შედეგად მოპოვებულ საქმიან რეპუტაციას. ამასთან, სტატიის გამოქვეყნების შემდეგ სააქციო საზოგადოებამ „ამალთეა“ განიცადა მატერიალური ზარალი, რაც გამოიხატა პროდუქციის რეალიზაციის მკვეთრ შემცირებაში. გარდა ამისა, აღნიშნული სტატიით შეილახა სს „ამალთეას“ პატივი, ღირსება და, რაც მთავარია, საქმიანი რეპუტაცია.

სახელის გამტეხი ცნობების უარყოფის მიზნით, სააქციო

საზოგადოება „ამალთუამ“ მიმართ იმავე გაზეთს სტატიით: „ხაჭო ქიშმიშით, ქვებითა თუ ანგარებით...“, რომლითაც მოითხოვა შელახული ზნეობრივი კატეგორიების (პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია) რეაბილიტაცია.

საგულისხმოა, რომ გაზეთმა „დრომ“ „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამოაქვეყნა საპასუხო წერილი, რაც შესაძლებელია მივიჩნიოთ შელახული საქმიანი რეპუტაციის აღდგენად¹.

ამგვარად, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სახელგამტეხ ცნობებს შეუძლია მიაყენოს ზიანი სხვა კონკრეტული პირის ან პირების ღირსებას, პატივს ან საქმიან რეპუტაციას, რომელთა ქმედებით ხორციელდება იურიდიული პირის საქმიანობა. პრაქტიკაში შესაძლებელია არ წარმოიშვას ერთდროულად როგორც იურიდიული პირის, ასევე მასში გაერთიანებული ფიზიკური პირების მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი. მაგალითად, ბანკის საწესდებო კაპიტალის მითითება შემცირებული სახით, ვიდრე სინამდვილეშია, ამცირებს ბანკის საქმიან რეპუტაციას შესაძლო კონტრკაგენტების თვალში, მაგრამ არ ეხება მისი თანამშრომლების რეპუტაციას. იმ პირთათვის, რომელთა პატივი ღირსება, ან საქმიანი რეპუტაცია შელახულია გავრცელებული ცნობებით, მისი გამავრცელებლებისაგან კანონით გათვალისწინებულია მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება. ეს საკითხი უნდა განიხილოს სასამართლომ საქმის კონკრეტული მდგომარეობის გათვალისწინებით.

კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს იურიდიული პირის სტრუქტურაში იმ პირის მდგომარებას, რომელიც დაკავშირებულია გავრცელებული ცნობების ხასიათთან.

¹ გაზეთი „დრო“, 1997 წლის 9-15 აპრილი, №14, გვ. 3; გაზეთი „დრო“, 1998 წლის 25-28 აპრილი, №17, გვ. 6.

აქვე მინდა ყურადღება მივაქციო სუბიექტის სტატუსის საკითხს, მხედველობაში მაქვს ფიზიკური პირის თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე განსხვავებული რეგულირება მისი არაქონებრივი უფლებების, კერძოდ, თანამდებობის პირს შეიძლება ითქვას, რომ ეკისრება უფრო მეტის თემნის ვალდებულება. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს 1964 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე: „ნიუ-იორკ თაიმსი“ სულივანის წინააღმდეგ აღნიშნულია, რომ: „სასამართლო ახლა იშველიებს კონსტიტუციურ სტანდარტს, რომელიც „თანამდებობის პირს უკრძლავს ზიანის ანაზღაურებას. მისი სამსახურებრივი ქმედების შესახებ ცილისწამების საქმეში, თუკი იგი ვერ შეძლებს მტკიცებას, რომ ეს „წინასწარ განზრახული ბოროტებით“ იყო ჩადენილი, ანუ ამის ჩამდენს გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა, რომ ინფორმაცია იყო ცრუ ან არ დაინტერესებულა ამ ინფორმაციის შემოწმებით. სასამართლო ადგენს, რომ კონსტიტუცია მოქალაქეებსა და გაზეთს ანიჭებს „უპირობო პრივილეგიას“, რითაც იცავს თანამდებობის პირთა ქმედების შესახებ გაკეთებულ იმ ცრუ განცხადებებს, რომლებიც ბოროტი განზრახვის ქვეტექსტის მატარებელი არ არიან. ... კონსტიტუციის პირველი და მეოთხმეტე დამატებები მოქალაქეებსა და პრესას ანიჭებს აბსოლუტურ, უპირობო პრივილეგიას, გააკრიტიკონ ოფიციალურ პირთა ქმედება მიუხედავად იმ ზიანისა, რაც თავშეუკავებლობისა თუ შეურაცხაყოფას შეიძლება მოჰყვეს“.

ზემოთ თქმული ადასტურებს, რომ მორალური ზიანის პრობლემა საკვებით იმსახურებს უფრო ყურადღებიან და ღრმა შესწავლას, რამაც ასახვა უნდა პოვოს კანონმდებლობაში. მიგვაჩინია, რომ საჭიროა მორალური ზიანის კომპენსაციის შესახებ ცალკეული ნორმების შემოღება ამა თუ იმ კონკრეტულ ნორმატიულ აქტში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში.

აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება პრინციპს, რომ ნებისმიერი

სამართალდარღვევა იწვევს გარკვეულ მორალურ განცდებს, რასაც ლოგიკურად თან სდევს მისი ფულადი ანაზღაურების საკითხი¹.

§4. თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებათა დარღვევა

ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებათა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას.

კონსტიტუციის მე-18 მუხლი ადგენს:

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია;
2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

ზემოთ დასახელებული უფლებების დარღვევის ყველა შემთხვევას თან ახლავს მორალური ზიანის მიყენებაც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ითვალისწინებს არამატერიალური ზიანის კომპენსაციას ადამიანის პირადი ხელშეუხებლობის ხელყოფისას, მაგრამ არ არის გამოკვეთილი, თუ რა იგულისხმება პირადი ხელშეუხებლობის ცნებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ამომავალ პრინციპად შეიძლება მივიჩნიოთ ზემოთ აღნიშნული კონსტიტუციის ნორმა, რომელიც ადამიანის პირად ხელშეუხებლობაში გულისხმობს როგორც თავისუფლების ხელშეუვალობას, ასევე თავისუფლების აღკვეთის ან მისი სხვაგვარად შეზღუდვის დაუშვებლობასაც. აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში მოცემული პირადი ხელშეუხებლობა

¹ თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, მორალური ზიანი შესაძლებელია ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფულადი, არამედ ქონებრივი ფორმით (მაგალითად, ინვალიდის სავარძლის შექენა და სხვა).

მოიცავს კონსტიტუციის ნორმით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვის დაუშვებლობას.

აღნიშნულის ყველაზე მნიშვნელოვან გარანტიად კი გვევლინება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი. მასში მითითებულია: „ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლოს წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან“.

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.“

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.

რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდადების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის, გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს“.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი ეყრდნობა რა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს, გულისხმობს კომპენსაციის მიღების უფლებას როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის მიყენებისათვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც ითვალისწინებს უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (მუხლის 165-ე), რომლის თანახმადაც ქონებრივი ზიანი პირს სრული მოცულობით უნაზღაურდება, თუ დადგინდა, რომ მისი დაკავება ან დაპატიმრება უკანონო ან დაუსაბუთებელი იყო. ზიანი ანაზღაურდება, თუ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი ან საქმე შეწყდა იმ მოტივით, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა ან ქმედება, რის გამოც აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე ან პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

სასამართლოებში მნიშვნელოვნად იმატა გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობამ. შესაბამისად, გაიზარდა იმ პირთა რაოდენობაც, რომელთაც მათ მიერ გადატანილი მორალური ტანჯვისა და მატერიული ზიანის კომპენსაციის პრეტენზია აქვთ.

ზნეობრივი ხასიათის მწვავე განცდების გარდა, ადამიანის მრავალთვიანი, ზოგჯერ, უსაფუძვლო პატიმრობა, თითქმის ყოველთვის არის დაკავშირებული საგამომძიებლო იზოლატორებში არსებულ აუტანელი პირობებით გამოწვეულ დიდ ფიზიკურ ტანჯვასთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საგამომძიებო იზოლატორებში არ არსებობს ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ყოფადობის თუნდაც ელემენტარული დონე. საგამომძიებო იზოლატორების უმეტესობა განლაგებულია ისეთ შენობებში, რომლებიც დაუყოვნებლივ რემონტსა და რეკონსტრუქციას მოითხოვენ. საკანში მყოფთა რიცხვი ჩვეულებრივს რამდენჯერმე აჭარბებს სანიტარული ნორმებით დაშვებულს. ზოგჯერ

ასეთი პირობები იწვევს კონფლიქტებს, რომელთაც თან ახლავს ჩხუბი და სხეულის დაზიანებები. საკანთა გადატვირთვას პატიმრებით, ბუნებრივია, ახლავს ანტისანიტარია, რის შედეგადაც საგამოძიებო იზოლატორებში მძვინვარებს ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიები.

ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ იმ თანხის გადახდით, რომელიც რეაბილიტირებულ პირს მოაკლდა: ხელფასის ან სხვა შემოსავლის სახით, მათ შორის, მიუღებელი სარგებელი, პენსია, დახმარება (თუ მათი გადახდა შეჩერებული იყო), მკურნალობის ხარჯები და შრომისუნარიანობის დაკარგვის ან დაქვეითების საკომპენსაციო თანხები, თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევამ. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, იგი ხდება პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით გამოქვეყნებული ინფორმაციის უარყოფის გზით, აგრეთვე ფულადი კომპენსაციით.

სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც პირს მიადგა უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავების, დაპატიმრების, ანდა, სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების შედეგად, აგრეთვე თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, შემოწმების, სამართალწარმოების ორგანოების სხვა უკანონო ან დაუსაბუთებელ ქმედებათა შედეგად, რომლებმაც ბრალდებულსა თუ სხვა პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიაყენა.

პოლიციის პოლკოვნიკმა შ. ხ-მ 1998 წლის ნოემბერში გაზეთ „რეზონანსის“ რამდენიმე ნომერში გამოაქვეყნა ცილის-

მწამებლური პუბლიკაციები, რომლებშიც ბრალს სდებდა პოლიციის გენერალ ი. ა-ს კორუფციასა და საცხოვრებელი სახლების უკანონოდ მშენებლობაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, შ. ხ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1960 წლის რედაქცია) აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შრომის კანონმდებლობის დარღვევისა და ზემოთ აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის იგი გათავისუფლდა თანამდებობიდან.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით, შ. ხ-ის მიმართ ცილისწამების ნაწილში საქმე წარმოებით შეწყდა, საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის „ლ“ პუნქტის საფუძველზე, განსასჯელის დაზარალებულთან შერიგების გამო.

შ. ხ-მ სარჩელით მიმართა სასამართლო ორგანოებს და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება, როგორც რეაბილიტირებულმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ სრულიად მართებულად არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რეაბილიტაციის საფუძველს წარმოადგენს: გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე მომკვლევო ორგანოს, გამოძიებლის ან პროკურორის დადგენილება, სასამართლოს განჩინება საქმის შეწყვეტის შესახებ ამავე კოდექსის 28-ე მუხლის „ა“, „ბ“, „ე“, „მ“, „ნ“, „პ“ და „ჟ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველით. ამ ჩამონათვალში მიითითებული საფუძველით კი კასატორის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ შეწყვეტილა¹.

¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 16 მაისის განჩინება №3 კ/282-01 საქმეზე.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნ. ჯ-ს საქმეზე, რომლის მიმართაც თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინებით სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა ბრალის დაუდასტურებლობის გამო. უზენაესმა სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში თავისი პოზიცია დაასაბუთა იმით, რომ საქართველოს სსსკ-ის 227-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ისეთ პირს, რომელიც რეაბილიტირებულია გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის სხვა აქტების საფუძველზე (იგულისხმება სსსკ-ის მე-8 მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი შემთხვევები, რომელთა შორის ბრალის დაუდასტურებლობის მოტივით საქმის წარმოებით შეწყვეტაზე მითითებული არ არის)¹.

ფორმალური მიდგომით საკითხის ამდაგვარი გადაწყვეტა სწორია, ვინაიდან სასამართლომ ბრალდების დაუდასტურებლობით საქმის შეწყვეტისას, ფაქტობრივად, დაადასტურა ის გარემოება, რომ სახეზე იყო მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა, რომლებიც იძლეოდა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ ნ. ჯ-მ ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ აღნიშნული საკმარისი არ აღმოჩნდა ამ უკანასკნელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, რითაც საქართველოს სსსკ-ის 281-ე მუხლის (ბრალდების წარდგენის საფუძველები) შესაბამისად, გამოირიცხა რეაბილიტირებულად ნ. ჯ-ს ცნობის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის სავალდებულო მოთხოვნა – ნ. ჯ-ს მიმართ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების უკანონობის თაობაზე.

სხვა საკითხია, თუ რამდენად შეესაბამება მოცემულ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უდანაშაუ-

¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება №3 გ-ად-174-კ-02 საქმეზე.

ლობის პრეზუმფციის შესახებ საქართველოს კონსტიტუციისა (42-ე მუხლის) და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღიარებულ ფუძემდებლურ მოთხოვნებს იმის თაობაზე, რომ ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით (სსსკ-ის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილით). მეტიც, ასეთ შემთხვევაში, ნ. ჯ-ს, ფაქტობრივად, დაეკისრა ვალდებულება ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, რაც ამავე მუხლის მე-2 და კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნათა უხეში დარღვევაა.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ ბრალდების დაუდასტურებელობის მოტივით სისხლის სამართლის საქმეთა შეწყვეტა, უდანაშაულობის პრეზუმფციის თაობაზე, ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნდა ჩაითვალოს მარეაბილიტირებელ გარემოებად, ვინაიდან ქმდება, ფაქტობრივად, არ არის მართლსაწინააღმდეგო და ანალოგიურ საქმეებზე შეტანილი სარჩევები მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით უნდა დაკმაყოფილდეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის თანახმად, რეაბილიტაციის დროს სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად გადაიხდებიან ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. ბრალის გარეშე ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლიც. ერთადერთი გარემოება, რომელიც სრულიად გამორიცხავს რეაბილიტირებული მოქალაქისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, არის თვითაღიარება.

თვითაღიარების დროს ძალადობის, მუქარის ან სხვა არა-

კანონიერი ზომების გამოყენების ფაქტი საგამოძიებო ორგანოების, პროკურატურის ან სასამართლოს მიერ უნდა იქნეს დადგენილი. „თვითთადიარება“ არის ექვემიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის აშკარად ცრუ ჩვენებები, რომელთა მიზანია წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს დარწმუნება იმაში, რომ სწორედ მის მიერ არის ჩადენილი დანაშაული, რომელიც სინამდვილეში მას არ ჩაუდენია.

პირველ რიგში, პირი, რომელიც საკუთარ თავს სწამებს ცილს, წინასწარ აცნობიერებს მათ ცრუ ხასიათს. მეორე პირობა, რომელიც იძლევა თვითთადიარების იმგვარ გარემოებად ცნობის უფლებას, რომელიც გამორიცხავს რეაბილიტირებულისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, არის მისი ჩვენებების ნებაყოფლობითობა.

სასამართლო პრაქტიკაში უკვე მრავლადაა ისეთი შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოები აკმაყოფილებენ მოსარჩელის მოთხოვნას როგორც მატერიალური, ისე მორალურის ზიანის ანაზღაურების შესახებ. ამასთან, სასამართლოები რიგ გადაწყვეტილებებში ითვალისწინებენ რა ქვეყნის ეკონომიკურ და საფინანსო პრობლემებს, დასაშვებად მიიჩნევენ ასანაზღაურებელი ფულადი თანხის ოდენობის განსაზღვრას უფრო ნაკლები თანხით, ვიდრე ამას მოსარჩელე მოითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში ამ მოთხოვნას სასამართლო საფუძველიანად მიიჩნევს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულებითი დეპარტამენტის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის მორიგე თანაშემწე ნ. ალადაშვილი 2000 წლის პირველ ოქტომბერს ხსენებული საავადმყოფოდან პატიმართა ჯგუფური გაქცევისათვის მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამსახურებრივი

გულგრილობა) და აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა დაპატიმრება, რომლის შეცვლამდეც, 2001 წლის 2 თებერვლამდე, იმყოფებოდა თბილისის №5 საპყრობილეში.

თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინებით, ნ. ალადაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეწყდა პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო.

აღნიშნული განჩინების საფუძველზე თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინებით, ნ. ალადაშვილი რეაბილიტირებულ და აღდგენილ იქნა პირვანდელ თანამდებობაზე. ამასთან, სასჯელალსრულების დეპარტამენტს დაევალა განაცდური ხელფასის მთლიანად ანაზღაურება, გადახდის დღეს არსებული საშუალო საბაზრო ფასებით, ინფლაციის გათვალისწინებით, ხოლო ფინანსთა სამინისტროს – მორალური ზიანის ანაზღაურება 5 000 ლარის ოდენობით.

ნ. ალადაშვილმა მიიჩნია, რომ საოლქო სასამართლომ არასწორად შეაფასა მისთვის მიყენებული მორალური ზიანი, რის გამოც საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკანონო პატიმრობაში ყოფნით მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებელი საკომპენსაციო თანხის გაზრდა.

საკასაციო პალატამ საფუძველიანად ჩათვალა სასარჩელო მოთხოვნა და იმაზე მითითებით, რომ ოთხთვიან უკანონო პატიმრობაში ნერვიულობის გამო თვით ნ. ალადაშვილს დააკლდა მხედველობა, ხოლო მის მეუღლეს მოეშალა მუცელი, მორალური ზიანის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გაიზარდა 7 000 ლარამდე¹.

ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ.

¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 27 ნოემბრის განჩინება, საქმე №82.

ტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლის, თ. ქვეზიშვილის, მიმართ, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყო მიცემული პატიმართა ჯგუფური გაქცევის დროს გამოჩენილი სამსახურებრივი გულგრილობისათვის და წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა 3 თვის განმავლობაში. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო თ. ქვეზიშვილის მიმართ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი და მოხდა მისი რეაბილიტაცია. თ. ქვეზიშვილი, მართალია, ითხოვდა მორალური ზიანის ანაზღაურებას 100 000 ლარის ოდენობით, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური და საფინანსო პრობლემების, კერძოდ კი, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2001 წლისათვის დამტკიცებულ სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მიზნებისთვის სულ გამოყოფილი იყო 50 000 ლარი, რაც სრულად იქნა გაცემული ანალოგიურ საქმეებზე, სასამართლომ ფინანსთა სამინისტროს დააკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მხოლოდ 15 000 ლარის გადახდა¹.

აღსანიშნავია, რომ ასეთი პოზიცია მიუღებელია, ვინაიდან ამან შეიძლება გაათამამოს სახელმწიფო მოხელენი და ჩაუნერგოს მათ რწმენა, რომ მათი დანაშაული დაუსჯელი დარჩება.

უეჭველია, რომ ქვეყნისათვის, რომელიც უკვე დიდი ხანია განიცდის სერიოზულ ეკონომიკურ სიძნელეებს, რეაბილიტირებულისთვის გადასახადი ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა მოსამართლის შეუზღუდავი და თავისუფალი ნებით, დაუშვებელი ფუფუნებაა. გესურს, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან. პოლონეთში, სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობის თანახმად, მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს „ჯილდო, განცდილი

¹ იხ. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 2 ნოემბრის განჩინება. საქმე №1/ა-242.

უსამართლობისათვის“. მაგრამ, არსებული პრაქტიკის თანახმად, იგი უნდა გაიცეს სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, უნდა იყოს ზომიერი და არ ჰქონდეს დაუმსახურებელი გამორჩენის ხასიათი. ეკონომიკური თვალსაზრისით, ისეთი წარმატებული ქვეყნებიც კი, როგორცაა: გერმანია, იაპონია, საფრანგეთი, არ თაკილობენ „მართლმსაჯულების მსხვერპლთათვის“ გასაცემი კომპენსაციების ოდენობის მკაფიო რეგულირებას. მაგალითად, გერმანიაში კომპენსაციის მოცულობა საერთოდ მკაცრადაა ფიქსირებული – 10 მარკა პატიმრობაში გატარებული ყოველი დღისათვის; იაპონიაში კომპენსაცია უკანონო პატიმრობისათვის, რომელიც სულიერ ტანჯვასაც ითვალისწინებს, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 200 იენსა და არა უმეტეს 400 იენს პატიმრობაში გატარებული ყოველი დღისათვის; ფრანგული კანონმდებლობის შესაბამისად კი, თითოეული ასეთი დღე უნდა შეფასდეს არანაკლებ 0.25 ფრანკის ოდენობით.

მეორე მხრივ, სახელმწიფოსაგან მისაღები ფულადი თანხის ქვედა ზღვარის დადგენა, რეაბილიტირებულს მისცემს კომპენსაციის თუნდაც მინიმალური, მაგრამ სრულებით განსაზღვრული თანხის მიღების გარანტიას, რაც მას არა აქვს ახლანდელი საკანონმდებლო ნორმების მიხედვით.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის რეალურ განხორციელებას წარმოადგენს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 12 დეკემბრის კანონი. კერძოდ, ეს კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიისა და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებებს, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს. აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის თანახმად, პირს, რომელმაც რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადა-

სახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით, ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად და აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, აგრეთვე მისი პირველი რიგის მემკვიდრეს შეიძლება მიეცეს ფულადი კომპენსაცია. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-2 ნაწალის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირს, რომელიც იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილას, გადასახლებაში, გასახლებაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სპეციალურ დასახლებაში, მიუხედავად ასაკისა, შრომის სტაჟისა, დასაქმებისა, აგრეთვე გარდაცვლილი რეპრესირებულის შრომისუუნარო მეუღლეს, მშობელსა და შვილს (ნაშვილებს), მიუხედავად დასაქმებისა, მიეცემა ყოველთვიური პენსია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. ამასთან, განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს, მაგრამ აღნიშნული ეხება ამ პირთა მხოლოდ მატერიალურ პასუხისმგებლობას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი). ეს მაშინ, როცა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლში ერთმნიშვნელოვნად არის ნათქვამი, რომ ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უკანონოდ დარღვევა ისჯება კანონით და უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი ეყრდნობა რა კონსტიტუციის მე-18 მუხლს, გულისხმობს კომპენსაციის მიღების უფლებას, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის მიყენებისათვის, რადგანაც პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დარღვევას ყოველთვის თან სდევს, როგორც წესი, მძიმე ხარისხის სულიერი განცდები და ფიზიკური ტანჯვა. აქედან გამომდინარე, მორალური ზიანის კონსტიტუციურმა გაგებამ ასახვა უნდა პოვოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლშიც, რადგანაც სხვა შემთხვევაში აზრს კარგავს მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპი.

საქართველოს კონსტიტუციის 1005-ე მუხლში დასახელებული თანამდებობის პირების მიერ პირთა უკანონოდ თავისუფლების შეზღუდვა ლოგიკურად მართლაც იწვევს დაზარალებულთა სულიერ განცდებსა და ფიზიკურ ტანჯვას, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, ასეთი განცდებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ ფულადი თანხით დაიშვება და ისიც ბრალეული მოქმედებისათვის¹.

როგორც ჩანს კანონში კატეგორიული მითითებაა ბრალის არსებობაზე, აღნიშნული ყოველად მიუღებლად მიგვაჩნია, ვინაიდან მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობის ანალიზი გვარწმუნებს, რომ პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსების, აგრეთვე საქმიანი რეპუტაციის დაცვა უნდა ხდებოდეს ზიანის მიმყენებლის არა მარტო ბრალეული მოქმედებით, ასევე ბრალის მიუხედავად ისე, როგორც ამას ითვალისწინებს ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ანალოგიური შემთხვევებისათვის (მაგალითად, უზბეკეთისა და რუსეთის სამოქალაქო კოდექსები).

თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების

¹ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებათა სამართალი, თბ., 1998, გვ. 58.

დარღვევა შეიძლება გამოვლინდეს თავისუფლების უკანონო აღკვეთაში იმ პირის მიერ, რომელიც არ არის უფლებამოსილი აღკვეთოს სხვა პირთა თავისუფლება, ან იმ პირის მიერ, რომელსაც აღნიშნული უფლებამოსილება კანონით დადგენილ პირობათა დაცვით მინიჭებული აქვს, მაგრამ უხეშად არღვევს ამ უფლებას.

თავისუფლების აღკვეთას ყოველთვის მოსდევს მორალური ზიანი, თუკი ადამიანი აცნობიერებს, რომ მას წაართვეს თავისუფლება, მაგრამ მორალური ზიანი ანაზღაურებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევაში.

ვინაიდან თავისუფლების უკანონო აღკვეთა ხანგრძლივი დროით იწვევს ადამიანის თავისუფლების შელახვას, მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობა, ჩვენი აზრით, უნდა გაიზარდოს იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ კანონდარღვევას ყოველდღიურად აქვს ადგილი პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში¹.

როდესაც თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის უკანონო ქმედებების შედეგს, მხედველობაშია მისაღები სხვა გარემოებებიც. პირველ ყოვლისა, ეს იქნება დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებები. თუ თავისუფლების არაკანონიერი აღკვეთა შეეხო პიროვნებას, რომელსაც არაერთხელ აქვს მოხდილი კანონიერი სასჯელი უკვე ნახსენები სახით, ლოგიკური იქნება იმის ვარაუდი, რომ პატიმრობის გარემოსა და შესაბამის კონტინგენტთან გარდუვალი კონტაქტის შედეგად მიყენებული სულიერი ტანჯვა ნაკლები იქნება იმ პიროვნების განცდებთან შედარებით, ვისაც პირველად აღეკვეთა თავისუფლება. ამ გარემოებამ გავლენა უნდა იქონიოს მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობაზე.

¹ Эрделевский А. М. Компенсация морального вреда. М., 1996., гв. 60-61.

თავისუფლების ხელყოფის შემთხვევებს შეიძლება მივაკუთვნოთ მოსარჩელის სქესობრივი თავისუფლების ხელყოფაც. იგი შეიძლება გამოვლინდეს ქალის გაუპატიურებაში, ქალზე ძალდატანებაში სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით, იძულებით მამათმავლობაში. მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზოგი მაკვალიფიცირებელი გარემოება, მაგალითად: მოკვლით დამუქრება ან სხეულის მძიმე დაზიანებათა მიყენება გაუპატიურების პროცესში, არასრულწლოვანი ან მცირეწლოვანი გოგონას ჯგუფური გაუპატიურება და ა. შ.

გაუპატიურების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას, ანგარიშგასაწევია დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებანი. ცხადია, რომ პროფესიონალი მეძავი გაცილებით ნაკლები სიმწვავეით განიცდის მომხდარს, ვიდრე ზნეობრივი ცხოვრების წესის მქონე ქალი.

პიროვნების თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებათა დარღვევა დღეს ჩვენი ცხოვრების არცთუ იშვიათი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, მათი დაცვა საკანონმდებლო თვალსაზრისით, მსჯელობის საგანი გახდა არა მხოლოდ მეცნიერებისათვის, არამედ პრაქტიკოსი იურისტებისთვისაც. მის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პიროვნების თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებათა დაცვა გახდა არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი.

ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ თანხის გადახდით, მკურნალობის ხარჯების, შრომისუნარიანობის დაკარგვის ან დაქვეითების საკომპენსაციოდ, თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფის რეჟიმის დარღვევამ. რაც შეეხება ასეთ დროს მორალური ზიანის

ანაზღაურებას, მას ადგილი აქვს პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში ინფორმაციის უარყოფის გზით, აგრეთვე ფულადი კომპენსაციით.

სისხლის სამართალწარმოების უკანონო ან დაუსაბუთებელი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება (შედეგის მიუხედავად), ზიანი, რომელიც პირს მიაღება უკანონო ან დაუსაბუთებლად დაკავების, დაპატიმრების, ანდა, სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების შედეგად, აგრეთვე თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების, საგამომიებო ექსპერიმენტის, შემოწმების, სამართალწარმოების ორგანოების სხვა უკანონო ან დაუსაბუთებელ ქმედებათა შედეგად, რომლებმაც ბრალდებულსა თუ სხვა პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ვნება მიაყენეს.

სისხლის სამართალში მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი წყდება იმავე პრინციპებზე დაყრდნობით, როგორც სამოქალაქო სამართალში, მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას ბრალის მიუხედავად. აღნიშნული კიდევ ერთხელ გვარწმუნებს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში ბრალთან დაკავშირებული საკითხების უმართებულებასა და მისი მოწესრიგების აუცილებლობაში.

კანონმდებლისა და სასამართლო პრაქტიკის ამოცანის შესაბამისად, წარმოადგენს ისეთი ნორმების მიღება და სასამართლო გადაწყვეტილებების თუ განაჩენების (ან განჩინებების) გამოტანა, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს პიროვნების უკანონო ან დაუსაბუთებელ დაკავებას. მით უმეტეს, მის უკანონო გასამართლებას, მაგრამ თუ ასეთს, სამწუხაროდ, პრაქტიკაში მაინც ექნება ადგილი, კანონმდებელი აქაც ფხი-

ზღადა არის, რაც ვლინდება ისეთი საპროცესო ნორმების შემოღებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ უნდა ანაზღაურდეს ხელფასი ან სხვა შემოსავალი, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა, მათ შორის მიუღებელი სარგებელი; პენსია, დახმარება — თუ მათი გადახდა შეჩერებული იყო; ფული, ფულადი ანაბრები და მათი პროცენტები, ობლიგაციები და მათი წილხვედრი მოგება, სხვა ფასიანი ქაღალდები და მათზე მიღებული შემოსავალი; სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე გადახდებულ იქნა ჯარიმები და სასამართლო ხარჯები; სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ნივთებისა და სხვა ქონების ღირებულება; თანხა, რომელიც გადახდა მსჯავრდებულს დანიშნით დაცვის განხორციელებისათვის; ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარი დაცვის განხორციელებისათვის; სისხლის ამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები.

საგულისხმოა, რომ იმ პირის გარდაცვალებისას, რომელსაც მატერიალური ზიანი მიაღვა, ზიანის ანაზღაურების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე.

დასაბრუნებელი ფულისა და ნივთების ღირებულების ინდექსაცია ხდება გადახდის დღეს არსებული საშუალო-საბაზრო ფასებით, ინფლაციის გათვალისწინებით.

რაც შეეხება უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების შესაბამისად, ასეთს განეკუთვნება ის მოქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შე-

ლახული არაქონებრივი უფლების აღდგენას. კერძოდ, პუბლიკაცია სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაციის ყველა შემთხვევის შესახებ მიზანშეწონილია გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში. მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის თაობაზე საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ადმინისტრაციას და შრომით კოლექტივს, სადაც მუშაობდა ან სწავლობდა რეაბილიტირებული.

თუ ცნობები დაკავების, დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, სხვა იძულებითი მოქმედების, ბრალდების შინაარსისა და გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ გაავრცელეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ისინი ვალდებული არიან გამოაქვეყნონ ინფორმაცია რეაბილიტაციისა თუ სათანადო საპროცესო მოქმედების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ. ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რეაბილიტაციის შესახებ, რეაბილიტირებულს აძლევს მისი უდანაშაულობის დამადასტურებელ დოკუმენტს და უნაზღაურებს მას ქონებრივ, ფიზიკურ და მორალურ ზიანს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, კანონმდებელი ზრუნავს რეაბილიტირებული ან დაზარალებული პირის ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურების არა მხოლოდ პროცესუალური ნორმების დამკვიდრებაზე, არამედ ნორმის საშუალებით ხელს უწყობს მათი განხორციელების გზებისა და მექანიზმების სრულყოფას, ანუ მას, თუ რა გზითა და ხერხებით უნდა მოახდინოს რეაბილიტირებულმა ან დაზარალებულმა პირმა დარღვეული უფლებების აღდგენა და მიიღოს კანონის გათვალისწინებული ანაზღაურება როგორც ქონებით, ისე ფულადი სახით. აღნიშნული მოწესრიგებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდე-

ქსის 227-ე მუხლით, სადაც მითითებულია, რომ, თუ არსებობს მონაცემები, რომ ზიანი მიყენებულია მომკვლევის, გამოძიებლისა თუ პროკურორის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად, პირს, რომელსაც თავი დაზარალებულად მიაჩნია, უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს სასამართლოში წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე. მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, მომჩივანისა და იმ ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით, რომლის მოქმედებაც საჩივრდება. მოსამართლის დადგენილება უნდა შეიცავდეს მიყენებული ზიანის სახეობისა და ოდენობის დასაბუთებულ მითითებასა და მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების შესახებ, ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის დასაბუთებას.

მოსამართლეს, რომელმაც მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს განიხილა საჩივარი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, უფლება არა აქვს შემდგომში განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოც შეტანილი იყო საჩივარი. მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილება გამორიცხავს სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იმავე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიმართვის შესაძლებლობას.

მას შემდეგ, რაც მომკვლევი ან გამოძიებელი შეწყვეტს სისხლის სამართლის საქმეს იმ საფუძველით, რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, იგი განსაზღვრავს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას, რის შემდეგაც პროკურორი შეწყვეტილ საქმეს გადასცემს სასამართლოს, რომლის განსჯადიც იყო საქმე და ეს იმავე დღეს უნდა ეცნობოს რებილიტირებულს. საქმის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, მოსამართლე ატარებს სხდომას ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წესების მიხედვით და გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით. თუ რეაბილიტაციის საფუძველი გამოვლინდა სასამართლოში, მან საქმის შეწყვეტის შესახებ გამამართლებელ განაჩენში ან განჩინებაში (დადგენილებაში), რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, უნდა ცნოს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების უფლება, განაჩენის ან განჩინების (დადგენილების) ასლი რეაბილიტირებულს უნდა გადაეცეს ხელზე ან გაეგზავნოს ფოსტით. მას განემარტება, რომ ზიანის ანაზღაურება და უფლებების აღდგენა უნდა მოხდეს გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის სხვა აქტის გამოტანის დღიდან 6 თვის განმავლობაში. რეაბილიტირებულს უფლება აქვს მიმართოს რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის სასამართლოს, რომელიც რეაბილიტირებულის განცხადების მიხედვით განსაზღვრავს მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვს საფინანსო ორგანოებისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების გაანგარიშებას. თუ სასამართლომ საქმე შეწყვიტა მისი საკასაციო წესით განხილვისას, ზიანის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა, ოღონდ სხვა შემადგენლობით.

ზიანის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (დადგენილება) ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ. გერბიანი ბეჭდით დამოწმებული განჩინების (დადგენილების) ასლი გადაეცემა ან ეგზავნება რეაბილიტირებულს, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მის მემკვიდრეებს, რათა ასლი წარუდგინონ ორგანოებს, რომლებიც ვალდებული არიან აანაზღაურონ ზიანი.

რეაბილიტაციის შესახებ განჩინების (დადგენილების) შესრულება სავალდებულოა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, საკუთრების ფორმის მიუხედავად.

რეაბილიტირებულისათვის ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ განჩინება (დადგენილება) შეიძლება სააპელაციო წესით გაასაჩივრონ რეაბილიტირებულმა, პროკურორმა, დაინტერესებულმა პირმა და ორგანიზაციამ, რომლებსაც ეხება სასამართლოს მოთხოვნა რეაბილიტირებულისათვის უფლების აღდგენის შესახებ.

მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ შესაძლებლობა, როდესაც გამამართლებელი განაჩენი ან განჩინება (დადგენილება) რეაბილიტაციის შესახებ გაუქმებულია და გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება შეცდომით რეაბილიტირებულს დააკისროს ზიანის ასანაზღაურებლად მიღებული თანხის გადახდა. სასამართლოს აგრეთვე შეუძლია გააუქმოს რეაბილიტაციის სხვა ღონისძიებები.

§5. პირადი საიდუმლოების უფლების დარღვევა

კონსტიტუციის თანახმად, თითოეულ ადამიანს გააჩნია პირადი საიდუმლოების უფლება. აღნიშნული უფლება, როგორც წესი, ხშირად უკავშირდება ოჯახური ურთიერთობებიდან გამომდინარე საიდუმლოების დაცვასაც. ამიტომ მსჯელობისას ჩვენ მკვეთრად არ გავმოჯნავთ ამ ორ ცნებას ერთმანეთისაგან და ვიტყვი, რომ პირადი და ოჯახური საიდუმლო მოქალაქის პირად არაქონებრივ უფლებას განეკუთვნება და მათ იცავს სამართლის სხვადასხვა დარგის მომწესრიგებელი ნორმები. პირადი და ოჯახური საიდუმლოს საგანს წარმოადგენს ინფორმაცია პიროვნებისა და მისი ოჯახის შესახებ. კანონის მიერ ეს ინფორმაცია დახურულად არის გამოცხადებული და კრძალავს მის გახმაურებას. დღესდღეობით კანონმდებლობა ითვალისწინებს პიროვნების უფლებას: მიმოწერის, სატელე-

ფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინებების საიდუმლოებების თაობაზე (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი). გარდა ამისა, კანონმდებლობა ცნობს საადვოკატო, საექიმო და სანოტარო საქმის საიდუმლოებებს. მაგალითად, საადვოკატო საიდუმლოების უფლების თანახმად, ადვოკატს აკრძალული აქვს მარწმუნებლის მიერ იურიდიული დახმარების მიღების მიზნით მისთვის განდობილი ინფორმაციის გახმაურება.

ბანკებმა „კომერციული ბანკების შესახებ“ კანონის თანახმად, უნდა შეინარჩუნონ საიდუმლო კლიენტების ანგარიშებისა და შენატანების თაობაზე.

ექიმებსა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა სხვა თანამშრომლებს ეკრძალებათ დონორსა და პაციენტზე რაიმე ინფორმაციის გავრცელება. ამავე დროს, გახმაურებას არ ექვემდებარება ინფორმაცია სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, დიაგნოზის, პაციენტის მკურნალობისა და გამოკვლევის შედეგად მიღებული სხვა ცნობების შესახებ. ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რომ საიდუმლოდ უნდა შეინახოს ინფორმაცია ჩატარებული ხელოვნური განაყოფიერების, ემბრიონის იმპლანტაციისა და დონორის ვინაობის თაობაზე.

„ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მისივე პროფესიული საქმიანობის განხორციელების შედეგად.

მოცემული ნაშრომი მიზნად არ ისახავს იმ საკმაოდ რთულ პრობლემათა დაწვრილებით კვლევას, რომლებიც ეხება მოქალაქეთა პირად და ოჯახურ საიდუმლოებაზე უფლების დაცვა-განხორციელებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მორალური ზიანის კომპენსაცია წარმოადგენს პირად ან ოჯახურ საიდუმლოზე უფლების დაცვის ერთ-ერთ სამოქალაქო-სამართლებრივ მეთოდს. მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის პოზიცი-

იდან საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა დასჯის შედარებით ღმობიერ საშუალებებს ითვალისწინებს ისეთი მოქმედებისათვის, როგორცაა შეილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნება. „ჩვენი აზრით, პრეზუმპირებული მორალური ზიანი მსგავსი დარღვევისათვის, ისევე, როგორც ხელოვნური განაყოფიერების საიდუმლოს გამჟღავნებისათვის, უნდა გაუთანაბრდეს სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებით გამოწვეულ მორალურ ზიანს“¹. ასეთი სახის დარღვევები შეუქცევადი ხასიათის შედეგებს იძლევა და საფრთხის წინაშე აყენებს ოჯახურ ურთიერთობებს განუსაზღვრელი დროის განმავლობაში.

ხშირად, შეილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნება ოჯახში ისეთ დაძაბულ ვითარებას ქმნის, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მშვილვებელთა მიერ ნორმალურად ბავშვის შემდგომი აღზრდა. ეს გასაგებიცაა, ბავშვი დარწმუნებულია, რომ აქვს ოჯახი, ჰყავს მშობლები, რომლებიც ზრუნავენ მასზე, ზრდიან და აი, უცებ ჩნდება სინანულით აღვსილი დედა, რომელსაც ათიოდ წელი დასჭირდა გონზე მოსასვლელად მშობიარობის შემდეგ და ახლა მტკიცედ გადაწყვეტია დაიბრუნოს თავისი შვილი. ასეთ მოვლენას თავისთავად შესწევს ძალა დააქციოს ერთი ოჯახის ცხოვრება, მაგრამ, ვაი, რომ, როგორც წესი, არ ძალუძს საფუძველი ჩაუყაროს ახალ ოჯახს¹.

შეილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნება ხშირად ბავშვის ტრავმირების მიზეზი ხდება. პრაქტიკა ცხადყოფს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღწერენ შემთხვევებს, როდესაც ზემოაღნიშნული საიდუმლოს გახმაურება სავალალო შედეგებს იწვევს, მძიმე მდგომარეობაში აყენებს ოჯახებს.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: უშვილო მუულეებმა გადაწყვიტეს აყვანათ ბავშვი. იმისათვის, რომ ეს ფაქტი არ გახმაურებულიყო, საცხოვრებლად გადავიდნენ სხვა

¹ Эрделевский А. М. Компенсация морального вреда, М., 1996., с. 64.

ქალაქში, სადაც იშვილეს ბავშვი და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ იმ ქალაქში, სადაც ისინი ადრე ცხოვრობდნენ, ამჯერად ბავშვთან ერთად. ცხადია, მშობლები არწმუნებდნენ ყველას, რომ ბავშვი მათ შეეძინათ სხვა ქალაქში ღროებით ცხოვრების დროს. საზოგადოებასაც სჯეროდა მათი, რამეთუ მშობლებსა და შვილს შორის კეთილი განწყობა და ურთიერთდამოკიდებულება ეჭვს არ ბადებდა მათი არაბიოლოგიური კავშირის შესახებ. ასე გრძელდებოდა დაახლოებით 15 წლის განმავლობაში, ვიდრე ნაშვილებმა ბოროტი ენების საშუალებით არ გაიგო, რომ იგი ნამდვილი შვილი არ იყო. ამბის შეტყობიდან რადიკალურად შეიცვალა ბავშვის ცხოვრება (უარყოფითისაკენ), რამაც გავლენა იქონია თვით მშობლების (მშვილებლების) მიმართ დამოკიდებულებაზეც. ბავშვი გამუდმებით ცდილობდა ოჯახიდან წასვლას და საბოლოოდ წავიდა კიდეც. ამ ფაქტმა სასიკვდილო ტრავმა მიაყენა მშობლებს და ერთ-ერთი მათგანი (დედა) ძლიერი სულიერი განცდებისა და ფიზიკური ტანჯვის გამო ლოგინად ჩავარდა. დაინგრა ოჯახი, გაორდა ბავშვის პიროვნება¹.

შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნებამ განუზომელი ტკივილი მიაყენა ორივე მხარეს, ერთი მხრივ, ნაშვილებს, მეორე მხრივ კი, მშვილებლებს.

ბავშვს, როგორც წესი, სჩვევია მშობლების დაკარგვის სიმწრის განცდა მაშინ, როდესაც ისინი, ვისაც იგი ასეთებად მიიჩნევდა, უეცრად მისთვის უცხო ადამიანები აღმოჩნდებიან. მშვილებელთა მდგომარეობა ორჯერ უფრო სავალალოა: ისინი კარგვენ ბავშვს (შვილს), რომელიც მათთვის სისხლი და ხორცი გახდა; მაგრამ, გარდა ამისა, განიცდიან მრავალ უსიამოვნებას იმ საიდუმლოს გამჟღავნების გამო, რომ მათ არა ჰყავთ და არც შეეძლოთ ჰყოლოდათ საუკუთარი შვილები. განა შეიძლება ასეთ

¹ Красавчикова Л. О. Личная жизнь граждан под охраной закона, „Юридическая литература“, М., 1983., с. 138-139.

დროს კანონმა გაითვალისწინოს საიდუმლოს გამჟღავნებისათვის მხოლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა? განა შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს ის მორალური ზიანი, რაც ამ ფაქტის გამო განიცადა ოჯახმა? ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გარდა, კანონი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს დაზარალებულთათვის მორალური ზიანისთვის პასუხისმგებლობას, მით უმეტეს, რომ ხშირ შემთხვევაში, ზიანი ადგება მშვილებლისა და ნაშვილების ჯანმრთელობას, იწვევს მათ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას.

ნებისმიერი სახის საიდუმლოს გახმაურების დროს ყურადსაღებ და გასათვალისწინებელ გარემოებას წარმოადგენს გახმაურებულ ცნობათა ხასიათი, მაგალითად, საბანკო საიდუმლოს გამჟღავნებისას მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ რა გახმაურდა — თვით შენატანის არსებობის ფაქტი თუ მისი კონკრეტული ოდენობა.

საადვოკატო საიდუმლოს დარღვევის დროს არსებითია, რა ხასიათის საქმესთან დაკავშირებით გახმაურდა ცნობები და გააუარესა თუ არა მან დასაცავი პირის პოზიცია სასამართლო საქმის მსვლელობისას.

საექიმო საიდუმლოების დარღვევასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას, დიდი მნიშვნელობას იძენს პაციენტის დაავადების ხასიათი და ის შედეგები, რომლებიც საიდუმლოს გამჟღავნებას მოჰყვა (ოჯახის დანგრევა, სამსახურიდან დათხოვნა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის აუცილებლობა).

ყოველთვის, როცა საქმე ეხება პირად ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფას, საყურადღებოა, თუ რამდენად ფართოა წრე იმ პირებისა, ვინც უკვე შეიტყო ან მომავალში შეიტყობს ცნობებს, რომლებიც პირად ან ოჯახის საიდუმლოს შეადგენენ.

დასასრულ, ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად ყურა-

დღეობა გვინდა გავამახვილოთ პირადი საიდუმლოს დაცვის მექანიზმზე. აღნიშნული უფლება შედის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებების ჩამონათვალში. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მორალური ზიანისთვის პასუხისმგებლობის საფუძვლის ერთ-ერთი პირობა, კერძოდ, გავრცელებული ცნობების შეუსაბამობა სინამდვილესთან, არ გამოგვადგება ადამიანის პირადი საიდუმლოების დაცვის სფეროში. თუნდაც პირის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამებოდეს. ჩვენი აზრით, არავის აქვს უფლება იგი გაავრცელოს ამ პიროვნების სურვილის საწინააღმდეგოდ, რადგან თვით პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლება გულისხმობს მასში ჩაურევლობას, ანუ მისი გამჟღავნების აკრძალვას. ხოლო პირმა, ვინც არღვევს ადამიანის ამ უფლებას, კანონით უნდა აგოს პასუხი.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული განმარტების თანახმად, „პირადი ცხოვრების საიდუმლოების“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ინფორმაცია, რომელიც არ შეეხება პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის, ან მისი ვინმესთვის განდობა საერთოდ არ შეადგენს პირის ინტერესს... პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები შესაძლოა სინამდვილეს შეესაბამებოდეს, მაგრამ პიროვნება დაინტერესებულია მათი განმაურებისაგან დაცვით... სამოქალაქო კოდექსმა სრულიად სამართლიანად, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა აღიარა, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება, მაგრამ, ჩვენი აზრით, განსაზღვრა მისი უზრუნველყოფის არაადეკვატური საშუალება – სასამართლოს მეშვეობით პირადი ცხოვრების საიდუმლოს შემცველი ცნობების უარყოფა“.¹

ასეთს ადგილი შეიძლება ჰქონდეს მაშინ, როდესაც პირი

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი I, თბ., 1999, გვ 64.

არის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე (ჰომოსექსუალისტი) ან მეძავი, რომელიც ცდილობს დაუმალოს საზოგადოებას თავისი რეალური სახე და აფიშირება არ გაუკეთოს თავის საქმიანობას, ამ დროს იმის მოთხოვნა, რომ გავრცელებულმა დაამტკიცოს ამ ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობა, გაუმართლებელია, ლახავს ასეთი პირების კონსტიტუციურ უფლებას – პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის შესახებ, რისთვისაც უნდა მოინახოს არაქონებრივი უფლებების დაცვის რეალური მექანიზმი, რაც შეიძლება გამოიხატოს მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაში.

მე-18 მუხლის შინაარსი ამ ნაწილში საჭიროებს შემდგომ დამუშავებასა და დახვეწას, იგი მოყვანილ უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მორალური ზიანის ანაზღაურებას პირის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში.

РЕЗЮМЕ

После принятия новой Конституции и Гражданского Кодекса Грузии порвала с тоталитарной юридической системой и взяла курс на превращение в подлинное правовое государство, в котором права и свободы человека являются высшей ценностью, а их признание, соблюдение и защита вменяются в обязанность государства.

Право на жизнь, здоровье, честь, достоинство, деловую репутацию, свободу, личную неприкосновенность, неприкосновенность жилища и другие личные неимущественные права возведены в нашей стране в ранг естественных и неотчуждаемых прав личности. Эти права делают личность подлинно свободной, позволяя гармонически развивать свои духовные, нравственные и физические силы.

Проблема возмещения нематериального вреда среди юристов вызвала противоречивые суждения. В частности, известный исследователь-правовед С.А. Беляцкий утверждал, что возмещение морального вреда являлось отражением высокой правовой культуры общества: „... моральный вред с точки зрения гражданского права достоин не меньшего внимания, чем, имущественный ущерб“. На основе действующего законодательства Российской империи С.А. Беляцкий обосновал необходимость ведения института возмещения морального вреда.

Противоположную позицию по этому вопросу занимает Г.Ф. Шершеневич. По его мнению, „личное оскорбление не допускает никакой имущественной оценки, потому что оно причиняет нравственный, а не имущественный вред,

если только оно не отражается косвенно на материальных интересах оскорбленного. Помимо последнего случая, личное оскорбление можно преследовать только в уголовном порядке, требуя наказания виновного. Преследование в гражданском порядке несовместимо с преследованием в уголовном. Здесь-то с наглядностью выступает нецелесообразность принципа возмещения так называемого нравственного вреда. Разве какой-нибудь порядочный человек позволит ценой собственного достоинства получить мнимое возмещение? Отмена такого закона была бы крупным шагом вперед“. Из сказанного следует, что автор отрицает возможность денежной оценки и компенсации морального вреда, признавая лишь материальное возмещение в целях удовлетворения имущественных интересов личности.

Своеобразную позицию по данному вопросу занимал Л.И. Петражицкий. Он в принципе был против имущественного возмещения морального вреда, не видел в этом институте базы для культурного развития, напротив, считал его антикультурным явлением. Обосновывая свои возражения против возмещения морального вреда Л.И. Петражицкий считал, что данный институт может использоваться неимущими с целью наживы, а богатыми – для обогащения, т.е. позволит безнравственно извлекать прибыль из чужого проступка, а отсутствие критериев определения размера вознаграждения за нематериальный вред и свободу судейского усмотрения по делам о возмещении нематериального вреда он рассматривал как основу разрушения законности.

И все же, несмотря на доводы против возмещения

морального вреда, составители нового гражданского кодекса высказались в пользу компенсации морального вреда в целях защиты нематериальных ценностей наравне с защитой материальных благ и интересов.

Новый Гражданский кодекс усиливает охрану неимущественных прав и впервые в грузинском законодательстве вводит институт денежного возмещения морального вреда, что служит ярким доказательством реальности прав и свобод человека, провозглашенных Конституцией Грузии.

Прибегая к сравнительному анализу грузинского гражданского законодательства с гражданским законодательством передовых стран мира /США .Великобритания, Франция, Германия, Россия, Швейцария и др./ в работе выявляются достоинства и недостатки отдельных норм грузинского законодательства, регулирующих личные/неимущественные/ отношения.

Имея в виду, что судебная практика по делам о возмещении морального вреда в Грузии только складывается, а теоретических работ по этим вопросам пока еще нет, в книге рассматриваются кардинальные вопросы, связанные с возмещением морального вреда.

В Грузии до принятия нового Гражданского кодекса о возможности компенсации морального вреда упоминалось лишь в отдельных нормативных актах / „О средствах массовой информации“, “Об иностранных инвестициях” и др./, однако они являлись мертворожденными, поскольку не содержали реального механизма функционирования института возмещения морального вреда. Не внес полной ясности в этот вопрос

и новый Гражданский кодекс Грузии, посвятивший этой проблеме статьи 18, 19, 413, в которых предусматривается лишь допустимость денежного возмещения морального вреда, однако и в них отсутствует реальный механизм такого возмещения. С целью восполнения создавшегося пробела в законодательстве и судебной практике, в работе, состоящей из пяти глав, исследуются понятия: моральный вред, гражданско-правовая ответственность за причинение морального вреда, общие принципы определения размеров компенсации морального вреда и, наконец, подробно рассматривается порядок определения размера компенсации морального вреда для отдельных видов правонарушений. В первой главе книги исследуется понятие морального вреда, которое в грузинском законодательстве отсутствует. На основе анализа законодательства передовых стран Европы / Франция, Великобритания, Германия, Россия и др. / указывается, что моральный вред представляет собой физические и нравственные страдания, причиненные противоправными действиями, / бездействиями / причинителя вреда, посягающими на принадлежащие гражданину от рождения или в силу закона нематериальные блага / жизнь, здоровье, честь, достоинство, деловая репутация, неприкосновенность частной жизни, личная и семейная тайна и т. п. / или нарушающими его личные неимущественные права.

Термин „страдание” как ключевой в определении понятия морального вреда, предопределяет, что действия причинителя морального вреда должны найти отражение в сознании потерпевшего, вызвать определенную

психическую реакцию в форме ощущений и представлений. Наиболее близкими к понятию „нравственные страдания“ следует считать понятие „переживания“.

Моральный вред может заключаться в страхе, унижении, беспомощности, стыде, в переживании иного дискомфортного состояния в связи с утратой родных и близких, невозможностью продолжить активную общественную жизнь, потерей работы, раскрытием семейной, врачебной тайны, распространением сведений, не соответствующих действительности, временным ограничением или лишением каких-либо прав и др. Физический вред выражается в причинении физической боли.

Статья 18 ГК Грузии устанавливает что моральный вред /физические и нравственные страдания/ причиненный гражданину неправомерными действиями, возмещается причинителем этого вреда при наличии его вины. Моральный вред возмещается независимо от возмещения материального (материального) вреда в денежной форме и в размерах определяемых судом. Отсюда следует, что гражданин или юридическое лицо, в отношении которого распространены сведения, порочащие его честь, достоинство или деловую репутацию вправе, наряду с опровержением таких сведений, требовать возмещения убытков и морального вреда в денежной форме.

Допустимость возмещения морального вреда юридическому лицу в теории и судебной практике вызывает разные мнения. Высказываются сомнения о возможности претерпевания юридическим лицом физических и нравственных страданий /М.И. Брагинский, Е. А. Суханов, К.Б. Яро-

шенко, А. М. Ерделевский/. На первый взгляд авторы подобных утверждений правы. Действительно, исходя из природы юридического лица они не обладают психикой и не способны испытывать эмоциональные реакции в виде страданий и переживаний. Несмотря на это с таким утверждением согласиться нельзя. Неимущественные права юридических лиц охватывают их деловую репутацию, недопустимость разглашения коммерческой тайны, незаконное использование товарного знака и др. Посягательство на эти права могут причинить юридическому лицу как материальный, так и моральный вред.

Статья 18 ГК Грузии, говоря о допустимости возмещения морального вреда, пользуется термином „Лица”. Если под этим термином имеются в виду только физические лица, то этим, на наш взгляд, неимущественные права юридических лиц остаются незащищенными. Поэтому в интересах охраны неимущественных прав юридических лиц в статью 18 ГК Грузии следовало бы внести соответствующие уточнения, указав, что право на денежное возмещение морального вреда имеют как физические, так и юридические лица.

Говоря о субъектах, имеющих право на возмещение морального вреда следует указать, что в случае смерти потерпевшего право на возмещение морального вреда имеют лица, находящиеся на его иждивении /статья 1006/, а в случае повреждения здоровья – сам потерпевший.

Во второй главе работы на основе большого фактического материала исследуется история развития института возмещения морального вреда.

В передовых капиталистических странах в течение

столетий накоплена богатейшая практика применения института возмещения морального вреда. Прежде всего это относится к англосаксонской /прецедентной/ системе права, применяемой в Великобритании, США и ряде государств, а также и в странах континентального права, где компенсация морального вреда довольно эффективно используется для защиты личных неимущественных прав граждан. В бывшем Советском Союзе, /что в равной степени относится и к Грузии/ вопрос о компенсации морального вреда в течении долгого времени рассматривался в плане существовавшей идеологии, в основе которой лежал принцип недопустимости и невозможности денежного возмещения морального вреда. После развала Советского Союза появились первые нормативные акты, в которых упоминается (всего лишь) о допустимости возмещения морального вреда. После принятия Гражданского Кодекса был сделан еще один шаг вперед (всего лишь шаг), так как в таком важнейшем правовом документе также отсутствует механизм возмещения морального вреда в денежной форме. В этих условиях вряд ли следует ждать от судебной практики, без законодательной и научной ориентации, правильного и справедливого применения компенсации морального вреда и определения денежного размера такой компенсации.

В третьей главе работы рассматривается гражданско-правовая ответственность за причинение морального вреда. Отмечается, что такая ответственность возникает при наличии одновременно следующих условий:

1. **Наличие морального вреда, то есть негативные**

изменения в психической сфере человека, выражающиеся в претерпевании последним физических и нравственных страданий. При применении этого основания действует презумпция морального вреда, содержание которого выражается в том, что любое лицо, в отношении которого совершено неправомерное действие / бездействие / признается потерпевшим моральный вред, если совершивший деяние не докажет обратное.

2. Противоправность действия / бездействия /, которое выражается в нарушении требований закона, других нормативных актов, а в соответствующих случаях нарушении условий договора. От противоправных действий / бездействий / следует отличать последствия, наступающие в результате правомерных действий, которые хотя и могут повлечь материальный и моральный вред, однако не могут повлечь гражданско-правовую ответственность и вызвать возмещение как материального, так и морального вреда / служебные действия врача при ампутации рук, ног, действия пожарного при тушении пожара и др.

В работе обосновывается идея о том, что если противоправные действия нарушают имущественные права гражданина, несмотря на то, что и такие действия причинили моральный вред, право на его компенсацию возникает только в случаях специально предусмотренных законом.

3. Наличие причинной связи между противоправными действиями и моральным вредом. В работе рассматриваются возможности проявления причинной связи во времени и пространстве / такая связь между противоправными действиями и наступившим моральным вредом может

наступить не сразу, а по истечении определенного времени/.

4. Наличие вины причинителя морального вреда. В статье 18 ГК Грузии установлено, что возмещение морального вреда может иметь место только при наличии вины в действиях причинителя морального вреда. С таким правилом согласиться нельзя.

В ГК Грузии предусмотрены ряд случаев, когда ответственность за причинение морального вреда наступает и в случае отсутствия вины в действиях причинителя морального вреда. К таким случаям относятся, когда: 1) вред причинен жизни и здоровью гражданина источником повышенной опасности; 2) вред причинен гражданину в результате его незаконного осуждения, незаконного привлечения к уголовной ответственности, незаконного применения в качестве меры пресечения заключения под стражу или подписки о невыезде, незаконного наложения административного взыскания в виде ареста или исправительных работ; 3) вред причинен распространением сведений порочащих честь, достоинство и деловую репутацию. Кроме перечисленных в законе случаев моральный вред может быть взыскан и в других случаях.

В связи с этим представляется необходимым статьи 18, 19, 413, 1005, ГК Грузии привести в соответствие между собой, указав, что наряду с виновными действиями причинителя морального вреда, ответственность наступает в соответствующих случаях и при отсутствии вины-причинителя вреда.

В главе четвертой работы исследуются общие принципы

определения размера компенсации морального вреда.

ГК предусматривает возмещение морального вреда только в денежной форме. Однако следует иметь в виду, что деньги в данном случае рассматриваются не в качестве эквивалента перенесенных страданий и переживаний, а в качестве источника положительных эмоций, способных полностью или частично погасить негативные последствия причиненные психике человека, в результате нарушения его права.

В юридической науке дискуссионным является вопрос о формах компенсации причиненного морального вреда. Действующее гражданское законодательство предусматривает лишь денежную форму. Представляется, что наряду с денежной формой необходимо введение и иных форм компенсации морального вреда. Это даст потерпевшему возможность облегчить моральные потери, страдания, восстановить его коммуникабельность и т.п. (например, путем приобретения за счет причинителя вреда здоровью телевизора, автомобиля, музыкального инструмента для утративших в результате правонарушения способность двигаться, утративших зрение).

Позицию по использованию иных форм компенсации морального вреда поддерживает Е.А. Суханов, который отмечал: „В связи с причинением вреда здоровью гражданин несет не только имущественные издержки, но и подвергается моральным переживаниям и травмам. Измерить подобный моральный вред в деньгах невозможно. При нуждаемости потерпевшего в специальных средствах передвижения на причинителя вреда возлагается обязанность по оплате расходов на приобретение

мотоколяски или автомашины с ручным управлением“.

Введение в законодательство иных форм компенсации морального вреда отвечало бы идеалам справедливости, гуманности грузинского права.

Компенсация морального вреда и размер такой компенсации может иметь место как по соглашению между причинителем морального вреда и потерпевшим, так и в судебном порядке. В работе на конкретных примерах обосновывается недопустимость возмещения морального вреда за легкие душевные переживания. Возмещению подлежат „продолжительные, физические и нравственные страдания и переживания“, которые влекут за собой серьезные последствия /смерть, повреждения здоровья, тяжкие мучения, нервный шок, нарушения дискомфорта образа жизни и др./.

ГК Грузии по вопросу денежного возмещения причиненного морального вреда содержит лишь общее правило о том, что необходимо учитывать требования разумности и справедливости.

К сожалению, что следует понимать под этими понятиями в ГК ничего не сказано, в связи с чем в судебной практике создаются значительные трудности.

Анализ судебной практики ряда зарубежных стран позволяет выработать определенные ориентиры, которые, на наш взгляд, окажут судам помощь для „разумного и справедливого“ разрешения споров о возмещении причиненного морального вреда. Среди подлежащих учету судам при определении денежного возмещения морального вреда могут быть: характер и объем физических и

нравственных страданий, связанные с индивидуальными особенностями потерпевшего, степень вины причинителя вреда, характер и содержание публикации и степень распространения порочающих сведений (при нарушении чести, достоинства и деловой репутации), материальное положение как потерпевшего, так и причинителя вреда и др.

В пятой главе работы исследуются частные вопросы определения размера компенсации морального вреда для отдельных видов правонарушений, в частности: права на жизнь и здоровье, право на честь, достоинство и деловую репутацию, право на свободу и личную неприкосновенность, право на личную и семейную тайну. По всем этим проблемам, в работе, в соответствии с нормами Конституции Грузии, высказываются собственные соображения и вносятся предложения, направленные на охрану немущественных прав и свобод как физических, так и юридических лиц.

RESUME

After passing the New Constitution and Civil Code Georgia cut with totalitrial juridical system and works towards transforming itself to the realy legal state, where peoples rights and freedoms are the highest value and their recognition, observance and protection are the duty of the state.

The rights of existance and health,honour,dignity,professional reputation, personal freedom and immunity, inviolability and other personal nonproperty rights are raised in our country to the level of natural and not alienated personal rights. These rights make personality really free, giving opportunity to develop his spiritual, moral and phisical strength.

The new Civil Code strenghtens the protection of nonproperty rights and for the first time in Georgian Legislation brings in the institution of indemnifying of moral hurt,that is stikink demonstration of reality of peoples rights and freedoms, declared in the Constitution of Georgia.

Having recourse to comparative analysis of Georgian Civil legislation with the same in advanced countries (USA, GREAT BRITAIN, FRANCE, GERMANY, RUSSIA, SWITZERLAND), in my work are shown merits and de-merits of various norma of our legislation,regulating the personal (nonproperty) relations.

Meaning that the juridical practice the cases about the compensation of moral harm in Georgia is only taking shape and there are no yet theoretical works about that points, in the book are considered some cardinal issues, that

are connected with the compensation of moral harm.

Before the adoption of the new Civil Code about the possibility of the compensation of moral harm in Georgia was mentioned only in some separate normative acts ("About Mass Media", "About Foreign Investments" and so on).

But they were abortive as had no real gear (mechanism) of the functioning institution of the compensation of moral harm. The new Civil code did not make things clear about the point, which was devoted to the problem of articles 18, 19, 413, where there were only the possibilities of monetary compensation of moral harm, but was not real gear (mechanism) of such compensation.

For the purpose of filling up of the blanks in the legislation and juridical practice of the work that consists of five chapters, are investigated ideas of „Moral harm“, „Civil-juridical responsibility for causing moral harm“, „Common principles of definition of the degree of compensation of moral harm“ and at last, are considered in details „The order (procedure) of definition of some kinds of breaking of the law,“ which is not in the Georgian legislation.

In the first chapter of the book is investigating the idea of moral harm. On the base of the analyses of the legislation of the progressive European countries (France, Great Britain, Germany, Russia and others) is shown, that moral harm is physical and moral sufferings, caused by action against law, that are infringed upon civil from the birth or by law immaterial wealth (life, health, honour, dignity of the personality, business reputation personal inviolability, personal and family mystery (secret) and so on) or the violation of his personal rights about property.

The term "suffering" as key term in the definition of the idea of moral harm, predetermines, that the actions of the harmer of moral harm must find its reflection in the consciousness of the victim, cause the definite physical reaction in the form of sensation and notions. The more close sense to the notion „moral sufferings" must be considered the notion „emotional experience".

Moral harm must be in fear humiliation, helplessness, shame in the suffering of other discomfort state in connection of the loss of near ones, impossibility of going on the active life, losses of work, the disclosing of family, doctor's mystery (secret), spreading false reductions, temporal limitation or deprivation of some rights and so on. Physical harm is expressed in causing of physical pain.

Article 18 of the Georgian Civil Code fixes, that moral harm (physical and moral sufferings) are against law and are compensated by the harmer, in the availability of his fault. Moral harm is compensated in terms of money and in the size, that is determined by the Court of Law independently of the compensation of material (property) harm. Hence it appears, that the citizen or juridical person in regard for which the vicious information about his honor, dignity or business reputation is spread, can demand refutation of such information and compensate losses and moral harm. The permissibility of compensation of moral harm toward juridical person in the theory of juridical practice causes different opinions. Some doubts are suggesting about the possibility of physical and mental sufferings (M. Braginsky, A. Sukhanov, K. B. Jarochenko, A. M. Herdelevsky). To the first sight the authors of such statements are right.

Indeed, hence from the nature of juridical person they have no psychics and can not have any emotional reactions such as sufferings and feelings experience. In spite of this, we can not agree with such affirmation. The unproperty rights of juridical persons consume their business reputation, inadmissibility of divulging of the commercial Secret, illegal use of trade mark and so on. The infringe upon those rights can make to the juridical person material and moral harm.

Article 18 of the Georgian Civil Code telling about the possibility of the compensation of moral harm uses the term „persons”.

If they mean only physical persons, then, to our mind, the unproperty rights of juridical persons remain undefended. That is why it is to the benefit of the protection of undefended rights of juridical persons in Article 18 of the Georgian Civil Code to give the corresponding and more precise definitions, that the right to the monetary compensation of moral harm have physical and juridical persons.

Speaking about subjects, that have right for compensation of moral harm we must point, that in mortal case of the victim, his right for compensation of moral harm have those persons, who are on his dependant. (article 1006), and in case of his illness – he himself.

In the second chapter of the work on the base of factual material is investigated the development of the institution of compensation of moral harm. In the developed capitalist countries for ages there is big practice of use of the institution of compensation of moral harm. First it concerns to the anglo-saxon system of Law, that is used

in Great Britain, USA and some other countries and in the countries of continental Law, where the compensation of moral harm is rather effective and is used for defence of personal rights for unproperty. In former Soviet Union (and in Georgia) the issue about the compensation of moral harm, for long time was considered in the existing ideology where there was the principle of inadmissibility and impossibility of monetary compensation of moral harm. After the disintegration (break down) of the Soviet Union appeared the first normative acts where it was mentioned only about permissibility of the compensation of moral harm. After the adoption of the Civil Code the first step forward was made (but only step), as in such important Law document there was not the mechanism of putting into practice the order of compensation of moral harm in monetary form. Under such condition there is no need to wait from the juridical practice, without legislative and scientific orientation right and just use of the compensation of moral harm and is fixed the monetary sum of such compensation.

In the third chapter of the work is considered civil-Law responsibility for makins moral harm. It is noted, that such responsibility appears in the presence of the following terms:

1. The presence of moral harm that is negative changes in physical sphere of a person, that are expressed in undergoing by that person physical and moral sufferings. Conformity to this term acts presumption of moral harm, that is expressed in the fact, that any person towards which was made action against law (or inaction) is pleaded (admit-

ted) as a victim can not prove different version.

2. The unlawfulness of the action (or inaction), that is expressed in violation of law, other normative acts, and in corresponding cases violation of the terms of any treaty. We must differentiate the unlawfulness of the action (inaction) from the consequences, that come as a result of lawful actions which can entail material and moral harm, but they cannot entail civil-lawful responsibility and cause the compensation of material and moral harm (professional doctor's actions during the process of amputation, actions of a fireman during extinguishing and so on.)

There is the following idea in the work, that if the unlaw actions violate person's rights for property, then despite of the fact, that such actions made moral harm, his right for compensation appears only in cases, that are specially provided by law.

3. The availability of causative tie (relation) between unlaw actions and moral harm. Some possibilities of the appearing of causative tie (relation) in time and (space) are considered in this work (such tie between unlaw actions and coming moral harm cannot begin at once, but after some definite period of time.).

4. The availability of fault of the harmer of moral harm. In article 18 of the Georgian Civil Code is fixed, that the compensation of moral harm can have place in the presence of fault in the actions of the harmer of moral harm. We can't agree with such rule.

In the Georgian Civil Code there are specified some cases, when the responsibility for moral harm comes in case of lack of fault in the actions of the harmer of moral harm

(the encroachment upon honour, dignity, business reputation, life, health and so on.).

In connection with that there is necessary to bring into accord with one another articles 18, 413, 1005, 408 of the Georgian Civil Code and point, that parallel with guilty actions of the harmer of moral harm the responsibility comes in corresponding cases and during the lack of Such fault.

In chapter 4 are investigated general principles of determination of the size of compensation of moral harm.

The Civil Code provides the compensation of moral harm only in terms of money. But we must have into consideration, that money in this concrete case are considered not as the equivalent of suffers and emotional experience, but as the source of positive emotions, which can partly or as a whole liquidate negative consequences caused to man's psychics in the result of his rights.

The compensation of his moral harm and the Size of the compensation can have place as according to the agreement between the harmer of moral harm and the victim and by law in legal form. During the definition of the size of compensation is taking into consideration the character of the fault of the harmer of moral harm, the subjective information of the victim and the peculiarity of physical and moral emotional experiences, material state of the defendant. At the same time on concrete examples is based inadmissibility of coming the responsibility and compensation of moral harm for easy emotional experiences.

The prolonged physical and moral Sufferings and emotional experience must be compensated, as they involve Serious consequence (death, damages of health, hard suffer-

ings, nervous shock, violence of discomfort, way of living and others).

Hence it follows, that moral harm appears in consequence of unlawful derogation of human rights.

In chapter 5 of the work are investigated private items about the determination of the size of compensation of moral harm for some kinds of breaking the law such as right for living, health and personal immunity, honour, dignity, business reputation, freedom, personal and family secret. About all these problems in the work and according with standard norms of the Constitution of the Georgian Republic some different personal considerations are expressed and suggestions are made while are, directed to the protection of property rights and freedoms of physical and juridical persons.

დ ა ნ ა რ თ ი

საქართველოს კონსტიტუცია

მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ
1995 წლის 24 აგვისტოს

(თავი მეორე)

საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის
პირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.

2. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.

2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ

სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

4. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს.

7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი.

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი

აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას.

5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 42

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

მუხლი 45

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ
1997 წლის 26 ივნისს

მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას. თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება, იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებუ-

ლი მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახ-
ულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამო-
ქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის
საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავ-
შირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თან-
ამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან,
სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტო-
გადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარება-
ში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

ნ. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდ-
ება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალის. ხოლო, თუ დარღვევა
გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხო-
ვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეი-
ძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმ-
ნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამო-
სილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური)
ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება
ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 19. პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალებ- ის შემდეგ

მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ
პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი
ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის
ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი
დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არ-
სების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც.
სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვი-
სათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა
სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

**მუხლი 408. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის
მოვალეობა**

1. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

2. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუძცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

3. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება.

4. სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.

**მუხლი 413. ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი
ზიანისათვის**

1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

**მუხლი 1005. სახელმწიფო მოსამსახურე კანონისმგებლობა მისი
მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანის
სათვის**

1. თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც

მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია ანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

2. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.

3. რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდადების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

საქართველოს სისხლის სამართლის
საკროცესო კოდექსი

*მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ
1998 წლის 20 თებერვალს*

*მუხლი 12. პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი აკ-
ტივისა და ღირსების დაცვა*

4. უკანონოდ და დაუსაბუთებლად თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს მისთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება.

მუხლი 13. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

4. პირს, რომელსაც ზიანი მიაღება მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების უკანონო გამჟღავნებით, ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება აქვს.

მუხლი 90. სამოქალაქო მოპასუხის უფლება-მოვალეობანი

3. პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ და მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეებზე სამოქალაქო მოსარჩელის მტკიცებათა უარყოფის ტვირთი ეკისრება სამოქალაქო მოპასუხეს.

*მუხლი 136. მოპყრობა პირისადმი, რომლის მიმართაც გამოყენებულია სისხლის სამართლის საკროცესო სამართლებრივი იძუ-
ლებითი ღონისძიება*

5. აღნიშნული პირის განთავსების ადგილის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის ღირსეულ არსებობას, მისი პატივისა და ღირსების პატივისცემას, პიროვნების ხელშეუხებლობას, ჯანმრთელობის შენარჩუნებას, თავისი ინტერესების დაცვის უნარს. დაკავებულიისადმი ან დაპატიმრებულიისადმი სასტიკი მოპყრობა, მისთვის

ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის მიყენება ისჯება კანონით.

მუხლი 165. უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. ქონებრივი ზიანი პირს სრული მოცულობით უნაზღაურდება, თუ დადგინდა, რომ მისი დაკავება ან დაპატიმრება უკანონო ან დაუსაბუთებელი იყო. ზიანი ანაზღაურდება, თუ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი ან საქმე შეწყდა 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით.

2. ფიზიკური ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ თანხის გადახდით, მკურნალობის ხარჯების, შრომისუნარიანობის დაკარგვის ან დაქვეითების საკომპენსაციოდ, თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევამ.

3. მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით ბოდიშის მოხდის გზით, აგრეთვე, ფულადი კომპენსაციით.

მუხლი 221. სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები

უნდა ანაზღაურდეს, საქმის შედეგის მიუხედავად, ზიანი, რომელიც პირს მიადგა უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაკავების, დაპატიმრების, ანდა, სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების შედეგად, აგრეთვე თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, შემოწმების, სამართალწარმოების ორგანოების სხვა უკანონო ან დაუსაბუთებელ მოქმედებათა შედეგად, რომლებმაც ბრალდებულსა თუ სხვა პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიაყენა.

მუხლი 222. ბრალმულობის საკითხი რეაბილიტაციის დროს უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას

1. რეაბილიტაციის დროს სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას ყველა გადასახდელი გადაიხდებიან, ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

მუხლი 223. უკანონო ან დაუსაბუთებელი საკროცემო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებადებისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ძონებრივი ზიანის ანაზღაურება

1. რეაბილიტირებულისათვის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება.

2. უნდა ანაზღაურდეს:

- ა) ხელფასი ან სხვა შემოსავალი, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა, მათ შორის, ანაცდენი სარგებელი;
- ბ) პენსია, დახმარება, – თუ მათი გადახდა შეჩერებული იყო;
- გ) ფული, ფულადი ანაბრები და მათი პროცენტები, ობლიგაციები და მათი წილხვედრი მოგება, სხვა ფასიანი ქაღალდები და მათზე მიღებული შემოსავალი;
- დ) სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ნივთებისა და სხვა ქონების ღირებულება;
- ე) სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე გადახდებილი ჯარიმები და სასამართლო ხარჯები;
- ვ) თანხა, რომელიც გადახდა მსჯავრდებულს, დანიშნით დაცვის განხორციელებისათვის;
- ზ) ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარი შეთანხმებით დაცვის განხორციელებისათვის;

თ) სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გამოწვეული ხარჯები.

3. იმ პირის გარდაცვალებისას, რომელსაც ზიანი მიადგა, ზიანის ანაზღაურების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე.

4. დასაბრუნებელი ფულისა და ნივთების ღირებულების ინდექსაცია ხდება გადახდის დღეს არსებული საშუალო-საბაზრო ფასებით, ინფლაციის გათვალისწინებით.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ ზიანს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებენ საფინანსო ორგანოები, ხოლო იმავე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ზიანს – სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები.

მუხლი 225. უკანონო ან დაუსაბუთებელი საკონტრასტო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება

1. პუბლიკაცია სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაციის ყველა შემთხვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში.

2. მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და შრომით კოლექტივს, სადაც მუშაობდა ან სწავლობდა რეაბილიტირებული.

3. თუ ცნობები დაკავების, დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, სხვა იძულებითი მოქმედების, ბრალდების შინაარსისა და გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ გაავრცელეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ისინი ვალდებული არიან გამოაქვეყნონ

ინფორმაცია რეაბილიტაციისა თუ სათანადო საპროცესო მოქმედების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ.

4. ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რეაბილიტაციის შესახებ, რეაბილიტირებულს აძლევს მისი უდანაშაულობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

5. თუ რომელიმე საპროცესო მოქმედების შედეგად პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიადგა, ამ ზიანის ანაზღაურების გარდა, სამართალწარმოების შესაბამისი ორგანო დაზარალებულს წერილობით უხდის ბოდიშს.

მუხლი 227. რეაბილიტაციისა და სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საპროცესო წესი

1. თუ არსებობს მონაცემები, რომ ზიანი მიყენებულია მომკვლევის, გამომძიებლისა თუ პროკურორის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად, პირს, რომელსაც თავი დაზარალებულად მიაჩნია, უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს სასამართლოში წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე, მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, მომჩივანისა და იმ ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით, რომლის მოქმედებაც საჩივრდება. მოსამართლის დადგენილება უნდა შეიცავდეს მიყენებული ზიანის სახეობისა და ოდენობის დასაბუთებულ მითითებას და მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების შესახებ ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის დასაბუთებას.

2. მოსამართლეს, რომელმაც მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს განიხილა საჩივარი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, უფლება არა აქვს შემდგომში განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოც შეტანილი იყო საჩივარი. მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო

წესით; მოსამართლის კანონიერ ძალაში შესული დადგენილება გამორიცხავს სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იმავე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიმართვის შესაძლებლობას.

3. მას შემდეგ, რაც მომკვლევით ან გამოძიებელი შეწყვეტს სისხლის სამართლის საქმეს იმ საფუძველით, რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, იგი განსაზღვრავს რეაბილიტირებული-სათვის მიყენებული ზიანის ოდენობას, რის შემდეგაც პროკურორი შეწყვეტილ საქმეს გადასცემს სასამართლოს, რომლის განსჯად-იც იყო ეს საქმე და ეს იმავე დღეს უნდა ეცნობოს რეაბილი-ტირებულს. საქმის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა მოსა-მართლე ატარებს სხდომას ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშ-ნული წესების მიხედვით და გამოაქვს დასაბუთებული დადგე-ნილება რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ, მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

4. თუ რეაბილიტაციის საფუძველი გამოვლინდა სასამართლო-ში, მან საქმის შეწყვეტის შესახებ გამამართლებელ განაჩენში ან განჩინებაში (დადგენილებაში), რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, უნდა ცნოს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების უფლება, განაჩენის ან განჩინების (დადგე-ნილების) ასლი რეაბილიტირებულს უნდა გადაეცეს ხელზე ან გაეგზავნოს ფოსტით, მას განემარტება, რომ ზიანის ანაზღაურება და უფლებების აღდგენა უნდა მოხდეს გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის სხვა აქტის გამოტანის დღიდან ოთხ თვის განმე-ლობაში. რეაბილიტირებულს უფლება აქვს მიმართოს რეაბილიტ-აციის შესახებ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, რომელიც რეაბილიტირებულის განცხადების მიხედვით განსაზღვრავს მის-თვის მიყენებული ზიანის ოდენობას, ხოლო საჭიროების შემთხ-ვევაში მოითხოვს საფინანსო ორგანოებისა და სოციალური უზრუნ-ველყოფის ორგანოების გაანგარიშებას. თუ სასამართლომ საქმე

შეწყვიტა მისი საკასაციო ან სარევიზიო წესით განხილვისას, ზიანის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა, ოღონდ სხვა შემადგენლობით.

5. ზიანის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (დადგენილება) ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ, გერბიანი ბეჭდით დამოწმებული განჩინების (დადგენილების) ასლი გადაეცემა ან ეგზავნება რეაბილიტირებულს, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში — მის მემკვიდრეებს, რათა ეს ასლი წარუდგინონ ორგანოებს, რომლებიც ვალდებული არიან აანაზღაურონ ყველა სახის ზიანი.

6. რეაბილიტაციის შესახებ განჩინების (დადგენილების) შესრულება სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოსა თუ ორგანიზაციისათვის, საკუთრების ფორმის მიუხედავად.

7. რეაბილიტირებულისათვის ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ განჩინება (დადგენილება) შეიძლება სააპელაციო წესით გაასაჩივრონ რეაბილიტირებულმა, პროკურორმა, დაინტერესებულმა პირმა და ორგანიზაციამ, რომლებსაც ესება სასამართლოს მოთხოვნა რეაბილიტირებულისათვის ყველა უფლების აღდგენის შესახებ.

მუხლი 229. რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება

თუ გამამართლებელი განაჩენი ან განჩინება (დადგენილება) რეაბილიტაციის შესახებ გაუქმებულია და გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია, სასამართლომ შეიძლება შეცდომით რეაბილიტირებულს დააკისროს ზიანის ასანაზღაურებლად მიღებული თანხის გადახდა. სასამართლოს აგრეთვე შეუძლია გააუქმოს რეაბილიტაციის სხვა ღონისძიებები.

საქართველოს კანონი
„კრემისა და მასობრივი ინფორმაციის
სხვა საშუალებების შესახებ“

*მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
მიერ 1991 წლის 10 აგვისტოს*

*მუხლი 12. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების
საქმიანობის შემჩრება ან შეწყვეტა*

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ განმეორებით დაირღვა ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნები ან იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა დაკავშირებულია მატერიალურ ზარალთან, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს რესპუბლიკას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შეჩერება ნიშნავს ბეჭდვითი გამოცემის ერთი ან რამდენიმე ნომრის აკრძალვას, აგრეთვე განკარგულებას ტელე-რადიომაუწყებლობის დროებითი შეწყვეტის შესახებ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის დროებითი (არა უმეტეს ერთი თვისა) შეჩერების უფლება აქვს იმ ორგანოს, რომელმაც იგი რეგისტრაციაში გაატარა.

შეჩერება ეხება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მასობრივი ინფორმაციის საშუალებას. ყველას შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შეჩერების შესახებ. სასამართლო ვალდებულია ორი კვირის განმავლობაში განიხილოს აღძრული საკითხი. თუ სასამართლო დაადგენს შეჩერების უკანონობას, აუცილებელია დაზარალებული მასობრივი ინფორმაციის საშუალების მატერიალური და მორალური ზარალის კომპენსირება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის სრული შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.

თუ დაბფუძნებელი გააუქმებს ამა თუ იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, რედაქციას ან რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) აქვს უპირატესი უფლება დააარსოს ამავე სახელწოდების მასობრივი ინფორმაციის საშუალება (გაზეთი, ჟურნალი, გამომცემლობა, ტელე-რადიომუწყებლობის რედაქცია).

საქართველოს კანონი
„უცხოური ინვესტიციების შესახებ“

*მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ
1995 წლის 30 ივნისს*

მუხლი II. უცხოელი ინვესტორის ზარალის ანაზღაურება და კომპენსაცია

11.1. უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს კომპენსაციის სახით ანაზღაუროს მისთვის მიყენებული ზარალი, ხელიდან გაშვებული მოგებისა და მორალური ზიანის ჩათვლით, რომელიც გამოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების და ან თანამდებობის პირების უკანონო ქმედებით, აგრეთვე უცხოელ ინვესტორთა და მათ მიერ შექმნილ საწარმოთა მიმართ იმ ვალდებულებების შეუსრულებლობით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

11.2. უცხოელი ინვესტორისათვის მიყენებული ზარალი უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი საერთაშორისო ან ქართული ორგანიზაციის ან ექსპერტის მიერ და სრულად უნდა იყოს ანაზღაურებული ასეთი შეფასების მომენტიდან სამი თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს ოთხი თვისა, ზარალის მიყენების მომენტიდან. სარჩელი ზარალის ანაზღაურების თაობაზე შეტანილ უნდა იქნეს შესაბამის ორგანოში ზარალის მიყენებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

11.3. ზარალად ითვლება ობიექტის ღირებულებისა და ზარალის მიყენების შემდეგ დარჩენილი ღირებულების სხვაობისა და ყოველი სამუშაო დღისათვის შესაძლო საშუალო მოგების ერთობლიობის ჯამი.

11.4. კომპენსაცია, რომელიც მიეცემა უცხოელ ინვესტორს,

უნდა შეესაბამებოდეს რეკვიზირებული ინვესტიციის რეალურ ღირებულებას უშუალოდ იმ მომენტამდე, როდესაც ფაქტობრივად განხორციელდა რეკვიზიცია.

11.5. კომპენსაციის თანხის გადახდა ხდება იმ ვალუტით, რომლითაც განხორციელდა ინვესტიცია, ანდა უცხოელი ინვესტორისათვის მისაღები ნებისმიერი სხვა ვალუტის სახით, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. კომპენსაციაზე უფლების წარმოქმნის მომენტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდის მომენტამდე საკომპენსაციო თანხას ერიცხება პროცენტები საქართველოს რესპუბლიკის საკრედიტო ბაზარზე დეპოზიტების მიმდინარე პროცენტული განაკვეთების შესაბამისად.

11.6. სახელმწიფოს მიერ უცხოელი ინვესტორის დანაკარგების კომპენსაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ განსაზღვრული სხვა წყაროებიდან.

სასარჩელო განცხადების ნიმუში

სასამართლოს დასახელება _____
მოსარჩლე _____
მისამართი _____
მოპასუხე _____
მისამართი _____

სასარჩელო განცხადება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ

„.....“ „.....“ 199.... წ. მოპასუხემ ჩემთან მიმართებაში ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ან გამოავლინა მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობა), რომელიც გამოიხატება იმაში, რომ

(მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან უმოქმედობის აღწერა)

მითითებული ქმედებით (ან უმოქმედობით) დარღვეულ იქნა ჩემი არაქონებრივი უფლება „მიუთითეთ, კერძოდ, რომელი – პატივი, ღირსება და ჯანმრთელობა და ა.შ.“, რამაც მომაყენა ფიზიკური ტანჯვა „მიუთითეთ, კერძოდ, როგორი – ტკივილი, თავბრუსხვევა და ა.შ.“. აგრეთვე, მორალური ტანჯვა „მიუთითეთ, კერძოდ როგორი – შიში, წყენა, იმედის გაცრეება და ა.შ.“.

ფაქტობრივი გარემოებები, რომელშიც მიყენებულ იქნა მორალური ზიანი.... მდგომარეობს შემდეგში: „მიუთითეთ, კერძოდ რა გარემოებები“.

ჩემ მიერ გადატანილი განცდები და ტანჯვა დამატებით მტკიცდება შემდეგი მტკიცებულებებით „მიუთითეთ, კერძოდ, რომლებით“.

მოპასუხის მიერ ჩემთვის მიყენებული მორალური ზიანი კომპენსირებულ იქნება მოპასუხის მიერ ფულადი კომპენსაციის..... ლარებში გადახდის შემთხვევაში;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე და 1005-ე მუხლების თანახმად, დაეკისროს მოპასუხეს ჩემთვის მოყენებული მორალური ზიანისათვის კომპენსაცია ფულადი სახით.

დ ა ნ ა რ თ ი

1. სასარჩელო განცხადებაში მოხსენიებული წერილობითი მტკიცებულებანი;

2. სასარჩელო განცხადების მიღებისთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ ქვითარი (თუ პირი კანონის თანახმად არ არის გათავისუფლებული ასეთი გადასახადისაგან);

3. სასარჩელო განცხადების ასლი მოპასუხისათვის.

მოსარჩლის ხელმოწერა
თარიღი

სასარჩელო განცხადების ნიმუში

პატივისა და ღირსების დაცვისა და მორალური
ზიანის ანაზღაურების შესახებ

სასამართლოს დასახელება _____

მოსარჩლე _____

მისამართი _____

მოპასუხე _____

მისამართი _____

სასარჩელო განცხადება

„---“ „-----“ 19... წ. მოპასუხემ ჩემთან მიმართებაში გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო და შემბლალავი ცნობები, რომელიც გამოიხატება შემდეგში _____
აღნიშნული ცნობები გავრცელებულ იქნა _____

(მიუთითეთ გავრცელების საშუალებებზე)

ამ ქმედებებით ზიანი მიაღდა ჩემს არამატერიალურ სიკეთეს, ჩემს პატივსა და ღირსებას (ან საქმიან რეპუტაციას), რამაც მომაცენა ფიზიკური _____

(მიუთითეთ, რაში გამოიხატება ისინი)

და მორალური განცდები _____

(მიუთითეთ, რაში გამოიხატება ისინი)

ფაქტობრივმა გარემოებებმა, რომელშიც მე მომადგა მორალური ზიანი, გაზარდა ჩემი განცდების ხარისხი _____

(მიუთითეთ, რომელმა გარემოებებმა)

მე გამაჩნია შემდეგი ინდივიდუალური თავისებურებანი, რომ-
ლებმაც გაზარდეს ჩემი განცდების ხარისხი _____

(მიუთითეთ, რომელი)

ამ ინდივიდუალობათა არსებობა მტკიცდება შემდეგი მტკიცე-
ბულებებით _____

(მიუთითეთ, კერძოდ რომლები)

ჩემ მიერ მითითებული განცდები დამატებით მტკიცდება შემ-
დეგი მტკიცებულებით _____

(მიუთითეთ, კერძოდ რომლით)

მოპასუხის მიერ ჩემთვის მიყენებული მორალური ზიანი
კომპენსირებულ იქნება მის მიერ ფულადი სახით
_____ ლარებში გადახდის შემთხვევაში.

(თანხა)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხ-
ლების თანახმად, გთხოვთ, დააკისროთ მოპასუხეს ჩემთვის მოყ-
ენებული მორალური ზიანისთვის კომპენსაცია ფულადი სახით.

დანართი

1. სასარჩელო განცხადებაში მოხსენიებული წერილობითი
მტკიცებულებანი;

2. სასარჩელო განცხადებების მიღებისათვის სახელმწიფო ბაჟის
გადახდის შესახებ ქვითარი (თუ პირი კანონის თანახმად არ არის
გათავისუფლებული ასეთი გადასახადისაგან).

3. სასარჩელო განცხადების ასლი მოპასუხისათვის.

მოსარჩლის ხელმოწერა

თარიღი

სასარჩელო განცხადებს ნიგუში

თანამდებობის პირთა და მმართველობის ორგანოთა უკანონო ქმედებითა და გადაწყვეტილებებით მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაციის შესახებ

სასამართლოს დასახელება _____

მოსარჩლე _____

მისამართი _____

მოპასუხე _____

მისამართი _____

სასარჩელო განცხადება

„---“ „-----“ 19..... წ. მოპასუხემ (მმართველობის ორგანო, თანამდებობის პირი) ჩემთან მიმართებაში ჩაიდინა არასამართლებრივი ქმედება (გამოიჩინა არამართლზომიერი უმოქმედობა, მიიღო არამართლზომიერი გადაწყვეტილება), რომელიც გამოიხატება იმაში, რომ _____

(მიუთითეთ, კერძოდ რაში)

მითითებული ქმედება (უმოქმედობა, გადაწყვეტილება) უკანონოა შემდეგი საფუძვლებით _____

მითითებული ქმედებით (უმოქმედობით) დარღვეულ იქნა ჩემი არაქონებრივი უფლება _____ (ზარალი მიაღვა ჩემს (სახელდობრ რომელი)

არამატერიალურ სიკეთეს - ჩემს თავისუფლებას _____

(კერძოდ რომელს)

რამაც მომაცენა ფიზიკური ტანჯვა _____
(მიუთითეთ რომელი)

და ზნეობრივი განცდები _____
(მიუთითეთ რომელი)

ფაქტობრივმა გარემოებებმა, რომელშიც მომადგა მორალური
ზიანი, გაზარდა ჩემი განცდები _____
(მიუთითეთ რომელმა)

მე გამაჩნია შემდეგი ინდივიდუალური თავისებურებანი, რომ-
ლებმაც გაზარდეს ჩემ მიერ გადატანილი განცდების ხარისხი

_____ (მიუთითეთ რომელი)

ამ ინდივიდუალობათა არსებობა მტკიცდება შემდეგი მტკიცე-
ბულებებით _____
(მიუთითეთ)

ჩემ მიერ მითითებული განცდები დამატებით მტკიცდება შემ-
დეგი მტკიცებულებებით _____
(მიუთითეთ, კერძოდ რომელი)

მოპასუხის მიერ ჩემთვის მიყენებული მორალური ზიანი
კომპენსირებულ იქნება მის მიერ ფულადი სახით
_____ ლარებში გადახდის შემთხვევაში;
(თანხა)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახ-
მად, გთხოვთ, დააკისროთ მოპასუხეს ჩემთვის მოყენებული მორ-
ალური ზიანისათვის კომპენსაცია ფულადი სახით.

დანართი

1. სასამართლო განცხადებაში მოხსენიებული წერილობითი მტკიცებულებანი;
2. სასარჩელო განცხადების მიღებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ ქვითარი (მარკები)
3. სასამართლო განცხადების ასლი მოპასუხისათვის

ხელმოწერა

თარიღი

შ ე თ ა ნ ს მ ე ბ ა

მორალური ზიანის ნებაყოფლობით კომპენსაციის შესახებ (ნიმუში)

ქ. თბილისი

„---“ „-----“ 19..... წ.

შემდგომში

ზიანის მიმყენებლად წოდებული, ერთი მხრივ _____ და შემდგომში დაზარალებულად წოდებული, მეორე მხრივ, გვქონდა რა მიზანი, რომ სასამართლოს წესის გარეშე შეგვეწყვიტა ზიანის მიმყენებლის ვალდებულება დაზარალებულისათვის მორალური ზიანის კომპენსაციისა, დავდეთ შეთანხმება შემდეგზე:

1) მხარეები აღიარებენ იმას, რომ ზიანის მიმყენებლის მიერ დაზარალებულის მიმართ ჩადენილია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს _____

(მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღწერა)

და რითაც დარღვეულია დაზარალებულის პირადი არაქონებრივი უფლება (ან პირად არაქონებრივ სიკეთეს მიაღგა ზარალი)

(მიუთითეთ, კერძოდ რომელი)

2) ზიანის მიმყენებელი აღიარებს, რომ შეთანხმების პირველ პუნქტში გათვალისწინებული სამართლადარღვევით დაზარალებულისთვის მიყენებულია ზნეობრივი (მორალური) _____

(მიუთითეთ, კერძოდ რომელი)

და (ან) ფიზიკური _____

(მიუთითეთ, კერძოდ რომელი)

განცდები, ანუ მიყენებულია მორალური ზიანი, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას.

3). დაზარალებულმა ყოველმხრივ შეაფასა განცდების ხასიათი და ზარისხი, რომელიც მან განიცადა ამ შეთანხმების ხელისმოწერის მომენტისთვის და რომელიც შესაძლებელია განიცადოს მომავალში ამ შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და თვლის, რომ აღნიშნული განცდები ანაზღაურებულ იქნება ფულადი ფორმით _____

(თანხის დასახლება)

ოდენობით, _____ წლამდე, შემდეგი საშუალებით
(თარიღი)

(ნაღდად გადაცემით, საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით და სხვა).

4) ზიანის მიმყენებელი, იღებს რა მხედველობაში დაზარალებულის შეფასებას მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს დაზარალებულს კომპენსაცია შეთანხმების მე-3 პუნქტში მითითებული საშუალებითა და ოდენობით.

5) დაზარალებული ცნობს, რომ ზიანის მიმყენებლის მიმართ მის მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ამ შეთანხმების მე-3 პუნქტში მითითებული მორალური ზიანის კომპენსაციის შედარებით დაბალი ან მაღალი ოდენობა.

სასამართლოს მიერ კომპენსაციის შედარებით მაღალი ოდენობის განსაზღვრის შემთხვევაში, დაზარალებული ითვალისწინებს ზიანის მიმყენებლის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების ნებაყოფლობით დაკმაყოფილების გარემოებას და ათავისუფლებს ზიანის მიმყენებელს ამ შეთანხმების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ზევით სასამართლოს მიერ დადგენილი კომპენსაციის გადახდისაგან.

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	5
<i>თავი პირველი</i>	
მორალური ზიანის ცნება	17
§ 1. მორალური ზიანის ცნება	17
§ 2. მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტები	31
<i>თავი მეორე</i>	
მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოქმედების ისტორიული განვითარება	36
<i>თავი მესამე</i>	
სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მორალური ზიანის მიყენებისათვის	75
<i>თავი მეოთხე</i>	
მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის ზოგადი პრინციპები	96
<i>თავი მესამე</i>	
მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა ცალკეული სახის სამართალდარღვევისათვის	123
§ 1. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევა	123
§ 2. ფიზიკური პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის უფლების დარღვევა	136
§ 3. მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისათვის	162

§ 4. თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებათა დარღვევა	178
§ 5. პირადი საიდუმლოების უფლების დარღვევა	198
რეზიუმე რუსულ ენაზე	205
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	217
<i>დანართი</i>	225
1. ამონაკრები საქართველოს კონსტიტუციიდან.....	225
2. ამონაკრები საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან.....	230
3. ამონაკრები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან	234
4. ამონაკრები „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს კანონიდან	241
5. ამონაკრები უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს კანონიდან	243
6. სასარჩელო განცხადების ნიმუში მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ	245
7. სასარჩელო განცხადების ნიმუში პატივისა და ღირსების დაცვისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ	247
8. სასარჩელო განცხადების ნიმუში თანამდებობის პირთა და მმართველობის ორგანოთა უკანონო ქმედებითა და გადაწყვეტილებებით მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაციის შესახებ.....	249
9. მორალური ზიანის ნებაყოფლობით კომპენსაციის შესახებ (ნიმუში)	252
შინაარსი	254

ЧИКВАШВИЛИ ШАЛВА ДАНИЕЛОВИЧ

ОТВЕТСТВЕННОСТЬ ЗА МОРАЛЬНЫЙ ВРЕД
(на грузинском языке)

Издательство „Меридиани“
Тбилиси, 2003

გამომცემლობის რედაქტორი მანანა ჩიკვილაძე
ტექ. რედაქტორი ინგა ნავროზაშვილი
კორექტორი მარინე კვიციანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.12.2003
საბეჭდი ქალაქი 60X84 1/16
პირ. ნაბ. თაბახი 16

შეკვეთა №427 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 112